აჭარის ასსრ კულტურის სამინისტრო
რევოლუციის სახელმწიფო მუზეუმი

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება აჭარაში

კრებული

სახელგამი
ბათუმი-1958

წინასიტყვაობა

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას უდიდესი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა აქვს. მან პირველმა გაარღვია მსოფლიო იმპერიალიზმის სისტემა და დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა, რითაც დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში — კაპიტალიზმის მსხვრევისა და სოციალიზმის დამკვიდრების ერას.

ისტორიულად მოკლე ვადაში სოციალიზმმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მაგალითის მიხედვით სოციალისტური მშენებლობის გზას დაადგნენ აზიისა და ევროპის მთელი რიგი ქვეყნები, სოციალიზმი მსოფლიო სისტემად გადაიქცა.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ რუსეთის ცენტრში უდიდესი გამარევოლუციონერებელი გავლენა მოახდინა პერიფერიებსა და ნაციონალურ მხარეებზე, მან მძლავრი გამოხმაურება ჰპოვა საქართველოშიც. მაგრამ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და ძალაუფლების გადასვლა საბჭოების ხელში, ადგილობრივი პირობების თავისებურებათა გამო, პერიფერიებში მეტნაკლებად სხვადასხვა დროს განხორციელდა.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა საქართველოში შედარებით გაჭიანურდა, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. მენშევიკების გამცემლური პოლიტიკის შედეგები ყველაზე მწვავედ აჭარამ იწვნია, სადაც მეტად რთულ პირობებში მიმდინარეობდა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. აჭარა საკმაო ხნით ოკუპირებული იყო უცხოელი დამპყრობლების მიერ. ეს მხარე ორ წელიწადზე მეტი ხნის მანძილზე მოწყვეტილი იყო საქართველოს სხვა დანარჩენ ნაწილს. იგი დასავლეთ ევროპისა და ამერიკის იმპერიალისტებმა ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად გადააქციეს. ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები ცდილობდნენ დენიკინისა და ვრანგელის კონტრრევოლუციური არმიები ბათუმიდან მოემარაგებინათ საწვავი და საომარი მასალებით, ცოცხალი ძალით. მეორე მხრივ, აჭარა გადაიქცა გმირი წითელი არმიის მიერ დამარცხებულ თეთრგვარდიელთა უკანასკნელ თავშესაფარ ადგილად.

ასეთ ვითარებაში მეტისმეტად გაძნელდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა აჭარაში; მით უმეტეს, რომ საქართველოს ამ კუთხეში ოკუპაციის მთელ პერიოდში ნამდვილი სამხედრო დიქტატურა და თეთრი ტერორი მძვინვარებდა. ოკუპაციის დროს აჭარას სამხედრო წესები არ მოშორებია.

1920 წლის ივნისიდან აჭარაში ქართველი მენშევიკების დიქტატურა დამყარდა. მენშევიკური რეჟიმი არაფრით არ განსხვავდებოდა თურქებისა და ინგლისელი ოკუპანტების რეჟიმისაგან, მეტიც, აჭარაში მენშევიკების გაბატონების შემდეგ მშრომელთა ინტერესები უფრო მეტად შეიბღალა, მასების ისედაც

შეკვეცილი უფლებები კიდევ უფრო შეიკვეცა, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა კიდევ უფრო გაძნელდა.

მიუხედავად ასეთი რთული ვითარებისა, აჭარაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა კომუნისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მაინც წარმატებით მიმდინარეობდა. ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაცია ყოველთვის იდგა ლენინური პარტიის მოწოდების სიმაღლეზე და საქართველოს კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ მოწინავე რაზმს წარმოადგენდა. საქართველოს კომუნისტური პარტია ზრუნვასა და ხელმძღვანელობას არ აკლებდა ბათუმელ ბოლშევიკებს. საბოლოო ჯამში სწორმა ხელმძღვანელობამ უზრუნველყო აჭარის მშრომელთა წარმატებითი ბრძოლა, რაც აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით დაგვირგვინდა.

წინამდებარე კრებული მიზნად ისახავს მოკლედ გააშუქოს აჭარის მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის. კრებულში ნაჩვენებია რუსეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რევოლუციურ ბრძოლებში ნაცადი საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციის და მისი ერთ-ერთი მოწინავე რაზმის — აჭარის ორგანიზაციის შეუნელებელი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის აჭარაში. მოკლედ გადმოცემულია, აგრეთვე, ისტორიულ-სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე შეუსწავლელი ართვინის კომუნისტური ორგანიზაციის საქმიანობაც. აქვეა, საბჭოთა ხელისუფლების პირველი ნაბიჯების სათანადო გაშუქების ცდა, ნაჩვენებია ის ღონისძიებანი, რომლებმაც საბოლოოდ განამტკიცეს საბჭოების ხელისუფლება აჭარაში.

კრებულში მოთავსებულია, აგრეთვე, ძველ რევოლუციონერთა მოგონებანი. კრებულს ერთვის აჭარაში საბჭოთა ხელისუფლებისათვს ბრძოლისა და სხვა მნიშვნელოვან მოვლენათა ამსახველი ქრონიკა (1917 — 1921 წწ.).

პარმენ ცაქვიტარია
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის აჭარაში

1. ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის აჭარაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მოამზადებისა და მატარების პერიოდში

ახალმა რევოლუციურმა აზვირთებამ 1914 წლის პირველი ნახევრისათვის უაღრესად ფართო გაქანებას მიაღწია და თვითმპყრობელობას 1905 წლის რევოლუციაზე უფრო ძლიერი გრიგალით დაემუქრა, მაგრამ მეფეს მსოფლიო ომის დაწყება დაეხმარა. დაარბიეს ბოლშევიკური ორგანიზაციები, ხოლო თვალსაჩინო პარტიული ხელმძღვანელები ციმბირში გადაასახლეს. მიუხედავად ამისა, რევოლუციური მოძრაობის შეჩერება დიდი ხნით აღარ შეიძლებოდა. პირველი რევოლუციის გამომწვევი მიზეზები კვლავ ძალაში დარჩა და მათ ომით გამოწვეული ახალი უბედურებანი დაემატა.

ომი უდიდეს სახსრებს ნთქავდა. ომს მოხმარდა სახელმწიფოს თითქმის მთელი სიმდიდრე, დაიცალა ხაზინა, ამოიწურა უკანასკნელი სამეურნეო რესურსები, მოიშალა მთელი სახალხო მეურნეობა, თითქმის შეწყდა ფრონტისა და ზურგის სურსათით მომარაგება და სხვ. მეფის მთავრობა, მოკავშირე იმპერიალისტების კარნახით, დარჩენილ ცოცხალ ძალას ფრონტისაკენ მიერეკებოდა, მაგრამ გამარჯვების არავითარი იმედი აღარ იყო. რუსეთი დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიდა. ფრონტზე დამარცხებამ და ზურგში სამეურნეო ნგრევამ, გაჭიანურებული ომით გამოწვეულმა უბედურებამ მძლავრი ბიძგი მისცა ახალ რევოლუციურ აღმავლობას. 1916 წლის მეორე ნახევარში რევოლუციური სიტუაციის წარმოშობის გარდაუვალი ვითარება შეიქმნა.

ფრონტზე დამარცხებამ და ზურგში რევოლუციის საშიშროებამ რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზია ფეხზე დააყენა. ბურჟუაზიას აღშფოთებდა ომისა და რუსეთის მომავალი ბედი. ბურჟუაზიას ომში გამარჯვება სწყუროდა, რათა ხელთ ეგდო საგარეო ბაზრები და რევოლუციისათვისაც ბოლო მოეღო. მაგრამ მეფის მთავრობის იმედი მას უკვე აღარ ჰქონდა. უილაჯო მთავრობა გერმანიასთან სეპარატიული ზავის დადებაზე ფიქრობდა. ასეთ ვითარებაში ბურჟუაზიამ გადასწყვიტა მოეხდინა სახელმწიფო გადატრიალება სასახლის ფარგლებში, შეექმნა ახალი, ბურჟუაზიის ნდობით აღჭურვილი მთავრობა. ამით ფიქრობდა იგი ომში გამარჯვებასა და რევოლუციის აღკვეთას.

„ბნელი ძალების იარაღად გადაქცეულ მთავრობას, — აღნიშნავდა საგუბერნიო ერობების წარმომადგენელთა ყრილობა 1916 წლის 9 დეკემბერს,[1] — რუსეთი დაღუპვის გზით მიჰყავს და ირყევა მეფის ტახტი. უნდა შედგეს მთავრობა, რომელიც დიდი ხალხის ღირსი იქნება მისი ისტორიის ყველაზე რთულ

[1] 1918 წლის აპრილამდე თარიღები ნახვენებია ძველი სტილით.

მომენტში... დრო არ ითმენს, ყველა ვადა და გადავადება, რომელიც მოგვცა ისტორიამ, იწურება".[1]

11 დეკემბერს ლიბერალური ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრებამ პეტროგრადში მოითხოვა „უსინდისო და მოღალატე ხელისუფლების" დაუყოვნებლივ შეცვლა და რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, მაგრამ უკვე გვიანღა იყო.

1917 წლის თებერვალში პირველი აჯანყდა პეტროგრადის პროლეტარიატი, რომელსაც დაუყოვნებლივ დაეხმარნენ ჯარისკაცები და მატროსები. აჯანყებამ წალეკა რომანოვების დინასტია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ხალხს მაჯლაჯუნასავით აწვა კისერზე. რუსეთში მეორე ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ გაიმარჯვა. რევოლუცია მოახდინეს მუშებმა, გლეხებმა და ჯარისკაცებმა, მაგრამ ესერ-მენშევიკების გამცემლობის გამო ძალაუფლება ბურჟუაზიამ ჩაიგდო ხელში. შეიქმნა ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა თავად ლვოვის თავმჯდომარეობით. ეს მთავრობა თავისი საშინაო და საგარეო პოლიტიკით არსებითად არ განსხვავდებოდა მეფის მთავრობისაგან. იგი ყოველნაირად უვლიდა გვერდს ისეთი საკითხების გადაჭრას, როგორიც იყო: სამართლიანი ზავის დადება, აგრარული საკითხის გლეხთა სასარგებლოდ გადაჭრა, 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღება, ეროვნული საკითხის მოგვარება და სხვ.

ამ მთავრობის გვერდით არსებობდა მეორე ხელისუფლება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სახით, რომელსაც უნდა შეესრულებინა ისტორიული ამოცანა — დაენგრია ძველი და შეექმნა ახალი — საბჭოთა სახელმწიფოებრივი აპარატი, გადაეჭრა ყველა ძირითადი ამოცანა, რომელიც კი რევოლუციამ დასვა დღის წესრიგში, მაგრამ მასში ესერულ-მენშევიკური უმრავლესობის მოკალათების გამო, სუსტი აღმოჩნდა.

რუსეთის ბურჟუაზია რევოლუციას დამთავრებულად თვლიდა. მის მთავარ ამოცანას ახლა ძალაუფლების განმტკიცება და რევოლუციური ძალების ჩახშობა წარმოადგენდა. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციით დაკმაყოფილდნენ წვრილბურჟუაზიული პარტიებიც. ესერები და მენშევიკები რევოლუციის შემდგომ განვითარებაზე სრულებით არ ფიქრობდნენ.

თებერვლის რევოლუციამ ბოლშევიკურ პარტიას ლეგალური მუშაობის საშუალება მისცა. გადასახლებიდან დაბრუნდნენ პარტიის თვალსაჩინო ხელმძღვანელები. მაგრამ პარტიის რიგებში აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც რევოლუციის შემდგომ განვითარებას სკეპტიკურად უყურებდნენ. მათი აზრით სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირობები რუსეთში არ არსებობდა. მწვავედ იგრძნობოდა ვ. ი. ლენინის რუსეთში არ ყოფნა, დიდი სიძნელეების გადალახვის შემდეგ, 1917 წლის 3 აპრილს, პეტროგრადში დაბრუნდა ვ.ი. ლენინი. თავისი ცნობილი „თეზისებით" მან სრული სიცხადე შეიტანა რევოლუციის ყველა ძირითად საკითხში. „აპრილის თეზისებმა" პარტიას მისცა ახალი ორიენტაცია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისათვის ბრძოლაში..

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ მალე გამოხმაურება ჰპოვა რუსეთის განაპირა მხარეებშიაც. ბურჟუაზიულ-დემოკრა-

1 აკადემიის ასსრ ცენტრალური არქივი, ფ. 7, ს. 684.

ტრული რევოლუციის გამარჯვებამ და ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის შექმნამ, რუსეთის მსგავსად, სავსებით დააკმაყოფილა ამიერკავკასიის ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიები.

ქართველი მენშევიკები ბრძოლას უკვე დამთავრებულად თვლიდნენ და მოსახლეობას „წესრიგისაკენ" მოუწოდებდნენ. შემთხვევითი არ იყო ის სამარცხვინო ფაქტი, რომ ქართველმა მენშევიკებმა კავკასიაში მეფისნაცვლის— დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე რომანოვის ქება დაიმსახურეს.

„საერთოდ უნდა ვთქვათ, — ეუბნებოდა მეფისნაცვალი თავის რეზიდენციაში 1917 წ. 4 მარტს ნოე ჟორდანიას და ნოე რამიშვილს, — რომ მე ძლიერ კმაყოფილი ვარ ამჟამად კავკასიით, რადგან აქ არავითარი არეულობა არ არის. ბაქოში და თბილისში სამაგალითო წესიერებაა დაცული. ეს ჩემი აზრით, აიხსნება იმით, რომ სოციალ-დემოკრატია, რომელსაც აქ, კავკასიაში, დიდი გავლენა აქვს, წესიერების მომხრეა" (ხაზგასმა ჩემია. პ. ც.)[1]

გაზეთმა „თანამედროვე აზრმა" 7 მარტს მოსახლეობას მიმართა მოწოდებით „დაიცავით წესიერება". გაზეთი ბურჟუაზიულ დროებით მთავრობას რევოლუციურს უწოდებდა და მისდამი დახმარებასა და რევოლუციურ ღონისძიებათა გატარებაზე თავის არიდებას მოითხოვდა.

ამრიგად, ქართველი მენშევიკები იმთავითვე უპერდნენ მხარს ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის ანტიხალხურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ქართველი მენშევიკები თავგამოდებით იცავდნენ დროებითი მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების მოღალატურ პოლიტიკას. სოციალ-დემოკრატთა თბილისის საქალაქო კრებაზე 12 მარტს ნოე ჟორდანიამ განაცხადა: „დღევანდელ რევოლუციას სამი ძალა ამოძრავებს — პროლეტარიატი, ჯარი და ბურჟუაზია. რადგანაც დროებითი მთავრობა... ასრულებს მუშათა საბჭოების დადგენილებებს, ამიტომ მას მხარი უნდა დაუჭიროთ..."[2]

ბოლშევიკებმა ამხილეს მენშევიკების მოღალატური პოზიცია დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების საკითხში. იმავე კრებაზე ბოლშევიკების წარმომადგენელმა ფ. მახარაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბურჟუაზია საერთოდ მოღალატეა და ამიტომ პროლეტარიატმა საკუთარი პოლიტიკა უნდა განახორციელოსო. კრებამ ხმის უმრავლესობით მიიღო მენშევიკების მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია.

ისე, როგორც თბილისსა. და საქართველოს სხვა ქალაქებში, ბათუმშიც „რევოლუციის დღეები მშვიდობიანად მიმდინარეობდნენ".[3] მართალია, 1917 წ. მარტის პირველ რიცხვებში შეიქმნა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, მაგრამ ძალაუფლება ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის ხელში გადავიდა, რომელიც 3 მარტს ჩამოყალიბდა. აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში შევიდა ქალაქის სათათბიროს, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების 10-10 წარმომადგენელი, ოლქის ადმინისტრაციის 4 წარ-

1. გაზ. „თანამედროვე აზრი", 1917 წ., 7 მარტი.
2 იქვე, 1917 წ., 14 მარტი.
3 იქვე.

მომადგენელი და პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების 2-2 წარმომადგენელი.

ამ წესით შედგენილი აღმასრულებელი კომიტეტი თითქმის მთლიანად ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული შემადგენლობის აღმოჩნდა. იგი მოსახლეობას „წესიერებისაკენ" მოუწოდებდა. ბათუმელი მენშევიკები, ისევე, როგორც საერთოდ მენშევიკური პარტია, სავსებით უჭერდნენ მხარს ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას და ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს ყოველმხრივ ეხმარებოდნენ დროებითი მთავრობის განკარგულებათა განხორციელებაში.

როგორც მთელ რუსეთში, ისე აჭარაშიც ძალზე ნელა მიმდინარეობდა ძველი რეჟიმის ლიკვიდაცია. მაგალითად, ქალაქის სათათბიროს არჩევნები 1917 წლის 9 ივლისამდე არ ჩატარებულა. ახალი სათათბირო მუშაობას მხოლოდ 9 აგვისტოდან შეუდგა. ამრიგად, თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ, ხუთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, ქალაქ ბათუმსა და მის საქმიანობას განაგებდა ძველი თვითმმართველობა, რომელიც 1916 წელს აირჩიეს და რომლის სავარძელში მხოლოდ ბიუროკრატიისა და პლუტოკრატიის წარმომადგენლები ისხდნენ.[1] სასამართლო საქმეებს კვლავ მეფისდროინდელი სასამართლო არჩევდა.

* * *

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებას აჭარის მშრომელები აღფრთოვანებით შეხვდნენ. 10 მარტს ქ. ბათუმი დილიდანვე მოირთო წითელი დროშებითა და პლაკატებით. არც ერთ დაწესებულებაში მუშაობა არ წარმოებდა, მაღაზიები მთელი დღე დაკეტილი იყო. დღის 12 საათზე ქალაქის სათათბიროს შენობის ეზოში შედგა სამხედრო ნაწილებისა და მოსახლეობის გაერთიანებული გრანდიოზული მიტინგი. 12 მარტს ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა ქედაში. ქვემო აჭარის მშრომელი მოსახლეობა თვითმპყრობელობის დამხობას მიესალმა და იმედი გამოთქვა, რომ ახალი ხელისუფლება რევოლუციურ ღონისძიებებს განახორციელებდა. 17 მარტს ქობულეთში მთელი რიგი სოფლების მოსახლეობის გრანდიოზული მიტინგი გაიმართა. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: რეჯებ ნიჟარაძე, ჰაიდარ აბაშიძე და სხვები. მოსახლეობამ მოითხოვა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის რადიკალური ღონისძიებების გატარება. ასეთივე მიტინგები ჩატარდა ხულოში, გონიოსა და სხვა უბნებში, მაგრამ მშრომელთა იმედები არ გამართლდა.

როგორც აღვნიშნეთ, ძველი რეჟიმის ლიკვიდაცია დიდხანს გაჭიანურდა და ბოლომდე არ განხორციელებულა. მეფის ყოფილი მოხელეები არხეინად დასეირნობდნენ. ყოფილი ქალაქისთავი კრინიცკი ოლქის კომისრად დაწინაურეს, ხოლო ყოფილი ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი ტრაპიზონში, უფრო დიდ თანამდებობაზე გადაიყვანეს. ასე დაწინაურდა მეფის ბევრი სხვა მოხელეც.

[1] არც ახალი სათათბირო იყო მშრომელთა ინტერესების გამომხატველი. სათათბიროში მტკიცედ გაბატონდნენ მენშევიკები, ესერები, ფედერალისტები და სხვა მოღალატური პარტიების წარმომადგენლები. ქალაქისთავად არჩეულ იქნა მენშევიკი კ. საბახტარიშვილი, მოადგილედ ესერი კუზიატინი, ხოლო თანაშემწეებად მენშევიკი დ. მგელაძე და ესერი ლორთქიფანიძე. ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ესერი ბულგაკოვი, თანაშემწეებად — მენშევიკი ფაინშტეინი და ესერი ლევინი.

ამ უმსგავსოებით აღშფოთებულმა მოსახლეობამ კატეგორიულად მოითხოვა მეფის ყოფილი მოხელეების ოლქიდან გაძევება. ხელისუფლება იძულებული გახდა წასულიყო ზოგიერთ დათმობაზე. ოლქიდან გააძევეს ყოფილი ბოქაული ჩხიკვაძე, რომლის მიზეზით 1902 — 1917 წლებში კატორღაში ეაიგზავნა 900-მდე კაცი. მღვდელი ჩხიკვაძე და სხვები, რომელნიც ტყავს აძრობდნენ მშრომელებს, მოსახლეობის მოთხოვნით დაპატიმრებულ იქნენ. დაპატიმრეს ჟანდარმერიის ყოფილი საიდუმლო მოხელეები და ჯაშუშები: დეინეგო, მუზკინი, კისლოვი, ახალაძე, კერესოვი, ივანოვი, ჩუმაკი, ბრეესი, ფილიპოვი, სუმეცი, უზინსკი და სხვები, აგრეთვე პროვოკატორები, მათ შორის — შჩეპოტიხინი, მაგრამ ეს ღონისძიება ზღვაში წვეთი იყო.

რევოლუციური დღეები კვლავ მშვიდობიანად მიმდინარეობდა, მშრომელთა ცხოვრებაში ყველაფერი ძველებურად რჩებოდა. მუშები და გლეხები კვლავ განიცდიდნენ ბურჟუაზიისა და მემამულეების ექსპლოატაციას. გაზეთი „თანამედროვე აზრიც“ კი იძულებული იყო ეღიარებინა ბათუმის სამრეწველო საწარმოებში გამეფებული თვითნებობა.

„აქაური მუშების ცხოვრება, — წერდა გაზეთი, — საკმაოდ ‘იყო გაზეთის ფურცლებზე აღნიშნული. მაგრამ ამან ისეთი შთაბეჭდილება დატოვა ადმინისტრაციაზე, როგორც ცხელი ხაჭაპურის მირთმევა“.[1] კაპიტალისტები თავს არხეინად გრძნობდნენ, ისინი არავის არ ემორჩილებოდნენ და მუშებს უზომოდ ყელეფდნენ.

უფრო უარეს პირობებში აღმოჩნდნენ სოფლის მეურნეობის მუშები. სამუშაო დღე ჩაქვის ყოფ. საუფლისწულო, პოპოვისა და სხვა კერძო მამულებში განსაზღვრული არ იყო. სხვა პირობებზე ლაპარაკიც ზედმეტია.

მათხოვრულ პირობებში ცხოვრობდა აჭარის გლეხობა. ამას ადასტურებს 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგები. წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ ბათუმის ოლქში აღწერას ხელმძღვანელობდა მეფის ყოფილი მოხელე ბოგდანოვი, რომელიც ცდილობდა შეერბილებინა და შეელამაზებინა ოფიციალური მონაცემები. სასოფლო-სამეურნეო აღწერა ასეთ სურათს იძლეოდა: ბათუმის ოლქში ცხოვრობდა სულ 14.487 კომლი, მათ შორის სათესი ფართობი სრულებით არ ჰქონდა 750 კომლს, ხოლო 1.803 კომლი მემამულეთა მიწებს იჯარით ამუშავებდა.

აჭარაში გლეხის შემოსავლის მთავარ წყაროს სიმინდი და პირუტყვი წარმოადგენდა. მეთამბაქოეობა, მეფუტკრეობა და მებაღეობა მთლიანად მდიდრებს ეპირათ ხელთ. დასათესად ვარგისი მიწა ცოტა იყო. თითოეულ სულ მოსახლეზე საშუალოდ 0,23 დესეტინა მიწა მოდიოდა, მაგრამ გლეხს გაცილებით ნაკლები ჰქონდა. 1917 წელს, აჭარაში სიმინდი ეთესა 7.175 დესეტინაზე. თუ ვიგულისხმებთ, რომ კარგ მოსავლიან წელს დესეტინა მიწაზე 35 ფუთი სიმინდი მოდის, ოჯახი საშუალოდ 20 ფუთზე მეტს ვერ მიიღებდა. მაგრამ 1917 წელს მოსავალი ცუდი იყო, დესეტინაზე 27 ფუთსაც არ აღემატებოდა.

უარეს სურათს იძლეოდა მესაქონლეობა. ყველა სახის პირუტყვიდან გლეხის სამ ოჯახზე საშუალოდ ერთი სული ძლივს მოდიოდა.

[1] გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1917 წ., 12 მარტი.

დამახასიათებელია, რომ მდიდრების ჩათვლით, ორ სულ ადამიანზე თითო ფრთა ქათამიც კი არ მოდიოდა, მაგრამ თუ ვიგულისხმებთ იმას, რომ ბეგებს, აღებსა და ხოჯა-მოლებს თითო სულზე რამდენიმე ქათამი ჰყავდათ,[1] ადვილი მისახვედრია, რომ გლეხური მოსახლეობის დიდ ნაწილს ქათამი სულ არ ჰყოლია.

ამრიგად, მშრომელი მოსახლეობა კვლავ შიმშილობდა, მაგრამ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ხელისუფლება არც კი ფიქრობდა. მენშევიკური პრესაც არ მალავდა ამ უნუგეშო მდგომარეობას.

„საერთოდ აჭარაში არასდროს სამყოფი სიმინდი არ ყოფილა, მაგრამ წელს კი მთლად უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდა. ხშირია ისეთი სოფელი, რომ დღეს (ე. ი. შემოდგომაზე, ბ. ც.) არ აქვს სიმინდი. და როგორ პირობებში იქნებიან ისინი მარტში, ეს თვითონ მკითხველმა წარმოიდგინოს. არც პური მოდის ბათუმიდან, ასე, რომ ეხლა ხილის მედოლეა ბევრი აჭარელი. ამაში ბრალი მე მგონია ადგილობრივ სასურსათო კომიტეტს მიუძღვის. ის ყრავითარ ზომებს არ ღებულობს როგორმე ხალხი უზრუნველყოს...

ყველაზე უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდა ამის გამო აქ მოსამსახურენი. რა ქნან არ იციან. დროა ასეთ მოქმედებას თვით მოსამსახურეებმა მიაქციონ ყურადღება, თუ არა შიმშილით რომ მოკვდნენ, არავის არ შეებრალება მათი თავი“ — წერდა გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“.[2]

ეს წერილი ძალზე საყურადღებოა. ჩანს, დამშეული იყო არა მარტო გლეხობა, არამედ მთელი მოსახლეობა, როგორც სოფლად, ისე ქალაქად. ასეთი მდგომარეობის ატანა დიდხანს არ შეიძლებოდა. და აი, ბრძოლის ნიაღვარმა მალე გადმოხეთქა კიდეც. 1917 წლის გაზაფხულზე აჯანყდა ჩაქვის ხეობის 12 სოფლის გლეხობა. გლეხებმა უარი სთქვეს გადასახადის გადახდაზე და მოითხოვეს მათთვის გადაეცათ მემამულეებისა და სახაზინო მიწები. მდგომარეობა ისე დაიძაბა, რომ მეტყევე ბაკურიძე ოლქის ადმინისტრაციას უმტკიცებდა: სულ ერთია, მიწებს გლეხები ძალით წაიღებენ და დაამუშავებენ, ამიტომ უმჯობესია მიწები იჯარით ეხლავე გავცეთო.[3]

ადგილობრივი ხელისუფლება იძულებული გახდა ზოგიერთ დათმობაზე წასულიყო: სოფელ აკყვის გლეხებს იჯარით მისცეს 10 დესეტინა მიწა, სოფ. დიდჯამეს — 40 დესეტინა, სოფ. ხალას გლეხებს — 7 დესეტინა და ა. შ.[4]

ცხადია, ამ „დათმობას“ გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესება არ მოყოლია.

შიმშილობდა ბათუმიც. სურსათის კრიზისსა და ქრონიკულ შიმშილობას შედეგად მოჰყვა დამშეული მოსახლეობის მღელვარება. დაიწყო მუშა-ქალების „ბუნტი“. პურის რიგებში დგომითა და შიმშილით გაწამებული ქალები მოითხოვდნენ სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფას.[5]

ამრიგად, როგორც ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა — „თებერვლის რევოლუციას არსებითი ცვლილებები არ შეუტანია მხარის მშრომელი კლასების მდგომარეობაში“.[6]

---

1 ბათუმის რევოლუციის მუზეუმის არქივი, ფ. 4, ს. 45.
2 გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, № 209, 1917 წ.
3 აჭარის ასსრ ცენტრალური არქივი, ფ. 22, ს. 465.
4 იქვე, ს. 480.
5 აჭარის ასსრ ცენტრალური არქივი, ფ. 7, ს. 673.
6 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 56.

* * *

როგორც აღვნიშნეთ, მშრომელი მასების მოლოდინი არ გამართლდა. დროებითი მთავრობა მხოლოდ ძალაუფლების განმტკიცებაზე და რევოლუციის ჩახშობაზე ფიქრობდა. ესერები და მენშევიკები ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ მას მშრომელი მასების მოტყუებაში. ამ მდგომარეობის დიდხანს გაგრძელება არ შეიძლებოდა. მშრომელები თანდათან რწმუნდებოდნენ, რომ დროებით მთავრობას და მის ლაქია ესერ-მენშევიკებს არ სურთ და არც შეუძლიათ მისცენ მუშებს 8-საათიანი სამუშაო დღე, გლეხებს მიწა, ყველა მშრომელს პური და მშვიდობა. ხალხმა ბრძოლა დაიწყო ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

უკვე გაზაფხულზე საბრძოლო დროშებით გამოვიდნენ აჭარის მშრომელები. დაიწყო პროფკავშირების შექმნა და მათში მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანება. პროფკავშირები შეიქმნა თითქმის ყველა საწარმოში, სადაც კი მუშათა კონტინგენტი ამის საშუალებას იძლეოდა, ხოლო წვრილი საწარმოები და დაწესებულებები გაერთიანდნენ ცალკე პროფკავშირებში. მაგალითად, სასტუმრო-რესტორნების, სასადილოების, საჩაიეების, სარძეველების, კლუბებისა და თეატრების მუშები და მოსამსახურეები გაერთიანდნენ ერთ პროფკავშირში, ხოლო მღებავები, დურგლები და ზეინკლები — მეორეში და ა. შ. პროფკავშირები შეიქმნა, აგრეთვე, კვარცხანაში, ძანსულ-მურღულში, ქობულეთში, ციხისძირში, ჩაქვში, მახინჯაურსა და ოლქის სხვა ადგილებში. მაგრამ იმის გამო, რომ პროფკავშირთა გამგეობებში უმთავრესად ესერ-მენშევიკები მოკალათდნენ, პროფკავშირების მეტი ნაწილი პირველ ხანებში ბურჟუაზიასთან შემთანხმებლურ ხაზს ატარებდა. სამაგიეროდ, ზოგიერთი პროფკავშირი ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ენერგიულად იბრძოდა მუშათა ინტერესების დასაცავად, სათავეში ედგა ბრძოლას წარმოებაზე კონტროლის დაწესებისათვის, 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღებისათვის, ხელფასის გადიდებისათვის და სხვ. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი წარმატება მოიპოვა პიტოევის სამხედრო ქარხნის პროფორგანიზაციამ.

პიტოევის სამხედრო ქარხანაში თავიდან „ობორონცული" განწყობილება სუფევდა. მუშათა კონტინგენტიც ისე იყო შერჩეული, რომ მას აქ დიდი გასავალი ჰქონდა. ქარხანაში მნიშვნელოვანი გავლენით სარგებლობდნენ ესერები. გაზაფხულზე ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაცია ჯერ კიდევ ხუსტი იყო. ბოლშევიკები მენშევიკებთან ერთ ორგანიზაციაში ერთიანდებოდნენ. ამიტომ, გასაგებია, თუ რატომ გაიდგა ასე მაგრად ფესვი ობორონცულმა განწყობილებამ. მიუხედავად ამისა, ბრძოლა მასების ბოლშევიზაციისათვის აჭარაში წარმატებით მიმდინარეობდა. ეს ნათლად ჩანს პიტოევის ქარხნის მაგალითიდან, სადაც ბოლშევიკ ი. პევცოვის ხელმძღვანელობით ბოლშევიკებმა პროფკავშირის გამგეობაში უმრავლესობა მოიპოვეს. ი. პევცოვი აირჩიეს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ. პროფკავშირის მოთხოვნით წარმოებაზე შემოიღეს მუშათა კონტროლი.[1] ეს იყო ესერთა ორგანიზაციის სასტიკი დამარცხება. ესერები ჩუპრინის მეთაურობით ბოლშევიკების წინააღმდეგ აშკარა ტერორზე გადავიდნენ, მაგრამ ამაოდ. მუშები ბოლშევიკებს მტკიცედ უჭერდნენ

1 ბათუმის რევოლუციის მუზეუმის არქივი, ფ. 4, ს. 60.

მხარს. პიტოევის ქარხნის ესერთა ორგანიზაციამ მალე დაიწყო რღვევა და დაშლა.

პროფკავშირებს შორის ი. პევცოვთან და სხვა ამხანაგებთან ერთად დიდ მუშაობას ატარებდა ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაციის თვალსაჩინო ხელმძღვანელი ამხ. მ. კახიანი. მისი ხელმძღვანელობით ივნისიდან ბრძოლაში ჩაებნენ სავაჭრო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურენი.

სავაჭრო დაწესებულებათა პროფკავშირების ესერულ-მენშევიკური ხელმძღვანელობა იმთავითვე ბურჟუაზიასთან შემთანხმებლურ ხაზს ატარებდა და სადავო საკითხებს მომრიგებელ კამერას აძლევდა გადასაწყვეტად. ეს უკანასკნელი კი ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდა. მაგრამ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, როცა ბათუმის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ აღნიშნულ პროფკავშირში სამუშაოდ გააგზავნა ამხ. კახიანი.

მ. კახიანის ინტენსიური მუშაობის შედეგად მუშა-მოსამსახურეებმა ერთსულოვნად დაგმეს პროფკავშირის გამგეობის ოპორტუნისტული საქმიანობა და გაფიცვის გამოცხადება მოითხოვეს. მალე ასეთივე გარდატეხა მოხდა პროფკავშირის გამგეობის საქმიანობაშიც. გამგეობის წევრთა უმრავლესობა პოლიტიკურად გამოფხიზლდა და გადაჭრით დაუჭირა მხარი მ. კახიანის წინადადებას გაფიცვის დანიშვნის შესახებ. გადაწყდა 16 ივლისიდან გაფიცვის გამოცხადება. მ. კახიანის ხელმძღვანელობით პროფკავშირებმა შეიმუშავა 19 მუხლისაგან შემდგარი მოთხოვნა. მუშები და მოსამსახურეები მოითხოვდნენ 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღებას, ხელფასის მომატებას კატეგორიების მიხედვით, 30-დან 60 პროცენტამდე, უფასო მკურნალობას, საბინაო პირობებისა და კვების გაუმჯობესებას, ზრდილობიან მოპყრობას, ხელფასის ყოველთვიურად გაცემას და სხვ.

გაფიცვა მ. კახიანის ხელმძღვანელობით ორგანიზებულად ჩატარდა. ბათუმის მშრომელებმა მას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი. საწარმოებსა და დაწესებულებებში გაჩაღდა კამპანია გაფიცულთა ოჯახების დასახმარებლად. პირველ დღეს საგაფიცვო ფონდში 500 მანეთი შევიდა. მეპატრონეები იძულებული გახდნენ დათმობაზე წასულიყვნენ. გაფიცვა გამარჯვებით დამთავრდა.[1]

ამრიგად, იქ, სადაც პროფკავშირები ბოლშევიკების გავლენას განიცდიდნენ, მუშები და მოსამსახურეები მეპატრონეთა წინააღმდეგ შეუპოვრად იბრძოდნენ, და, პირიქით, სადაც წვრილბურჟუაზიული პარტიების გავლენა უფრო იგრძნობოდა, პროფკავშირები შემთანხმებლურ ხაზს ატარებდნენ, გაფიცვების წინააღმდეგ გამოდიოდნენ და სადავო საკითხებს გადასაწყვეტად მომრიგებელ კამერებს აძლევდნენ.

ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ ჯერ კიდევ ზაფხულში ჩაატარა დიდი მუშაობა ბათუმის სხვადასხვა ეროვნების მუშებს შორის. ნავსადგურში სომეხ მუშათა შორის ნაყოფიერად მუშაობდა ბათუმის ბოლშევიკური ჯგუფის ბიუროს წევრი მელიქ-ოსიპოვი. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ბოლშევიკური უჯრედი, რომელშიც გაერთიანდა სომეხი მუშების დიდი ნაწილი. ეს არ მოეწონათ დაშნაკებს, რომლებსაც მანამდე სომხებს შორის გაბატონებუ-

[1] გაზ. „დენ სეობოდი", № 86, 1917 წ., 19 ივლისი.

ლი მდგომარეობა ეჭირათ. ჭაბოროტებული დაშნაკები მოკვლით ემუქრებოდნენ ყველას, ვინც ბოლშევიკებს მიემხრობოდა და წინადადებას აძლევდნენ გამოსულიყვნენ ბოლშევიკური ორგანიზაციიდან. მაგრამ სომეხმა მუშებმა დაშნაკებს ზურგი შეაქციეს. ეს ბოლშევიკური ორგანიზაციის დიდი გამარჯვება იყო. ბერძენ მშრომელებს შორის პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდა ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ნ. ანასტასიადი. მისი ხელმძღვანელობით ბერძენი მშრომელები მჭიდროდ დაირაზმნენ ბოლშევიკური ორგანიზაციის გარშემო.[1]

მეპატრონეთა წინააღმდეგ ბრძოლაში სოფლის მეურნეობის მუშებიც ჩაებნენ. 1917 წლის 16 აპრილს შედგა ჩაქვის საუფლისწულო მამულის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც აირჩიეს მუშათა კომიტეტისა და მისი ხელმძღვანელი პრეზიდიუმის შემადგენლობა. ეს ორგანიზაცია პროფკავშირის ფუნქციებს ანხორციელებდა. 9 ივნისს მუშა-მოსამსახურეებმა ადმინისტრაციას წაუყენეს შემდეგი მოთხოვნები:

1. ხელფასის გადიდება 35-დან 100 პროცენტამდე (კატეგორიების მიხედვით);
2. საბინაო პირობების გაუმჯობესება;
3. მუშებისათვის საავადმყოფოს აგება;
4. ავადმყოფობის დროს და წვიმიან დღეებში ხელფასის 50 პროცენტით ანაზღაურება;
5. უფასო გათბობა და განათება;
6. შაბათობით ერთი საათით მუშაობის აღრე დამთავრება და სხვ.[2]

ადმინისტრაციამ ეს საკითხი ოლქის მომრიგებელ კამერას გადასცა. ამ უკანასკნელმა კი, როგორც მოსალოდნელი იყო, მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ფაქტიურად უარის თქმას უდრიდა. კამერამ მუშა-მოსამსახურეებს „ურჩია“ სადავო საკითხები დირექციასთან შეთანხმებით, მოლაპარაკების გზით გადაეწყვიტათ. მიუხედავად ამისა, სოფლის მეურნეობის მუშებს ბრძოლა მაინც არ შეუწყვეტიათ და ამის შედეგად ადმინისტრაცია იძულებული გახდა ზოგიერთ დათმობაზე წასულიყო.

1917 წელს ბათუმში პირველად ჩატარდა თავისუფლად საპირველმაისო მიტინგი და დემონსტრაცია. მშრომელებმა პირველი მაისი ზეიმით აღნიშნეს. მიტინგი დანიშნული იყო სამ ადგილას: ქალაქის სათათბიროს ეზოში, ბაზრისა და აზიზიეს მოედნებზე.

დღის 12 საათზე ქვემეხების გრიალში მიტინგი გაიხსნა სამივე ადგილას. ორ საათზე მიტინგების მონაწილენი გაერთიანდნენ. გრანდიოზული დემონსტრაცია სასაფლაოსაკენ გაემართა. მშრომელებმა პატივი სცეს 1905 — 1907 წლების რევოლუციის დროს დაცემულ გმირებს.[3]

სულ სხვა სულისკვეთებით იყვნენ გაჟღენთილნი ბათუმელი ესერები და მენშევიკები. ბათუმელმა ესერებმა და მენშევიკებმა, როგორც

1 ნ. ანასტასიადი რევოლუციურ მუშაობაში 1898 წლიდან ჩაება. 1917 წ. ზაფხულიდან იყო ბოლშევიკური ორგანიზაციის ჯერ ხელმძღვანელი ჯგუფის, ხოლო შემდეგ კომიტეტის წევრი და ბერძნული სექციის ხელმძღვანელი. ნ. ანასტასიადი უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მუშაობდა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტში. გარდაიცვალა 1921 წლის დამლეკს.

2 აჭარის ასსრ ცენტრალური არქივი, ფ .22, ს. 437.

3 გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“, № 35, 1917 წ.

საერთოდ ესერებისა და მენშევიკების პარტიამ, რევოლუციას აშკარად უღალატეს, ხოლო ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელმაც მსოფლიო ომის წლებში მრავალჯერ განიცადა დარბევები ჟანდარმერია-პოლიციის მიერ, ჯერჯერობით იმდენად სუსტი და მცირერიცხოვანი იყო, რომ დამოუკიდებელი მოთხოვნებით გამოსვლა ჯერ კიდევ არ შეეძლო. ბოლშევიკური ორგანიზაცია ბათუმში აღსდგა დაახლოებით აპრილის შუა რიცხვებში. იგი მაშინ 20-მდე წევრს ძლივს აერთიანებდა. ამასთან, ყველა ბოლშევიკი სწორ პოზიციაზე როდი იდგა. მათი ერთი ნაწილი პირველ ხანებში ობორონცულად იყო განწყობილი. ბათუმელი ბოლშევიკები აქაურ მენშევიკებთან ბლოკში გამოდიოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ გარემოებას დროებითი ხასიათი ჰქონდა, ამასთან, ბოლშევიკები ორგანიზაციის შიგნით მენშევიკებთან ბრძოლას არ წყვეტდნენ, მენშევიკებთან ბლოკი მაინც შეცდომა იყო. ოპორტუნისტულ-ობორონცულმა განწყობილებამ, მენშევიკებთან შემთანხმებლურმა ტაქტიკამ ხელი შეუწყო მენშევიკ-ესერთა გამცემლურ საქმიანობას, ზიანი მიაყენა რევოლუციის შემდგომი განვითარების საქმეს.

ყველაფერი ეს დროებითი მოვლენა იყო. ვ. ი. ლენინის გენიალურმა „თეზისებმა" და აპრილის კონფერენციის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა ბოლშევიკური პარტია შეაიარაღა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისათვის ბრძოლის გენიალური პროგრამით.

აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებებით შეიარაღებულმა საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა დიდი პოლიტიკური მუშაობა გააჩაღეს. მალე ბოლშევიკების ის ნაწილი, რომელიც ოპორტუნისტულ-ობორონცულად იყო განწყობილი, თანდათან განთავისუფლდა ამ გავლენისაგან. შეიქმნა მტკიცე ბოლშევიკური ორგანიზაციები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში მშრომელი მასების მაორგანიზებელ და ხელმძღვანელ ძალად გადაიქცნენ.

აჭარაშიც მსგავს მოვლენებს ჰქონდა ადგილი. ბათუმელი ბოლშევიკები 1917 წ. ზაფხულისათვის იმდენად გაიზარდნენ და განმტკიცდნენ, რომ შესაძლებელი გახდა ორგანიზაციული და სხვა საკითხების წარმატებით გადაჭრა. შეიქმნა საორგანიზაციო ბიურო, რომელიც ერთხანს ბათუმის კომიტეტის როლს ასრულებდა.

მეტად რთულ და ძნელ პირობებში შეუდგა მუშაობას ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაცია. მუშების მნიშვნელოვანი ნაწილი მენშევიკების ტყვეობაში ყოფნის გამო შეცდომით ფიქრობდა, რომ ბრძოლა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, გაფიცვების მოწყობა და სხვ. თითქოს ომისა და რევოლუციის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. მუშების დიდი ნაწილი კიდევ შეპყრობილი იყო ოპორტუნისტულ-ობორონცული განწყობილებით. იგივე მდგომარეობა იყო ჯარშიც. გარდა ამისა, ბათუმის ქალაქის სათათბიროში, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში დიდ უმრავლესობას მენშევიკები, ესერები და სხვა მოღალატე პარტიების წარმომადგენლები შეადგენდნენ. პროფკავშირების ხელმძღვანელობაშიც, გარდა მცირე გამონაკლისისა, მოკალათებული იყვნენ წვრილბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლები.

მთელი ეს წვრილბურჟუაზიული „თაიგული" — ქალაქის სათათბირო, მუ-



Россійская Соціалъ-Демократическая Рабочая Партія

БУРЕВѢСТНИКЪ

ЕЖЕНЕДѢЛЬНАЯ ГАЗЕТА

Органъ Батумскаго Комитета Россійской Соціалъ-Демократической Рабочей Партіи

Цѣна 25 к. Понедѣльникъ 8 января 1918 г. № 11.

Да здравствуетъ рабочь-крестьянска

ДА ЗДРАВСТВУЕТЪ

მუშის სიმართლე

№ 6

ბოლშევიკური გაზეთები „ბურევესტნიკი“ და „მუშის სიმართლე“ (პირველი ფურცლები).

შათა და ჯარისკაცთა საბჭოები და ოპორტუნისტული პროფკავშირები ყოველნაირად უშლიდნენ ხელს გაფიცვების მოწყობას, წარმოებაზე კონტროლის შემოღებასა და სხვ.

მიუხედავად ამ სიძნელეებისა, ბათუმის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ მოკლე დროში დიდ წარმატებას მიაღწია თავის მუშაობაში. საორგანიზაციო ბიუროსთან შეიქმნა პროპაგანდისტთა კოლეგია, რომელიც დიდ პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას ეწეოდა მუშებში, გლეხებსა და ჯარისკაცებს შორის. საორგანიზაციო ბიუროს ხელმძღვანელობით ბოლშევიკური უჯრედები ჩამოყალიბდა როგორც ქალაქის მსხვილ საწარმოებთან და ნავსადგურში, ისე ქალაქის გარეუბნებშიც.

საორგანიზაციო ბიუროს ხელმძღვანელობით ხშირად იმართებოდა მშრომელთა მასობრივი კრებები, მიტინგები და დემონსტრაციები, რომლებზედაც სიტყვებით გამოდიოდნენ ბიუროს წევრები და პროპაგანდისტები. მასობრივ კრებებსა და მიტინგებზე განიხილავდნენ მიმდინარე მომენტის მთავარ საკითხებს, რომლებიც ბოლშევიკებისაგან გარკვეულ პასუხს მოითხოვდა. გარდა ამისა, ჯარისკაცთა ფართო მასებისათვის ბოლშევიკური პარტიის თვალსაზრისის ახსნა-განმარტებისათვის ხშირად იმართებოდა საჯარო ლექციები.

ბათუმის კომუნისტური ორგანიზაციის მუშაობა წარმატებით მიმდინარეობდა. მან შესძლო თავის გარშემო შემოეკრიბა მშრომელთა საუკეთესო ნაწილი. იზრდებოდა პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა რიცხვი. პროპაგანდისტები მათთვის ხშირად კითხულობდნენ ღრმა შინაარსიან რეფერატებს მიმდინარე რევოლუციაში პარტიის ძირითადი ამოცანების შესახებ.

ბოლშევიკური ორგანიზაცია დიდ ყურადღებას უთმობდა პოლიტიკური (ბოლშევიკური) ლიტერატურის გავრცელებას. დიდი რაოდენობით ვრცელდებოდა გაზეთი „პრავდა". საორგანიზაციო ბიუროსთან შეიქმნა საგამომცემლო სექცია, რომელმაც 1917 წლის გაზაფხულიდან ენერგიული მუშაობა გააჩაღა.

ბათუმის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის მუშაობის პირველი პერიოდის (მაისი-ივნისი) შესახებ ბოლშევიკური გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი" წერდა:

„ბათუმში ფრიად წარმატებით მიმდინარეობს მუშაობა ბოლშევიკური ორგანიზაციის შესაქმნელად და განსამტკიცებლად. მოკლე დროში ბოლშევიკი ამხანაგების მუშაობა ისე კარგად წარიმართა, რომ არაჩვეულებრივ სწრაფად გაიზარდა ბოლშევიკური მიმდინარეობის მომხრეთა რიცხვი.

შეიქმნა ჩვენი ფრაქციის ძველი, გამოცდილი ამხანაგების საკმაოდ მნიშვნელოვანი ჯგუფი, რომელმაც უკვე ჩაატარა მთელი რიგი კრებები. გამოტანილია სათანადო რეზოლუციები რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკისა და მომენტის საკითხებზე. შეიქმნა უჯრედები, სადაც ფრიად საქმიანად მუშაობენ პროპაგანდისტთა კოლეგიის წევრები. საერთოდ, ჩვენი პარტიის ორგანიზაციისა და განმტკიცების საქმე აქ უკვე საკმაოდ კარგად და მტკიცედ არის მოგვარებული... ჯგუფმა დიდი ყურადღება მიაქცია პარტიული ლიტერატურის გავრცელებას. საჭირო რაოდენობით გამოიწერეს გაზეთი „პრავდა"... ჯგუფთან ჩამოყალიბებულია საგამომცემლო სექცია".[1]

1 გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი", 1917 წ., 2 ივლისი.

ამრიგად, ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაცია დღითი-დღე მტკიცდებოდა და სულ უფრო იხვეჭდა ავტორიტეტს მშრომელთა შორის.

ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაციის მუშაობაში განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებდნენ მ. კახიანი, კ. ბერძენიშვილი, ს. განშინი, ი. პევცოვი, ვ. ბახტაძე, გ. პიასეცკი, ნ. ანასტასიადი, გ. რამიშვილი, მელიქ-ოსიპოვი, პროტჩენკო, კრიუჩკოვი, კურზიდისი, ი. სმირნოვი, ნოვიკოვი და სხვა ამხანაგები. პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის საწარმოებლად ისინი მიმაგრებულნი იყვნენ სხვადასხვა საწარმოებზე. მაგ. ი. პევცოვი გაპიროვნებული იყო პიტოევის იარაღის ქარხანაზე. მისი ხელმძღვანელობით ამ ქარხნის მუშებმა წარმოებაზე კონტროლის დაწესებისათვის ბრძოლაში დიდი გამარჯვება მოიპოვეს. ი. პევცოვის დაუღალავი მუშაობის შედეგად საქარხნო კომიტეტი, რომელიც პირველ ხანებში ესერებისა და მენშევიკების გავლენას განიცდიდა, მალე ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაციის დასაყრდენ სიმაგრედ იქცა. სომეხ მუშებს შორის წარმატებით მუშაობდა მელიქ-ოსიპოვი. მისი მოღვაწეობის შედეგად მუშების შეგნებაში დიდი გარდატეხა მოხდა. სომეხმა მუშებმა მალე ზურგი შეაქციეს დაშნაკებს და ბოლშევიკურ უჯრედებში გაერთიანდნენ.

ბოლშევიკური ორგანიზაცია ფრიად ნაყოფიერ მუშაობას ატარებდა ჯარისკაცებსა და მატროსებს შორის. ეს მუშაობა განსაკუთრებით გამოვლინდა 221-ე სათადარიგო ქვეით პოლკში, სადაც უფრო ადრე ესერების გავლენა სუპარბობდა. პოლკში ბოლშევიკებმა ბრწყინვალედ გაიმარჯვეს. უკვე ზაფხულიდან პოლკის მთელი პირადი შემადგენლობა მტკიცედ უჭერდა მხარს ბოლშევიკურ პარტიას. ბოლშევიკების გავლენა სწრაფად იზრდებოდა სხვა სამხედრო ნაწილებშიაც.

საორგანიზაციო ბიურო მუშაობას ატარებდა აჭარის სოფლებშიაც. პროპაგანდისტთა კოლეგიის წევრები ხშირად იწვევდნენ გლეხთა კრებებს, რომლებზედაც განმარტავდნენ ბოლშევიკური პარტიის აგრარულ პროგრამას და ბოლშევიკების თვალსაზრისს მიმდინარე მომენტისა და ტაქტიკის ყველა ძირითად საკითხში.

გლეხობაში კომუნისტთა მუშაობას დიდი წარმატება ჰქონდა. თუ პირველ ხანებში გლეხობის დიდი ნაწილი წვრილბურჟუაზიული პარტიების ტყვეობაში იმყოფებოდა, შემოდგომისათვის მდგომარეობა ბოლშევიკების სასარგებლოდ შეიცვალა. მაგალითად, დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს სოფელ ახალშენის გლეხობამ ხმა მისცა ბოლშევიკების სიას.

* * *

როგორც აღვნიშნეთ, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები საქართველოში განუხრელად ახორციელებდნენ დროებითი მთავრობის დირექტივებს, ხოლო ქართველი მენშევიკები უშენიშვნებოდ იწოწებდნენ მას. ისინი ყოველმხრივ ამართლებდნენ ბურჟუაზიისათვის ძალაუფლების გადაცემას. თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე, 1917 წ. 20 აპრილს, თავის მოხსენებაში ნ. ჟორდანიამ ბურჟუაზიისათვის ძალაუფლების გადაცემას „ბრძნული ისტორიული გადაწყვეტილება“ უწოდა. „...თქვენ იცით, — ამბობდა იგი, — რომ პეტროგრადის რევოლუცია მოახდინეს მუშებმა და სალდათებმა; ეს ძალები, რომლებმაც რევოლუცია მოახდინეს, თვითონ არ ჩაუდგნენ სათავეში მთავრო-

ბას და გადასცეს ის საზოგადოების უფრო ზომიერ ნაწილს. ეს ბრძნული ისტორიული გადაწყვეტილებაა".[1]

ქართველი მენშევიკები სავსებით იწონებდნენ დროებითი მთავრობის იმპერიალისტურ საგარეო პოლიტიკას, თავს ესხმოდნენ და ცილს სწამებდნენ ბოლშევიკებს, რომ ზავის დადება მოპოვებულ თავისუფლებას დაღუპავსო. 1917 წ. პირველ მაისს კავკასიის ჯარების დელეგატთა ყრილობაზე ა. ჩხენკელმა თანამედროვე ომის შესახებ მოხსენებაში განაცხადა: „ჩვენ ვერ შევკრავთ სეპარატულ ზავს. ეს დაღუპავდა მოპოვებულ თავისუფლებას".[2]

საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციები დაუღალავად ამხილებდნენ დროებითი მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის იმპერიალისტურ ხასიათს. დროებითი მთავრობის პოლიტიკის მხილებისათვის თბილისელი თვალსაჩინო ბოლშევიკები 1917 წ. 8 ივნისს დააპატიმრეს. ამ გამცემლურ საქმეში აქტიურად მონაწილეობდნენ მენშევიკები.

თბილისში ბოლშევიკების დაპატიმრებამ საქართველოს მშრომელების საყოველთაო გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია. საპროტესტო კამპანია აჭარაშიც გაჩაღდა.

12 ივნისს გაიმართა ბათუმის კომუნისტური ორგანიზაციის საგანგებო კრება, რომელიც მიეძღვნა თბილისში ბოლშევიკების დაპატიმრების გამო საპროტესტო კამპანიის გაჩაღებას. კრებამ დაგმო დროებითი მთავრობისა და ადგილობრივი ორგანოების თვითნებობა, ამხილა ქართველი მენშევიკების ვერაგული მოქმედება. ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „განვიხილეთ რა საკითხი თავიანთი ზდეის თავისუფალი პროპაგანდისათვის ქ. თბილისში ბოლშევიკების დაპატიმრების აღმაშფოთებელი შემთხვევის შესახებ, ბათუმის ბოლშევიკური ჯგუფი აცხადებს მკაცრ პროტესტს პოლიციური ზომების წინააღმდეგ, რომელიც მიღებულ იქნა იდეურ მოწინააღმდეგეთან ბრძოლაში, ზომებისა, რომლებიც შეუთავსებელია თავისუფალი ქვეყნის ღირსებასთან."[3] რეზოლუციაში აგრეთვე ხაზგასმით აღინიშნა ბოლშევიკების დაპატიმრებაში მენშევიკების აქტიური მონაწილეობა.

ბოლშევიკების ხელმძღვანელობით საპროტესტო კამპანიაში ფართოდ ჩაებნენ აჭარის მშრომელები. ხმა აიმაღლეს ჯარისკაცებმაც. 15 ივნისს ბათუმში გაიმართა ჯარისკაცთა გრანდიოზული საპროტესტო მიტინგი, რომელსაც 221-ე სათადარიგო ქვეითი პოლკის მთელი შემადგენლობა ესწრებოდა. ჯარისკაცმა ორატორებმა სასტიკად დაგმეს დროებითი მთავრობის ანტიხალხური პოლიტიკა. ისინი აღნიშნავდნენ, რომ დროებითი მთავრობა იმასვე აკეთებს, რასაც მეფე ნიკოლოზ მეორე და მისი დამქაშები აკეთებდნენ. მათ ამხილეს აგრეთვე მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ესერულ-მენშევიკური ხელმძღვანელობა, რომელიც ხელს უწყობდა დროებითი მთავრობის რეაქციულ პოლიტიკას.

აღსანიშნავია, რომ ჯარისკაცები ერთსულოვნად იწონებდნენ ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკას და მოითხოვდნენ ძალაუფლების გადაცემას საბჭოებისათვის. მენშევიკებმა ეს მიტინგი ბოლშევიკების კონტრრევოლუციურ გამოსვლად გამოაცხადეს და მოწოდებით მიმართეს ჯარისკაცებს არ დაეჯერები-

1 გაზ. „ერთობა", 1917 წ., 2 მაისი.
2 გაზ. „ერთობა", 1917 წ., 3 მაისი.
3 გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი", 1917 წ., 18 ივნისი.

ნათ ბოლშევიკებისათვის, მაგრამ ამაოდ. ბოლშევიკების გავლენა მასებში შეუჩერებლივ იზრდებოდა და მტკიცდებოდა.

ბათუმელი ესერები და მენშევიკები შიშობდნენ სავსებით არ დაეკარგათ გავლენა ჯარისკაცთა შორის. ამიტომ ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ხელი შეეშალათ ბოლშევიკებისათვის ჯარისკაცთა შორის მუშაობაში. როცა გაიგეს, რომ პეტროგრადის მუშებმა კავკასიის ფრონტის ჯარისკაცებს სხვა საჩუქრებთან ერთად გაზეთ „პრავდის“ ნომრებიც გამოუგზავნესო, ესერები და მენშევიკები დაფაცურდნენ და „პრავდის“ ნომრებს დაუყოვნებლივ ვეტო დაადეს. უფრო მეტი: სასწრაფოდ მოიწვიეს ბათუმის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომა და მიაღებინეს სამარცხვინო გადაწყვეტილება, რომელიც პეტროგრადის მუშათა დელეგაციის წევრებს ფრონტზე საჩუქრების დარიგებაში მონაწილეობის მიღებას უკრძალავდა.

დროებითი მთავრობა იმპერიალისტურ საგარეო პოლიტიკას განაგრძობდა. მას ესერები და მენშევიკები ხელს უწყობდნენ. სრულიად რუსეთის საბჭოების პირველმა ყრილობამ ესერებისა და მენშევიკების კარნახით დროებითი მთავრობის საგარეო პოლიტიკა მოიწონა. მაგრამ მუშათა და ჯარისკაცთა მასები მტკიცედ მოითხოვდნენ ომის შეწყვეტას, ზავის დადებას, მშრომელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას. 1917 წ. 5 ივნისს პეტროგრადში ნავარაუდევი იყო დემონსტრაციის მოწყობა. ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მისი გადადება არჩია. მაგრამ მასები ღელავდნენ, ქუჩისაკენ მიიწევდნენ.

მათი შეჩერება შეუძლებელი იყო: ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა თვითონ ჩადგომოდა სათავეში დემონსტრაციას, მიეცა მისთვის მშვიდობიანი ხასიათი და არ გადაეზარდა ნაადრევ აჯანყებაში. ამასთან, მას ზეგავლენა უნდა მოეხდინა საბჭოების ყრილობაზე, რომელიც ესერებისა და მენშევიკების კარნახით მუშაობდა. ესერებმა და მენშევიკებმა განგაში ატეხეს და 9 ივნისს, ღამის 12 საათზე, საბჭოების ყრილობას მიაღებინეს დადგენილება ბოლშევიკების მიერ 10 ივნისს დანიშნული დემონსტრაციის აკრძალვის შესახებ. ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი დაემორჩილა ამ დადგენილებას, მაგრამ მასების ზეგავლენით ესერები და მენშევიკები იძულებული გახდნენ თვითონვე დაენიშნათ დემონსტრაცია 18 ივნისისათვის. ეს დღე შემთხვევით არ შეურჩევიათ. სწორედ 18 ივნისს უნდა განეახლებინათ რუსეთის ჯარებს შეტევა ფრონტზე.

ესერები და მენშევიკები დარწმუნებული იყვნენ, რომ დემონსტრაციაზე გამოსული მუშები და ჯარისკაცები ნდობას გამოუცხადებდნენ დროებით მთავრობას და მოუწონებდნენ შეტევის განახლებას, მაგრამ ამაოდ. 18 ივნისს დედაქალაქის ქუჩებში გამოვიდა 500 ათასამდე მშრომელი. დემონსტრაცია ჩატარდა ბოლშევიკური ლოზუნგებით. ესერები და მენშევიკები სასტიკად დამარცხდნენ. არც ერთ ფაბრიკას, არც ერთ ქარხანას, არც ერთ პოლკს არ წამოუყენებია დროებითი მთავრობისადმი ნდობის ლოზუნგი. ამ ლოზუნგის წამოყენება ვერც ესერებმა და მენშევიკებმა გაბედეს. ეს იყო ბოლშევიკების ბრწყინვალე გამარჯვება. დიდი ლენინი 18 ივნისის დემონსტრაციის მნიშვნელობის შესახებ წერდა, რომ იგი ...გახდა რევოლუციური პროლეტარი-

ატის ძალებისა და პოლიტიკის დემონსტრაცია, — პროლეტარიატისა, რომელიც გვიჩვენებს რევოლუციის მიმართულებას, გვიჩვენებს ჩიხიდან გამოსავალს.“[1]

როცა პეტროგრადში მუშათა და ჯარისკაცთა გრანდიოზული დემონსტრაცია მიმდინარეობდა, ფრონტზე დაიწყო რუსეთის ჯარების შეტევა. სამხედრო მინისტრი — „სოციალისტი“ კერენსკი ჯარებს ძალით მიერეკებოდა ფრონტისაკენ. რუსეთის ბურჟუაზია სარგებლობას ელოდა .როგორც გამარჯვების, ისე დამარცხების შემთხვევაშიც.[2]

ფრონტზე შეტევით დაინტერესებული იყვნენ უცხოელი იმპერიალისტებიც, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატები.

„იმ მომენტში, — წერდა ი. ბ. სტალინი, — როდესაც რუსეთის რევოლუცია ძალღონეს ძაბავს თავის მონაპოვართა დასაცავად, იმპერიალიზმი კი ცდილობს ბოლო მოუღოს მას, — ამერიკის კაპიტალი მილიარდებით ამარაგებს კერენსკი-მილიუკოვ-წერეთლის' კოალიციას იმისათვის, რომ საბოლოოდ ალაგმოს რუსეთის რევოლუცია და ძირი გამოუთხაროს დასავლეთში მზარდ რევოლუციურ მოძრაობას“.[3]

ფართოდ რეკლამირებული შეტევა მარცხით დამთავრდა. 10 დღის განმავლობაში რუსეთის სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარებმა 60 ათასი კაცი დაკარგეს.

შეტევის პოლიტიკის დამარცხებამ, ერთი მხრივ, რევოლუციური მოძრაობის შემდგომი გამლიერება გამოიწვია, მეორე მხრივ, უკიდურესობამდე აღაშფოთა კონტრრევოლუციური ბურჟუაზია. ფრონტზე დამარცხებას იგი ბოლშევიკების აგიტაციას აბრალებდა. ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ დაიწყო ცილისმწამებლური კამპანია. ფრონტზე სიკვდილით დასჯა კვლავ აღადგინეს. მთავარსარდლობა მოითხოვდა ამ ღონისძიების ზურგშიაც შემოღებას!“

დროებითი მთავრობის ანტიხალხურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას მშრომელებმა ახალი რევოლუციური აღმავლობით უპასუხეს. პეტროგრადის ივლისის დემონსტრაციამ გვიჩვენა, რომ მშრომელი მასები მთელი ძალაუფლების საბჭოებისათვის გადაცემას მოითხოვდნენ. მაგრამ ესერებითა და მენშევიკებით დანაგვიანებული საბჭო მოწოდების სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდა. ესერებმა და მენშევიკებმა მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვრეტაში საზიზღარი როლი შეასრულეს, ისინი ბურჟუაზიას დაეხმარნენ მშრომელებთან ანგარიშის გასწორებაში.

ბოლშევიკური პარტია კერენსკის მთავრობამ კანონგარეშე გამოაცხადა, ვ. ი. ლენინი სახელმწიფო ღალატის ბრალდებით სასამართლოს გადასცეს. დამთავრდა ორხელისუფლებიანობა. მთელი ძალაუფლება ბურჟუაზიის ხელში გადავიდა. საბჭოები დროებითი მთავრობის უილაჯო დანამატად გადაიქცნენ.

ასეთ ვითარებაში პარტიამ დროებით მოხსნა ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ ეს ლოზუნგი 1917 წლის იულისამდე ნიშნავდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გადაზრდას სოციალისტურ რევოლუციაში

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 120.

2 ფრონტზე დამარცხებას დროებითი მთავრობა ბოლშევიკების აგიტაციას გადააბრალებდა. ეს საბაბს მისცემდა ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ რეპრესიული ზომები მიეღო.

3 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 3, გვ. 268.

მშვიდობიანი გზით, მაგრამ ივლისის პირველ დღეებში ეს შესაძლებლობა ამოიწურა. დაიწყო შეჯახებათა და აფეთქებათა პერიოდი.

ივლისის დღეებში დროებითი მთავრობის სისხლიანი მოქმედება და ესერულ-მენშევიკური საბჭოს ღალატი სავსებით მოიწონეს ამიერკავკასიისა და საქართველოს წვრილბურჟუაზიულმა პარტიებმა. კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გაერთიანებულმა სხდომამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„...აღმასრულებელი კომიტეტი სალამს უძღვნის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, რომ მან გმირულად დაიცვა რევოლუცია და იმედს აძლევს, რომ თავის ყოველ მოქმედებაში... მას მუდამ შეუძლია დაეყრდნოს კავკასიის რევოლუციური დემოკრატიის დიდ უმრავლესობას".[1]

ეს იყო რევოლუციისათვის აშკარა ღალატი.

ივნის-ივლისის ბობოქარ დღეებში დიდ პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდა ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაცია. მან სპეციალურად მიღებულ რეზოლუციაში სასტიკად დაგმო დროებითი მთავრობისა და მისი ლაქია ესერებისა და მენშევიკების სამარცხვინო მოქმედება, რაც გამოიხატა ფრონტზე შეტევის განახლებაში, დამარცხების შემდეგ ბოლშევიკების დაპატიმრებაში, ფრონტსა და ზურგში სიკვდილით დასჯის შემოღებაში, ივლისის დემონსტრაციის იარაღით ჩახშობაში, ვ. ი. ლენინის დევნასა და სხვ.[2]

ივლისის ამბების შემდეგ ბათუმელი ესერ-მენშევიკები გაბოროტებით დაესხნენ თავს ბათუმის ბოლშევიკურ ორგანიზაციას და ავანტიურაში დასწამეს ცილი.

მენშევიკები იწვევდნენ საწარმო-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა კრებებს და ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ ბოლშევიკებისათვის. ესერები და მენშევიკები მოუწოდებდნენ მშრომელებს მოეწონებინათ ბოლშევიკების წინააღმდეგ დროებითი კოალიციური მთავრობის რეპრესიების პოლიტიკა, მაგრამ ისინი ამ გზაზე სულ უფრო დიდ წინააღმდეგობას ხვდებოდნენ; დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ ბათუმის რკინიგზის კვანძშიც, რომელიც მათ საიმედო სიმაგრედ ითვლებოდა. ივლისის შუა რიცხვებში ბათუმის მენშევიკურმა კომიტეტმა მოიწვია რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა კრება. მენშევიკი მომხსენებელი ლაფში სვრიდა ბოლშევიკებს და მოითხოვდა მოეწონებინათ ივლისის დემონსტრაციის დახვრეტა და ბოლშევიკების მიმართ რეპრესიების პოლიტიკა.

მიუხედავად იმისა, რომ კრებას ბათუმის მენშევიკური კომიტეტის მთელი „თაიგული" ესწრებოდა, მოწინავე მუშებმა საკადრისი პასუხი გასცეს მომხსენებელს. მათ მკაცრად გააკრიტიკეს მენშევიკების შემთანხმებლურ-ოპორტუნისტული პოლიტიკა და მხარი დაუჭირეს ბოლშევიკური პარტიის ბრძნულ პოლიტიკას. მენშევიკური რეზოლუციის წინააღმდეგ ხმა მისცა 45 კაცმა.[3] ეს იყო ბათუმელი მენშევიკების სერიოზული დამარცხება. მეორე მხრივ, ეს ფაქტი მეტყველებს აჭარის მშრომელი მასების პოლიტიკური შეგნებულობისა და ბოლშევიკური ორგანიზაციის გავლენის ზრდაზე.

1 გაზ. „ერთობა", 1917 წ., 9 ივლისი.
2 გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი", № 104, 1917 წ.
3 ბათუმის რევოლუციის მუზეუმის ჯრჭვი, ფ. 5, ს. 185.

კონტრრევოლუციური ბურჟუაზია იელისის მშვიდობიანი დემონსტრაციის ჩახშობას არ დაჯერდა. დროებითი მთავრობის დახმარებით კონტრრევოლუციურმა გენერალიტეტმა მოამზადა კორნილოვის ამბოხება. ამბოხების მიზანი იყო თებერვლის რევოლუციის შედეგების სრული ლიკვიდაცია და სამხედრო-ბურჟუაზიული დიქტატურის დამყარება, მაგრამ კორნილოვშჩინა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით განადგურებულ იქნა. კორნილოვშჩინამ მშრომელ მასებს თვალი აუხილა. მან ამხილა რევოლუციის მტრები, გამოააშკარავა ყველა პოლიტიკური პარტიის ნამდვილი სახე.

კორნილოვშჩინისა და შემთანხმებლური პარტიების მოღალატური საქმიანობის მხილებისათვის დიდი მუშაობა გასწია ბათუმის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ. საორგანიზაციო ბიუროსა და პროპაგანდისტთა კოლეგიის წევრები ფართოდ განუმარტავდნენ მშრომელებს კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ვერაგულ გეგმებს, ესერებისა და მენშევიკების გამცემლურ ტაქტიკას, განუმარტავდნენ ბოლშევიკური პარტიის პროგრამას, მის მოთხოვნებსა და ტაქტიკას მიმდინარე რევოლუციაში და სხვ. მასები თანდათან რწმუნდებოდნენ, რომ ერთადერთი პარტია, რომელიც ნამდვილად იცავდა მათ ინტერესებს, იყო ბოლშევიკური პარტია, რომ მხოლოდ სოციალისტურ რევოლუციას შეეძლო მათი ხსნა ბურჟუაზიისა და მემამულეთა კლანჭებისაგან.

კორნილოვის განადგურების შემდეგ საბჭოები კვლავ გამოცოცხლდნენ. პოლიტიკურად გამოფხიზლებულმა მუშებმა და ჯარისკაცებმა იწყეს საბჭოების შემადგენლობიდან მენშევიკებისა და ესერების გაძევება და მათ ადგილზე ბოლშევიკების არჩევა. დაიწყო მასების სწრაფი ბოლშევიზაცია. ბოლშევიკური პარტია მშრომელ მასებს შეიარაღებული აჯანყებისათვის ამზადებდა. დღის წესრიგში კვლავ დაისვა ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!," მაგრამ იგი ახლა იმას როდი ნიშნავდა, რასაც რევოლუციის პირველ ეტაპზე, როცა გეზი აღებული იყო რევოლუციის მშვიდობიანი განვითარებისაკენ. კორნილოვშჩინის განადგურების შემდეგ ეს ლოზუნგი მოწოდება გახდა შეიარაღებული აჯანყებისაკენ, დროებითი მთავრობის ძალით დამხობისაკენ.

დიდი ლენინის ხელმძღვანელობით, ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყება დროებითი მთავრობის დამხობითა და მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების აღებით დამთავრდა. სოციალისტურმა რევოლუციამ მალე მთელ ქვეყანაში გაიმარჯვა. ეს იყო მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა. დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას უდიდესი აღფრთოვანებით მიესალმნენ საქართველოს მშრომელები. მაგრამ მას გაბოროტებით შეხვდნენ შეძლებული კლასები და მათი ლაქია მენშევიკები. ისინი ჯერ კიდევ აჯანყების წინა დღეებში სასტიკად ილაშქრებდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მომზადების საკითხში. გაზეთი „ერთობა" 25 ოქტომბერს წერდა:

„...რევოლუციური დემოკრატიის დიდი უმრავლესობა სასტიკად გმობს ბოლშევიკთა ზრახვებს...

ყრილობისაგან (სრ. რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოს II ყრილობა. პ. ც.) ბოლშევიკები ავანტიურისტული ნაბიჯის გადადგმას ელიან. თუ მათი მოლოდინი გამართლდა, ეს იქნება უმცირესობის ამხედრება უმრავ-

ლესობის წინააღმდეგ და ქვეყნად ანარქიის გაძლიერება... ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ყრილობა არ გაყვება ბლანკისტთა გეგმებს და ქვეყანას ახალი განსაცდელისაგან დაიხსნის. ძალაუფლების საკითხის გადაჭრა დამფუძნებელი კრების საქმეა".[1]

მენშევიკები მომავალ აჯანყებას აფასებდნენ, როგორც ავანტიურას და წინასწარმეტყველებდნენ, რომ რუსეთის რევოლუციას იგივე ბედი მოელის, როგორიც ერგო პარიზის კომუნასო. „პარიზის კომუნარებმა, — წერდა გაზეთი „ერთობა", — თავიანთი რადიკალური პროგრამის წამოყენებით ჩამოიშორეს წვრილი და საშუალო ბურჟუაზია. პროლეტარიატი საერთო დემოკრატიიდან გამოთიშეს და მით კომუნა დაასამარეს.

ასეთ ტაქტიკას აწარმოებენ დღეს რუსეთის ბოლშევიკები და მათი ამყოლ-დამყოლნი. თავიანთი ლოზუნგებით, თავიანთი ტაქტიკით ისინი მთლად განმარტოვებულად აყენებენ თავის თავს არა მარტო წვრილი და საშუალო ბურჟუაზიიდან, არამედ გამოთიშეს იგი ორგანიზაციულად შეკავშირებულ გლეხობიდან და მუშათა კლასის ერთი ნაწილიდან, რომლებიც ლენინის ანარქისტულ ტაქტიკას არ იზიარებენ. ჩვენ არ გვგონია მათ გაბედონ არსებული სიტუაციით სარგებლობა და მთელი ძალაუფლების ხელში აღება. და თუ... ეს მოხდა, რუსეთის რევოლუციას იგივე ბედი მოელის, რაც მოუვიდა პარიზის კომუნას"...[2]

მენშევიკების ვარაუდი არ გამართლდა. ბოლშევიკებმა მოხერხებულად გამოიყენეს შექმნილი სიტუაცია და შეიარაღებული აჯანყება დროებითი მთავრობის დამხობითა და ძალაუფლების აღებით დააგვირგვინეს.

დროებითი მთავრობის დამხობის შემდეგ ქართველი მენშევიკები გაიძახოდნენ: მუშათა კლასს არ შეუძლია მთელი წესწყობილება გარდაქმნას, სოციალიზმი განახორციელოსო. ისინი მოუწოდებდნენ „დემოკრატიული" მთავრობის შექმნისაკენ. მათი აზრით, ასეთ მთავრობას შეეძლო „დაღუპვისაგან რევოლუციის ხსნა." ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მენშევიკების ხელმძღვანელობით შექმნილი პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ თავის 26 ოქტომბრის სხდომაზე ასეთი რეზოლუცია მიიღო.

„ბოლშევიკების გამოსვლას, გაიმარჯვებს იგი დროებით თუ დაამარცხებენ თავიდანვე იარაღით ხელში, აუცილებლად მოყვება კონტრრევოლუციის გამარჯვება და თავისუფლების დაღუპვა. რევოლუციის ინტერესები მოითხოვს კონფლიქტი მშვიდობიანი გზით იქნეს გადაწყვეტილი, მთელი დემოკრატიული ძალების გაერთიანებით და დემოკრატიული მთავრობის შედგენით, რომელიც აიღებს ძალაუფლებას დამფუძნებელი კრების მოწვევამდის, ამავე დროს ცენტრი მოუწოდებს ყველას დაიცვან რევოლუციური წესიერება და რევოლუციური ძალების ერთობა".[3]

ეს ფაქტი ერთხელ კიდეე ადასტურებს, რომ ქართველმა მენშევიკებმა საბოლოოდ გაწყვიტეს კავშირი რევოლუციასთან და აშკარად გადაბარგდნენ სოციალიზმის მტრების ბანაკში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ აპარის მშრომელები. 1917 წ. 26 ოქტომბერს (8 ნო-

1 გაზ. „ერთობა", № 179, 1917 წ.
2 იქვე.
3 გაზ. „სოციალ-დემოკრატი", № 174, 1917 წ.

ემბერს) ბათუმის პარტიული ორგანიზაციის საქალაქო კრებამ მიიღო მისალმება სოციალისტური რევოლუციისადმი. ერთხმად მიღებულ დადგენილებაში ნათქვამი იყო:

„მივესალმებით პეტროგრადის პროლეტარიატსა და გარნიზონს, რომლებიც გამოვიდნენ რევოლუციის დასაცავად კერენსკის მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც უღალატა დემოკრატიის ინტერესებს კაპიტალის გულის მოსაგებად. ბათუმის ბოლშევიკები, გამოხატავენ რა თავიანთ თანაგრძნობასა და აღფრთოვანებას, ვალდებულებას კისრულობენ მხარი დაუჭირონ საბჭოების ხელისუფლების პროგრამას“.[1]

აჭარის მშრომელები ზეიმობდნენ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას. ამას მოწმობს ის გრანდიოზული სახალხო მიტინგი, რომელიც გაიმართა ბათუმში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების აღსანიშნავად. ხალხმრავალ მიტინგს ბათუმის პროლეტარიატთან და გარნიზონის ჯარისკაცებთან ერთად ესწრებოდნენ აჭარის სხვადასხვა სოფლებიდან ჩასული გლეხებიც. მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის დამხობა და ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით სახალხო კომისართა საბჭოს შექმნა. მიტინგის მიერ მიღებული რეზოლუცია ასე თავდებოდა:

„მიტინგს სჯერა, რომ მხოლოდ საბჭოების ხელისუფლებას შეუძლია იხსნას ქვეყანა ეკონომიური კატასტროფისაგან, მისცეს პური მშიერთ და ზავი სისხლისმღვრელი იმპერიალისტური ომით განაწამებ არმიასა და მთელ ქვეყანას. ახალი მუშურ-გლეხური მთავრობა სახალხო კომისართა საბჭოს სახით, რომელიც შექმნილია მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების ყრილობის მიერ, ქვეყანას არ წაიყვანს ბურჟუაზიასთან შეთანხმების გზით. მთავრობა, რომელმაც გააუქმა სიკვდილით დასჯა, გამოსცა დეკრეტი ზავის შესახებ და მთელი მიწა სამიწათმოქმედო კომიტეტებს გადასცა, თავის მუშაობას შემდგომში წარმართავს ჭეშმარიტად დემოკრატიული სულისკვეთებით. სახელდობრ: განახორციელებს კონტროლს წარმოებაზე და პროდუქტების განაწილებაზე, გააერთიანებს ბანკებს ერთ ნაციონალურ ბანკად და დააწესებს მასზე საყოველთაო-სახალხო კონტროლს, შემოიღებს საყოველთაო შრომით ბეგარას.

გაუმარჯოს რუსეთის რევოლუციის ციტადელს პეტროგრადს!

გაუმარჯოს საბჭოებს!

გაუმარჯოს სამართლიან დემოკრატიულ ზავს!“[2]

იმავე მიტინგზე მუშებმა, მატროსებმა და ჯარისკაცებმა ბოლშევიკურ გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის“ ფონდისათვის 184 მანეთი შეკრიბეს. ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ავტორიტეტი აჭარის მშრომელთა თვალში არაჩვეულებრივად გაიზარდა.

ბოლშევიკების ავტორიტეტის ზრდას გვიჩვენებს ისიც, რომ ბათუმის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში, რომლის ხელახალი არჩევა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მოხდა, გავიდა 34 ბოლშევიკი. პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა ბათუმის ბოლშევიკური კომიტეტის თავმჯდომარე ს. გაწშინი, ხოლო პრეზიდიუმის წევრებად— თვალსაჩინო ბოლშევიკები კრიუჩკოვი და დუმბაძე.

1 გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“, № 194, 1917 წ.
2 გაზ. „ბურევესტნიკი“, № 8, 1917 წ., 18 დეკემბერი.

ბათუმის გარნიზონისა და ტრაპიზონის ფრონტის ჯარისკაცები მტკიცედ უპერდნენ მხარს საბჭოთა ხელისუფლებას და პარტიის რიგებში მასობრივად შედიოდნენ მთელი სამხედრო ნაწილები. მაგალითად, 221-ე სათადარიგო ქვეითი პოლკის პირველმა საკონტროლო ასეულმა 1917 წ. 10 დეკემბერს კოლექტიურად გადაწყვიტა ბოლშევიკური პარტიის რიგებში შესვლა. ბოლშევიკური უჯრედის ჩამოყალიბების ხელმძღვანელობისათვის აირჩიეს საორგანიზაციო კომისია სამი კაცის შემადგენლობით. იმავე კრებაზე მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენების გამო ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ვკითხულობთ:

„ჩვენ, საკონტროლო ასეულის ჯარისკაცები, ყოველმხრივ მხარს დავუჭერთ რევოლუციურ პეტროგრადს, რომელიც მუშათა, ჯარისკაცთა და უღარიბეს გლეხთა ინტერესებს იცავს. მხურვალედ მივესალმებით პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიდ ბელადს და სახალხო კომისართა საბჭოს...

მოვუწოდებთ კავკასიის ყველა მუშებს, გლეხებს და ჯარისკაცებს დადგეს ოქტომბრის რევოლუციისა და სახალხო კომისართა საბჭოს დასაცავად...

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!“[1]

ასეთივე განწყობილებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას ქალაქ ბათუმის გარნიზონის ნაწილებიც. დეკემბრის დამდეგს მიხეილის ციხის მესანგრეთა ბატალიონმა ერთხმად გადასწყვიტა რუსეთში წასვლა, რათა აქტიური მონაწილეობა მიეღო საბჭოთა ხელისუფლების მტრებთან ბრძოლაში. ბატალიონის საერთო კრებამ ერთსულოვნად მოიწონა სახკომსაბჭოსა და ცაკის დადგენილება კადეტების ხალხის მტრებად გამოცხადების შესახებ და მისალმება გაუგზავნა სახალხო კომისართა საბჭოს.[2]

ცნობას — დროებითი მთავრობის დამხობისა და საბჭოთა მთავრობის შექმნის შესახებ — გაბოროტებით შეხვდნენ ბათუმელი მენშევიკები, ესერები და რევოლუციის სხვა მოღალატენი. ბათუმის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების 1917 წ. 27 ოქტომბრის პლენარულ სხდომაზე მენშევიკებმა და ესერებმა გაილაშქრეს ბოლშევიკების წინააღმდეგ და მათ უსირცხვილოდ ცილი დასწამეს უზურპატორობაში. სხდომის თავმჯდომარე მალხაზოვმა განაცხადა: ბათუმის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო საბჭოებისათვის ძალაუფლების გადაცემის წინააღმდეგიაო.

კადეტებისა და ესერ-მენშევიკების ანტიხალხური პოლიტიკა მკაცრად ამხილეს კობიძემ, განშინმა, კალინინმა და სხვა ბოლშევიკებმა.

5 ნოემბერს გაიმართა ბათუმის მუშათა საბჭოს, ჯარისკაცთა საბჭოს, პოლკების, ბატალიონების, ასეულების, საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების, სამხედრო-საზღვაო კომიტეტის, საქალაქო სათათბიროს, პროფკავშირებისა და სხვადასხვა პარტიების კომიტეტთა გაერთიანებული კონფერენცია. იგი მიეძღვნა პეტროგრადის ამბების განხილვას. როგორც მოსალოდნელი იყო, ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლებმა კვლავ გაილაშქრეს ბოლშევიკების წინააღმდეგ და ძალაუფლების გადასვლა საბჭოების ხელში უკანონოდ სცნეს. მათ საკადრისი პასუხი გასცეს ბათუმის ბოლშევიკური კომიტეტის წევრებმა კრიუჩკოვმა და განშინმა.

1 გაზ. „ბურევესტნიკი“, № 8, 1917 წ., 18 დეკემბერი.
2 გაზ. „დენ სვობოდი“, № 170, 1917 წ.

მშრომელი მასების პოლიტიკური გათვითცნობიერებისა და ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ბათუმის ბოლშევიკურ ორგანიზაციას დიდ დახმარებას უწევდა მებრძოლი ბოლშევიკური პრესა. სომეხ მუშებს შორის დიდ მაორგანიზებელ მუშაობას ატარებდა გაზეთი „მუშა და ჯარისკაცი", რომელიც სომხურ ენაზე გამოდიოდა. ასეთივე. როლს ასრულებდა ბერძენ მშრომელებს შორის გაზეთი „განთიადი", რომელიც ბერძნულ ენაზე გამოდიოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მშრომელ მასებს შორის ბოლშევიკური გაზეთების „ბურევესტნიკისა" (გამოდიოდა რუსულ ენაზე) და „მუშის სიმართლის" (გამოდიოდა ქართულ ენაზე), დიდი მუშაობა.

გაზეთი „ბურევესტნიკი" ბათუმის კომიტეტის მარჯვენა ხელი იყო. მისი პირველი ნომერი გამოვიდა პეტროგრადის შეიარაღებული აჯანყების გამარჯვების მეოთხე დღეს, 28 ოქტომბერს,[1] ხოლო უკანასკნელი ნომერი — 1918 წლის 11 მარტს.

აღსანიშნავია, რომ გაზეთი „ბურევესტნიკის" გამოცემას წინ ეღობებოდა ბევრი სიძნელე: ბათუმის კომიტეტს არ ჰქონდა სტამბა, საჭირო თანხები, არ ჰყავდა ასოთამწყობები და სხვ. მაგრამ ყველაფერი ეს მოგვარდა მშრომელთა უშუალო დახმარებით. გაზეთის ფონდისათვის შემოწირულებამ სექტემბერსა და ოქტომბერში 1.400 მანეთს გადააჭარბა. ამასთან აღმოჩნდნენ პატრიოტი ასოთამწყობები, რომლებმაც კვირა დღეებში უფასოდ მუშაობის სურვილი გამოთქვეს. მათ შორის აღსანიშნავი არიან უპარტიო მუშები კარში და კაპლანი. სამეურნეო ნაწილს სათავეში ჩაუდგა მებრძოლი ბოლშევიკი პროტრენკო.[2] გაზეთის გამოცემაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, კ. ლორთქიფანიძე, კ. კოლენოვი, მ. ჩაკალოზიანი, კაპელიოვიჩი და სხვ. განსაკუთრებით დიდ მუშაობას ეწეოდნენ: მ. კახიანი, გ. პიასეცკი და კრიუჩკოვი. მ. კახიანი იყო გაზეთის არა მარტო რედაქტორი, არამედ კორექტორიც.

რედკოლეგიის მუშაობა მალე ისე წარიმართა, რომ „ბურევესტნიკი" მშრომელთა საყვარელი გაზეთი გახდა. იგი გადაიქცა აჯანყების ჭეშმარიტ მოამბედ. „ბურევესტნიკი" სისტემატურად გამოდიოდა ორშაბათობით და ფართოდ ვრცელდებოდა არა მარტო ბათუმის ოლქში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, განსაკუთრებით თურქეთის ფრონტის ჯარისკაცთა შორის.

„ბურევესტნიკმა" ხელი შეუწყო თურქეთის ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცთა რევოლუციურ მობილიზაციასა და საბჭოთა რუსეთში წითელი არმიის დასახმარებლად მათ გაგზავნას. მაგალითად, ბევრმა დემობილიზებულმა ჯარისკაცმა იარაღი არ ჩააბარა, წაიღო რუსეთში და კონტრრევოლუციისა და ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიყენა.

„ბურევესტნიკმა" დიდი როლი შეასრულა ესერების ორგანიზაციის დაშლაშიც. ნოემბრის დამლევს ბათუმში ჩამოვიდნენ მემარცხენე ესერები — გოლემბიოვსკები, რომელთაც დაიწყეს ესერების ერთიანი ორგანიზაციიდან მემარცხენეთა გამოყოფა. „ბურევესტნიკი" დიდ ყურადღებას უთმობდა მე-

[1] ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში გაზეთის გამოცემის თარიღად ზოგჯერ დასახელებულია ოქტომბრის შუა რიცხვები.

[2] პროტრენკოს ენერგიული მუშაობა ესერებისა და მენშევიკების გაბრაზებას იწვევდა. მან გადასწყვიტეს მისი მოკვლა, გამოუყვეს ტეროროსტიც, მაგრამ ამაოდ. პროტრენკოს იფარავდნენ შეგნებული მუშები და ჯარისკაცები.

მარცხენე ესერების მუშაობას, ცდილობდა წარემართა იგი მემარჯვენე ესერებისა და მენშევიკების წინააღმდეგ.

„ბურევესტნიკი“ შეურიგებლად იბრძოდა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების წინააღმდეგ. იგი მოურიდებლად ამხილებდა ჯერ ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის (ოზაკომ), ხოლო, შემდეგ ამიერკავკასიის კომისარიატისა და ამიერკავკასიის სეიმის ანტიხალხურ საქმიანობას. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მ. კახიანის, მ. ორახელაშვილისა და სხვათა წერილებს. ამიტომ იყო, რომ მენშევიკური გაზეთი „ერთობა“ გაბოროტებით წერდა: „დახურეს თბილისში პროვოკაციულ მოწოდებათა მოთავსებისათვის „კავკაზსკი რაბოჩი“, „ბრძოლა“, „ბანვორ კრივი“, სამაგიეროდ მათ ამგვარივე მოღვაწეობა გადააქვთ სხვა ქალაქებში. ბათუმში უკვე გამოდის ქართულად „მუშის სიმართლე“ და რუსულად „ბურევესტნიკი“.

ეჭვი არაა, რომ ამ რუსულ-ქართული გაზეთების გვერდით გაიჩენენ სომხურსაც...“[1]

გაზეთი „ბურევესტნიკი“ ფართოდ აშუქებდა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის ცხოვრებას, საერთაშორისო საკითხებსა და სხვ. ამიტომ იყო, რომ იგი ფართოდ ვრცელდებოდა მშრომელთა შორის. მათ ხშირად შეჰქონდათ თავიანთი მცირე დანაზოგი გაზეთის ფონდში (მაგალითად, ნოემბერში შემოწირულებამ 283 მანეთი შეადგინა).

„ბურევესტნიკმა“ არსებობა შესწყვიტა 1918 წლის მარტის დამდეგს, როცა მენშევიკთა ჯარი ეორდანიასა და რამიშვილის მითითებით თავს დაესხა ბათუმის რევოლუციურ ფლოტს, დაატყვევა მეზღვაურები და დაარბია ბოლშევიკური გაზეთები.[2]

„ბურევესტნიკთან“ ერთად ნაყოფიერად მუშაობდა ბათუმის კომიტეტის ქართული ორგანო გაზეთი „მუშის სიმართლე“. მის გამოცემას ხელმძღვანელობდნენ ბათუმის ბოლშევიკური კომიტეტის თვალსაჩინო წევრები ვ. ბახტაძე, მ. კახიანი და კ. ბერძენიშვილი. ისე როგორც „ბურევესტნიკმა“, „მუშის სიმართლემაც“ მალე მშრომელების დიდი სიყვარული დაიმსახურა. გაზეთის ფურცლებზე ფართოდ შუქდებოდა როგორც ადგილობრივი ამბები, ისე მთელი საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის ცხოვრება. „მუშის სიმართლე“ სოციალისტური რევოლუციის ნამდვილ მებაირახტრედ იქცა.

1917 წლის შემოდგომისათვის ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაცია იმდენად გაიზარდა, რომ საბოლოოდ ჩამოყალიბდა რსდმპ (ბ) ბათუმის კომიტეტი. კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდნენ მ. კახიანი, ვ. ბახტაძე, ს. განშინი, ი. პევცოვი, ნ. ანასტასიადი, გ. პიასეცკი, გ. რამიშვილი, კ. ბერძენიშვილი, პროტჩენკო, ბ. კრიუჩკოვი და სხვ. 1918 წლის თებერვლიდან, ბათუმისა და გურიის ბოლშევიკური ორგანიზაციების გაერთიანებული კონფერენციის დადგენილებით, ბათუმის კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ აგრეთვე, გურიის ორგანიზაციის წარმომადგენლები ტ. მგალობლიშვილი, ვ. კომახიძე და სხვები, სულ 5 კაცი. ბათუმის ოლქის ბოლშევიკური ორგანიზაცია დიდ პოლიტიკურ ძალად გადაიქცა. დღის წესრიგში მტკიცედ დაისვა საბჭოთა ხელი-

1 გაზ. „ერთობა“, № 45, 1918 წ.
2 გაზ. „ბოლოს ტრუდა“, 1920 წ., 9 მაისი, გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1957 წ., 25 ოქტომბერი.

სუფლებისათვის ბრძოლის გაძლიერების საკითხი. ბათუმის კომიტეტის ხელმძღვანელობით ნოემბერში შეიქმნა რევკომი, რომლის შემადგენლობაში შევიდა ბოლშევიკური კომიტეტის სამი და გარნიზონისა და სამხედრო-საზღვაო კომიტეტის თითო წარმომადგენელი. რევკომი წარმოადგენდა ბათუმის კომიტეტის სამხედრო სექციას.[1]

ნოემბრის შუა რიცხვებში ბათუმის კომიტეტმა საბჭოთა ხელისუფლების ერთგული მუშებისა და გლეხებისაგან შეადგინა წითელი გვარდიის რაზმი. მას ეწოდებოდა „საზღვაო ასეული". ფორმალურად იგი სამხედრო-საზღვაო კომიტეტთან არსებობდა. მას სხვა ამხანაგებთან ერთად სათავეში ედგა ივანოვ-კავკაზსკი, მისი თანაშემწე იყო ვ. ბახტაძე. წითელი გვარდიის რაზმს უშუალოდ ბათუმის კომიტეტი ხელმძღვანელობდა.

წითელი გვარდიის რაზმი საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ბათუმის კომიტეტის საიმედო სამხედრო ძალას წარმოადგენდა. იგი აერთიანებდა დასავლეთ საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების მიერ გამოგზავნილ 150 რჩეულ მებრძოლს.

ბათუმის ოლქის მშრომელების ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის მეთაურობდა და წარმართავდა ბათუმის ბოლშევიკური კომიტეტი. მისი ხელმძღვანელობით ართვინის მხარეში ნაყოფიერ მუშაობას ატარებდა ართვინის ბოლშევიკური ორგანიზაცია. ბათუმის კომიტეტს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ტრაპიზონის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთან, ხელმძღვანელობდა და წარმართავდა მის მუშაობას. რსდმპ (ბ) ბათუმის კომიტეტი იყო შტაბი, რომელიც მტკიცედ ჩაუდგა სათავეში ძალაუფლების დაპყრობისათვის ბრძოლას.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სახკომსაბჭომ ვ. ი. ლენინის მეთაურობით პირველი დღიდანვე განახორციელა უმნიშვნელოვანესი სოციალისტური ღონისძიებანი. საბჭოთა ხელისუფლება დღითიდღე მტკიცდებოდა. საბჭოთა ხელისუფლების წარმატება სოციალიზმის მტრების გაბოროტებას იწვევდა. ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიები ყოველნაირად ლაფში სვრიდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, სახკომსაბჭოს საქმიანობას. აჭარაშიც ბათუმელი მენშევიკები, ესერები და საბჭოთა ხელისუფლების სხვა მტრები ფართო კამპანიას ატარებდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ცდილობდნენ მშრომელთა თვალში სახელი გაეტეხათ მისთვის. მაგრამ მათ უკვე აღარ შეეძლოთ რევოლუციის მონაპოვრის ჩახშობა. ბოლშევიკების გავლენა მასებში სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. აჭარაში ფართოდ გაიშალა საბჭოთა ხელისუფლებისადმი მხარდაჭერის კამპანია.

3 დეკემბერს ბათუმში შედგა გრანდიოზული სახალხო მიტინგი. მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენებით გამოვიდნენ მიხა კახიანი და გ. პიასეცკი. მომხსენებლები და სხვა ორატორები ერთსულოვნად აღნიშნავდნენ, რომ ერთადერთი ჭეშმარიტი მუშურ-გლეხური ხელისუფლება სახალხო კომისართა საბჭოს ხელისუფლება არისო.

მიხა კახიანის წინადადებით მიტინგმა მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

---

1 Г. В. Хачапуридзе. Борьба грузинского народа за установление Советской власти, стр. 221, Москва, 1956 г.

„სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკების მიერ მოწვეული სახალხო კრება თვლის, რომ ნამდვილ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას წარმოადგენს სახალხო კომისართა საბჭოს ხელისუფლება, რომელიც ენერგიულად იბრძვის „ზავისა, მიწისა და თავისუფლების“ ლოზუნგების განხორციელებისათვის, კრება ამ მთავრობას უცხადებს სრულ ნდობას, იმავე დროს არ ცნობს ამიერკავკასიის კომისარიატს, რომელიც შედგენილია კერენსკებისა და კიშკინების მთავრობის მსგავსად კოალიციის პრინციპის მიხედვით“.[1]

მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენებები ქ. ბათუმსა და აჭარის სოფლებში კიდევ უფრო გაბშირდა, რასაც, ერთი მხრივ, რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების წარმატება იწვევდა, ხოლო მეორე მხრივ — ამიერკავკასიაში განვითარებული კონტრრევოლუციური ამბები.

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური პარტიების გადაწყვეტილებით 1917 წ. 12-14 ნოემბერს შეიქმნა ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელმაც შეცვალა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი. ამიერკავკასიის კომისარიატი იყო კონტრრევოლუციური მთავრობა, რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მან ეს მხარე საბჭოთა რუსეთს მოსწყვიტა და მის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად გადააქცია. კომისარიატი შეუდგა რევოლუციური სამხედრო ნაწილების განიარაღებას. კონტრრევოლუციონერები 30 ნოემბერს თავს დაესხნენ და დაარბიეს ბოლშევიკური გაზეთების რედაქციები და სტამბები.

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური პარტიების ვერაგული მოქმედების წინააღმდეგ ერთსულოვნად აღსდგნენ საქართველოს მშრომელები. რსდმპ(ბ) ბათუმის კომიტეტის ხელმძღვანელობით საპროტესტო კამპანია მთელ ოლქში გაიშალა. აჭარის მშრომელები თავიანთ კრებებსა და მიტინგებზე გმობდნენ ამიერკავკასიის კომისარიატის კონტრრევოლუციურ მოქმედებას და ერთსულოვნად იწონებდნენ სახალხო კომისართა საბჭოს ღონისძიებებს.

მუშებთან და ღარიბ გლეხებთან ერთად კომისარიატის კონტრრევოლუციურ საქმიანობას გმობდნენ და სახალხო კომისართა საბჭოს ღონისძიებებს იწონებდნენ ფრონტზე და ზურგში მყოფი ჯარისკაცებიც. დეკემბერში ბათუმის წითელი ჯვრის ლაზარეთში გაიმართა ჯარისკაცთა დიდი მიტინგი. მასში მონაწილეობას იღებდა ორიათასამდე ჯარისკაცი. მიტინგი მიეძღვნა მთავარსარდლის დუხონინის გადაყენებას და ფრონტზე რევოლუციის გამარჯვებას. მიმდინარე მომენტის შესახებ მარკოვის მოხსენების გამო მიტინგმა ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„1. მივესალმებით პიტერის მუშებსა და ჯარისკაცებს, რომლებიც იბრძვიან ზავისა, მიწისა და თავისუფლებისათვის.

2. სალამს ვუძღვნით ამხანაგ ფრონტელებს, რომელთაც გარეკეს დუხონინის კონტრრევოლუციური მთავარსარდლობა.

3. მოვუწოდებთ ყველა რევოლუციურ ჯარისკაცთ, მატროსებს, მუშებსა და გლეხებს მხარი დაუჭირონ მუშურ-გლეხურ მთავრობას.

1 გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“, № 223, 1917 წ.

4. ჩვენ მზად ვართ ყოველ მომენტში გამოვიდეთ იმათ წინააღმდეგ. ვინც გაბედავს დაემუქროს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სახით მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას".[1]

ბოლშევიკური პარტიის ავტორიტეტის სწრაფი ზრდა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური პარტიების გაბოროტებას იწვევდა. რევოლუციის მტრებმა გააძლიერეს რეპრესიები.

ბოლშევიკების წინააღმდეგ რეპრესიების გაძლიერებამ მშრომელთა ფართო მასების პროტესტი გამოიწვია. საპროტესტო კრებები და მიტინგები იმართებოდა საწარმო-დაწესებულებებში, სოფლებში, სამხედრო ნაწილებსა და სხვაგან. დეკემბრის დამდეგს ართვინის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ მკაცრი პროტესტი განაცხადა ამიერკავკასიის კომისარიატის კონტრრევოლუციური მოქმედების წინააღმდეგ და ენერგიულად მოითხოვა დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლება.[2]

კავკასიის ფრონტზე დროებითი ზავის დადების შემდეგ დაიწყო კავკასიის ჯარების დემობილიზაცია. რევოლუციურად განწყობილი რუსი ჯარისკაცები მოითხოვდნენ საბჭოთა რუსეთში გაგზავნას, რათა აქტიური მონაწილეობა მიეღოთ საბჭოთა ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამასთან ისინი უარს ამბობდნენ იარაღის ჩაბარებაზე.

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები ვერ ითმენდნენ ბოლშევიკური გავლენის ზრდას და ახდენდნენ თავიანთი ძალების კონსოლიდაციას. 1917 წ. ნოემბრის პირველ რიცხვებში თბილისში შეიქმნა კონტრრევოლუციური „საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტი". მისი ამოცანა იყო ბრძოლა რევოლუციის წინააღმდეგ.

ნოემბერში „საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტი" შეიქმნა ბათუმშიც. კომიტეტში შედიოდნენ მუშათა კლასის მოღალატეები ა. მალხაზოვი, ა. ბულგაკოვი, ა. ანჯაფარიძე, ი. დვორეცკი, კ. გოგოლაძე, ა. ლევინი, რ. მარუტიანი და სხვები. კომიტეტი აშკარა კონტრრევოლუციურ საქმიანობას ეწეოდა.

რუსეთში მიმავალ ჯარისკაცთა დახოცვითა და კომისარიატის სხვა კონტრრევოლუციური საქმიანობით გამოწვეულმა აღშფოთებამ მთელი საქართველო მოიცვა. კრებებსა და მიტინგებზე გამოჰქონდათ საპროტესტო რეზოლუციები.

აჭარის მშრომელები ენერგიულ პროტესტს აცხადებდნენ ამიერკავკასიის კომისარიატის კონტრრევოლუციური მოქმედების გამო და მოითხოვდნენ შამქორის სისხლიანი ტრაგედიის დამნაშავეთა სასტიკად დასჯას, ყოველგვარი კონტრრევოლუციური გამოსვლების ძირშივე აღკვეთას და სახკომსაბჭოს მიერ მიღებული დეკრეტების ცხოვრებაში განხორციელებას. ამ მოთხოვნებს შეუერთდნენ ჯარისკაცთა და მეზღვაურთა ფართო მასებიც. 1918 წლის 24 იანვარს ბათუმის სამხედრო-საზღვაო კომიტეტის ხელმძღვანელობით ჩატარდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს სამხედრო ფლოტის მატროსებისა და ბათუმის საავაჭრო ფლოტის მეზღვაურთა მიტინგი. მიმდინარე მომენტის შესახებ მოხ-

1 გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი", № 227, 1917 წ.
2 გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი", № 216, 1917 წ. (1917-1918 წლებში ართვინის ბოლშევიკურ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდნენ ართვინის კომიტეტის თავმჯდომარე — გ. გურჯიანი, მდივანი — პ. დანელიანი და სხვა ამხანაგები).

სენება გააკეთა სამხედრო-საზღვაო კომიტეტის თავმჯდომარემ ივანოვმა. მიტინგმა დაგმო ამიერკავკასიის კომისარიატის კონტრრევოლუციური მოქმედება და ერთადერთ რევოლუციურ ხელისუფლებად აღიარა სახალხო კომისართა საბჭო. ერთხმად მიღებული რეზოლუცია აცხადებდა:

„...2. ჩვენ მოვითხოვთ გადამჭრელი ზომების მიღებას, რომელიც ძირშივე აღკვეთს ყოველგვარ კონტრრევოლუციურ გამოსვლებს, საიდანაც არ უნდა მომდინარეობდნენ ისინი და პირობას ვდებთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე მთელი ძალებით მხარი დავუჭიროთ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მიღებული დეკრეტების ცხოვრებაში გატარებას.

3. ვაცხადებთ, რომ ყოველი ხელისუფლება, რომელიც ბრძოლას დაიწყებს საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ჩვენი მხრიდან შეხვდება გადამწყვეტ წინააღმდეგობას.

...5. მოვითხოვთ, რათა შამქორის ტრაგედიის ყველა დამნაშავე, რომელთაც კავკასიის რევოლუციური არმიის არწივთა — უდანაშაულო ჯარისკაცთა — სისხლი დაღვარეს, დაუყოვნებლივ მოიხსნან თანამდებობიდან და გადაეცნენ სამხედრო რევოლუციურ სასამართლოს.

გაუმარჯოს სახალხო კომისართა საბჭოს!

გაუმარჯოს რუსეთის დიდ რევოლუციას!

გაუმარჯოს მსოფლიო დემოკრატიულ ზავს!

ძირს ყველა კონტრრევოლუციონერი კალედინელები, კორნილოველები და კამპ...“[1]

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ქართველი მენშევიკები პეტროგრადიდან გამოიქცნენ. მათ თავიანთი „მოღვაწეობა“ თბილისში განაგრძეს. 1918 წლის 10 თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატმა მოიწვია ეგრეთწოდებული ამიერკავკასიის სეიმი, რომელსაც იურიდიულად უნდა გაეფორმებინა საბჭოთა რუსეთიდან ამიერკავკასიის გამოყოფა. სეიმის შემადგენლობაში შევიდნენ დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიელი დეპუტატები და ესერთა, მენშევიკთა და დაშნაკთა პარტიების ზოგიერთი წარმომადგენლები. ამიერკავკასიის სეიმი იყო კონტრრევოლუციური ორგანო, რომელიც მთავარ ამოცანად ისახავდა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლასა და ამიერკავკასიაში, რევოლუციური მოძრაობის ჩახშობას.

ამიერკავკასიის მშრომელებმა კომუნისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ენერგიული ბრძოლა გამოუცხადეს კონტრრევოლუციურ სეიმს. სეიმის გახსნის დღეს, 10 თებერვალს, თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ალექსანდრეს ბაღში (ახლა 26 კომისრის სახელობის) გაიმართა მშრომელთა გრანდიოზული საპროტესტო მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობდნენ მუშები, ჯარისკაცები და ქალაქის სხვა მშრომელები.

მშვიდობიან მიტინგს კონტრრევოლუციონერები მხეცურად გაუსწორდნენ. ნ. ჟორდანიასა და ე. გეგეჭკორის ჯანკარგულებით, მიტინგის მონაწილეებს მენშევიკურმა გვარდიამ ტყვიები დაუშინა.

მიტინგის დახვრეტამ ამიერკავკასიის მშრომელთა ფართო მასების უდიდესი გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია. საქართველოს ყველა კუთხის, მათ შორის აჭარის მშრომელებმაც მკაცრად დაგმეს ამიერკავკასიის კონტრრევო-

1 გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“, № 22, 1918 წ.

ბათუმის არალეგალური ბოლშევიკური კომიტეტის შემადგენლობა
1917 — 1921 წ.წ.

პირველ რიგში: (მარცხნიდან მარჯვნივ) დ. მახარაძე, ზ. კახიანი, ხ. გუბელი. მეორე რიგში: ი. პეტროვი, კ. ბერძენიშვილი, ვ. ბახტაძე. მესამე რიგში: ა. პირუზოვი, ნ. ანსტასიადი, გ. პოხილეკი.

ლუციური პარტიების ტერორისტული მოქმედება. ბათუმის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ ქ. ბათუმსა და აჭარის სოფლებში მოაწყო საპროტესტო მიტინგები და მასობრივი კრებები. გამოვიდა გაზ. „ბურევესტნიკის“ სპეციალური ნომერი (17), რომელშიაც მოთავსებული იყო ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური პარტიების მამხილებელი სტატიები; მკაცრად იყო გამოაშკარავებული ამიერკავკასიის სეიმის კონტრრევოლუციური ბუნება, გაკიცხული იყვნენ მიტინგის დახვრეტის ორგანიზატორები და სხვ. „ბურევესტნიკის“ იმავე ნომერში დაიბეჭდა მამია ორახელაშვილის წერილი, რომელშიც დაწვრილებით იყო მოთხრობილი თბილისში სახალხო მიტინგის ვერაგული დახვრეტის ამბავი. ამხ. ორახელაშვილი ამხილებდა მიტინგის დახვრეტის ორგანიზატორებსა და სხვა დამნაშავეებს. გაზ. „ბურევესტნიკის“ სპეციალურმა ნომერმა ქართველი მენშევიკების გაბოროტება გამოიწვია. მენშევიკური გაზეთი „ერთობა“ წერდა „...მ. ორახელაშვილი თავისი ბოროტი ენით და პროვოკაციის სისხლში ამოვლებული კალმით მოუთხრობს იქაურებს თბილისში მიტინგის დახვრეტის ამბავს...“[1]

კავკასიის ფრონტზე დაზავების შემდეგ ბათუმის ბოლშევიკურ ორგანიზაციას უმთავრესად აინტერესებდა ჯარების დემობილიზაციის საკითხი. ამასთან ბათუმის კომიტეტი ემზადებოდა შეიარაღებული აჯანყების მოწყობისა და ძალაუფლების დაპყრობისათვის. კავკასიის ფრონტის ჯარების დემობილიზაციასთან დაკავშირებით წითელი გვარდიის რაზმს დიდი ამოცანები ეკისრებოდა; სახელდობრ: მის ძირითად ამოცანას შეადგენდა იარაღის შემოტანა და დაგზავნა საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში; კავკასიის ფრონტის ჯარების ორგანიზებული დემობილიზაცია, ჯარისკაცთა შორის პოლიტიკური მუშაობის ჩატარება და საბჭოთა რუსეთში მათი გაგზავნა; კონტრრევოლუციურად განწყობილი ოფიცრების განიარაღება, ფრონტიდან მოსული გემების გაჩხრეკა, ჯარისკაცთა, მეზღვაურთა და უფროსთა შემადგენლობის განწყობილების გამორკვევა; ტრაპიზონში მომუშავე პარტიულ ამხანაგებთან მჭიდრო კავშირის დამყარება და მათი დახმარებით საბჭოთა რუსეთში იარაღისა და საომარი მასალების გადაგზავნა და სხვ.

ბათუმის კომიტეტის ხელმძღვანელობით წითელი გვარდიის რაზმმა დაკისრებულ ამოცანებს წარმატებით გაართვა თავი. საბჭოთა ხელისუფლების ერთგული ჯარისკაცები და იარაღი გემებით იგზავნებოდა სახკომსაბჭოს განკარგულებაში. ტრაპიზონის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მოთხოვნით (საბჭოს თავმჯდომარე ბოლშევიკი ბესარიონ კვირკველია) ბათუმის კომიტეტმა წითელი გვარდიის რაზმიდან გამოყო მებრძოლი ჯგუფი 20 — 25 კაცის შემადგენლობით და გაგზავნა ტრაპიზონის საბჭოს განკარგულებაში. ამ ჯგუფს დახმარება უნდა აღმოეჩინა ტრაპიზონში მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსათვის ჯარის დემობილიზაციასთან დაკავშირებული რთული საკითხების გადაჭრაში, კერძოდ, უზრუნველეყო ტრაპიზონიდან ბათუმში, ნოვოროსიისკში, სოხუმში და სხვაგან იარაღის, საომარი მასალის, სურსათის, ტანსაცმლის და სხვა ძვირფასი სამხედრო ქონების გადაგზავნა. ეს ამოცანა წარმატებით იქნა შესრულებული.

1 გაზ. „ერთობა“, № 45, 1918 წ.
2 ბათუმის რევოლუციის მუზეუმის არქივი, ფ. 4, ხ. 60.

დემობილიზაცია და სამხედრო ქონების ზურგში გადმოტანა ძნელ პირობებში წარმოებდა. თურქეთმა დაარღვია საზავო შეთანხმება და კავკასიაში შეტევაზე გადავიდა; თურქეთის ჯარები სწრაფად მოიწევდნენ საქართველოსაკენ. ასეთ ვითარებაში ფრონტის ლიკვიდაცია და სამხედრო ქონების ზურგში გადმოტანა მეტისმეტად რთული იყო, თურქების მხრივ ხელყოფის საშიშროება ემუქრებოდა დიდძალ ძვირფას სამხედრო ქონებას. ამასთან, ტრაპიზონში მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსა და სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წინააღმდეგ შეთქმულება მზადდებოდა. მისი ორგანიზატორი იყო სამხედრო ინჟინერი ჩაიკოვსკი, რომელსაც კავშირი ჰქონდა თურქეთის სარდლობასთან (მისი ძმა თურქეთის არმიაში მსახურობდა). შეთქმულება დროზე აღმოაჩინეს და მოღალატე ჩაიკოვსკი დაუპატიმრეს.

დიდი ზიანი მოჰქონდა დაშნაკების პროვოკაციულ მოქმედებასაც. ტრაპიზონში მათ ჰყავდათ შეიარაღებული რაზმი, რომელიც თავს ესხმოდა თურქეთის სოფლებს და მშვიდობიან მოსახლეობას ყლეტდა. ეს გარემოება ტრაპიზონის საბჭოს წინააღმდეგ მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლებს იწვევდა. გარდა ამისა, ტრაპიზონში მუშაობდა ერთი ბერძენი ოფიცერი, რომელსაც თურქი დედა ჰყავდა. ეს ოფიცერი თითქოს მხარს უჭერდა ბოლშევიკებს; სინამდვილეში კი ფარულად მათ წინააღმდეგ მუშაობდა — ყველაფერი ეს ხელს უწყობდა თურქეთის სარდლობას ხელში ჩაეგდო ტრაპიზონის ფრონტის ძვირფასი სამხედრო ქონება.[1]

ასეთი ვითარება უკარნახებდა ბათუმის კომიტეტს სასწრაფოდ მიეღო ზომები ფრონტის სამხედრო და სხვა ძვირფასი ქონების გადარჩენისა და მისი საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებაში გადაგზავნისათვის. დაახლოებით თებერვლის შუა რიცხვებში ტრაპიზონიდან ბათუმში სპეციალური დავალებით ჩამოვიდა ტრაპიზონის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსა და სამხედრო რევოლუციური კომიტეტის წარმომადგენელი. მან დაწვრილებით გააცნო ბათუმის კომიტეტის წევრებს თურქეთის სარდლობის განცხადება იმის შესახებ, რომ თუ საჭიროებამ მოითხოვა თურქეთის ჯარები ბათუმსაც არ დასჯერდებიანო.

ამ დროს ტრაპიზონის ფრონტის ლიკვიდაცია მიმდინარეობდა; ტრაპიზონის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო დაუღალავად მუშაობდა. ბათუმის კომიტეტის წევრები, უმთავრესად, ტრაპიზონის ფრონტის საკითხით იყვნენ დაკავებულნი. ბათუმის კომიტეტის დასახმარებლად მოვიდა რაზმი — ივანოვ-კავკაზსკის, ვლადიმიროვისა და ბახტაძის მეთაურობით. მათი მთავარი ამოცანა იყო: ფრონტიდან სამხედრო ქონების ზურგში გადმოტანა და ბათუმის კომიტეტის, შავი ზღვის ფლოტის სამხედრო-საზღვაო კომიტეტისა და სევასტოპოლის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის განკარგულებაში გადაცემა.

დაახლოებით ამ ხანებს დაემთხვა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობის ცდა—ხელში ჩაეგდო ტრაპიზონის ფრონტის მთელი სამხედრო ქონება. ნ. ჟორდანიას ხელმოწერილი მანდატითა და 150-კაცისაგან შემდგარი რაზმით ტრაპიზონში გამოცხადდა ამიერკავკასიის კომისარიატის წარმომადგენელი ს. დადიანი. მას დავალებული ჰქონდა მთელი ძვირ-

1 ბათუმის რევოლუციის მუზეუმის არქივი, ფ. 4, ს. 60.

ფასი ქონების გადმოტანა ამიერკავკასიის კომისარიატის განკარგულებაში. დადიანს თან ახლდნენ მენშევიკური ნაწილების ოფიცრები — პოლკოვნიკი ყარალაშვილი და ლეიტენანტი ცაგარელი. დადიანმა და მისმა თანმხლებმა პირებმა ძალით გააღეს საწყობები და გაიტანეს ყველაზე ძვირფასი ქონება: თოფები, ყუმბარები, წერაქვები, ნიჩბები, ფქვილი, ჩაი, შაქარი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და მრავალი სხვა. მათ იარაღითა და საუკეთესო ცხენებით დატვირთეს ერთი გემი და ორი კარჭაპი. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების ერთგული მეზღვაურების წყალობით მთელი ეს ქონება გატაცებას გადარჩა. მათ ეს ამბავი მაშინვე აცნობეს ტრაპიზონის საშხედრო-რევოლუციურ კომიტეტს. ამხ. ინასარიძის განკარგულებით, დაუყოვნებლივ მოხდა მენშევიკების მიერ გატაცებული ქონების კონფისკაცია, ხოლო დადიანი, ყარალაშვილი და ცაგარელი დაპატიმრებულ იქნა.[1]

ტრაპიზონის ფრონტის ძვირფასი სამხედრო ქონების უმეტესი ნაწილი ბათუმის კომიტეტის განკარგულებაში გადავიდა.

ბათუმის კომიტეტი იარაღით, სურსათით, ტანსაცმლით და სხვადასხვა საჭირო მასალით დიდად დაეხმარა საქართველოსა და რუსეთის რევოლუციურ ქალაქებსა და რაიონებს. პირველ რიგში, საყურადღებოა ის დახმარება, რომელიც ნოვოროსიისკსა და აფხაზეთს გაუწია ბათუმის კომიტეტმა. მან პირდაპირ ტრაპიზონიდან ნოვოროსიისკში გააგზავნა იარაღითა და სურსათით დატვირთული სამი დიდი გემი და რამდენიმე კარჭაპი; ხოლო ერთი დიდი გემი — თოფებით, ვაზნებითა და ყუმბარებით დატვირთული — საკუთრივ ბათუმისაკენ გაემართა. მენშევიკებს რომ არ შეემჩნიათ, მეზღვაურებმა კარგად შენიღბეს ტვირთი. ბათუმშივე გაიგზავნა აგრეთვე ავტომობილებით, ცხენებითა და იარაღით დატვირთული რამდენიმე კარჭაპი.[2]

გარდა ამისა, საკუთარი ინიციატივით რაზმელებმა ტრაპიზონთან ზღვაში ჩაძირეს ის ქვემეხები და სხვა იარაღები, რომლის გამოტანა ვერ მოასწრეს. ამით თურქეთის სარდლობამ დაკარგა ამ იარაღის გამოყენების საშუალება.

წითელგვარდიელებმა ტრაპიზონი მხოლოდ მაშინ დატოვეს, როცა მთელი ქალაქი, გარდა ვიწრო სანაპირო ზოლისა, დაკავებული ჰქონდა თურქებს.

როგორც უკვე აღინიშნა, 1917 წლის შემოდგომისათვის ბათუმის ბოლშევიკურმა კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია ბურჟუაზიული და მოღალატე წვრილბურჟუაზიული პარტიების მხილებისა და მასების რევოლუციური მობილიზაციის საქმეში. უკვე დეკემბრიდან ბათუმის ორგანიზაციამ გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა არა მარტო ბათუმის ოლქში, არამედ ტრაპიზონის ფრონტზეც. ტრაპიზონში შეიქმნა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბათუმის ბოლშევიკურ კომიტეტთან. ტრაპიზონის ფრონტზე ძალაუფლებას ფაქტიურად ტრაპიზონის მუშათა და

1 ბათუმის რევოლუციის მუზეუმის არქივი, ფ. 4, ს. 60.
2 ბათუმის რევოლუციის მუზეუმის არქივი, ფ. 5, ს. 115.

ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო ახორციელებდა. საბჭოს თითქმის მხოლოდ კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ. ტრაპიზონში გამოდიოდა ბოლშევიკური გაზეთი „ტრაპეზუნდსკაია პრავდა“. 1918 წ. დამდეგს შეიქმნა ხელსაყრელი ვითარება შეიარაღებული აჯანყების მოწყობისათვის.

შეიარაღებული აჯანყებისათვის პირობები იქმნებოდა მთელ საქართველოში. წვრილბურჟუაზიულმა პარტიებმა მშრომელ მოსახლეობაში დაკარგეს წინანდელი გავლენა, სამაგიეროდ ამაღლდა ბოლშევიკური პარტიის გავლენა და ავტორიტეტი. ეს გარემოება გაითვალისწინა დასავლეთ ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების კონფერენციამ, რომელიც შედგა ქუთაისში 1918 წლის 20 თებერვალს, და მიიღო გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების მომზადების შესახებ. შეიქმნა აჯანყების ხელმძღვანელი შტაბი ს. გეგეჭკორის მეთაურობით.

თებერვლის შუა რიცხვებში შეიარაღებული აჯანყების მომზადების საკითხი განიხილეს ბათუმის კომიტეტის სხდომასა და საოლქო პარტიულ კონფერენციაზე, რომელზედაც გურიის ბოლშევიკური ორგანიზაციაც იყო წარმოდგენილი. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პარტიული მუშაობის განმტკიცებისა და შეიარაღებული აჯანყების მომზადების შესახებ.

შემუშავებულ იქნა აჯანყების გეგმა, რომლითაც ხელმძღვანელობდა ბათუმის კომიტეტთან არსებული რევკომი. ყველაფერი ეს ცნობილი იყო შავი ზღვის ფლოტის შტაბისათვის. სევასტოპოლის რევოლუციური ფლოტის კომისრის ვლადიმიროვის აქტიური მონაწილეობით აირჩიეს ბათუმის წითელი გვარდიის ხელმძღვანელი კომიტეტი, რომელიც ფაქტიურად რაზმის მებრძოლ შტაბს წარმოადგენდა. აჯანყებისათვის მზადება წარმატებით მიმდინარეობდა. მაგრამ ამ დროს თურქეთის ჯარი საქართველოსაკენ მოიწევდა. ამასთან დაკავშირებით წარმოიშვა ერთგვარი გაუგებრობა ბათუმის კომიტეტის წევრებს შორის: კომიტეტის ზოგი წევრი იმ აზრისა იყო, რომ თურქეთის მიერ აჭარის დაპყრობა წინასწარ გამორიცხავს აჯანყებისა და ძალაუფლების დაპყრობის საკითხსო. ამიტომ ისინი მოითხოვდნენ ხელი აეღოთ აჯანყების მოწყობაზე და იარაღითა და ცოცხალი ძალებით დახმარება გაეწიათ საქართველოს სხვა რაიონებისათვის, უკიდურეს შემთხვევაში დაეცადათ პეტროგრადიდან განმარტებისათვის. კომიტეტის სხვა წევრები წინანდებურად მოითხოვდნენ აჯანყების დაუყოვნებლივ მოწყობას, ვიდრე შავი ზღვის რევოლუციური ფლოტის ერთი ნაწილი ბათუმის ნავსადგურში იდგა. ამ საკითხთან დაკავშირებით თებერვლის ბოლო რიცხვებში ბათუმის კომიტეტმა პასუხისმგებელი ამხანაგები გაგზავნა სევასტოპოლს. მათ უნდა გამოერკვიათ, თუ რა დახმარების მიღება შეეძლო აჯანყების შემთხვევაში ბათუმს სევასტოპოლის რევოლუციური სამხედრო კომიტეტისაგან. მაგრამ მგზავრობის სიძნელემ პასუხი დააგვიანა, მაშინ ბათუმის კომიტეტმა სპეციალური დავალებით მოსკოვში მიავლინა ამხ. მ. კახიანი. ვითარება მკვეთრად შეიცვალა თვით ბათუმშიც; საქმე შემდეგში იყო: ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობა ხედავდა, თუ როგორ სწრაფად იზრდებოდა ბოლშევიკური პარტიის გავლენა ქ. ბათუმში და ბათუმის მთელ ოლქში. ბათუმის ოლქის მშრომელების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ბათუმის პროლეტარიატი. ცნო-

ბდა მხოლოდ სახალხო კომისართა საბჭოს ხელისუფლებას, ამასთან ბათუმის კომუნისტურ ორგანიზაციას გააჩნდა რეალური სამხედრო ძალა — წითელგვარდიელთა რაზმისა („საზღვაო ასეული") და რევოლუციური ფლოტის სახით, რომელთა განკარგულებაში იყო დიდძალი საბრძოლო იარაღი და საომარი მასალა.

მეორე მხრივ, მოსალოდნელი იყო ბათუმის რევოლუციური სამხედრო ფლოტის გაძლიერება „ცენტროფლოტის" ძალებით. ეს გარემოება მოსვენებას არ აძლევდა მენშევიკებს, რადგან ამით დიდად იზრდებოდა შეიარაღებული აჯანყების გამარჯვების შანსები. ამიტომ ჟორდანია-რამიშვილის მოღალატურმა მთავრობამ გადაწყვიტა რევოლუციისათვის დანის ზურგში ჩაცემა; 1918 წ. 5 მარტის წინა ღამით მენშევიკების გაძლიერებული რაზმი, რომელიც რიცხობრივად დიდად აღემატებოდა ბათუმის კომიტეტის შეიარაღებულ ძალებს, კიღურაძისა და ახობაძის ხელმძღვანელობით, ბათუმში ქურდულად, ვერაგულად თავს დაესხა რევოლუციურ ფლოტს.

მენშევიკებმა ხელთ იგდეს მთელი ფლოტი, გარდა ერთი ნაღმოსნისა, რომელმაც გმირულად გაარღვია ალყა და წავიდა სევასტოპოლის მიმართულებით; რაც შეეხება ბათუმის კომიტეტის წითელგვარდიელთა რაზმს, მიუხედავად მტრის ჰარბი ძალებისა, მან ქუჩის სასტიკ ბრძოლაში, რომელიც 24 საათს გაგრძელდა, წარმატებით მოიგერია ჟორდანია-რამიშვილის შეიარაღებული ძალების შეტევა, მაგრამ ფლოტისა და მისი ეკიპაჟის დატყვევების შემდეგ წინააღმდეგობის გაწევა უმიზნო იყო. წითელგვარდიელთა რაზმის ხელმძღვანელობა დროებით დაზავებას დათანხმდა, რათა ეს დრო გამოეყენებინა იმისათვის, რომ საწყობებში საიდუმლოდ შენახული დიდძალი საბრძოლო იარაღი და საომარი მასალა სასწრაფოდ გაეგზავნა აფხაზეთში, სადაც შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება წარმატებით მიმდინარეობდა. იარაღი სჭირდებოდათ საქართველოს სხვა რაიონებსაც. დაზავების გამო მიღებული მცირე შესვენება ბათუმის კომიტეტმა და წითელგვარდიელთა რაზმის ხელმძღვანელებმა საუკეთესოდ გამოიყენეს — მთელი შეიარაღება, რომელიც გადმოტანილი იყო ტრაპიზონიდან, გარდა მცირე ნაწილისა, გაგზავნილ იქნა აფხაზეთსა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში, ხოლო წითელგვარდიელები შეიარაღებული დაუბრუნდნენ მათ გამომგზავნ ორგანიზაციებს.[1]

შემდგომ წლებში ეს წითელგვარდიელები ბათუმიდან წაღებული იარაღით აქტიურად მონაწილეობდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში.

ქართველი მენშევიკები არ დასჯერდნენ ბათუმის რევოლუციური ფლოტის დატყვევებას და გააძლიერეს რეპრესიები კომუნისტების წინააღმდეგ. მენშევიკებმა გარეკეს ტრაპიზონის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო და დაუპატიმრეს ხელმძღვანელობა. დაპატიმრებულთა შორის იყვნენ საბჭოს თავმჯდომარე კვირკველია, მისი მოადგილეები ინასარიძე, ძნელაძე და სხვები.

მენშევიკურ მთავრობას, როგორც სარწმუნო წყაროებიდან ჩანს, გადაწყვეტილი ჰქონდა „სახელმწიფოს ღალატის" ბრალდებით ბოლო მოეღო დაპა-

[1] ბათუმის რევოლუციის მუზეუმის არქივი, ფ. 4, ს. 60.

ტიმრებულ კომუნისტებისათვის. გეგმის თანახმად ისინი უნდა გაეყვანათ ღამით და მოეკლათ „გაქცევის“ საბაბით. საჭირო იყო ზომების მიღება, რათა გადაერჩინათ ისინი. ეს ამოცანა ბათუმის კომიტეტის დავალებით ბრწყინვალედ შეასრულეს კომიტეტის წევრებმა: ვ. ბახტაძემ და ა. ურუშაძემ. ტრაპიზონში ბოლშევიკურად განწყობილი ერთ-ერთი დამლაგებელი ქალისა და გაზ. „ტრაპეზუნდსკაია პრავდის“ გამომცემლის ლოლუას დახმარებით ბახტაძემ და ურუშაძემ მოაწყეს კვირკველიას, ინასარიძის, ძნელაძის და სხვა დაპატიმრებული ხელმძღვანელი ბოლშევიკების მენშევიკთა ტყვეობიდან გაქცევა.

მარტში ბათუმის ოლქსა და თვით ქალაქ ბათუმს თურქეთის მიერ დაპყრობის საფრთხე შეექმნა. ფრონტის ლიკვიდაციის გამო თურქეთის ჯარები სწრაფად მოიწევდნენ წინ. მენშევიკები ქვეყანას აყრუებდნენ „ბოლშევიკების ღალატის“ შესახებ' ყვირილით და რიხიანად აცხადებდნენ, რომ ბათუმს უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დავიცავთო. სამწუხაროდ, ისინი უფრო მეტად იმაზე ფიქრობდნენ, რომ როგორმე გაენადგურებინათ აჭარის ბოლშევიკური ორგანიზაცია.

როგორც აღვნიშნეთ, მენშევიკებმა დაატყვევეს და განაიარაღეს ბათუმის სამხედრო ფლოტი. ისინი ფლოტის შემადგენლობას ბრალს დებდნენ ღალატში. ეორდანიას თქმით, ფლოტის მესვეურები აპირებდნენ გემების თურქეთისათვის მიყიდვას. ეს იყო ხელოვნურად შეთითხნილი ცილისწამება, აშკარა პროვოკაცია. სინამდვილეში ბათუმის სამხედრო ფლოტი ბათუმის დაცვის მომხრე იყო. ბათუმის კომიტეტის ხელმძღვანელობით 2 მარტს მოწვეულ იქნა სამხედრო და სავაჭრო ფლოტების წარმომადგენელთა თათბირი, რომლის მიზანი იყო ორივე ფლოტის ძალთა გაერთიანება. განზრახული იყო „საზღვაო კოლეგიის“ დაარსება, რომელიც განახორციელებდა ორივე ფლოტის უმაღლესი ორგანოს ფუნქციებს. კოლეგიაში ორივე მხარეს უნდა ჰყოლოდა თანასწორი წარმომადგენლობა.

თათბირის გადაწყვეტილება დასამტკიცებლად გადატანილ იქნა მეზღვაურთა ყრილობაზე, რომელიც ჩატარდა 3 მარტს. მაგრამ, როცა საქმე მივიდა კოლეგიის შემადგენლობის არჩევნებზე, სავაჭრო ფლოტის მეზღვაურთა ერთი ნაწილი, რომელიც ოპორტუნისტულად იყო განწყობილი, არ დათანხმდა საერთო კოლეგიის დაარსებას. ყრილობაზე მოხდა განხეთქილება. სამხედრო ფლოტის მატროსებმა ყრილობა დატოვეს.

ამით ისარგებლეს მენშევიკებმა და სავაჭრო ფლოტის მატროსებისათვის შექმნეს ცალკე კომიტეტი, რომელიც თავისი პოლიტიკური მიმართულებით უფრო მეტად ობორონცულად იყო განწყობილი. სავაჭრო ფლოტის მატროსები მენშევიკების ჩაგონებით გამოდიოდნენ ვიწრო ეროვნული და ტერიტორიული მოსაზრებიდან და თურქთა შემოტევის შემთხვევაში ქ. ბათუმის დაცვას აღიარებდნენ. მეორე მიმართულება, რომელსაც ეკუთვნოდნენ სამხედრო

ფლოტის მატროსები, იცავდა იმ შეხედულებას, რომ „დღეს რევოლუციურ რუსეთს ალყას არტყამს ბურჟუაზიული რეაქცია, რომელიც განადგურებას უპირებს სისხლით მოპოვებულ თავისუფლებას და ერთი ასეთი გალესილი ლახვარი მზად უკავია ოსმალეთის ბიუროკრატიულ რეაქციულ მთავრობას კავკასიის... გასანადგურებლად. ამიტომ ქ. ბათუმი, როგორც სტრატეგიული ადგილი, დაცული უნდა იქნას ოსმალეთის რეაქციის შემოსევისაგან, ვინაიდან ბათუმის დაცვა მჭიდროდ არის დაკავშირებული მთელი რუსეთის რევოლუციური ფრონტის დაცვასთან.“[1]

ამ ამოცანის შესასრულებლად ფლოტის გაძლიერება იყო საჭირო. დემობილიზაციის გამო ფლოტში დარჩა მისი წინანდელი შემადგენლობის დაახლოებით ერთი მესამედი. ფლოტის გაძლიერება გემებითა და მომსახურე პერსონალით დამოკიდებული იყო „ცენტროფლოტის“ ხელმძღვანელობაზე, (რომელიც სევასტოპოლში იმყოფებოდა). სამხედრო ფლოტის ხელმძღვანელობა მოითხოვდა სევასტოპოლში დელეგაციის გაგზავნას. რა იყო ამ მოთხოვნაში ცუდი? რატომ იყო იგი მენშევიკებისათვის მიუღებელი? მენშევიკების მიზანი გასაგებია. ფლოტის გაძლიერება მათთვის უფრო 'საშიში იყო, ვიდრე თურქეთის ჯარის შემოტევა.

ყრილობის ჩაშლის დღესვე სამხედრო ფლოტის' მატროსებმა დელეგაცია გაგზავნეს სევასტოპოლში, რათა გაეგოთ, რა სახის დახმარებას აღმოუჩენდა „ცენტროფლოტი“ ბათუმის კომიტეტს, თუ თურქეთის ჯარი შეეცდებოდა იერიშით ბათუმის აღებას, მაგრამ მენშევიკებმა პასუხს არ დაუცადეს, თავს დაესხნენ და ფლოტი ვერაგულად ჩაიგდეს ხელში.

ამის შემდეგ ძალაუფლება ქ. ბათუმსა და მთელ ოლქში სამხედრო ადმინისტრაციის ხელში გადავიდა. მენშევიკების თანხმობითა და მითითებით, ძალაუფლებას დაეპატრონენ ბათუმის ციხე-სიმაგრის უფროსი მდივანი, კავკასიის ჯარების მთავარსარდალი ლებედინსკი და გენერალი ლიახოვი. დამყარდა გენერლების დიქტატურა. დააპატიმრეს ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაციის თვალსაჩინო წევრები, დახურეს ბოლშევიკური გაზეთები: „ბურევესტნიკი“ და „მუშის სიმართლე“; ბათუმის მუშათა, ჯარისკაცთა და მატროსთა საბჭოების ახალი არჩევნები, რომელიც უკვე დაწყებული იყო და ბოლშევიკების ბრწყინვალე გამარჯვების ნიშნით მიმდინარეობდა, აკრძალულ იქნა ბათუმის ციხის უფროსის მიერ.[2]

ამრიგად, მენშევიკები ფორმალურად ყვიროდნენ, რომ ბათუმს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დავიცავთო, მაგრამ მათ საამისო რეალური ძალა არ გააჩნდათ. ბათუმის დაცვა შეიძლებოდა მხოლოდ ბოლშევიკებთან მჭიდრო კავშირში, რაც მათ არ მოისურვეს.

როგორც აღნიშნული გვაქვს, მენშევიკები არ ცნობდნენ ბრესტის ზავს და მოწოდებით მიმართეს ამერკავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს დაუყოვნებლივ ჩასდგომოდნენ სათავეში შეიარაღებული რაზმების შექმნას. მენშევიკები თავიანთ მიმართვაში მოითხოვდნენ:

„ეხლავე შეადგინეთ შეიარაღებული რაზმები და აღნიშნული ადგილების დასაცავად გაგზავნეთ. ქუთაისის გუბერნიის ორგანიზაციებმა ბათუმის დასაცა-

1 გაზ. „ჩვენი ბრძოლა“, № 5, 1918 წ.
2 გაზ. „ჩვენი ბრძოლა“, № 7, 1918 წ.

ვად უნდა გააგზავნონ შეიარაღებული ნაწილები, ხოლო ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის ორგანიზაციებმა ყარს-არდაგანისაკენ. დაყოვნება შეუძლებელია. შეაგროვეთ იარაღი ყოველ მაზრაში. თავი მოუყარეთ ყველაფერს, რაც კი თავდაცვისათვის გამოსადეგია".[1]

27 თებერვალს ქ. ბათუმში სამხედრო წესები გამოცხადდა. ქალაქში შესვლა ბათუმის კომენდანტის ნებართვის გარეშე აეკრძალათ როგორც მოქალაქეებს, ისე სამხედრო პირებს. ბათუმის ოლქის კომენდანტად დაინიშნა გენერალი მდივანი. მენშევიკები იმასაც კი ფიქრობდნენ, რომ ოლქის კომენდანტად დაენიშნათ თეთრგვარდიელი გენერალი ლიახოვი.

მარტის დამდეგს „სადემობილიზაციო კომისიამ წინადადება მისცა ყველა დაწესებულებას — დაეტოვებინათ ქალაქი და გადაეტანათ ქონება სამტრედიასა და ქუთაისში. 1918 წ. 12 აპრილს თურქეთის სარდლობის წარმომადგენელმა ულტიმატუმი წარუდგინა ბათუმის ოლქის კომენდანტს თურქებისათვის ბათუმის ჩაბარების შესახებ. პასუხისათვის მისცა ერთი დღის ვადა. უარის შემთხვევაში იმუქრებოდნენ, რომ იმოქმედებდნენ მკაცრად და ტყვედ წაიყვანდნენ ქალაქის დამცველებს.[2]

ჯერ კიდევ 10 აპრილს ქალაქის სათათბიროს სასწრაფო სხდომაზე განხილულ იქნა ევაკუაციის საკითხი. გადაწყდა, რომ დაუყოვნებლივ ევაკუირებულ იქნას ქუთაისში სათათბიროს ქონება, მათ შორის დოკუმენტები.

14 აპრილს, დღის სამ საათზე თურქეთის ჯარმა ბათუმი დაიკავა. ქალაქის სათათბიროს წევრთა დიდი ნაწილი ქალაქიდან წავიდა, თვითმმართველობის მუშაობა დროებით შეწყდა.

მკვეთრად გაუარესდა ქალაქის მოსახლეობის პირობები. მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა სხვადასხვა კომისიები. მაგ. სასურსათო კომისია 15 ხმოსნის შემადგენლობით, სამედიცინო-სანიტარული — 5 ხმოსნის შემადგენლობით, ფინანსური — 9 ხმოსნის შემადგენლობით და საამშენებლო-ტექნიკური — 5 ხმოსნის შემადგენლობით.[3]

აღსანიშნავია, რომ თურქები ბათუმს თვლიდნენ არა როგორც დაპყრობილ, არამედ საკუთარ ქალაქად, რომელიც თითქოს სხვისი ბატონობისაგან გაათავისუფლეს. 19 აპრილს თურქეთის სამხედრო მინისტრმა ენვერ-ფაშამ ქ. ბათუმის სათათბიროს სხდომაზე განაცხადა, რომ თურქეთის ჯარი ბათუმში შემოვიდა არა როგორც დაპყრობილ, არამედ თურქეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილშიო.[4]

ამრიგად, მიუხედავად მენშევიკების მაღალფარდოვანი სიტყვებისა, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცავდნენ ბათუმს, თურქეთის ჯარი სერიოზულ წინააღმდეგობას არ შეხვედრია და თითქმის უომრად დაიკავა ქალაქი. აჭარის ისტორიაში კვლავ დაიწყო შავბნელი ხანა.

---

1 გაზ. „ერთობა", № 42, 1918 წ.
ბათუმისა და ბათუმის ოლქის დაცვის ორგანიზაცია თავიდან ძლიერ ცუდად მიმდინარეობდა. ბათუმიდან თბილისში გაგზავნილ ერთ-ერთ დეპეშაში ვკითხულობთ: „თითქმის სურ არ არის ფული, პური და იარაღი, არც ორგანიზატორი გვყავს" (გაზ. „ხალხის მეგობარი", № 116, 1918 წ.).

2 ბათუმის რევოლუციის მუზეუმის არქივი, ფ. 4, ს. 69, ფურც. 40.

3 იქვე.

4 1918 წლის 16 აპრილს ბათუმში ჩამოვიდა ახლადდანიშნული გენერალ-გუბერნატორი (ვალი) ხიმიდ ბეი. ქალაქის სათათბიროს წევრებს მან ასე განუცხადა: „ჩვენ აქ მოვდიეთ არა როგორც დამპყრობლები და უცხოელები, არამედ, როგორც პატრონი ამ ქალაქისა და ოლქისა, რომელიც საუკუნეების მანძილზე ჩვენი იყო".

2. ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის თურქ-ინგლისელთა ოკუპაციის პერიოდში (1918—1920 წწ.)

აჭარაში თურქეთის ჯარის შემოსვლის პირველივე დღიდან საგრძნობი გახდა საოკუპაციო რეჟიმის აუტანლობა. გაუქმდა თებერვლის რევოლუციის შემდეგ არჩეული სასამართლო და „დამნაშავეებს" ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლოს განაჩენის გარეშე ადგილზევე სჯიდნენ. სასჯელი იმაში გამოიხატებოდა, რომ „ურჩებს" პირდაპირ ქუჩაში ჩეხდნენ. თურქი ჯარისკაცები და სამოქალაქო მოხელეები განსაკუთრებით რევოლუციონერებს არ ინდობდნენ. ამ საქმეში მათთან თანამშრომლობდნენ რუსი თეთრგვარდიელები და სხვა რეაქციული ელემენტები.

თურქების მიერ აჭარის ოკუპაციის შემდეგ ბოლშევიკების უმეტესი ნაწილი იძულებული გახდა ბათუმი დაეტოვებინა. ბათუმიდან გაიქცა მოსახლეობის დიდი უმრავლესობა. 1918 წლის გაზაფხულზე 35.048 კაციდან ბათუმში დარჩა მხოლოდ 15.375 კაცი. თურქთა საოკუპაციო რეჟიმი იმდენად აუტანელი ხდება, რომ აჭარიდან მოსახლეობის გაქცევამ მალე მასობრივი ხასიათი მიიღო. ასე, რომ იმავე წლის შემოდგომისათვის ბათუმის მოსახლეობა თითქმის 8 ათას კაცამდე შემცირდა. ამასთან, ქალაქში დარჩენილი მოსახლეობის დიდ ნაწილს რუსი თეთრგვარდიელები და სხვა უცხო რეაქციული ელემენტები შეადგენდნენ.

მთელი ადმინისტრაცია ხელახლა დაკომპლექტდა თურქებისა და ნაწილობრივ რუსი თეთრგვარდიელებისაგან. ადმინისტრაცია თავისი ბიუროკრატიული მრქმედებით, მის სხვა უფრო უარყოფით მხარეებზე რომ არაფერი ვთქვათ, პირდაპირ მოუთმენელი შეიქმნა. უბრალო საკითხის გადაწყვეტისათვის გენერალ-გუბერნატორის (ვალის) თანხმობა უნდა მიგეღო, განცხადება აუცილებლად თურქულ ენაზე დაგეწერა. სიმართლის დადგენა და საკითხის სწორად გადაწყვეტა მიუღწეველი იყო.

თურქთა ოკუპაციამ აჭარის სამეურნეო ცხოვრება სავსებით მოშალა. სავაჭრო-სამრეწველო ცხოვრება მთლიანად ჩაკვდა. ქარხნებმა და ფაბრიკებმა მუშაობა შეწყვიტეს. შეწყდა ექსპორტი და იმპორტი. არაფრის შემოტანა არ შეიძლებოდა, რაც შეეხება გატანას, ნაწილობრივ ძალაში დარჩა, რადგან ოკუპანტებს თურქეთში გაჰქონდათ დიდძალი ნაძარცვი ქონება. ახალ რეჟიმს შედეგად მოჰყვა ცხოვრების არაჩვეულებრივად გაძვირება. ქალაქში ყველგან სიბინძურე სუფევდა. ცენტრალური ქუჩებიც სანაგვე ადგილს დაემსგავსა. ოკუპანტებმა ქალაქში დატოვეს მხოლოდ ერთი ასენიზატორი, რომელსაც სამხედრო უწყებამ ყველა კასრი წაართვა. გავრცელდა ინფექციური დაავადებანი. საავადმყოფო ავადმყოფებს ვერ იტევდა.[1]

სახელმწიფო დაწესებულებებისა და მოსახლეობის ძარცვამ თავიდანვე ფართო ხასიათი მიიღო. ამას ხელს უწყობდა თვით თურქეთის მძიმე მდგომარეობა. პირველ მსოფლიო ომში თურქეთმა თავისი რესურსები ამოწურა, მოსახლეობა და ჯარი სურსათისა და სხვა პირველი მოთხოვნილების საგნების დიდ სივიწროვეს განიცდიდა. ჯარისკაცებს თვეობით არ ეძლეოდათ ჩაი და შაქარი. ამიტომ აჭარაში ისინი იტაცებდნენ ყველაფერს, რასაც წააწყდებოდნენ.

1 აჭარის ასსრ ცენტრალური არქივი, ფ. 7. ს. 772, ფურც. 31.

დატაცება მათ ხელობად გაიხადეს. ამ საქმეში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ დიდი და პატარა მოხელეები, გენერლები და ჯარისკაცები. დატაცებული ქონების უმეტესი ნაწილი თურქეთში იგზავნებოდა. ამიტომ იყო, რომ სურსათი და მანუფაქტურა ბათუმსა და აჭარის რაიონებში სრულებით არ იშოვებოდა. ბათუმში მოსახლეობას დღეში მხოლოდ 200 გრამი შავი პური ეძლეოდა.

ასეთი მდგომარეობა იყო აჭარაში 1918 წ. აპრილის შუა რიცხვებში. თავისთავად ცხადია, რომ მომდევნო თვეებში მოსახლეობის მდგომარეობა გაცილებით გაუარესდებოდა, რადგან ძარცვა-გლეჯა სულ უფრო ფართო ხასიათს იღებდა. პირველი საჭიროების საგნებზე ფასები ყოველ საათობით იზრდებოდა. მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა აუტანელი გახდა. ცხოვრება იმდენად გაძვირდა, რომ მიუხედავად მკაცრი რეპრესიებისა, მუშა-მოსამსახურეები ხშირად აწყობდნენ გაფიცვებს და მოითხოვდნენ ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.[1]

თურქთა ოკუპაციის პერიოდში ქ. ბათუმის სათათბირომ ის უფლებებიც დაჰკარგა, რომელიც მას მეფის თვითმპყრობელობის დროს ჰქონდა. თურქები მას თურქთა ადგილობრივი ადმინისტრაციის ნაწილად თვლიდნენ და ქალაქის მეურნეობასაც სურვილისამებრ განაგებდნენ. მოსამსახურეთა მიღება და დათხოვნა მათი თანხმობის გარეშე არ შეიძლებოდა.

ოკუპანტები ადგილობრივ კანონმდებლობას ანგარიშს არ უწევდნენ. მიუხედავად სულთანის ახალი ფირმანისა, რომლის ძალით ახლად შეერთებულ ოლქებში (მათ შორის ბათუმის ოლქში), დროებით ძალაში რჩებოდა ადგილობრივი კანონები, ბათუმის ოლქის მუტესერიფმა ადგილობრივ ნოტარიუსებს უბრძანა არ გაეფორმებინათ ყიდვა-გაყიდვის, ან უძრავი ქონების სხვაზე გადაცემის აქტები. ძნელი წარმოსადგენია ის მდგომარეობა, რომელშიაც ამ ბრძანების შედეგად აღმოჩნდა ბათუმის მოსახლეობა. ყოველმხრივ გზა დაეხშო მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც ქონების გაყიდვას და თურქი ოკუპანტების კლანჭებისაგან თავის დახსნას, ბათუმის ოლქიდან გაქცევას ცდილობდა.[2]

ოკუპანტებმა მოშალეს სწავლა-განათლების საქმე. სკოლებში მეცადინეობა ჯერ კიდევ მარტში შეწყდა. სასკოლო შენობები ეკავა თურქთა ადმინისტრაციას ან ჯარს. ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები ყაზარმებად აქციეს.

იდევნებოდა პრესაც. ოკუპანტების შემოსვლასთან დაკავშირებით შეწყდა გაზეთების გამოცემა. მოსახლეობა ბნელეთში დამწყვდეული აღმოჩნდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ნებადართულ იქნა ოფიციოზის გამოცემა, გაზეთის არაოფიციალურ ნაწილზე სასტიკი ცენზურის დაწესებით. აპრილის ბოლო რიცხვებში ამ გაზეთმაც არსებობა შეწყვიტა. გაზეთები არც სხვა ქალაქებიდან შემოჰქონდათ. უფრო გვიან გაზეთების ნაცვლად დაიწყეს დეპეშების ბეჭდვა. დეპეშებში პოლიტიკური ცნობები ტენდენციურად იყო გაშუქებული. ასეთი დეპეშები დიდი დაგვიანებით ხელზე იყიდებოდა.

1 აჭარის ასსრ ცენტრალური არქივი, ფ. 7, ს. 735.
2 გაზ. „ბატუმსკია ვესტი", № 2217, 1919 წ.
მუტესერიფის ამ ბრძანების გამო შავრაზმელი მასლოვიც იძულებული იყო ეთქვა: „თურქ ხელისუფალთა მიერ მიწის გაყიდვის აკრძალვამ პირდაპირ ტრაგიკულ მდგომარეობაში ჩააყენა მფლობელები, განსაკუთრებით წვრილი მფლობელები." (აჭარის ასსრ ცენტრალური არქივი, ფ. 7, ს. 729). ქალაქის სათათბირომ კატეგორიულად მოითხოვა მუტესერიფის ბრძანების გაუქმება.

დაიწყო მასობრივი უმუშევრობა. იმის გამო, რომ ადმინისტრაცია მთლიანად თურქებისაგან შედგებოდა, ადგილობრივი ინტელიგენცია ულუკმაპუროდ დარჩა. თვითონ შავრაზმელი მასლოვი, რომელიც თურქების სამსახურში ჩადგა, იძულებული შეიქნა მოსახლეობის მდგომარეობის შესახებ ეთქვა: „ბათუმში ჩაკვდა როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური ცხოვრება. სამიმოსვლო კავშირი ძლივ-ძლივობით არის, სატვირთო — არავითარი.

ქალაქში იგრძნობა სულიერი შიმშილი გაზეთების უქონლობის გამო... ხორბალი მხოლოდ ორი კვირის საყოფი დარჩა... ადმინისტრაცია თავიდან ბოლომდე ბიუროკრატიულია... სულ უბრალო საქმისათვის საჭირო ხდება უმაღლეს ხელისუფლებთან მისვლა. მთელი ადმინისტრაცია შედგენილია თურქებისაგან. ყველა შენობა დაკავებულია თურქების მიერ. მათ დაკავებული აქვთ ჩაქვის მამულიც... მოსახლეობის პოლიტიკური და უფლებრივი მდგომარეობა საფრთხეშია, ხოლო ეკონომიური მდგომარეობა მძიმეა. ინტელიგენციის შრომაზე მოთხოვნილება არ არის. ინტელიგენციის ერთი ნაწილი მუშაობს ჩაქვის ჩაის პლანტაციებში, სადაც ერთი ფუთი ფოთლის მოკრეფაში 15-20 კაპიკს ღებულობს. იქ მუშაობს აგრეთვე ოფიცერთა ერთი ასეთი არტელი."[1]

თურქი ოკუპანტები ბათუმიდან და ბათუმის ოლქიდან მასობრივად აძევებდნენ იმათ, რომლებიც არასაიმედო ელემენტებად მიაჩნდათ. ასეთი ადამიანები კი მოსახლეობის უმეტეს ნაწილს შეადგენდნენ. მასობრივმა გასახლებამ გამოიწვია სამეურნეო ცხოვრების სრული მოშლა. თვითონ ქალაქის სათათბირო, რომელიც ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ელემენტებისაგან შედგებოდა, იძულებული გახდა პროტესტი განეცხადებინა მოსახლეობის მასობრივი გასახლების გამო. სათათბიროს მიერ მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია: „იმის გამო, რომ მოსახლეობის გასახლებამ მასობრივი ხასიათი მიიღო, რაც დიდ პანიკას და ეკონომიური ცხოვრების მოშლას იწვევს, სათათბირო თურქ ხელისუფალთა მოქმედებას თვლის უკანონოდ და გამოთქვამს პროტესტს, რათა ბოლო მოეღოს თურქ ხელისუფალთა უკანონო ბრძანებებს და გაცემულ იქნას განკარგულება გასახლებულ პირთა დაუყოვნებლივ უკან დაბრუნების შესახებ.[2]

აჭარის მშრომელებმა იმთავითვე დაიწყეს თურქ ოკუპანტებთან ბრძოლა. მოსახლეობა პროტესტს აცხადებდა საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ. მოსახლეობის ეს განწყობილება უფრო მკაფიოდ გამოჩნდა რეფერენდუმის ჩატარების დროს. როგორც ცნობილია, ბრესტის ზავის პირობები ითვალისწინებდა აჭარასა და მთელ ოლქში მოსახლეობის განწყობილების გამოსარკვევად რეფერენდუმის ჩატარებას.

1 გაზ. „ბორბა", № 100, 1918 წ.
2 აჭარის ასსრ ცენტრალური არქივი, ფ. 7, ს. 733.

რეფერენდუმი ივლისში ჩატარდა, თურქი ასკერები მოსახლეობას აიძულებდნენ ხმა მიეცათ თურქეთის სასარგებლოდ, ხოლო ურჩებს მკაცრად სჯიდნენ. მოსახლეობის მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა ღია კენჭისყრამ. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ხმა მისცა თურქეთის საწინააღმდეგოდ, ხოლო ერთმა ნაწილმა რეფერენდუმს ბოიკოტი გამოუცხადა.[1] მაგრამ თურქებმა რეფერენდუმის შედეგები მაინც თავის სასარგებლოდ გამოაცხადეს. ეს იყო რეფერენდუმის პაროდია. რეფერენდუმი თავისი კომიკური შედეგებით სასაცილოდ არ ეყოთ თვით კონსტანტინოპოლის ხელისუფალთ. სულთანმა ამ რეფერენდუმს მუტესერიფის ფანტაზია უწოდა.

თურქთა ოკუპაციის პერიოდში აჭარის გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა მათხოვრულ დონემდე დაქვეითდა. მრავალ სხვადასხვა ნატურალურ ვალდებულებათა შესრულება (სამხედრო ტვირთის გადაზიდვა, გზების გაყვანა და შეკეთება, სასურსათო პროდუქტების უფასოდ ჩაბარება) და გადასახადების გადახდა გლეხის შეძლებას აღემატებოდა. გარდა ამისა, თურქეთის ჯარი მუსრს ავლებდა ყველაფერს. პირუტყვი და ფრინველი დაკლეს და შეჭამეს. ძვირფასი კულტურები: ციტრუსები, ხეხილი და სხვ. მოსპეს, ხოლო ნედლი სიმინდი ცხენებს შეაჭამეს.

თურქები მთელი ამიერკავკასიის დაპყრობას ცდილობდნენ. ამიტომ, საჭირო იყო ჯარების შევსება ახალი ძალებით. ამ მიზნით ოკუპანტებმა სცადეს აჭარაში სამხედრო მობილიზაციის ჩატარება. მაგრამ ამაოდ, ადგილობრივმა მოსახლეობამ კატეგორიული უარი განაცხადა თურქეთის სამსახურზე. როცა თურქმა ხელისუფლებმა ძალას მიმართეს, მოსახლეობამ საყოველთაო აჯანყებით უპასუხა. თურქეთის ადმინისტრაციის ბოროტი განზრახვა ჩაიფუშა. იგი იძულებული გახდა გაეუქმებინა ბრძანება ჯარში გაწვევის შესახებ.

თურქები მაინც არ ცხრებოდნენ. კონსტანტინოპოლიდან შემოგზავნილი მრავალრიცხოვანი ემისრები აჭარის სოფლებში დაძრწოდნენ და მოსახლეობას თურქეთის სამსახურისაკენ მოუწოდებდნენ. მათ ეხმარებოდა მოღალატე ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილიც, რისთვისაც მას თურქეთის მთავრობამ გენერლის ხარისხი და ფაშობა უბოძა. მაგრამ აჭარის მოსახლეობა თურქი აგენტების პროპაგანდას ენერგიულ წინააღმდეგობას უწევდა. ამის გამო ერთ-ერთი კორესპონდენტი წერდა: „მოიპოვება ეუმიუტანელი მონაცემები იმის შესახებ, რომ ქვემო და ზემო აჭარისა და ქობულეთის რაიონის (ცენტრიშის უბანი) მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა მსგავს პროპაგანდას უწევს ძლიერ წინააღმდეგობას".[2]

თურქეთის ადმინისტრაციას არ შეეძლო მოსახლეობისათვის ეპატიებინა ეს. თურქებმა შური იძიეს მით, რომ მთელი აჭარა გაძარცვეს და მოსახლეობის საუკეთესო ნაწილი ადგილზევე მოსპეს, ან კონსტანტინოპოლში გადაასახლეს. გადასახლებაც ხშირად სიკვდილით დასჯას უდრიდა, რადგან ბევრი გადასახლებული კონსტანტინოპოლამდე ცოცხალი ვერ აღწევდა.

იმ უდიდესი ზარალის შესახებ, რომელიც ოკუპანტებმა აჭარას მიაყენეს,

1 ხშირი იყო შემთხვევა, როცა ასკერების თვალწინ ხმას აძლევდნენ თურქეთის წინააღმდეგ. მაგალითად, ასე მოიქცა ქობულეთელი თხილიშვილი. ოფიცერმა ბრძანა მისი ბოძზე მიკვრა და დახვრეტა. იგი დახვრეტას გადარჩინა ერთმა გავლენიანმა ქართველმა.

2 ვაზ. „ბაკურმსკია ვესტი", № 2217, 1919 წ.

მკაფიოდ მეტყველებენ სპეციალური გამომკვლევი კომისიის მასალები. თურქებმა დიდი ზარალი მიაყენეს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებსაც. ოკუპანტებმა აჭარის სკოლები გაძარცვეს და მთელი ქონება კონსტანტინოპოლში გაგზავნეს. მათ ბათუმის სკოლებში მერხებიც კი არ დატოვეს. მარტო სამი დაწყებითი სკოლისათვის მიყენებული ზარალი ოქროს კურსით 69 ათას მანეთს აღემატებოდა.[1]

თურქებმა დიდი ზარალი მიაყენეს ქალაქის მეურნეობას, სულ მთლიანად გაანადგურეს სუბტროპიკული კულტურების სანერგე, იგი ცხენების საძოვრად გადააქციეს. ზარალი 233 ათას მანეთს აღემატებოდა. ოკუპანტებმა დაანგრიეს მთელი რიგი დაწესებულებები. მარტო ქალაქის თვითმმართველობისათვის მიყენებული ზარალი 1.167.400 მანეთს უდრიდა.[2]

ანალოგიური სურათი იყო მთელ აჭარაში. ოკუპანტებმა გაძარცვეს ჩაქვის ჩაის მეურნეობა. წაიღეს 359.000 მანეთად ღირებული მზა ჩაი. სულ ჩაქვის მეურნეობისათვის მიყენებული ზარალი 434.533 მანეთს აღემატებოდა. ზემო და ქვემო აჭარის დაწესებულებების ზარალი 300 ათას მანეთს აღწევდა.

თურქმა ოკუპანტებმა გაძარცვეს კერძო მოსახლეობაც. მაგ., ქობულეთის მაზრის მარტო 85 ოჯახისათვის წართმეული ქონება ერთ მილიონ მანეთს აღემატებოდა. ასევე, ჭოროხის მაზრაში 86 ოჯახისათვის მიყენებული ზარალი 137.351 ოქროს მანეთს შეადგენდა. თურქებმა აჭარისწყლის მაზრის მაღაზიებიდან გაიტაცეს 63.000 მანეთის საქონელი.

ასეთი იყო მოკლედ თურქ ოკუპანტთა ბატონობის სურათი აჭარაში. აქ მოყვანილი რამდენიმე მაგალითი, ვფიქრობთ, საკმარისია თურქთა მხეცობის და მტაცებლობის დასახასიათებლად.

მიუხედავად იმისა, რომ თურქ ოკუპანტთა რეჟიმი რევოლუციური მუშაობის საშუალებას არ იძლეოდა, აჭარის მშრომელებს შორის პოლიტიკური საქმიანობა მაინც წარმოებდა. ის გარემოება, რომ თურქეთის მთავრობამ ვერ შეძლო სამხედრო მობილიზაციის ჩატარება, მოსახლეობაში ბოლშევიკების დიდ მაორგანიზებელ მუშაობაზე მეტყველებს. ამ საქმეში ბოლშევიკებს ეხმარებოდნენ ადგილობრივი პროგრესული ადამიანები, რომელთაგან აღსანიშნავია ჰაიდარ აბაშიძე, რეჯებ ნიჟარაძე და სხვები.

არალეგალურ მუშაობას უფრო ფართო ხასიათი ჰქონდა ბათუმის მუშებში. ნობელის ქარხანაში და ზოგ სხვა საწარმოს მუშათა შორის გაცხოველებით წარმოებდა პოლიტიკური მუშაობა, მას ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ. ისინი პოლიტიკური საქმიანობისათვის ფართოდ იყენებდნენ პროფკავშირებს. მენავთობეთა შორის ნაყოფიერ მუშაობას ატარებდა ნობელის ქარხნის მუშათა პროფკავშირი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ა. დიმიტროპულო.

რკინიგზისა და დეპოს მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის მუშაობას ხელმძღვანელობდა ამხ. ერასტი ბახტაძე, რომლის ენერგიული მუშაობის შედეგად პროფკავშირის ხელმძღვანელობა მთლიანად კომუნისტების ხელში გადავიდა. აღნიშნული პროფკავშირი აქტიურად იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

1 აჭარის ასსრ ცენტრალური არქივი, ფ. 62, ს. 2.
2 იქვე, ფ. 77, ს. 2.

1918 წლის მეორე ნახევარში მსოფლიო ომის მიმდინარეობა ანტანტის სასარგებლოდ შეიცვალა. გერმანიას ზედიზედ ჩამოცილდნენ მოკავშირეები, რის შედეგად მკვეთრად გაუარესდა მისი მდგომარეობა. ნოემბრის დამდეგს გერმანიაში ბურჟუაზიულმა რევოლუციამ გაიმარჯვა. გერმანიამ ანტანტის წინაშე უსიტყვო კაპიტულაცია მოახდინა. ომში დამარცხებისა და ოკუპირებული მოსახლეობის შეუპოვარი წინააღმდეგობის გამო გერმანელი და თურქი ოკუპანტები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ საქართველოს ტერიტორია. მაგრამ მშრომელების თვალში ავტორიტეტდაკარგულ ქართველ მენშევიკებს აღარ შეეძლოთ ძალაუფლების შენარჩუნება ისე, თუ არ დაეყრდნობოდნენ გარეშე ძალებს. მშრომელი მასების მზარდი რევოლუციური მოძრაობა მენშევიკურ მთავრობას ყველაზე უფრო აშინებდა. ამიტომ ქართველმა მენშევიკებმა სწრაფად შეიცვალეს ორიენტაცია და იწყეს ინგლისელი იმპერიალისტების მფარველობის ძებნა.

„საქართველოს მთავრობა აღიარებს, — ეუბნებოდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მენშევიკი ე. გეგეჭკორი ინგლისის საგანგებო კომისარს ამიერკავკასიაში გენ. უორდროპს, — რომ იგი უნდა ემყარებოდეს რომელიმე ძლიერ სახელმწიფო ორგანიზმს, და ამ შეგნებამ გვიკარნახა გარკვეული ორიენტაცია ინგლისისადმი... შექმნილი კონიუნქტურის დროს საქართველოს მარტოდ, სხვის დაუხმარებლად არ შეუძლია ყველა განსაცდელს გაუძლოს, იგი თხოვს დახმარებას ინგლისს...“[1]

ასე უღალატეს მენშევიკებმა ქართველ ხალხს და სამშობლო ინგლისელ კოლონიზატორებს მიყიდეს. ქართველი მენშევიკების მოწვევითა და თანხმობით 1918 წლის დეკემბერში საქართველოში ინგლისის ჯარი შემოვიდა. 23 დეკემბერს ინგლისელებმა ბათუმი დაიკავეს. თურქი ოკუპანტები ახალმა ოკუპანტებმა შესცვალეს.

ინგლისის ჯარის მიერ ბათუმის ოკუპაციის შემდეგ ოლქის სამხედრო გუბერნატორად დაინიშნა ინგლისელი გენერალი კუკ-კოლისი. ინგლისელებმა აქ მკაცრი კოლონიური რეჟიმი დაამყარეს. მთელი ძალაუფლება სამხედრო გუბერნატორის ხელში გადავიდა. მან ოლქის მართვა-გამგეობისათვის ფორმალურად შექმნა თავისებური მთავრობა —ადმინისტრაციული საბჭო 9 კაცის შემადგენლობით („ცხრათა საბჭო“) პირწავარდნილი შავრაზმელების, მასლოვისა და ანისიმოვის, მეთაურობით, მაგრამ გუბერნატორი იყო განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვილი, ადმინისტრაციული საბჭო მთლიანად და ყველაფერში მას ემორჩილებოდა.

ადმინისტრაციულმა საბჭომ თავის 1918 წლის 30 დეკემბრის სხდომაზე ოლქი გაყო 7 საპოლიციო უბნად (კინტრიშის, გონიოს, ზემო აჭარის, ქვემო აჭარის, ართვინის, შავშეთის და არტანუჯის უბნები), ხოლო უბნის უფროსებად დანიშნა ცნობილი შავრაზმელები.[2] პოლიცია შედგენილ იქნა მთლიანად ინგლისელებისაგან, ხოლო მილიცია რუსი შავრაზმელებისაგან, რომელსაც სათავეში ისევ ინგლისელი ოფიცრები ედგნენ. აჭარა ინგლისელმა ოკუპან-

1 ციტირებულია გ. ხაჭაპურიძის წიგნიდან „საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში“, 1954 წ., გვ. 245.

2 აჭარის ასსრ ცენტრალური არქივი, ფ. 77, ს. 1.

ტებმა კოლონიად გადააქციეს. ბათუმის ოლქი სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაში ჩავარდა, ვიდრე საქართველოს დანარჩენი ნაწილი. საქართველოს მთავრობის ძალაუფლება მასზე აღარ ვრცელდებოდა.

აჭარის მოსახლეობა თავიდანვე უდიდესი გულისწყრომითა და აღშფოთებით შეხვდა ოლქში ინგლისელი ოკუპანტების მიერ კოლონიური რეჟიმის დამყარებას. აჭარის მოსახლეობის პროგრესული ელემენტები ბოლშევიკების ხელმძღვანელობით სათავეში ჩაუდგნენ დიდ მოძრაობას, რომელიც მიმართული იყო ინგლისელ ოკუპანტთა და რუს შავრაზმელთა წინააღმდეგ. მოსახლეობამ უაღრესად ენერგიული პროტესტი განაცხადა უბნის კომისრებად შავრაზმელთა დანიშვნის გამო და მოითხოვა მათი დაუყოვნებლივ უკან გაწვევა. აჭარაში ყველგან იმართებოდა საპროტესტო მიტინგები და მასობრივი კრებები. მოსახლეობა საოკუპაციო რეჟიმს აქტიურ ბოიკოტს უცხადებდა. საპროტესტო მოძრაობამ აჭარაში მეტად ფართო და შეუპოვარი ხასიათი მიიღო. ბოლოს ეს მოძრაობა აქა-იქ აშკარა აჯანყებაში გადაიზარდა. კერძოდ, აჯანყებამ იფეთქა კინტრიშის უბანში.

კინტრიშის უბნის მოსახლეობამ არ მიიღო უბნის კომისრად დანიშნული უცხოელი ფონ დერ-გებენი და მისი თანაშემწე მარეევი. ხალხმრავალ ყრილობაზე, რომელიც შედგა ქობულეთში 1919 წ. 6 იანვარს, მოსახლეობამ უბნის უფროსად აირჩია ადგილობრივი ქართველი ირემაძე.

ყრილობის შემდეგ გაიმართა გრანდიოზული მიტინგი, რომელმაც მიიღო დადგენილება სამხედრო გუბერნატორისათვის ულტიმატუმის. წაყენების შესახებ. მოსახლეობა იმუქრებოდა, რომ თუ გუბერნატორი თავის მოხელეებს ქობულეთიდან უკან არ გაიწვევდა, საქმე იარაღის გამოყენებით დამთავრდებოდა.

საპროტესტო მოძრაობა მთელ აჭარაში განვითარდა, მალე ართვინის ოლქში (ოკრუგი) გადავიდა და ართვინის, არტანუჯისა და შავშეთ-იმერხევის უბნებს მოედო.

ამრიგად, ინგლისელ ოკუპანტთა მიერ დამყარებულ რეჟიმს ოლქის მოსახლეობამ აქტიური ბოიკოტი გამოუცხადა. 8 იანვარს ბათუმში შედგა მთელი ოლქის სხვადასხვა უბნის წარმომადგენელთა ყრილობა. ყრილობამ დაგმო ოკუპანტთა კოლონიური რეჟიმი, მოხელეებად უცხოელებისა და რუს შავრაზმელთა დანიშვნა და მტკიცედ მოითხოვა უკანონოდ შედგენილი მმართველი საბჭოს დათხოვნა და ქართველებისაგან ახალი საბჭოს შედგენა.[1]

მღელვარებამ აჭარაში ისეთი ფართო და შეუპოვარი ხასიათი მიიღო, რომ ადმინისტრატორებად დანიშნული პირები უბნებში წასვლას ვერ ბედავდნენ. მოსახლეობა მათ მოკვლით ემუქრებოდა.

1919 წლის 8 იანვარს ადმინისტრაციულ საბჭოს ეწვია აჭარის მოსახლეობის დეპუტაცია და მოითხოვა, რომ უბნის უფროსები მოსახლეობას აირჩია. მმართველი საბჭო ჩიხში მოექცა, მოსახლეობა მას არ ემორჩილებოდა. საოკუპაციო რეჟიმით უკმაყოფილო იყო ქალაქის სათათბიროც. მან მოითხოვა მმართველი საბჭოს ძველი შემადგენლობის დათხოვნა და ახალის არჩევა. მაგრამ კუკ-კოლისმა ეს თხოვნა კატეგორიულად უარყო.[2] და

1 გაზ. „ერთობა", № 12, 1919 წ.
2 აჭარის ასსრ ცენტრალური არქივი, ფ. 7, ს. 740-741.

კინტრიშის უბნის „დასაწყნარებლად“ 60 ინგლისელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაგზავნა. როგორც მასალებიდან ირკვევა, ამ რაზმით მღელვარების ჩაქრობა შეუძლებელი გახდა და გამოთხოვილ იქნა დამატებითი სამხედრო ძალები.[1]

ამრიგად, აჭარაში „წესიერების“ აღდგენა ხდებოდა ცეცხლითა და მახვილით, ქვემეხებითა და ტყვიამფრქვევებით.

მიუხედავად მკაცრი რეპრესიული ზომებისა, ინგლისელებმა მაინც ვერ მოახერხეს „სიმშვიდისა“ და „მყუდროების“ აღდგენა. აჭარის მოსახლეობა ბრძოლას შეუპოვრად განაგრძობდა. ინგლისელ ოფიცრებზე, პოლიციის მოხელეებზე და სხვა თანამდებობის პირებზე თავდასხმამ მასობრივი ხასიათი მიიღო. გენ. კუკ-კოლისმა 1919 წლის ზაფხულში მკვლელობისა და თავდასხმების აღკვეთის მიზნით გამოსცა სპეციალური ბრძანება. ამ ბრძანების საფუძველზე ათობით მოწინავე ადამიანი სიკვდილით დასაჯეს. ივნისში ინგლისის სამხედრო სასამართლოს დადგენილებით სიკვდილით დასაჯეს ერთი ქართველი მაჰმადიანი მხოლოდ იმისათვის, რომ მას ბრალი ედებოდა ინგლისელი ჯარისკაცის მოკვლის განზრახვაში.

ინგლისელი ოკუპანტები საქართველოში თავს ისე გრძნობდნენ, როგორც საკუთარ ოჯახში. მათ საუკეთესო შენობები ყაზარმებად გადააქციეს, ხოლო შენობებიდან ძალით გამოძევებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს ნივთების სხვაგან გადატანის საშუალებასაც არ აძლევდნენ. 1919 წლის იანვარში ფოთის პროფკავშირის თავმჯდომარე საქართველოს მთავრობას დეპეშით ატყობინებდა:

„ინგლისის ჯარმა დაიკავა ნავსადგურში პროფესიონალური კავშირის შენობა, სადაც მოთავსებული იყო კავშირის იაფფასიანი სასადილო, მისივე გამგეობა და სამკითხველო. არავითარმა ზომამ ვერ გაჭრა, არ მოისურვეს არც ქალაქის წარმომადგენელთან ლაპარაკი. ვადაც არ მოგვცეს ნივთებისა და ჭურჭლების გადასატანად. იძულებული ვხდებით ერთადერთი სასადილო მუშებისათვის — დავხუროთ. კავშირს სრული განადგურება მოელის. ირღვევა ამდენი შრომით შექმნილი ორგანიზაცია. ადგილობრივი მუშათა ცხოვრება საშინელ უბედურებას განიცდის. მუშებში ღელვაა...

გთხოვთ ენერგიული ზეგავლენა მოახდინოთ ინგლისის მისიაზე — შენობა გაანთავისუფლონ. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია საყოველთაო გაფიცვა.“[2]

კიდევ უფრო უხეშად იქცეოდნენ ინგლისელები აჭარაში. აქ მათ თავიდანვე დაიკავეს კარგი შენობები. ბათუმის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების შენობებში ჯარისკაცები და ცხენები მოათავსეს. ინგლისელები აბუჩად იგდებდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ზნე-ჩვეულებასა და სხვ.

ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებამ ბათუმის ოლქი მოწყვიტა რუსეთს, საქართველოს და იგი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად გადააქცია. ამ საქმეში მას საქართველოს მენშევიკური მთავრობა აქტიურად ეხმარებოდა. ინგლისელები ფართო გასაქანს აძლევდნენ და ეხმარებოდნენ თეთრგვარდიელ გენერლებს დენიკინის „მოხალისეთა არმიისათვის“ გაეგ-

1 აჭარის ასსრ ცენტრალური არქივი, ფ. 77, ს. 1.
2 გაზ. „ერთობა“, № 6, 1919 წ.

ПРОТЕСТЪ

РАБОЧИХЪ ГОР. БАТУМА

по поводу гоненій на печать.

Совѣтъ профессіональныхъ союзовъ г. Батума, обсудивъ вопросъ о закрытіи газеты „Батумскія Вѣсти" принялъ слѣдующую резолюцію: „Усматривая въ закрытіи органа печати въ административномъ порядкѣ нарушеніе признанныхъ всѣми цивилизованными странами основного права на свободу печати, а также признавая въ этомъ актѣ попраніе одного изъ завоеваній Россійской революціи, Совѣтъ профессіональныхъ союзовъ гор. Батума заявляетъ свой самый энергичный протестъ.

Общее собраніе союза низшаго персонала лесобирж[illegible] гор. Батума выражаетъ [illegible] энергичный протест[illegible] закрытія въ административномъ порядкѣ газ. „Батум. Вѣсти", усматривая въ этомъ актѣ попраніе завоеваній Россійской революціей свободы, въ частности свободы печати.

Правленіе профес. союза береговыхъ и строительныхъ рабочихъ, обсудивъ вопросъ о закрытіи газ. „Батум. Вѣсти" выражаетъ свой энергичный протестъ [illegible] свободы печати и подавленіе ея.

Профессіональный союзъ метлистовъ гор. Батума выражаетъ рѣшительный протестъ противъ закрытія газ. „Батумскія Вѣсти", такъ какъ такой административный произволъ является грубымъ нарушеніемъ всѣхъ правъ свободы печати существующей во всѣхъ культурныхъ странахъ.

Правленіе профес. союза служащихъ торгово-промышленныхъ предпріятій гор. Батума, обсудивъ фактъ закрытія въ административномъ порядкѣ газ. „Батум. Вѣсти" и усматривая въ этомъ попраніе основного права всѣхъ свободныхъ странъ—свободы печати—заявляетъ свой энергичный протестъ противъ воздѣйствія грубой силы на органъ печати.

Присоединяясь къ общему гонгсу всѣхъ рабочихъ гор. Батума, правленіе профессіональнаго союза рабочихъ [illegible] объявляетъ рѣшительный протестъ противъ незаконныхъ мѣръ воздѣйствія на свободный голосъ печати.

ბათუმის მუშათა პროტესტი ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლების მიერ გაზეთ „ბატუმსკია ვესტის" აკრძალვის გამო.

ზავნათ ცოცხალი ძალა და მომარაგება — ნავთპროდუქტები, ქვანახშირი, ჩაი და სხვ.

ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებამ ფართოდ გაუღო კარი წითელ არმიის მიერ რუსეთიდან გამოძევებულ თეთრგვარდიელებს და ბათუმი საბჭოთა ხელისუფლების მტრებით გაავსო. ამის შედეგად, 1919 წელს მოსახლეობის რიცხვი 45 ათასამდე გაიზარდა, ხოლო 1920 წელს — 90 ათასამდე. მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ თეთრგვარდიელთა ხარჯზე, ცხოვრების არაჩვეულებრივი გაძვირება გამოიწვია. ბურჟუაზიული შემადგენლობის ქალაქის სათათბიროც იძულებული გახდა ეღიარებინა ეს გარემოება. გამგეობის ერთმა წევრმა სათათბიროს სხდომაზე (1919 წლის ივნისი) ასე განაცხადა: „საბინაო კრიზისი ამჟამად უკიდურესად გამწვავდა. გაპოხიერდა ნიადაგი საცხოვრებელი და არა საცხოვრებელი ბინებით კოშმარული სპეკულაციისათვის... ერთი ოთახის მინიმალური ქირა მოსამსახურის მინიმალური ხელფასის თანასწორია... ექსპლოატაცია არაჩვეულებრივი ტემპით იზრდება. ეს იგივე სამოქალაქო ომია, მხოლოდ შესახედავად უსისხლო. ბატონებო, ადამიანები ჭამენ ერთმანეთს".[1] ამას ამბობდა ის ადამიანი, რომელიც თვითონ იყო ექსპლოატატორი და ისიც კი იძულებული გახდა ხმა ამოეღო ცხოვრების არაჩვეულებრივი გაძვირების გამო.

11 ივნისს ქალაქის სათათბიროს მოთხოვნით დაარსდა საბინაო-მომრიგებელი კამერა, მაგრამ ამას არავითარი დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. თეთრგვარდიელი ოფიცრები და ინგლისელი ოკუპანტები არავის არ ემორჩილებოდნენ და საცხოვრებელ ბინებს კვლავ ძალით იგდებდნენ ხელში.

როგორც აღვნიშნეთ, ინგლისელმა ოკუპანტებმა ბათუმი და მთელი აჭარა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად გადააქციეს. რუსმა თეთრგვარდიელებმა ბათუმში სამხედრო შტაბიც კი შექმნეს. შტაბს თავისი წარმომადგენლები ჰყავდა ოლქის ყველა უბანში. მათ ევალებოდათ დენიკინის არმიისათვის დახმარების ორგანიზაცია. მთელ ამ საქმიანობას ხელმძღვანელობდნენ გენ. ნათიევი, ბათუმის ოლქის უოფილი სამხედრო გუბერნატორი რომანოვსკი, უფრო გვიან გენ. ლიახოვი და სხვები.

აჭარის ბოლშევიკურმა-ორგანიზაციამ ადგილობრივი პროგრესული ძალების ენერგიული დახმარებით შეურიგებელი ბრძოლა გააჩაღა დენიკინელთა წინააღმდეგ. აჭარის სოფლებში ხშირად იმართებოდა მასობრივი კრებები და მიტინგები, სადაც ბოლშევიკები და ადგილობრივი მოსახლეობის პროგრესული წარმომადგენლები მოუწოდებდნენ ბრძოლისაკენ ოკუპანტებისა და დენიკინელთა წინააღმდეგ.

ერთი ასეთი მიტინგი გაიმართა 1 ივლისს ქობულეთში. კორესპონდენტის თქმით, ეს იყო მთელი კინტრიშის უბნის (ქობულეთის რაიონი) ქართველ მაჰმადიანთა ყრილობა, რომელმაც მიიღო დადგენილება დენიკინისა და მისი აგენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

საოკუპაციო ხელისუფლებამ თეთრგვარდიელთა აქტიური დახმარებით აჭარის მოსახლეობის საპროტესტო მოძრაობას თეთრი ტერორი დაუპირისპირა, მაგრამ აჭარის მშრომელებმა თეთრ ტერორს წითელი მასობრივი ტერო-

1 აჭარის ასსრ ცენტრალური არქივი, ფ. 7, ს. 754.

რით უპასუხეს. 28 ივნისს მოკლეს დენიკინის წარმომადგენლები—ნათიევი და მისი ადიუტანტი ფილიპოვი.

საპროტესტო მოძრაობის ზრდით გაბოროტებულმა თეთრგვარდიულმა გაზ. „ნაშ კრაიმ“ ღვარძლიანი კამპანია გააჩაღა ბოლშევიკური ორგანიზაციისა და ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ. მაგრამ ამის საპასუხოდ სახალხო საპროტესტო მოძრაობამ ისე ფართო და შეუპოვარი ხასიათი მიიღო, რომ დენიკინის აგენტები იძულებული გახდნენ მუშაობა დროებით შეეწყვიტათ და შტაბის შენობაზე აღმართული სამფეროვანი დროშა მოეხსნათ. შტაბის უფროსი დიბენკო ეკატერინოდარში გაიქცა.

ოკუპანტებისა და თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზატორი იყო აჭარის ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელსაც 1919 წლის ზაფხულიდან კომუნისტური პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის დავალებით ცნობილი რევოლუციონერი და პარტიული მუშაკი სერგო გუბელი (შემმარიაშვილი) ხელმძღვანელობდა. სერგო გუბელის ხელმძღვანელობით ბათუმის ბოლშევიკურ არალეგალურ კომიტეტთან შეიქმნა მებრძოლი რაზმი, რომელიც ოკუპანტებსა და თეთრგვარდიელებს შიშის ზარსა სცემდა. მებრძოლი რაზმის სექციას წარმოადგენდა ამფეთქებელთა ჯგუფი. ამ ჯგუფის ხელმძღვანელობით ჩაძირულ იქნა რამდენიმე გემი, რომელთაც სამხედრო ტვირთი მიქონდა და ჯარი გადაყავდა დენიკინისათვის. მთელ ამ მუშაობას სათავეში ედგა ს. გუბელი.

ოკუპანტებისა და თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ ბრძოლას ტონს აძლევდა ბათუმის პროლეტარიატი. ბათუმის მუშები ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით თავიდან ენერგიულად იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის აჭარაში. ბათუმის პროლეტარიატი, რომელიც ბათუმის ბოლშევიკური კომიტეტის მიერ ორგანიზებულად გაერთიანდა პროფკავშირებში, მტკიცედ უჭერდა მხარს რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას და ქმნიდა ნიადაგს აჭარაში შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და მოწყობისათვის. ბათუმის ბოლშევიკური კომიტეტი მთელ ამ საქმიანობას უმთავრესად პროფკავშირების მეშვეობით წარმართავდა. ჯერ კიდევ 1919 წლის იანვრიდან 14-ვე პროფკავშირი მეტად ნაყოფიერად მუშაობდა პროფსაბჭოს ხელმძღვანელობით, რომლის შემადგენლობაში უმრავლესობას ბოლშევიკები წარმოადგენდნენ.

პროფსაბჭოსა და პროფკავშირთა გამგეობების ხელმძღვანელობით მუშათა საგაფიცვო ბრძოლა ფართოდ გაიშალა.[1] ეს ბრძოლა კიდევ უფრო გაძლიერდა აპრილის პირველ რიცხვებში, როცა სამხედრო გუბერნატორის განკარგულებით დახურეს გაზეთი „ბატუმსკია ვესტი“. შეიქმნა საგაფიცვო კომიტი, რომელმაც პროფსაბჭოს მითითებით 8 აპრილს საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადა. მიუხედავად იმისა, რომ იმავე დღეს გუბერნატორის განკარგულებით საგაფიცვო კომიტეტის მთელი შემადგენლობა დააპატიმრეს, ახალი საგაფიცვო კომიტეტის ხელმძღვანელობით საყოველთაო გაფიცვამ 11-აპრილამდე გასტანა. აპრილში პროფსაბჭომ შექმნა „რკინის საგაფიცვო ფონდი“, საიდანაც დახმარება ეძლეოდათ გაფიცულ მუშებს.

1 გაზ. „გოლოს ტრუდა“, № 21, 1919 წ., 11 ივნისი.

მუშათა საგაფიცვო მოძრაობასთან ერთად გაძლიერდა აჭარის მოსახლეობის საერთო საპროტესტო მოძრაობა. ამ ვითარებით შეშინებული კუკ-კოლისი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და გაზეთის გამოცემის ნება დაერთო. გარდა ამისა, 14 აპრილიდან გაუქმდა შავრაზმული მმართველი საბჭო, რომელმაც რეაქციული ღონისძიებებით აჭარის მოსახლეობის ზიზღი დაიმსახურა. ბოლოს, 40-მდე პარტიული და პროფკავშირული მოღვაწეც გაათავისუფლეს, რომლებიც გაფიცვის დღეებში დააპატიმრეს.

ანტანტის პირველი ლაშქრობის განადგურების შემდეგ საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ მთავარ მებრძოლ ძალას დენიკინის არმია წარმოადგენდა. დენიკინი, რომელსაც ფართოდ ეხმარებოდნენ ანტანტისა და ამერიკის იმპერიალისტები, უშუალოდ მოსკოვს დაემუქრა. საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად ბაქოს სახელოვანი პროლეტარიატის ხელმძღვანელობით ენერგიულად გამოვიდნენ ამიერკავკასიის მშრომელი მასები. ბაქოს პროლეტარიატის მოწოდებას დენიკინის წინააღმდეგ ერთიანი რევოლუციური ფრონტის შექმნის შესახებ ერთსულოვნად გამოეხმაურნენ აჭარის მშრომელები. ბათუმის ბოლშევიკური კომიტეტის პროპაგანდისტებმა დიდი მუშაობა გაშალეს აჭარის სოფლებში. ბათუმის კომიტეტის ხელმძღვანელობით მუშებს შორის ასეთივე მუშაობას ატარებდნენ პროფკავშირები. მთელ ამ საქმიანობას შედეგად მოყვა დენიკინელთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება.[1]

ბათუმის კომუნისტური კომიტეტის ხელმძღვანელობით 1919 წელს 1 მაისის დემონსტრაცია მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩატარდა. დემონსტრაციაზე მუშებს მიჰქონდათ ბოლშევიკური ლოზუნგები: „გაუმარჯოს მუშათა საერთაშორისო დღეს 1 მაისს!“, „გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!“ და სხვ. ნურიის ბაზართან (ახლა რევოლუციის მუზეუმის შენობასთან) გამართულ მიტინგზე მგზნებარე სიტყვებით გამოვიდნენ ბოლშევიკები. მათ ამხილეს ოკუპანტებთან და თეთრგვარდიელებთან მენშევიკების თანამშრომლობა და აჭარის მშრომელებს მოუწოდეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლისაკენ. ბოლშევიკმა რუმანოვმა სიტყვა ასე დაამთავრა: „გაუმარჯოს რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას!“, „გაუმარჯოს ბოლშევიკურ პარტიას!“[2]

1919 წ. 17 მაისიდან გამოსვლა დაიწყო პროფსაბჭოს ორგანომ — გაზეთმა „გოლოს ტრუდამ“. თავისი მუშაობის შინაარსით იგი კომუნისტური გაზეთი იყო. მიუხედავად მკაცრი საოკუპაციო რეჟიმისა, გაზეთი ყოველთვის საბჭოთა ხელისუფლებისა და პროლეტარიატის დიქტატურის იდეას ქადაგებდა, დაუღალავად იბრძოდა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის.

1919 წლის ზაფხულისათვის ბათუმისა და მთელი აჭარის მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობა არაჩვეულებრივად გაუარესდა. ჯერ კიდევ ქ. ბათუმის სათათბიროს 24 თებერვლის სხდომაზე აღინიშნა: „თუ ზომები დაუყოვნებლივ არ იქნა მიღებული, საქმე შეიძლება დამშეულთა ამბოხებამდე მივიდეს“.[3] სასურსათო კომიტეტი თავისი საქმიანობით ხელს უწყობდა მხოლოდ სპეკულაციას. ერთ-ერთი ხმოსნის განცხადებით (1919 წლის 20 ივნისი) — „სასურსათო კომიტეტში ზის

1 ბათუმის რევოლუციის მუზეუმის არქივი, ფ. 5, ს. 185.
2 იქვე, ს. 200.
3 აჭარის ასსრ ცენტრალური არქივი, ფ. 7, ს. 747.

ბოროტი პირი, რომელიც სასურსათო საკითხის სწორად დაყენებას შეგნებულად ხელს უშლის... სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე და მასთან მომუშავე პირები პირადი ინტერესებისათვის სპეკულაციას ეწევიან".[1]

ქრონიკულ შიმშილობას შედეგად მოჰყვა მასობრივი დაავადება. ამ გარემოებამ ბიძგი მისცა მშრომელთა მღელვარების ზრდას. საგაფიცვო მოძრაობამ გაზაფხულიდან ფართო ხასიათი მიიღო. სამხედრო გუბერნატორის განკარგულებით დაარსდა „მომრიგებელი კამერა", მაგრამ ის მშრომელებს არაფერს არ აძლევდა. ამიტომ რევოლუციური მოძრაობა სულ უფრო იზრდებოდა. სამხედრო გუბერნატორი ბათუმის პროფკავშირების ენერგიული მოთხოვნის გამო იძულებული გახდა ერთი წლის მანძილზე მუშებისა და მოსამსახურეებისათვის სამჯერ მოემატებინა ხელფასი.[2] მიუხედავად ამისა, მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობა, პირველი მოთხოვნილების საგნებზე ფასების არაჩვეულებრივი სწრაფი ზრდის გამო, წარმოუდგენლად უარესდებოდა. ხელფასის ფიქტიურმა გადიდებამ მასების მღელვარება ვერ შეაჩერა. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მშრომელებს შორის პროლეტარიატის დიქტატურის იდეა სულ უფრო პოპულარული ხდებოდა. მუშების უმრავლესობა უკვე 1919 ზაფხულში მოითხოვდა-საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. ეს ნათლად გვიჩვენა ბათუმის პროფკავშირების საერთო საქალაქო კონფერენციამ.

პროფკავშირების კონფერენცია ჩატარდა ივლისის დამლევს. კონფერენციის მუშაობაში მთავარი ადგილი ეჭირა საკითხს მიმდინარე მომენტის შესახებ. კონფერენციის დიდმა უმრავლესობამ ერთადერთ მისაღებ ხელისუფლებად ცნო საბჭოთა ხელისუფლება.

რევოლუციური მოძრაობის აზვირთებამ და ბოლშევიკური პარტიის გავლენის სწრაფმა ზრდამ საოკუპაციო ხელისუფლებას თავზარი დასცა. აჭარის ბოლშევიკური ორგანიზაციის განადგურებისა და რევოლუციური მოძრაობის ჩახშობის მიზნით სამხედრო გუბერნატორმა 1919 წ. 5 სექტემბრიდან საალყო მდგომარეობა გამოაცხადა. აიკრძალა გაფიცვებისა და მიტინგების ჩატარება, თვალსაჩინო ადგილებზე თავმოყრა, საოკუპაციო ხელისუფლებისათვის მიუღებული ხმების გავრცელება, გაზეთების გამოცემა და გავრცელება. ამ პირობების დარღვევისათვის დამნაშავეს სიკვდილით სჯიდნენ.[3]

ოკუპანტთა რეპრესიებს აჭარის მშრომელებმა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის გაძლიერებით უპასუხეს. მუშები არ ასრულებდნენ სამხედრო გუბერნატორის სავალდებულო დადგენილებებს, უნებართვოდ ატარებდნენ კრებებსა და მიტინგებს, აფეთქებდნენ ხიდებს, აფუჭებდნენ რკინიგზას, ტელეგრაფისა და ტელეფონის ხაზებს, თავს ესხმოდნენ იარაღის საწყობებს და სხვ. ამით ისინი ხელს უშლიდნენ ოკუპანტებს მშრომელთა წინააღმდეგ მოქმედებაში.

ს. გუბელის ხელმძღვანელობით 1919 წ. სექტემბერში სოხუმიდან ჩამოიტანეს „ჯოჯოხეთური მანქანა" და ფეთქებადი ნივთიერებანი. ეს მანქანა ბათუმში ანასტასიადის ბინაში ინახებოდა. მალე აქეთქებელთა ჯგუფმა კ. ბერ-

1 აჭარის ასსრ ცენტრალური არქივი, ფ. 7, ს. 754.
2 გაზ „გოლოს ტრუდა", № 13, 14 და 65, 1919 წ.
3 აჭარის ასსრ ცენტრალური არქივი, ფ. 77, ს. 3.

ძენიშვილი, გ. ჩანგიშვილის, პ. ნოდიას, ა. დუმბაძისა და სხვა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ააფეთქა გემი, რომელსაც დენიკინისათვის საომარი, საწვავი და სხვა სამხედრო მასალა უნდა მიეწოდებინა.[1] მებრძოლი რაზმისა და ამფეთქებელთა ჯგუფის მოქმედებამ შემდეგში კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. ამიტომ გენერალ კუკ-კოლისის 5 სექტემბრის ბრძანებას მოჰყვა ინგლისის შავი ზღვის სამხედრო ძალების მთავარსარდლის გენ. მილნის 10 ოქტომბრის საგალდებულო დადგენილება „წესრიგისა და კანონის დაცვის შესახებ".[2]

დადგენილება სიკვდილით დასჯით იმუქრებოდა იმათ წინააღმდეგ, ვინც საოკუპაციო ხელისუფალთა მოთხოვნებს არ დაემორჩილებოდა და მის ინტერესებს ზიანს მიაყენებდა: რკინიგზებს, ხიდებს, ტელეგრაფსა და ტელეფონის ხაზებს გააფუჭებდა და სხვ. საოკუპაციო ხელისუფალთა თვითნებობა იქამდე მივიდა, რომ 20 ნოემბრიდან დაითხოვეს ქალაქის სათათბიროსა და გამგეობის ძველი შემადგენლობა. სამხედრო გუბერნატორმა დანიშვნის წესით თვითონ შექმნა ქალაქის დროებითი გამგეობა ინგლისელი ოფიცრის თავმჯდომარეობით. ახალი „გამგეობა" ინგლისელთა ყურმოჭრილ მსახურს წარმოადგენდა.

საალყო წესების გამოცხადების შემდეგ დროებით შეწყდა გაზეთ „გოლოს ტრუდას" გამოცემა. ბათუმელი მეწშევიკები წინადადებას იძლეოდნენ ისე შეეცვალათ გაზეთის მიმართულება, რომ საალყო წესების ვითარებაშიც მისი გამოცემა დასაშვები ყოფილიყო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გაზეთს საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაზე ხელი აეღო. ბოლშევიკებმა ეს წინადადება უარყვეს და გაზეთის გამოცემა შეწყვიტეს.

1919 წლის სექტემბრის დამდეგს რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების მომზადების შესახებ, აჯანყების დაწყება უკავშირდებოდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავს. მთელ ამიერკავკასიაში ბოლშევიკური ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ აჯანყებისათვის მზადებას, პარტიის სამხარეო კომიტეტის დავალებით ბათუმის ოლქში ამ მუშაობას სერგო გუბელი ხელმძღვანელობდა. ბათუმის კომიტეტის მებრძოლი რაზმი 1919 წლის შემოდგომაზე სერიოზულ სამხედრო ძალას წარმოადგენდა. მოსახლეობის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ბათუმის პროლეტარიატი, აჯანყების მოწყობას მხარს უჭერდა.

ართვინის მხარეში აჯანყებისათვის მზადებას ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაცია ხელმძღვანელობდა.[3] მას სათავეში ედგა კავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ ართვინში სპეციალური დავალებით მივლინებული გერასიმე კა-

1 ბათუმის რევოლუციის მუზეუმის არქივი, ფ. 5, ს. 153.

2 აჭარის ასსრ ცენტრალური არქივი, ფ. 77, ს. 3.

3 ართვინის ბოლშევიკური ორგანიზაცია ჩამოყალიბდა 1917 წ. აპრილში. მისი ორგანიზატორები იყვნენ პ. დანელიანი, გ. კაზანჯიანი, ვ. პუჩინიანი, ვ. სიხარულიძე, გურჯიანი და სხვები. ართვინის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ ბათუმის კომიტეტის ხელმძღვანელობით დიდი პოლიტიკური მუშაობა ჩაატარა ართვინის მხარეში, როგორც სომხებსა და ქართველებს, ასევე თურქებს შორის. თურქების მიერ ბათუმის ოლქის ოკუპაციის შემდეგ ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების უმრავლესობა რუსეთში გადავიდა. კერძოდ, პ. დანელიანი კომისრად მუშაობდა ეოლგის ფლოტილიაში და გმირულად დაიღუპა სამოქალაქო ომში, ხოლო გ. გურჯიანი და გ. კაზანჯიანი კელე ნაოფიერ პარტიულ და სამხედრო მუშაობას ატარებდნენ რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში.

ზანჯიანი. მას აქტიურად ეხმარებოდნენ გრიგოლ ზაქარიანი და სხვა ამხანაგები. ართვინის ორგანიზაციას მჭიდრო კავშირი ჰქონდა ბათუმის კომიტეტთან და თავის მუშაობაში მისი მითითებით ხელმძღვანელობდა. ქ. ბათუმში ახლანდელი რუსთაველის ქუჩაზე იყო პატარა სახლი, რომელიც ბათუმის კომიტეტის ერთ-ერთ კონსპირაციულ ბინას წარმოადგენდა. ართვინის ორგანიზაციის წარმომადგენლები ამ კონსპირაციულ ბინაზე ცხადდებოდნენ და სახელმძღვანელო მითითებებსაც ვ. სიხარულიძის მეშვეობით აქედან ღებულობდნენ.

ართვინის ბოლშევიკურ ორგანიზაციასაც ჰყავდა თავისი მებრძოლი რაზმი. რაზმში შედიოდნენ როგორც სომხები და ქართველები, ისე თურქი გლეხები. ართვინის ბოლშევიკური ორგანიზაციას მხარს უჭერდა და ეხმარებოდა კვარცხანის სპილენძის საბადოების მუშათა ძლიერი კოლექტივი. კვარცხანაში ნაყოფიერად მუშაობდა ბოლშევიკური უჯრედი.

ამრიგად, ბათუმის ოლქში შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება საკმაოდ კარგად მიმდინარეობდა და აჯანყების წარმატება აშკარად ჩანდა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო სამხარეო კომიტეტის მითითებით აჯანყება გადადებულ იქნა.[1]

აჭარის ბოლშევიკური ორგანიზაციისა და პროფკავშირების გავლენა მშრომელებში იმდენად გაიზარდა, რომ კვლავ დაისვა დღის წესრიგში გაზ. „გოლოს ტრუდას“ გამოცემის განახლების საკითხი. გუბერნატორს გაზეთის გამოცემის ნებართვა თხოვეს და იგი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. 1920 წლის იანვრიდან გაზეთის გამოცემა განახლდა. ეს აჭარის მშრომელთა ახალი გამარჯვება იყო.

როგორც აღვნიშნეთ, სამხედრო გუბერნატორმა პროფკავშირების ენერგიული მოთხოვნით 1919 წელს მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი სამჯერ გაადიდა. მიუხედავად ამისა, ფასების სწრაფი ზრდის გამო, მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. 1920 წლის იანვრისათვის შიმშილობამ მასობრივი ხასიათი მიიღო. შიმშილობას მოჰყვა სხვადასხვა გადამდებ სნეულებათა, მათ შორის შავი ჭირის გავრცელება.[2] მდგომარეობა იმდენად გამწვავდა რომ მოსახლეობის მღელვარებამ ახალი ძალით იფეთქა.

საოკუპაციო ხელისუფლებამ საგანგებო ზომებს მიმართა, ფეხზე დააყენა ოლქის მთელი მილიცია, საოკუპაციო ჯარი საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანა. ქალაქში პატრულებად მხოლოდ ინგლისელი ოფიცრები გამოყო. ფორტიდან ზარბაზნები ქალაქს დაუმიზნეს. ბათუმი ალყაშემორტყმულ ქალაქს დაემსგავსა.

მიუხედავად რეპრესიის გაძლიერებისა, მოსახლეობის მღელვარების შეჩერება შეუძლებელი გახდა. მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა იმ გარემოებამ, რომ 1920 წ. 10 იანვარს გამოქვეყნდა სასურსათო კომიტეტის განცხადება პურზე ფასის გადიდების შესახებ. ამან ცეცხლზე ნავთი დაასხა. 12 იანვარს დამშეული მოსახლეობის მღელვარებამ ამბოხების ხასიათი მიიღო.

ამბოხებულები თავს დაესხნენ ქალაქის გამგეობის (სათათბიროს) შენობას, სადაც მოთავსებული იყო სასურსათო კომიტეტი, ჩალეწეს ფანჯრები და

1 გაზ. „კომუნისტი“, № 100, (2446), 1929 წ.
2 გაზ. „ერთობა“, № 233, 1920 წ.

შიგ შეიპრნენ; მთელი ავეჯი დაამტვრიეს, ხოლო დოკუმენტები დასწვეს, ინგლისელი ოფიცრები სათათბიროდან გაიქცნენ. გამგეობისათვის მიყენებული ზარალი 1.600.000 მანეთს აღემატებოდა.[1] დამშეულთა მეორე ჯგუფი თავს დაესხა და გაძარცვა მაღაზიები.

სამხედრო გუბერნატორის განკარგულებით მღელვარება ჩააქრეს ინდუსთა ჯარის მეშვეობით. ქუჩები სისხლით მოირწყო.

მსგავსი მდგომარეობა შემდგომ დღეებშიც გაგრძელდა, მაღაზიები კელავ დაკეტილი იყო. სათათბიროში ინგლისელი ოფიცრები გამოჩენას ვერ ბედავდნენ.

1920 წ. 12 იანვრის მღელვარება პროფკავშირების მსჯელობის საგანი გახდა. 13 იანვარს გაიმართა პროფკავშირთა გამგეობებისა და საქარხნო კომიტეტების კონფერენცია. უნდა აღინიშნოს, რომ პროფსაბჭოს ზოგიერთმა წევრმა დამშეულთა მღელვარება სწორად ვერ შეაფასა. მაგ., მომხსენებელმა ი. პევცოვმა 12 იანვრის ამბებს ხულიგნური გამოსვლები უწოდა. ი. პევცოვი და სხვა ამხანაგები სამართლიანად გააკრიტიკეს მუშებმა. მუშა სტეფანოვმა აღნიშნა, რომ არ შეიძლება მომხდარი ამბების ხულიგნურ გამოსვლებად მონათვლა. ეს იყო მშიერი ხალხის „ბუნტი“.[2] მან მოითხოვა სასურსათო კომიტეტის დემოკრატიზაცია და სასურსათო საკითხის დაუყოვნებლივ მოგვარება.

მდგომარეობა აჭარაში მეტისმეტად დაიძაბა. საოკუპაციო ხელისუფლება მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მარტო რეპრესიებით წინააღმდეგობის ჩახშობა არ მოხერხდა. ამიტომ სამხედრო გუბერნატორი ზოგიერთ უმნიშვნელო დათმობაზე წავიდა. კერძოდ, ნება დართო ჩატარებულიყო ქალაქის სათათბიროს არჩევნები. მაგრამ საარჩევნო სისტემა დემოკრატიას გასაქანს არ აძლევდა. მენშევიკური გაზეთი „ერთობაც“ იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ ის „წესები არჩევნებისა და ის პირობები, რომელიც გამეფებულია დღეს ბათუმში, საშუალებას ართმევს დემოკრატიას ფართო მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში. ამიტომ ასეთ პირობებში დემოკრატიის გამარჯვებაზე ლაპარაკი ზედმეტია“.[3]

სათათბიროს არჩევნები დაინიშნა 1920 წ. 29 თებერვალს. ბათუმის ბოლშევიკურმა კომიტეტმა გადაწყვიტა ამ არჩევნებისათვის ბოიკოტის გამოცხადება. ეს საკითხი განიხილეს პროფკავშირებისა და საქარხნო კომიტეტების კონფერენციაზე, რომელიც 4 თებერვალს გაიმართა. კონფერენციამ მოიწონა ბოლშევიკების პოზიცია და თავის მხრივ ანტიდემოკრატიული საარჩევნო სისტემის გამო საოკუპაციო ხელისუფლებას მტკიცე პროტესტი განუცხადა. კონფერენციამ ბათუმის მუშებს მოწოდებით მიმართა დარაზმულიყვნენ მუშათა ორგანიზაციებში მუშათა მოძრაობის საბოლოო იდეების მისაღწევად შეკავშირებული ბრძოლისათვის.[4]

მენშევიკებმა გაილაშქრეს ამ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილების წინააღმდეგ. „ბოიკოტი არჩევნებისადმი, — წერდა „ერთობა“, — ან არჩევნებში სხვათაშორის მონაწილეობის მიღება უდიდესი დანაშაულობა იქნებოდა“. ბა-

1 აჭარის ასსრ ცენტრალური არქივი, ფ. 62, ს. 4.
2 გაზ. ერთობა“, № 15, 1920 წ.
3 იქვე, № 20.
4 გაზ. „იზვესტია“, № 41, 1921 წ. გაზ. „უწყებები“, № 230, 1921 წ. და გაზ. „ერთობა“, № 34, 1920 წ.

თუმელმა მენშევიკებმა ცნობილი მოღალატეების — გ. აიოლოს, კ. გოგოლაძისა და ა. წულაძის მეთაურობით არჩევნებში ბლოკი შეკრეს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებთან და სათათბიროში თავისი კანდიდატები გაიყვანეს.

1920 წლის დამდეგს საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციების წინაშე კვლავ დაისვა შეიარაღებული აჯანყების მომზადების საკითხი. პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტმა გადაწყვიტა მოეწყო შეიარაღებული აჯანყება. დამტკიცდა აჯანყების ხელმძღვანელი შტაბის შემადგენლობა. შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება მთელ ამიერკავკასიაში ფართოდ გაჩაღდა. დიდი პოლიტიკური და მაორგანიზებელი მუშაობა გაიშალა ბათუმის ოლქშიც.

აჯანყების მომზადებაში დიდი როლი შეასრულა გაზეთმა „გოლოს ტრუდამ". გაზეთი სისტემატურად აშუქებდა მიმდინარე მომენტის ძირითად საკითხებს და მშრომელებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისაკენ მოუწოდებდა. საბჭოთა ხელისუფლების იდეა მშრომელებში პოპულარული გახდა. ბოლშევიკების გავლენა ოლქში დიდად გაიზარდა. აჭარის მშრომელების დიდი ნაწილი მხარს უჭერდა კომუნისტებს. ბათუმში და აჭარის სოფლებში კომუნისტები აშკარად იწვევდნენ კრებებსა და მიტინგებს. „იმ მარცხის შემდეგ" — წერდა გაზეთი „ერთობა", — რომელიც ბოლშევიკებმა საქართველოში განიცადეს (1920 წლის დამდეგს თბილისში დაიწყო კომუნისტების მასობრივი დაპატიმრება. ბ. ც.), მათ მთელი თავისი ენერგია გადმოიტანეს ბათუმში და მის ოლქში. ბათუმში სრულიად აშკარად ეწყობა მიტინგები, რომლებზედაც ბოლშევიკი აგიტატორები მოუწოდებენ ხალხს საბჭოთა რუსეთის ცნობას. „არც ანტანტა, არც მისი ხასა — საქართველო". აი ახალი ლოზუნგი, რომელიც წამოყენებულია ბათუმში კომუნისტების აგენტების მიერ..."[1]

1920 წლის გაზაფხულისათვის აჭარის კომუნისტური ორგანიზაციის წევრთა და თანამგრძნობთა რიცხვი სწრაფად გაიზარდა. მენშევიკების მტკიცებით აჭარის სოფლებში მუშაობდა 28 კომუნისტი და 3.000-მდე თანამგრძნობი, ხოლო ბათუმში 352 კომუნისტი და 300-მდე თანამგრძნობი. ბათუმის 1.600 მუშა მტკიცედ უჭერდა მხარს კომუნისტურ პარტიას და მზად იყო აჯანყებისათვის.[2] აჭარაში წარმატებით მუშაობდა 22 ბოლშევიკური უჯრედი.

აჭარის კომუნისტური ორგანიზაციის დასაყრდენ ძალას ბათუმში წარმოადგენდნენ პროფკავშირები. ამ დროისათვის ქალაქში უკვე 18-მდე პროფკავშირი იყო, პროფკავშირები და პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო კომუნისტების ხელში იყო. პარტიული კომიტეტის მეთაურობით პროფკავშირები მასებში დიდ პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდნენ.

ასეთივე მუშაობა მიმდინარეობდა მთელ ოლქში. ართვინის ოკრუგში აჯანყებისათვის მზადებას სათავეში ედგა ადგილობრივი კომუნისტური ორგანიზაცია. მის მებრძოლ რაზმში 300-მდე კაცი ირიცხებოდა. ართვინის ორგანიზა-

1 გაზ. „ერთობა", № 42, 1920 წ.
2 გაზ. „ბორბა", № 54 (609), 1920 წ.

ცია აჯანყებისათვის მზად იყო და მხოლოდ ბათუმის კომიტეტის მითითებას ელოდა, რომელსაც იგი ემორჩილებოდა.[1]

აჭარის კომუნისტური ორგანიზაციის წარმატება მენშევიკების გაბოროტებას იწვევდა. მათ სცადეს კომუნისტებისათვის წაერთმიათ აჭარაში ხელმძღვანელი როლი. ამ მიზნით, უფრო ადრე (1919 წ.), თბილისიდან ბათუმში სამუშაოდ გაგზავნეს მენშევიკები — გოგოლაძე, წულაძე და კალაძე, მაგრამ ამაოდ. თბილისელი მენშევიკების გეგმა ჩაიფუშა. ვერც ერთი მათგანი პროფკავშირის გამგეობებში ვერ გაიყიდა. მაშინ ბათუმელმა მენშევიკებმა თბილისიდან მოიწვიეს ცნობილი ავანტიურისტი და მოღალატე მენშევიკი გრიგოლ აიოლო, მაგრამ პირველ ხანებში ვერც მან მოიკიდა ფეხი. მაშინ მენშევიკებმა თავიანთი სამსახური სამხედრო გუბერნატორს შესთავაზეს და აღუთქვეს დახმარება კომუნისტებთან ბრძოლაში. მათ აჭარის კომუნისტურ ორგანიზაციაში გაიჩინეს შეგზავნილი ჯაშუში. ეს იყო პროვოკატორი რუდომაზინი. იგი თავს მტკიცე კომუნისტად ასაღებდა, სინამდვილეში კი საოკუპაციო ხელისუფლებასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ბათუმის კომიტეტმა დროზე ამხილა იგი და მას სასწრაფოდ ბოლო მოუღეს.

1920 წლის დამდეგს ანტანტის მეორე ლაშქრობა დამარცხებით დამთავრდა. მარტში დაეცა დენიკინის უკანასკნელი დასაყრდენი — ნოვოროსიისკი.

დენიკინის განადგურებას აჭარის მშრომელები აღფრთოვანებით შეხვდნენ. საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა აჭარაში და მთელ საქართველოში ახლა უფრო რეალური გახდა. გაძლიერდა მუშაობა შეიარაღებული აჯანყების შემზადებისათვის. ამ გზაზე აჭარის კომუნისტური ორგანიზაციის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას შეადგენდა საბრძოლო ლოზუნგებით საპირველმაისო დემონსტრაციის ჩატარება.

საპირველმაისო პოლიტიკური დემონსტრაციისათვის მზადება მარტიდან დაიწყო. 24 მარტს ბათუმის პროფსაბჭომ განიხილა საკითხი აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შესახებ, საბჭოს 36 წევრიდან 24-მა ხმა მისცა ამ წინადადების სასარგებლოდ. 29 მარტს ბათუმის ბოლშევიკური კომიტეტის მითითებით პროფსაბჭომ მოიწვია პროფკავშირთა გამგეობებისა და საქარხნო კომიტეტთა კონფერენცია. კონფერენციამ განიხილა იგივე საკითხი, რაც პროფსაბჭომ—თავის 24 მარტის სხდომაზე. კონფერენციამ მოიწონა პროფსაბჭოს მიერ მიღებული რეზოლუცია და აღნიშნა, რომ ბათუმის მუშებისა და აჭარის მშრომელებისათვის ერთადერთი მისაღები ხელისუფლება საბჭოთა ხელისუფლება არისო.

აჭარის კომუნისტური ორგანიზაციის წარმატებით გაბოროტებული მენშევიკები ლაფში სვრიდნენ ბათუმის პროფკავშირებს და მის ხელმძღვანელ ორგანოს — პროფსაბჭოს. „ბათუმის პროფესიონალურ კავშირთა საბჭო, — ღვარძლიანად წერდა „ერთობა“, — უმთავრესად პოლიტიკურ ორგანიზაციად გადაი-

1 1920 წლის გაზაფხულზე ართვინის ორგანიზაციის ხელმძღვანელ ბირთვს შეადგენდა გ. კაზანჯიანი, გ. ზაქარიანი, ო. ხაჩიკიანი და სხვ. ართვინის ორგანიზაცია, როგორც ქ. ართვინში, ისე ოურუგის სოფლებში დიდი გავლენით სარგებლობდა. ბათუმის კომიტეტის ერთ-ერთი წევრი ართვინში იყო მიმავრებული. 1920 წლის ზაფხულში გ. კაზანჯიანი მენშევიკებმა შეიპყრეს და მოკლეს. ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგა გ. ზაქარიანი. იგი ამჟამად პენსიონერია და ქ. ბაქოში ცხოვრობს. ორგანიზაციის სხვა ხელმძღვანელები ცხოვრობენ არმავირში, თბილისში, ერევანში და სხვა ქალაქებში.

ქცა, რომელიც ისწრაფვის გაატაროს ცხოვრებაში მოსკოვის საბჭოთა მთავრობისაგან მიღებული დირექტივები... მთელი მოქმედება საბჭოსი, უმთავრესად მცირე საბჭოსი (ე. ი. პრეზიდიუმისა ბ. ც.) ...ამზადებს ნიადაგს სისხლის ღვრისათვის ქალაქსა და ოლქში".[1]

ინგლისელი ოკუპანტები და მათი ლაქია მენშევიკები ვერ ითმენდნენ იმ გარემოებას, რომ პროფკავშირები გართული იყვნენ უმთავრესად პოლიტიკური საკითხებით. სამხედრო გუბერნატორმა კუკ-კოლისმა სასტიკად გააფრთხილა პროფსაბჭო, რომ პოლიტიკური საკითხების განხილვაზე ხელი აეღო, წინააღმდეგ შემთხვევაში რეპრესიული ზომების მიღებით დაემუქრა, მაგრამ პროფკავშირები უკვე საოკუპაციო ხელისუფლებას არ უსმენდნენ. რუსეთის განმათავისუფლებელი წითელი არმია აზერბაიჯანს უახლოვდებოდა. ბაქოს პროლეტარიატი მზად იყო აჯანყებისათვის. მუსავატელები უკანასკნელ დღეებს ითვლიდნენ. საქართველოს მშრომელებს სწამდათ, რომ მოახლოებული იყო ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება.

ასეთ ვითარებაში, 1920 წლის 22 აპრილს, გაიმართა პროფკავშირების, საქარხნო კომიტეტებისა და აჭარის რაიონების გლეხთა წარმომადგენლების ფართო კონფერენცია. ერთსულოვნად მიღებულ დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ აჭარის მშრომელები მოითხოვენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას.

მეორე საკითხი, რომელმაც მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის სასტიკი ბრძოლა გამოიწვია, იყო პირველი მაისის დღესასწაულის ჩატარება. მენშევიკებმა გაილაშქრეს ბოლშევიკური ლოზუნგებით დემონსტრაციის მოწყობის წინააღმდეგ და უარი განაცხადეს ბოლშევიკებთან ერთად გამოსვლაზე. კრებამ დაგმო მენშევიკების მოღალატური საქმიანობა.

კრებამ მოისმინა აგრეთვე, პროფსაბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. მარკმანის მოხსენება ჩატარებული მუშაობის შესახებ (მარკმანი კომუნისტი არ იყო). გამოირკვა, რომ პრეზიდიუმის ზოგიერთი წევრი, ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში საჭირო პრინციპულობას ვერ იჩენდა. კრების მოთხოვნით მოხდა პრეზიდიუმის გადარჩევა. ახალ პრეზიდიუმში აირჩიეს მხოლოდ კომუნისტები და მათი მომხრეები. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა კომუნისტი დ. მახარაძე.

ანტანტის მეორე ლაშქრობის განადგურების შემდეგ დენიკინის არმიის ნაწილი ვრანგელის ხელმძღვანელობით ყირიმის ნახევარკუნძულზე მოკალათდა. ვრანგელს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ანტანტისა და ამერიკის იმპერიალისტები ეხმარებოდნენ. „ყირიმის მუწუკი" თეთრპოლონელებთან ერთად მოსკოვს ემუქრებოდა. ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებამ ბათუმი ვრანგელის მომარაგების ბაზად გადაქცია. ბათუმიდან ვრანგელს უგზავნიდნენ ნავთობს, იარაღს, ცოცხალ ძალას და სხვ. აჭარის კომუნისტურმა ორგანიზაციამ გადასწყვიტა ჩაეშალა ბათუმიდან ვრანგელისათვის საწვავი და საომარი მასალისა და სამხედრო ნაწილების გაგზავნა. პროფსაბჭომ მოწოდებით მიმართა ნავსადგურის მუშებს არ დაეტვირთათ ინგლისის გემები, მაგრამ ინგლისელებმა მტვირთავებად თეთრგვარდიელი ოფიცრები გამოიყენეს.

1 გაზ „ერთობა", № 94, 1920 წ., 28 აპრილი.

გადაწყდა სხვა, უფრო ეფექტური ზომების მიღება. ბათუმის კომიტეტის დავალებით მუშაობას შეუდგა ამფეთქებელთა ჯგუფი. მოეწყო სახელოსნო, სადაც „ჯოჯოხეთურ მანქანებსა“ და ასაფეთქებელ ნივთიერებებს ამზადებდნენ. პირველი აფეთქება განხორციელდა გემ „ეოზროჟდენიეზე“, რომელსაც ვრანგელისათვის საწვავი და საომარი მასალა მიჰქონდა. გემის წასვლა რამდენიმე დღით შეფერხდა. 1920 წ. ივნისში წარმატებით ჩატარდა კომუნისტ აგიევის ხელმძღვანელობით გემ „სვეტის“ აფეთქებაც. ცეცხლმოკიდებული გემი ზღვაში ჩაიძირა.

22 აპრილს წარმატებით ჩატარდა აგრეთვე კინტრიშის რკინიგზის ხიდისა და ნავთსადენი მილის აფეთქება. აფეთქებას ხელმძღვანელობდნენ ალ. დუმბაძე, კ. ბერძენიშვილი, გ. ჩანგიშვილი და სხვები. რამდენიმე დღით შეწყდა ბაქოდან ბათუმში ნავთის მიღება და ვრანგელისათვის მისი მიწოდება.[1] ამასობაში ბაქოში შეიარაღებულმა აჯანყებამ გაიმარჯვა (28 აპრილი) და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

30 აპრილს ბათუმში ერისთავის ქუჩაზე სერგო გუბელის ხელმძღვანელობით მოკლეს ჯალათი გენერალი ლიახოვი, რომელიც ვრანგელისათვის ბათუმის ოლქში სამხედრო ნაწილებს ქმნიდა და ყირიმში გზავნიდა.[2] იმავე დღეს გუბელი დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს. მას დახვრეტა მოელოდა, მაგრამ ბათუმის პროლეტარიატმა იგი იხსნა საფრთხისაგან. ბათუმის კომიტეტმა გადაწყვიტა ციხიდან ს. გუბელის გასათავისუფლებლად საპირველმაისო დემონსტრაცია გამოეყენებინა. დემონსტრაციისა და მიტინგის მომზადებას სათავეში პროფსაბჭო ჩაუდგა.

1 მაისს, დილის 10 საათზე დაიწყო მრავალათასიანი დემონსტრაცია. სარწმუნო ცნობებით დემონსტრაციაში მონაწილეობდა 25—30 ათასამდე კაცი. დემონსტრანტებს მიჰქონდათ მხოლოდ ბოლშევიკური ლოზუნგები, მარქსის, ენგელსისა და ლენინის პორტრეტები. მენშევიკების ცდა, რომ ცალკე მოეწყოთ დემონსტრაცია, სამარცხვინოდ ჩაიფუშა. მიუხედავად იმისა, რომ აიოლო, გოგოლაძე, წულაძე და სხვები იარაღით აშინებდნენ მუშებს მონაწილეობა არ მიეღოთ ბოლშევიკების მიერ მოწყობილ დემონსტრაციაში, მუშები მაინც გაჰყვნენ ბოლშევიკებს, მენშევიკები იზოლირებული აღმოჩნდნენ.

დემონსტრანტებმა გაიარეს ქალაქის მთავარი ქუჩები. ისინი გზადაგზა სახელდახელო მიტინგებს ატარებდნენ. საოკუპაციო ხელისუფლება დაიბნა. მაგრამ სამხედრო გუბერნატორი მალე გონს მოვიდა და მისი განკარგულებით ქალაქში გამოიყვანეს ყველა სახეობის ჯარები. მთავარ ქუჩებსა და გუბერნატორის რეზიდენციას არტილერია იცავდა.

დღის მეორე ნახევარში აზიზიეს მოედანზე შედგა გრანდიოზული მიტინგი. მიტინგმა კატეგორიულად მოითხოვა ს. გუბელის განთავისუფლე-

1 ბათუმის რევოლუციის მუზეუმის არქივი, ფ. 5, ს. 126.

2 გაზ. „იზვესტია“, № 36, 1921 წ.; ბათუმის რევოლუციის მუზეუმი, ფ. 4, საქ. 70.

ზემდგომი პარტიული ორგანოების გადაწყვეტილებით კანონგარეშე გამოცხადებული იქნა 7 გენერალი, რომლებსაც განსაკუთრებული მძიმე დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი. ესენი იყვნენ: დენიკინი, შკურო, ლუკომსკი, რომანოვსკი, ლიახოვი და სხვები. 1920 წლის გაზაფხულზე ლიახოვი ჩამოვიდა ბათუმში და შეუდგა ვრანგელისათვის სამხედრო ნაწილების შედგენასა და გაგზავნას. რკ(ბ) სამხარეო კომიტეტის მითითებით აჭარის კომუნისტურმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა გენერალ ლიახოვის მოკლა. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა დაევალა სერგო გუბელს. მას ეხმარებოდნენ ა. სურგულაძე, გ. ჯიბლაძე, კ. ქავთარაძე და სხვები.

ბა. მიტინგის მიერ არჩეული დელეგაცია პირველად გუბერნატორმა უარით გაისტუმრა, მაგრამ როცა მოთხოვნა ულტიმატურად გაიმეორეს, იძულებული გახდა ს. გუბელი თავდებქვეშ 24 საათით გაენთავისუფლებინა. ციხიდან ს. გუბელი პირდაპირ მიტინგისაკენ გაემართა და იქ მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა. მან შეკრებილთ მოუწოდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისაკენ. ბათუმის 1920 წლის საპირველმაისო დემონსტრაციას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. მან საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მოთხოვნის ნიშნით ჩაიარა. ცხადი გახდა, რომ ბათუმის მუშები და აჭარის მშრომელები მზად იყვნენ აჯანყებისათვის.

პირველი მაისის დემონსტრაციის შემდეგ აჭარის კომუნისტურმა ორგანიზაციამ მუშაობა კიდევ უფრო გააძლიერა. ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ამიერკავკასიაში უფრო ფართო და შეუპოვარ ხასიათს იღებდა. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება აზერბაიჯანში საქართველოს მშრომელებზე დიდ გამარევოლუციონერებელ გავლენას ახდენდა. აჭარის კომუნისტურმა ორგანიზაციამ გადასწყვიტა უახლოეს დღეებში შეიარაღებული აჯანყება და ძალაუფლების ხელში ჩაგდება. შექმნილი მომენტი სწრაფ და გადამწყვეტ მოქმედებას მოითხოვდა.[1]

მაისის დამდეგს დაარსდა არალეგალური რევკომი აჯანყების ხელმძღვანელობისათვის. მის შემადგენლობაში შეივიდნენ: კ. ბერძენიშვილი, ვოლკოვ-უსაგინი, დ. მახარაძე, ი. პევცოვი, მ. ბელენკი და კ. თაებერიძე.[2] მიღებული ცნობებით, 10 მაისს ინგლისის ჯარი ბათუმიდან მიდიოდა. ამიტომ რევკომმა აჯანყება დანიშნა 10 მაისს.

აჯანყებისათვის პირობები ხელსაყრელი იყო. ბათუმის მუშებისა და ოლქის მშრომელთა გარდა, აჯანყებას მხარს უჭერდა მილიცია და მესაზღვრეთა დიდი ნაწილი. მენშევიკებმა გავლენა სრულიად დაკარგეს. აჯანყებისათვის მზად იყო ართვინის კომუნისტური ორგანიზაციაც.

ბათუმში შექმნილი ვითარებისა და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების გამო ვაჭრებმა და სპეკულანტებმა დაიწყეს ძვირფასი საქონლის სასწრაფოდ გატანა. ისინი მტვირთავ მუშებს ორმაგ ხელფასს აძლევდნენ, მაგრამ ბათუმის პროლეტარიატმა ამის უფლება მათ არ მისცა. პროფკავშირებისა და საქარხნო კომიტეტთა კონფერენციამ შეჰქმნა სპეციალური კომისია (სამეული) პ. ნოდიას ხელმძღვანელობით. ამ კომისიის ნებართვის გარეშე არაფრის გატანა არ შეიძლებოდა. თვითონ ინგლისელებიც იძულებული გახდნენ საქონლის გატანაზე ნებართვა კომისიისაგან მიეღოთ.[3]

მაისის პირველ რიცხვებში ძალაუფლება აჭარაში ფაქტიურად ბოლშევიკური პროფსაბჭოს ხელში იყო. ბათუმის მუშები საოკუპაციო ხელისუფლების განკარგულებას სავალდებულოდ არ თვლიდნენ, ისინი მხოლოდ პროფკავშირებს ემორჩილებოდნენ.

არც საოკუპაციო ხელისუფლებას ეძინა. გენერალ კუკ-კოლისის მოთხოვნით კონსტანტინოპოლიდან გამოიწვიეს დრედნოუტები და კრეისერები, საომარ მზადყოფნაში მოიყვანეს საოკუპაციო ჯარები. ბოლოს, 8 მაისს სამხედრო გუბერნატორმა უპრეცედენტო ვერაგობას მიმართა. თვალთმაქცურად თავის

1 გაზ. „იზვესტია", № 41, 1921 წ.
2 გაზ. „ბოლოს ტრუდა", № 105, 1920 წ., 4 მაისი.
3 აჭარის ასსრ ცენტრალური არქივი, ფ. 74, ს. 497.

რეზიდენციაში მიიწვია პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრები და დააპატიმრა. დაპატიმრებები მეორე დღესაც გაგრძელდა. სულ დააპატიმრეს 18 ხელმძღვანელი. ყველა ისინი ბორკილებგაყრილი სამხედრო ბადრაგის თანხლებით დრედნოუტ „როიალ-ზავორენზე" გადაიყვანეს და კონსტანტინოპოლში წაიყვანეს,[1] მაგრამ საბჭოთა მთავრობის ენერგიული მოთხოვნით განთავისუფლდნენ ნოემბერში.

8 მაისს ოკუპანტებმა გაანადგურეს გაზეთ „გოლოს ტრუდას" რედაქცია და პროფკავშირების ცენტრალური საბჭო. ინგლისელებმა პროფსაბჭო გაძარცვეს და წაიღეს ოქროს კურსით 27.374 მანეთის ქონება.[2]

8-9 მაისის ამბების შემდეგ არალეგალური ბოლშევიკური კომიტეტის წევრებიდან ზოგი დააპატიმრეს, ზოგი ბათუმიდან წავიდა. ბათუმის კომიტეტს სათავეში ჩაუდგა კომუნისტი ქალი მუხა (ა. პირუმოვა). კომიტეტის შემადგენლობა შეივსო ახალი ამხანაგებით.[3]

რკპ(ბ) ბათუმის კომიტეტი შეუდგა საყოველთაო საპროტესტო გაფიცვის მოწყობას. მაგრამ მენშევიკების მიზეზით გაფიცვა ჩაიშალა. „ჩვენ არ გვსურს საყოველთაო საპროტესტო გაფიცვაში მონაწილეობის მიღება, — უსირცხვილოდ აცხადებდნენ მენშევიკები, — რამდენადაც მას თანავუგრძნობთ იმის გამო, რომ დაპატიმრებულები არიან არა პროფესიონალისტები, არამედ ბოლშევიკები".

ასე აშკარად უღალატეს მენშევიკებმა მუშათა კლასს. ისინი მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში ინგლისელ ოკუპანტებს გვერდში ამოუდგნენ. მაისის დღეებში ბათუმში შექმნილი ვითარებისა და მენშევიკების ღალატის შესახებ ბათუმელი კორესპონდენტი წერდა:

„...პირველი მაისის მუშათა დღესასწაულის დიდებულად ჩატარების შემდეგ მდგომარეობა აქ საგრძნობლად შეიცვალა.

პირველმა მაისმა ყველას დაანახვა, რომ ბათუმის პროლეტარიატი მდიდარი რევოლუციური ტრადიციებით, მტკიცედ დგას რევოლუციური მარქსიზმის ნიადაგზე და სავსებით იზიარებს კომუნისტური ინტერნაციონალის ლოზუნგებს. ამ გარემოებამ ძალზე შეაშფოთა მუშათა კლასის ყველა აშკარა თუ ფარული მტრები, მათ შორის ინგლისელი გენერლები, სპეკულანტები, ხალხის აშკარა მძარცველები. ამათ გვერდში ამოუდგნენ მენშევიკები, ცნობილი აიოლოს მეთაურობით. სპეკულანტებს თავზარი დასცა პირველ მაისს ბათუმის პროლეტარიატის მიერ მიღებულმა რეზოლუციამ საბჭოთა რუსეთთან შეერთების შესახებ. იმათ გადაწყვიტეს ბათუმიდან გახიზვნა და თან აუარებელი სასურსათო საგნების გაზიდვა, მაგრამ მუშათა პროფკავშირების საბჭომ ბრძანება გასცა იმის შესახებ, რომ „ყველა ის საგნები, რაც ბათუმშია, ეკუთვნის ბათუმის პროლეტარიატს, და ამიტომ ერთი გირვანქა საქონელიც არ უნდა იქნას გატანილიო"... ამ გარემოებამ... კიდევ უფრო ააღელვა ბათუმის ადმინისტრაცია... ვერაგულად დაესხა თავს პროფკავშირების საბჭოს, დაატყვევა ყველა წევრი, აიკლო თვით საბჭო... დაწყებული ამ ხნიდან ბათუმში აუტანელი მდგო-

1 გ.ზ. „გოლოს ტრუდა", № 110, 1920 წ., 9 მაისი.
2 გაზ. „ეუზნ ნაციონალნისტეი", № 31, 1920 წ.
3 1920 წლის შემოდგომაზე ბათუმის კომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობდა ე. სიხარულიძე, მდივნად ა. პირუმოვა.

მარეობა შეიქმნა. მოწინავე მუშებს იპერენ, ათავსებენ გემზე და მიყავთ, ვინ იცის სად?.. მაგრამ რას იტყვით ადგილობრივი მენშევიკების საქციელზე, რომლებიც ინგლისელებს შველიან და აქეზებენ ყველა იმათ საბიზღარ მოქმედებაში,... ხელს უწყობენ ადგილობრივი მუშათა კლასის დევნაში და შეწუხებაში...“[1]

აჭარის კომუნისტური ორგანიზაცია მაისის ამბების შემდეგ კვლავ დიდ მუშაობას ატარებდა აჭარის მშრომელებს შორის. კომუნისტები განუმარტავდნენ მათ კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკის მნიშვნელობას, ესაუბრებოდნენ წითელი არმიის მიერ მოპოვებულ გამარჯვებაზე, საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებზე, აჭარის მშრომელების ამოცანებზე და სხვ. გლეხები მათ გულდასმით უსმენდნენ. ამ მუშაობას მალე ნაყოფიც მოჰყვა. გლეხების დიდი ნაწილი მხარს უჭერდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას.

ეს მისწრაფება აჭარის მშრომელებმა საქმით დამტკიცეს, როცა 1920 წლის დამდეგს საქართველოს მენშევიკური მთავრობის ჯარმა, ბათუმის უოფიცი პოლიციმეისტრის ჩიქოვანის ხელმძღვანელობით, სცადა ახალციხის გზით ზემო აჭარაში შეკრა, გლეხებმა მას შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს. ჩიქოვანი და სხვა ოფიცრები ტყვედ ჩაიგდეს და რაზმი განაიარაღეს.[2] მაშინ, როცა ინგლისელები ბათუმიდან წასვლის მოლოდინში მუშათა მოძრაობას სისხლში ახშობდნენ, მენშევიკურმა ჯარმა სცადა ნატანებიდან აჭარაში შეკრა, მაგრამ აჭარელმა გლეხებმა მათ გზა გადაუღობეს. 2 მაისს ქობულეთში გაიმართა კინტრიშის უბნის გლეხთა ხალხრავალი მიტინგი, რომელმაც მტკიცე პროტესტი განუცხადა მენშევიკურ მთავრობას აჭარაში მენშევიკთა ჯარის შეკრის გამო.[3] 11 მაისს ბრძოლამ სისხლისმღვრელი ხასიათი მიიღო. გაზ. „ერთობის“ აღიარებით „ქობულეთი იქცა საშინელების უფსკრულად... ქობულეთი ხელთა ბრძოლას განიცდიდა... მენშევიკურ ჯარს ბრძოლის ველს უმართავენ...“[4]

კომუნისტები დიდ პოლიტიკურ მუშაობას ატარებდნენ მენშევიკურ ჯარში. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მენშევიკური ჯარის ნაწილმა აჭარელი გლეხების წინააღმდეგ ბრძოლაზე უარი თქვა. მენშევიკური გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ თქმით „...ღალატი, რომელიც ჩაიდინა სათადარიგო ჯარისკაცთა ჯგუფმა, მიატოვა რა ფრონტი აჭარელ მეამბოხეთა წინააღმდეგ და მით საფრთხეში ჩააგდო ხულოში მოქმედი ჯარის ნაწილი, კომუნისტების ზეგავლენით მომხდარა“.[5]

გაზეთ „გოლოს ტრუდას“ დახურვის შემდეგ ბათუმში გაზეთის გამოცემა შეუძლებელი გახდა. სამაგიეროდ ბათუმის კომიტეტმა გააძლიერა მუშაობა არალეგალური ფურცლების გამოშვებისა და გავრცელების მიმართულებით. ფურცლები უმთავრესად თბილისში იბეჭდებოდა. ივნისის დამდეგს თბილისში დაიბეჭდა ბათუმის კომიტეტის ორი პროკლამაცია: ერთი მიმართული იყო საქართველოს მენშევიკური მთავრობის, ხოლო მეორე ინგლისელი ოკუპანტების წინააღმდეგ.

1 გაზ. „კომუნისტი“, № 1, 1920 წ.
2 ბათუმის რევოლუციის მუზეუმის არქივი, ფ. 5, ს. 126.
3 გაზ. „გოლოს ტრუდა“, № 105, 1920 წ., 4 მაისი.
4 გაზ. „ერთობა“, № 108, 1920 წ.
5 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, № 132, 1920 წ.

მიუხედავად რსფსრ მთავრობასთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებისა, რომლის ძალითაც საქართველოში კომუნისტური ორგანიზაციების ლეგალიზაცია გამოცხადდა, მენშევიკებმა კვლავ გააძლიერეს რეპრესიები კომუნისტური ორგანიზაციებისა და მათი ბეჭდვითი ორგანოების წინააღმდეგ. 1920 წ. 14 ივნისს განსაკუთრებული რაზმის აგენტები ჯალათ კედიას მეთაურობით თავს დაესხნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და მის ორგანოს გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას. დააპატიმრეს 50-მდე კაცი, გაზეთი „კომუნისტი" დახურეს. დაპატიმრებები მთელ საქართველოში ხდებოდა. მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარე საჯაროდ აცხადებდა, რომ კომუნისტების დევნა აკრძალულიაო, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტროს აგენტები, საგანგებო რაზმი, მილიცია, ქალაქისა და სოფლის კომისრები სისტემატურად დევნიდნენ კომუნისტურ პარტიას და მის წევრებს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი ორგანო გაზეთი „საქართველოს კომუნისტი" წერდა:

„...ჩვენ რაღაც მოჯადოებულ წრეში მოვყევით, მთავრობამ ჩვენ თითქოს ლეგალურ პარტიად გვცნო, მაგრამ მთავრობისავე აგენტები ჩვენ ლეგალურ არსებობას ვერ იტანენ. ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია. ან ლეგალური, ან არალეგალური არსებობა".[1]

ისევე, როგორც საქართველოს მთელი მუშათა კლასი, ბათუმის მუშები, აღფრთოვანებით მიესალმნენ გაზეთ „საქართველოს კომუნისტის" გამოცემას, შეკრიბეს თანხა და გაგზავნეს თბილისში გაზეთის ფონდის გასაძლიერებლად. ამასთან მოწოდებით მიმართეს საქართველოს ყველა მუშასა და მშრომელს — დარაზმულიყვნენ „საქართველოს კომუნისტის" ირგვლივ, დახმარებოდნენ მას.[2]

მაისის ამბების შემდეგ შექმნილი მდგომარეობით ისარგებლეს ბათუმელმა მენშევიკებმა და საოკუპაციო ხელისუფლებასთან შეთანხმებით ხელთ იგდეს პროფკავშირებზე ხელმძღვანელობა. ივნისის ბოლოს გაიმართა პროფკავშირთა ყრილობა, რომელიც დელეგატთა წინასწარი შერჩევის გამო მენშევიკური იყო. კომუნისტებმა პროტესტი განაცხადეს ასეთი ყრილობის წინააღმდეგ და დატოვეს იგი. მენშევიკებმა წინანდელი პროფსაბჭოს ნაცვლად აირჩიეს ახალი ხელმძღვანელი ორგანო — „პროფკავშირების ბიურო".

მიუხედავად ამისა, მენშევიკებმა მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს. არალეგალური „ცენტრი პროფკავშირებისა" კვლავ მუშაობას განაგრძობდა. მუშების უმრავლესობა მხარს უჭერდა მას. „მენშევიკებს არ შეუძლიათ თავისი მდგომარეობა უზრუნველყოფილად ჩათვალონ, — წერდა გაზ. „საქართველოს კომუნისტი", — რადგან გარდა მათი, „პროფკავშირთა ბიუროსი", ბათუმში არსებობს კიდევ ფაქტიური გამომხატველი ბათუმის მუშათა უმრავლესობის ინტერესებისა — არალეგალური „ცენტრი პროფკავშირებისა".[3]

შინაურ და გარეშე მტრებზე წითელი არმიის გამარჯვებამ და ოკუპირებულ ოლქებში მოსახლეობის შეურიგებელმა წინააღმდეგობამ ინგლისელი ოკუპანტები იძულებული გახადა ივნისის ბოლოს აჭარა დაეტოვებინათ. აჭარიდან წასვლის წინ ინგლისელებმა ორგანიზებულად მოაწყეს დივერსიები.

1 გაზ. „საქართველოს კომუნისტი", № 1, 1920 წ.
2 იქვე.
3 იქვე, № 10.

კერძოდ, ააფეთქეს და მოსპეს ბათუმის ციხის ფორტები და სამხედრო საწყობები. სამხედრო უწყებისათვის მიყენებული ზარალი 2.380.380 ოქროს მანეთს შეადგენდა.[1]

ინგლისელთა ოკუპაციის პერიოდში აჭარა ნამდვილ კოლონიას წარმოადგენდა. მოსახლეობა პოლიტიკურ უფლებებს მთლიანად მოკლებული იყო. გაზ. „ერთობა" იძულებული იყო ეღიარებინა, რომ „მთელ ოლქს ჯერ კიდევ არ უგრძვნია რევოლუციის წესები, იქ ჯერ კიდევ არსებითად არაფერი შეცვლილა იმასთან შედარებით, რაც იქ იყო დაწესებული მეფეების დროს".[2] ამასთან ოკუპანტებმა აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენეს აჭარას. მარტო ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებისათვის მიყენებული ზარალი 35 ათას ოქროს მანეთის ღირებულებას აღემატებოდა.

ოკუპანტებმა გაანადგურეს ქალაქის თვითმმართველობის სანერგე, დაანგრიეს და დასწვეს მუშათა ბინები, აბანო და სხვ. მიყენებული ზარალი 433.825 ოქროს მანეთს შეადგენდა.[3] მათ ასეთივე ზიანი მიაყენეს ოლქის მოსახლეობას. მაგალითად, ხულოს მაზრაში გაძარცვეს მთელი მოსახლეობა. მარტო ზ. დავითაძისა და მ. გაბაიძის ოჯახებისათვის მიყენებული ზარალის ღირებულება 1.700 ოქროს მანეთს აღემატებოდა.[4] ასეთივე სურათი იყო მთელ ოლქში.

ჩვენ აქ მხოლოდ რამდენიმე მაგალითი დავასახელეთ. ასეთი მაგალითები კი ურიცხვია.

ამრიგად, „მაღალი კულტურის" ერის წარმომადგენლებმა აჭარაში სამარცხვინო კვალი დასტოვეს.

3. ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის აჭარაში მენშევიკების ბატონობის პერიოდში. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება

ბათუმიდან წასვლის წინ ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებამ კატეგორიულად გააფრთხილა აჭარის მოსახლეობა, რომ წინააღმდეგობა არ გაეწიათ საქართველოს მენშევიკური ჯარისათვის. „ყველა ის ვინც საქართველოს ჯარს წინააღმდეგობას გაუწევს, — განუცხადა აჭარის მოსახლეობის წარმომადგენლებს კუკ-კოლისმა, — ჩაითვლება ინგლისის მტრად და როგორც საქართველო, ისე ჩვენ სასტიკ ზომებს მივიღებთ დამნაშავეთა წინააღმდეგ".[5]

მეორე მხრივ აჭარის მოსახლეობას ცეცხლითა და მახვილით ემუქრებოდა საქართველოს შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდალი გენერალი კვინიტაძე. მისი ბრძანება ასე იუწყებოდა:

„წინადადებას გაძლევთ არ გაუწიოთ წინააღმდეგობა ჩვენი ჯარის შემოსვლას ოლქში და არ დაიწყოთ ომი... თუ თქვენ წინააღმდეგობა გასწიეთ, მაშინ, თქვენ მოგელით ღვთის რისხვასავით მკაცრი დასჯა საქართველოს ჯარისაგან მთელი თავისი საშინელებით.

ვინც იარაღით ხელში წინააღმდეგობას გაუწევს ჯარს მას მოექცევიან, როგორც მოჯანყეს და ის მაშინვე დახვრეტილი იქნება. მისი ადგილ-მამული

1 აჭარის ასსრ ცენტრალური არქივი, ფ. 62, ს. 4.
2 „ერთობა", № 13, 1920 წ.
3 აჭარის ასსრ ცენტრალური არქივი, ფ. 62, ს. 84.
4 იქვე, ს. 4.
5 გაზ. „ერთობა", № 149, 1920 წ.

150 ფოთ.

4

Proclamation of the Military Governor of the Province and town of Batoum.

In order that everybody should have the same time and to economise in fuel I order:

At 12 midnight (Batoum-time) January the 21 1919 to put the watches forward 50 minutes and to use henceforth the time used by the British Military Authorities.

A canon is fired daily at 12 mid-day and this time must henceforth be used by all government offices.

Disobedience of this order will be punished by the Administration.

21 Jan. 1919
Batoum.

Military Governor
of Batoum province
COOKE COLLIS

ПРИКАЗЪ
Военнаго Губернатора Батумской Области.

Въ видахъ однообразія въ исчисленіи времени и экономіи въ топливѣ, приказываю:

Въ полночь (по мѣстному времени) съ 21 на 22 января (с. г.) переставить часы на 50 минутъ впередъ и исчислять отнынѣ, впредь до особаго распоряженія, часы по времени, принятому въ англійскомъ флотѣ.

Ежедневно будетъ производиться выстрѣлъ изъ пушки въ 12 ч. дня по новому исчисленію времени, каковое отнынѣ принято во всѣхъ правительственныхъ учрежденіяхъ.

Виновные въ неисполненіи этого приказа будутъ подвергнуты законной отвѣтственности.

21 января 1919 г.
г. Батумъ.

Военный Губернаторъ
Батумской Области
КУКЪ-КОЛЛИСЪ

Тип. И. Ю. Карки, Батумъ.

ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის ბრძანება ბათუმში ინგლისური დროის აღრიცხვის შემოღების შესახებ

და ქონება, აგრეთვე მამული მამისა, დედისა და ძმებისა ჩამორთმეული იქნება და ჩაირიცხება სახაზინოდ, ხოლო ოჯახი კი მთლიანად გაგდებულ იქნება ბათუმის ოლქის საზღვრებიდან.

ის სოფელი, საიდანაც თოფი გავარდება, გარშემორტყმული იქნება და სასტიკად დაისჯება... გახსოვდეთ ეს ჩემი გაფრთხილება".[1]

ივლისის დამდეგს ბათუმის ოლქი საქართველოს მეწშევიკურმა ჯარმა დაიკავა. დაიწყო სასტიკი რეაქციის მძვინვარება. ოლქის გენერალ-გუბერნატორად ცნობილი მეწშევიკი ჯალათი ბ. ჩხიკვიშვილი დაინიშნა. აჭარა მეწშევიკების განსაკუთრებული რაზმის აგენტებით გაივსო.

გენერალ-გუბერნატორმა ბათუმის ოლქში მაშინვე სამხედრო წესები გამოაცხადა. დაიწყო მასობრივი დაპატიმრებანი. არაკეთილსაიმედოებაში ყველა ეჭვმიტანილ პირს აპატიმრებდნენ და დაუყოვნებლივ საქართველოს ფარგლებიდან აძევებდნენ. ბ. ჩხიკვიშვილის განკარგულებით „არასაიმედო" პროფკავშირები დაშალეს და შექმნეს ახალი პროფკავშირები, რომელთა ხელმძღვანელობა მეწშევიკების ხელში გადავიდა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი პროფკავშირი კვლავ კომუნისტური პარტიის ერთგული დარჩა. ასეთი იყო მენავთობეთა, მელითონეთა და ზოგიერთი სხვა პროფკავშირი.

როგორც აღვნიშნეთ, 1920 წ. მაისში რსფსრ და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად საქართველოში კომუნისტურ პარტიას ლეგალური მუშაობის საშუალება ეძლეოდა. მაგრამ ეს პირობა ფიქტიური იყო, განსაკუთრებით ბათუმის ოლქისათვის, სადაც გენერალ-გუბერნატორს ლეგალიზაციის შესახებ გაგონებაც არ სურდა. ჩხიკვიშვილი კომუნისტურ ორგანიზაციას ლეგალურ მუშაობას ფორმალურად არ უკრძალავდა, მაგრამ ფაქტიურად ამის საშუალებას არ აძლევდა. ბათუმის კომიტეტის წარმომადგენელს მან კატეგორიულად განუცხადა, რომ თუ ბათუმელი კომუნისტები თბილისელი კომუნისტების შეხედულებებს იზიარებენ, მე ავკრძალავ ლეგალურ მუშაობასო. ამასთან მან დაუმატა, რომ არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა მიიღონ უცხოელებმა, ანდა ისეთმა პირებმა, რომლებმაც ზიანი მიაყენეს საქართველოსო.[2]

აი როგორ ესმოდა ლეგალიზაციის საკითხი ბათუმის ოლქის საგანგებო კომისარს (გენერალ-გუბერნატორს). ჩხიკვიშვილის მიერ წამოყენებული პირობების შესახებ სამართლიანად შენიშნავდა გაზ. „საქართველოს კომუნისტი": „ნეტარხსენებული მოლა ნასრედინის არ იყოს, როცა ბაწრის თხოვება არ მინდა, ზედ ფქვილის გაშრობასაც მოვიმიზეზებ და ბამბისაც".[3]

ამ პირობებში ვერც ერთი კომუნისტი თავს ვერ დააღწევდა ჩხიკვიშვილის მიერ დაგებულ ხაფანგს, რომელსაც ეწერა: „უცხოელი ქვეშევრდომი", „საქართველოს ზიანის მიმყენებელი" ანდა კიდევ „თბილისელი კომუნისტების ნათესავი".

ბ. ჩხიკვიშვილი ბათუმში ჩამოსული არ იყო, როცა თბილისიდან იმუქრებოდა: „...საქართველოს მტრებს არ ექნებათ ადგილი ბათუმში და მის ოლქში. კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ანტისახელმწიფოებრივი მუშაობა არ იქნება დაშვებული".[4]

1 გაზ. „ერთობა" № 147, 1920 წ.
2 გაზ. „საქართველოს კომუნისტი", № 23, 1920 წ.
3 იქვე, № 24.
4 გაზ. „ერთობა", № 148, 1920 წ.

მაგრამ იგი საქართველოს მტრებში გულისხმობდა როგორც ქართველ კომუნისტებს, ისე ყველა არაქართველს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ რევოლუციურ მოძრაობაში, თანაუგრძნობდნენ საბჭოთა ხელისუფლებას და სხვ. მისი განკარგულებით დაიწყო მუშათა ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებათა „წმენდა“ კომუნისტებისა და მათი მომხრეებისაგან. „წმენდნენ“ იმ პროფკავშირებს, სადაც ხელახალი არჩევნების დროს გამგეობაში კომუნისტები გავიდნენ. განსაკუთრებით დევნიდნენ უცხოელ ქვეშევრდომებს, კერძოდ, რუსებს. მათთან დალაპარაკება საკმარისი იყო, რომ ადამიანი კომუნისტად გამოეცხადებინათ და დაეპატიმრებინათ. ამასთან დაკავშირებით ბათუმელი მუშა წერდა: „დანაშაულად კმარა თუ რომელიმე რუსეთიდან ჩამოსულ ამხანაგს მიესალმე, მაშასადამე, როგორც კომუნისტი, ციხეში გიკრავენ თავს, ანდა გადაგასახლებენ, გამოგაცხადებენ საქართველოს მტრად“.[1]

ამ საფუძველზე 9 ასოთამწყობი და რკინიგზის დეპოს 17 მუშა დააპატიმრეს და საქართველოს ფარგლებიდან გააძევეს. ანალოგიურ ამბებს ყოველდღიურად ჰქონდა ადგილი.

აშკარად ტყუოდა მენშევიკური პროფსაბჭოს ორგანო გაზეთი „ბატუმსკაია ჟიზნი“, რომლის რედაქტორი იყო პროფსაბჭოს ახალი თავმჯდომარე მოლალატე აიოლო, როცა უსირცხვილოდ აცხადებდა: „ის პოლიტიკა, რომელსაც... საგანგებო კომისარი აწარმოებდა, იყო ჩვენი დემოკრატიის მიერ ნაკარნახევი პოლიტიკა. ბ. ჩხიკვიშვილი ეყრდნობოდა თავის მოღვაწეობაში ადგილობრივ დემოკრატიას“.[2] საკითხავია: ნუთუ დემოკრატია მოითხოვდა ბათუმის ოლქში დამყარებულ რეაქციას? — რასაკვირველია, არა. ჩხიკვიშვილის მიერ დამყარებული დიქტატურა სწორად შეაფასა გაზეთმა „სამუსლიმანო საქართველომ“. იგი წერდა: „შემდეგი თაობა ზოგიერთი გვარდიელის და მილიციონერის საქციელს საზღაპროდ გახდის და შესაძლოა აკვანში ატირებულ ბავშვს დედა ასე აშინებდეს: „გაჩუმდი, მოვიდა გვარდიელი“.[3] მენშევიკების მიერ დამყარებულ დიქტატურას აკარაში მოსახლეობა ვერ ურიგდებოდა. იგი წინააღმდეგობას უწევდა მას, მაგრამ „ურჩობისათვის“ მენშევიკები სჯიდნენ არა მარტო „დამნაშავეს“, არამედ მთელ სოფელსაც. ეს აშკარად ჩანს ქობულეთის რაიონის სოფ. კოხის მაგალითიდან. მილიციელის მიერ ძლიერ შეურაცხყოფილმა პატიოსანმა გლეხმა — სერდალ გუნთაიშვილმა მოკლა ორი მილიციელი. ეს გახდა მიზეზი მთელი სოფლის აოხრებისა.

ბ. ჩხიკვიშვილის განკარგულებით სოფ. კოხში გაიგზავნა ცხენოსანი შეიარაღებული დამსჯელი რაზმი, რომელიც რისხვად დაატყდა კოხის მოსახლეობას. საქართველოს მთავრობისა და დამფუძნებელი კრების სახელზე გაგზავნილ დეპეშაში კოხის მოსახლეობა წერდა:

„...კოხში მოვიდა დამსჯელი რაზმი, რომელიც ართმევს ხალხს ჯარისათვის საუმელს, სცემენ ხალხს, ართმევენ სიმინდს ცხენებისათვის, სჭრიან ახალ სიმინდს, მოკლულის ოჯახებისათვის მოითხოვენ ერთ მილიონ მანეთის გადახდას და ამ ფულში მიჰყავთ ძროხები, ხარები, თხები, მიაქვთ სპილენძეულობა, ნოხები და სხვ. წაყვანილი საქონელი შიმშილით იხოცება. 15 ათასად ღირე-

1 გაზ. „ახალი კომუნისტი“, № 12, 1920 წ.
2 გაზ. „ბატუმსკაია ჟიზნ“, № 14, 1921 წ.
3 იქვე.

ბული — 5 ათასად მიაქვთ. მთელი ქობულეთის მუსულმანი ქართველების სახელით უმორჩილესად გთხოვთ მფარველობას... გთხოვთ უბრძანოთ რაზმს ხალხს ნუ ააწიოკებს... თვალცრემლიანი გევედრებით თხოვნის შესრულებას, მამობის გაწევას, ფიცსა ვდებთ, რომ დამნაშავეებს ჩვენც ვდევნით და მათი მოქმედება გვაშფოთებს. იმედი გვაქვს თხოვნა არ დარჩება ჩვენი საერთო სამშობლოს მეთაურის მიერ უყურადღებოთ".[1]

ეს თხოვნა ნამდვილად უყურადღებოდ დარჩა. სოფ. კოხის მთელ მოსახლეობას ჩხიკვიშვილის რაზმი მხეცურად გაუსწორდა. კოხის ამბები მთელ საქართველოს მოედო და პრესაში მსჯელობის საგანი გახდა, მაგრამ ჩხიკვიშვილისათვის მას მნიშვნელობა არ ჰქონდა. საგანგებო კომისარმა რეპრესიები კიდევ უფრო გააძლიერა.

მიუხედავად ასეთი ვითარებისა, აჭარის კომუნისტური ორგანიზაცია პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის გაშლას მაინც ახერხებდა. ბათუმის კომიტეტი შეუდგა მაისში მიყენებული ჭრილობის მოშუშებას. ივლისში აღდგენილ იქნა ძველი უჯრედები. ამასთან დაარსდა რამდენიმე ახალი უჯრედი. გაიზარდა კომუნისტების რიცხვი. მუშაობა განაახლა ბათუმის კომიტეტის პროპაგანდისტთა კოლეგიამ, მაგრამ ეს არ ითქმოდა პროფკავშირებში მუშაობის შესახებ.

აჭარაში მენშევიკური დიქტატურის დამყარების შემდეგ პროფკავშირების ხელმძღვანელობა მენშევიკების ხელში გადავიდა. პროფსაბჭოს ბოლშევიკური პრეზიდიუმის დაპატიმრების შემდეგ ახალი პროფსაბჭო ჯერ წულაძის, შემდეგ აიოლოს ხელმძღვანელობით მთლიანად მენშევიკური აღმოჩნდა. პროფმოძრაობა ზაფხულში იმდენად დაკნინდა, რომ მენშევიკურმა პროფკავშირთა კონფერენციამ (11 ივლისი) მიიღო სამარცხვინო დადგენილება. — პროფკავშირები უნდა იყვნენ ეკონომიური ორგანიზაციები და არა პოლიტიკურნი.[2] თუმცა მენშევიკები მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე არც ზრუნავდნენ.

1920 წლის მეორე ნახევარში მშრომელთა მდგომარეობა აჭარაში კიდევ უფრო გაუარესდა. ამას ხელი შეუწყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მკვეთრად დაცემამ. ბათუმის მრეწველობა, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბაქოს საექსპორტო ნავთობის წარმოებასთან, მენშევიკების მიზეზით მძიმე კრიზისს განიცდიდა. შეწყდა ბაქოს ნავთის ექსპორტი ბათუმის გზით, რადგან საქართველოს მენშევიკური მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა საბჭოთა აზერბაიჯანთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას ხელს უშლიდა. ამის შედეგი იყო, რომ ბათუმში ნავთის ქარხნებმა და მათთან დაკავშირებულმა სახელოსნოებმა მუშაობა შესწყვიტეს. ამის შემდეგ მუშაობა შეაჩერეს ნავთის გადამსხმელმა სადგურებმაც. სავაჭრო-სამრეწველო საწარმოებში (სახელოსნოების ჩათვლით) დარჩა მხოლოდ 1.602 კაცი. უმუშევართა რიცხვი ოქტომბრისათვის 5.500 კაცამდე გაიზარდა. შემდეგში მათი რიცხვი სულ უფრო მატულობდა.

მართალია, მენშევიკურმა პროფსაბჭომ შრომის ბირჟა დააარსა, მაგრამ მას დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. შრომის ბირჟაზე ჩაწერა ყოველდღე ხდებოდა, მაგრამ სამუშაო არავის ეძლეოდა. ერთადერთი ღონის-

1 გაზ. „ახალი კომუნისტი", № 70, 1920 წ.
2 გაზ. „სამუსლიმანო საქართველო", № 405, 1920 წ.

ძიება, რომლის განხორციელება მენშევიკებმა სცადეს, იყო ბათუმიდან უმუშევართა გასახლება.

არც მომუშავეთა მდგომარეობა იყო სანუგეშო. ცნობილია, რომ ბათუმის მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასი საქართველოს სხვა ქალაქების მუშა-მოსამსახურეთა ხელფასს ბევრად აღემატებოდა. მაშინ, როცა თბილისში მინიმალური ხელფასი 2.000 — 5.000 მანეთს შეადგენდა, ბათუმში იგი 8.800 — 12.800 მანეთს უდრიდა. ამ უპირატესობას ბათუმის მუშებმა და მოსამსახურეებმა ოკუპანტთა წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლით მიაღწიეს, მაგრამ მენშევიკებმა მთელ საქართველოში ხელფასის გათანასწორება გამოაცხადეს და ამით აპარის მშრომელების მდგომარეობა 4-5-ჯერ გაუარესდა.[1]

მენშევიკებმა სცადეს „მუშათა მაგიდის" შემოღებით მდგომარეობის ნაწილობრივი შემსუბუქება, მაგრამ ამას მუშებისა და მოსამსახურეების ცხოვრებაში არსებითი ცვლილება არ მოუხდენია. „მუშათა მაგიდა" მომსახურებას უწევდა ბათუმის მოსახლეობის მხოლოდ 21 პროცენტს. დანარჩენი მოსახლეობა მზარდი სპეკულაციის მსხვერპლი გახდა.[2]

ხელფასების შემცირებამ, რომელიც ისედაც დაბალი იყო, მუშა-მოსამსახურეთა საპროტესტო მოძრაობა გამოიწვია. ისინი ენერგიულად მოითხოვდნენ ხელფასის გადიდებას. მაგრამ ბათუმის ოლქის შრომის კომისარმა მათ ასე უპასუხა: „...ინგლისი იმიტომ იძლეოდა დიდ ჯამაგირს, რომ დიდი შემოსავალი ჰქონდა. საქართველო იმიტომ იძლევა ნაკლებ ჯამაგირებს, რომ ნაკლები შემოსავალი აქვს. საქართველოს რომ ცოტა შემოსავალი აქვს, ბოლშევიკების ბრალია".[3]

თუ რამდენად დაეცა მუშა-მოსამსახურეთა ცხოვრების დონე, ჩანს ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა პროფკავშირის მიმართვიდან, რომელიც გაეგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1920 წ. ოქტომბერში. „ჩვენი აზრით, — ვკითხულობთ მიმართვაში, — თუ არ იქნა მიღებული სასწრაფო ზომები, შორს არ არის ის დრო, როდესაც უწყების საქმიანობა საფრთხეში ჩავარდება. საჭიროა მუშა-მოსამსახურეებს იმდენი მაინც მიეცეს, რომ მათ ფიზიკურ არსებობას საფრთხე არ მოელოდეს".[4]

ვერც მთავრობა მალავდა იმას, რომ ცხოვრება დღითი-დღე უარესდებოდა, ხოლო მის მიერ მიღებულ ღონისძიებებს დადებითი შედეგები არ მოჰქონდა. „...სახელმწიფოს მიერ დღემდის მიღებულმა ზომებმა, — სწერდა რამიშვილი ნ. ეორდანიას, — საგრძნობი დახმარება მუშა-მოსამსახურეთ ვერ აღმოუჩინა. ვერც „მუშათა მაგიდის" დაარსებამ და ვერც ჯამაგირის პერიოდულმა მომატებამ ვერ შესძლეს შეეტანათ რაიმე გაუმჯობესება მუშა-მოსამსახურეთა ეკონომიურ მდგომარეობაში... უნაყოფო გამოდგა ფასების ზრდის მიხედვით ჯამაგირის მომატება, რაც იწვევს სრულიად საწინააღმდეგო შედეგებს და ფაქტიურად გადიდების მაგიერ, ამცირებს რეალურ ხელფასს".[5]

1 გაზ. „ახალი კომუნისტი", № 22, 1920 წ.
2 გაზ. „ეხო ბატუმა", № 105, 1920 წ.
3 გაზ. „ახალი კომუნისტი", № 59, 1920 წ.
4 ბათუმის რევოლუციის მუზეუმის არქივი, ფ. 4, ს. 88.
5 გაზ. „ერთობა", № 9, 1920 წ.

ასეთი იყო რამიშვილის ძალაუნებური აღიარებით საქართველოს მშრომელების მდგომარეობა. რაც შეეხება აჭარას, საქართველოს ამ კუთხეში გაცილებით უარესი მდგომარეობა იყო ცხოვრების ერთი-ორად გაძვირების გამო.

კიდევ უფრო მძიმე იყო აჭარის გლეხობის მდგომარეობა. მიწით სარგებლობის საკითხი ჯერ კიდევ არ იყო მოწესრიგებული. რომ არაფერი ვთქვათ სახნავ-სათესი მიწის უქონლობის შესახებ, ტყეებითა და საძოვრებით სარგებლობისათვის მემამულეები გლეხებს კვლავ უმოწყალოდ აჯარიმებდნენ. 1921 წლის იანვარში ქობულეთის რაიონის გლეხები იძულებული გახდნენ თხოვნით მიემართათ საქართველოს დამფუძნებელი კრებისათვის, რათა გაენთავისუფლებინათ ისინი მემამულეთა მძიმე უღლისაგან. ჩაქვისთავის, ხალას, დიდჯამეს, ხალვაშებისა და გიორგაძეების სოფლელთა კოლექტიურ განცხადებაში ვკითხულობთ:

„როცა გადატრიალება მოხდა და ძველი მთავრობა დაეცა... ჩვენ დარწმუნებული ვიყავით იმაში, რომ ბატონყმური უღელი მოგვეხსნებოდა დღეს მაინც... მაგრამ სამწუხაროდ ჯერჯერობით კიდევ განაგრძობენ ბატონყმურ დამოკიდებულებას და შევიწროვებული ვართ უწინდებურად... ხუთი სოფლის სახელით, როგორც მათი რწმუნებული მოვდივართ თქვენთან და გთხოვთ, რათა შეიცვალოს ეს დამოკიდებულება და ჩვენს ხალხს მიენიჭოს თავისუფლება... მოგვეცეს საბალახო და ტყით სარგებლობის უფლება, ნუ გადაგვხდება იჯარა... იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მოხსენება არ დარჩება უყურადღებოდ და ხალხი მიიღებს ნუგეშს“.[1]

გლეხების ეს თხოვნა, როგორც ყოველთვის, ახლაც უშედეგოდ დარჩა. მენშევიკებს არ შეეძლოთ და არც უნდოდათ მიწის საკითხის სწორად გადაწყვეტა. უფრო უარესი მდგომარეობა იყო აჭარის სხვა რაიონებში, განსაკუთრებით იქ, სადაც მსოფლიო ომის დროს თურქებმა ყველაფერი გაანადგურეს. ზემო და ქვემო აჭარისა და ართვინის მხარის გლეხთა მდგომარეობა ისეთი აუტანელი იყო, რომ მენშევიკური მთავრობაც კი იძულებული გახდა სპეციალურად შეესწავლა მოსახლეობის მდგომარეობა. ამ მიზნით, 1920 წ. 5-დან 15 სექტემბრამდე, დამფუძნებელი კრების წევრმა ა. ჩხენკელმა მოიარა ბათუმის ოლქის სოფლები, რომლის შემდეგ გაზ. „ერთობამ“ გამოაქვეყნა მოსახლეობის მდგომარეობის შესახებ საკმაოდ შელამაზებული მასალები:

„არტაანისა და ბათუმის მხარეთა მცხოვრებლებმა დიდი გაჭირვება, ღარბევა, გაძარცვა-აწიოკება და ჟლეტა განიცადეს ამ ექვსი წლის განმავლობაში. 1914 წლიდან ეს ტერიტორია სამხედრო და პარტიზანული მოქმედების ასპარეზი იყო. განადგურდნენ... განსაკუთრებით მაჰმადიანები... ბევრი დღესაც განიცდის სურსათის ნაკლებობას, ზოგან შიმშილიც არის. ბევრს კიდევ სახლკარი დამწვარი და განადგურებული აქვს, არა ჰყავთ მუშა საქონელი, თითქმის ყველანი ტიტველ-შიშველნი არიან... არა აქვთ მიწის დასამუშავებელი იარაღები, მიწა-ადგილების და საძოვრების სარგებლობა არ არის მოწესრიგებული. ერთი სიტყვით გაჭირვებაა ყველგან... გადასახადების აკრეფა ასეთ პირობებში შეუძლებელია“. იმის გამო, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი გადახვეწილი იყო „...ეზო-ყანა და ბაღები ტყედ ქცეულა, ნადირები საშინლად გამრავლებუ-

1 გაზ. „ერთობა“, № 9, 1921 წ.

ლა და მთელი ღამე მთაგორებზე ცეცხლია გაჩაღებული, რომლის ირგვლივ შემოკრებილა ხალხი და მწყემსავენ ყანებს ნადირისაგან.

დეპუტატმა დათვალიერა ღარიბთა ქოხები და ერთი პეშვი ფქვილიც ვერ ნახა. მდგომარეობა აუწერელია...“[1]

ამრიგად, აჭარის მოსახლეობის მდგომარეობა აუტანელი იყო, მაგრამ მათ დახმარებას არავინ უწევდა. თვითონ შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. რამიშვილის აღიარებით „პროვინცია სრულიად უყურადღებოდ იყო მიტოვებული“.[2]

ასეთ ვითარებაში დიდ პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდა აჭარის კომუნისტური ორგანიზაცია. კომუნისტები მოურიდებლად ამხილებდნენ მენშევიკების ღალატს მუშათა კლასის მიმართ და მოსახლეობას რუსეთის საბჭოთა მთავრობისათვის მხარდაჭერისაკენ მოუწოდებდნენ.

1920 წ. ივლისში აჭარის კომუნისტურმა ორგანიზაციამ აღნიშნა ი. ბ. სტალინის დიდი თანამებრძოლის საშა წულუკიძის გარდაცვალების 15 წლისთავი. ბათუმის კომუნისტური ორგანიზაციის საქალაქო კრებამ მოწოდებით მიმართა პარტიის წევრებს და ყველა მშრომელს ყოფილიყვნენ ისეთი შეურიგებელი მებრძოლი, როგორიც იყო საშა წულუკიძე.

მაისის შუა რიცხვებში მენშევიკურმა მთავრობამ დახურა გაზეთი „კომუნისტი“, „საქართველოს კომუნისტი“ და პასუხისგებაში მისცა მათი რედაქტორები. რეპრესიები გაძლიერდა. ციხეები დაპატიმრებული კომუნისტებით გაივსო. მენშევიკური მთავრობის რეპრესიების წინააღმდეგ მედგრად გაისმა პროტესტის ხმა. სხვებს არც აჭარის მშრომელები ჩამორჩნენ. ერთ-ერთი საპროტესტო წერილი ასე თავდებოდა:

„სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ მენშევიკური თვითმპყრობელობისა და რეაქციის წინააღმდეგ, რომელიც მუშათა კლასის ჯალათ-მტარვალად გამოვიდა. ხოლო თქვენ ციხეებში გამომწყვდეულო ამხანაგებო, იმედი გვაქვს ასე გმირულად გადაიტანთ მენშევიზმის ყოველივე ჯალათობას და ფიცსა ვდებთ, რომ არ გავუშვებთ ხელს სიკვდილამდე იმ წითელ დროშას, რომელიც თქვენი გმირობით საქართველოში ასე მაღლა ფრიალებს.

ზიზღი სოციალისტების ქურქში გახვეულ რეაქციონერებს!

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მუშათა კლასს!“[3]

კომუნისტური ორგანიზაციის მუშაობას მნიშვნელოვანი წარმატება ჰქონდა მთელ აჭარაში. განსაკუთრებით დიდი იყო კომუნისტების გავლენა ბათუმში. საქართველოს მთავრობა ამ გარემოებამ სერიოზულად ჩააფიქრა, მენშევიკური აგიტაციის გაძლიერების მიზნით მიღებულ იქნა სასწრაფო ზომები. მთავრობის დავალებით 1920 წ. 8 აგვისტოს ბათუმში ჩავიდა თბილისის მენშევიკური პროფკავშირების დელეგაცია. დელეგაციას ხელმძღვანელობდა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე მენშევიკი ა. ხელაძე.

დელეგაციის მიზანი იყო ბათუმის პროლეტარიატის აცდენა რევოლუციური გზიდან და მისი გადაყვანა მენშევიკურ პლატფორმაზე. 8 აგვისტოს რკინის თეატრში შედგა ქალაქის საბჭოს სხდომა. მოხსენება მომენტისა და პროფკავშირების ამოცანების შესახებ გააკეთა ხელაძემ. მოხსენება გაჟღენთი-

1 გაზ. „ერთობა“, № 215, 1920 წ.
2 ბათუმის რევოლუციის მუზეუმის არქივი, ფ. 4, ს. 88.
3 გაზ. „ახალი კომუნისტი“, № 35, 1920 წ.

ლი იყო საბჭოთა ხელისუფლებისადმი სიძულვილით. მომხსენებელი ყოველნაირად ცილს წამებდა და აძაგებდა საბჭოთა წყობილებას. იგი ამტკიცებდა, რომ სოციალიზმის განხორციელება რუსეთში შეუძლებელია, რომ ამ მხრივ მაგალითი უფრო განვითარებულმა ქვეყანამ (მაგ. ინგლისი) უნდა გვიჩვენოსო.

მომხსენებელს მხარი დაუჭირეს ბათუმელმა მენშევიკებმა. კომუნისტების წინააღმდეგ ცილისმწამებლური სიტყვით გამოვიდა აიოლო.

მენშევიკებს საკადრისი პასუხი გასცეს მოწინავე მუშებმა: მარკარიანმა, პერეპელიცამ და სხვებმა. მუშების გაბედულმა გამოსვლამ მენშევიკების გეგმა ჩაფუშა. განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა მეზღვაურთა კავშირის სახელით გამოსულმა ორატორმა პერეპელიცამ. მან მენშევიკების საზეიმო განწყობაში დისონანსი შეიტანა.[1]

დიდი მუშაობა გასწია აჭარის კომუნისტურმა ორგანიზაციამ ბათუმში მეორე ინტერნაციონალის გაკოტრებული ბელადების (კაუცკი, ვანდერველდე, რენოდელი, მაკდონალდი, შოუ) ჩამოსვლასთან დაკავშირებით. მათი ჩამოსვლა გამოიწვია ქართველი მენშევიკების პოლიტიკურად გაკოტრებამ. მათ ხელი უნდა შეეწყოთ სრული დაღუპვისაგან მენშევიკების გადარჩენაში. მაგრამ უკვე არავითარ ძალას არ შეეძლო საქართველოს მენშევიკური დიქტატურის ხსნა. საქართველო ბოლშევიზმისაკენ განუხრელად მიექანებოდა.

როგორც თბილისში, ბათუმშიც მენშევიკებმა 1920 წ. 14 სექტემბერს საზეიმო შეხვედრა მოუწყეს მათ. მაგრამ მენშევიკებმა ვერ შესძლეს მიტინგზე მუშების მასობრივად გამოყვანა. მაგალითად, მენავთობეთა პროფკავშირიდან, რომელიც ერთ-ერთი ძლიერი ორგანიზაცია იყო, მიტინგზე წავიდა მხოლოდ გამგეობის ორი წევრი და ხუთი მუშა. იმავე დღეს საქ.კპ(ბ) ბათუმის კომიტეტმა დაბეჭდა და ფართოდ გაავრცელა პროკლამაცია „ამხანაგო მუშებო!". პროკლამაცია ამხილებდა იმ გაუგონარ ღალატს, რომელიც მეორე ინტერნაციონალის ბელადებმა ჩაიდინეს მუშათა კლასის მიმართ. პროკლამაცია ასე თავდებოდა: „ძირს ყვითლები!, ძირს სოციალიზმის მოღალატენი!, გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს!, გაუმარჯოს მუშათა მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციას!"[2] საპროტესტო კამპანიის ჩატარებაში საქ.კპ(ბ) ბათუმის კომიტეტს დიდ დახმარებას უწევდნენ ბათუმში საბჭოთა საკონსულოს წევრები: პავჩინსკი, მელიქ-ოსიპოვი და სხვები. პროკლამაციების გავრცელებისათვის სხვებთან ერთად პავჩინსკიც დაუპატიმრეს.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში აჭარის კომუნისტურ ორგანიზაციას დიდ დახმარებას უწევდა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი. იგი „სპარტაკის" სახელწოდებით 1917 წელს წარმოიშვა. ახალგაზრდობის ამ ორგანიზაციამ დროებით მუშაობა შესწყვიტა 1918 წლის გაზაფხულიდან, როცა აჭარაში თურქ ოკუპანტთა ბატონობა დამყარდა. 1919 წლის ზაფხულიდან ახალგაზრდობის კავშირის მუშაობა კვლავ გამოცოცხლდა. ჩამოყალიბდა კომკავშირის არალეგალური კომიტეტი.

კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო 1920 წლის ზაფხულიდან. კომკავშირის ბათუმის კომიტეტს მჭიდრო კავშირი ჰქონდა საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან. ბორის

1 გაზ „ბატუმსკაია ჟიზნ", № 32, 1920 წ.
2 გაზ. „ახალი კომუნისტი", № 46, 1920 წ.

ძნელაძე და ცენტრალური კომიტეტის სხვა პასუხისმგებელი პირები ჩამოდიოდნენ ბათუმში და ეხმარებოდნენ ბათუმის კომიტეტის ხელმძღვანელ მუშაკებს. აჭარაში ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებდა 7 უჯრედი. კომკავშირის ბათუმის კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო მ. ანასტასიადი. იგი შეყვანილ იქნა საქ. კპ(ბ) ბათუმის კომიტეტის შემადგენლობაში. კომუნისტები დიდ მუშაობას ეწეოდნენ ოლქის სამრეწველო საწარმოებში, კერძოდ, კვარცხანის სპილენძის საბადოებში. კვარცხანის მუშათა კოლექტივი ართვინის მხარეში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში კომუნისტური ორგანიზაციის საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდა. კორესპონდენტის თქმით იქ მუშაობდნენ ისეთი მუშები, „რომლებიც მთავრობისაგან დათხოვნილები არიან ლენინის მომხრეობისათვის".[1]

1920 წლის ნოემბერში წითელმა არმიამ ვრანგელი საბოლოოდ გაანადგურა. ანტანტის მესამე ლაშქრობის დამარცხებამ საქართველოს მშრომელების უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია. ამ სასიხარულო ამბავს დაემატა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება სომხეთში. წითელი არმიის გამარჯვებამ და მეზობელ სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ საქართველოს მშრომელებს გამბედაობა შემატა.

წითელი არმიის გამარჯვების აღსანიშნავად ბათუმში, საბჭოთა საკონსულოს შენობაზე, 26 ნოემბერს წითელი დროშა აფრიალდა. წითელი დროშა აღმართა მეზღვაურთა კავშირმაც. არ გასულა ერთი საათი, რომ მეზღვაურთა კავშირს თავს დაესხნენ საგანგებო რაზმის წევრები და მოითხოვეს დროშის ჩამოხსნა, მაგრამ მეზღვაურებმა უარი განაცხადეს. მაშინ რაზმის უფროსის კედიას განკარგულებით დროშა ნაფლეთებად აქციეს, ხოლო მეზღვაურთა კავშირის გამგეობის მთელი შემადგენლობა დააპატიმრეს და ქუთაისის ციხეში გაგზავნეს.[2] საგანგებო რაზმის წევრები აპატიმრებდნენ ყველას, ვისზედაც პოლიტიკურ არასაიმედოობაში ეჭვს შეიტანდნენ.

ანტანტას არ შეეძლო შერიგებოდა იმ გარემოებას, რომ ამიერკავკასიაში საბჭოების მოქმედების ფარგლები სულ უფრო ფართოვდებოდა და საბჭოთა ხელისუფლება მტკიცდებოდა. ანტანტის იმპერიალისტებმა ქართველი მენშევიკების თანხმობით 1920 წ. ნოემბერში გადაწყვიტეს მოეხდინათ ბათუმის ოკუპაცია. ანტანტა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ახალი შეტევისათვის ემზადებოდა. რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა 18 ნოემბერს ენერგიული პროტესტი განუცხადა ანტანტას და მის ლაქია — საქართველოს მთავრობას ბათუმის მოსალოდნელი ოკუპაციის გამო.

საბჭოთა მთავრობა მზად იყო საქართველოს მთავრობასთან ერთად დაეცვა ბათუმი. მაგრამ ქართველმა მენშევიკებმა შეთავაზებული დახმარება არ მიიღეს. მენშევიკური გაზეთები უტიფრად აცხადებდნენ: „ბათუმი ჩვენია და არავის

---

1 გაზ. „სამუსლიმანო საქართველო", № 461, 1920 წ.

2 სავაჭრო ფლოტის მეზღვაურთა კავშირი ჩამოყალიბდა 1920 წლის იანვარში, იგი 200-მდე კაცს აერთიანებდა, მისი პირველი ხელმძღვანელები იყვნენ თერგვალიანი წინააღმდეგ ყირიმში მოწყობილი აჯანყების (1919 წლის შემოდგომა) ტატიური მონაწილე კომუნისტები — მ. პერეპელიცა და ფ. მეშკოვი. კავშირთან შეიქმნა კომუჯრედი, რომლის მუშაობას წარმატებით ხელმძღვანელობდა ვ. ყვაპანტირაძე (სკოროვი).

მეზღვაურთა კავშირისა და კომუჯრედის ხელმძღვანელობით ბათუმის სავაჭრო ფლოტის მეზღვაურთა კოლექტივი საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში საქ. კპ(ბ) ბათუმის კომიტეტის მტკიცე დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა.

უფლება არა აქვს მისი არც დაპყრობის და არც დაცვისო". საკუთარი მოსწრებულად შენიშნავდა გაზეთი „ახალი კომუნისტი": „განა ცეცხლმოკიდებული სახლის პატრონი შეუშლის მეზობელს ხელს ცეცხლის ჩაქრობაში? იმ მოსაზრებით, რომ სახლი ჩემია და რას ზარალობ თუ დაიწვის. შენ კი ჩემ სახლთან რა გესაქმებაო. მეზობელი სახლის პატრონს ის ესაქმება, რომ შესაძლოა ცეცხლი მის შენობაზედაც გადავიდეს და ამიტომ ის ვერ აყვება ცეცხლწაკიდებული სახლის უდარდელ პატრონს და ვერ გაიზიარებს მის ჭკუას".[1]

ამჯერად ბათუმის ოკუპაციის ანტანტის გეგმა ჩაიშალა, მაგრამ მენშევიკებს კარგად ესმოდათ, რომ საკუთარი ძალებით ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებდნენ და ამიტომ ეს მყვირალა „პატრიოტები" იმდენად დაქვეითდნენ, რომ სამშობლო თურქეთს მიპყიდეს. მაგრამ ამაზე ქვემოთ. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართველი მენშევიკების დიქტატურა სულ უფრო უახლოვდებოდა დასასრულს. 1920 წლის დამლევისათვის მშრომელ მასებს შორის კომუნისტურმა პარტიამ დიდი გავლენა მოიპოვა.[2] დღის წესრიგში მტკიცედ დადგა შეიარაღებული აჯანყების მოწყობისა და ძალაუფლების დაპყრობის საკითხი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი პრაქტიკულად შეუდგა ძალაუფლების დაპყრობისათვის მზადებას. საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანეს პარტიული ორგანიზაციები და მუშათა და გლეხთა შეიარაღებული რაზმები. 1921 წ. 11 თებერვალს საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობით შეიარაღებული აჯანყება დაიწყო.

აჯანყებამ თავიდან ფართო ხასიათი მიიღო. იგი მთელ საქართველოს მოედო. 1921 წ. 16 თებერვალს შეიქმნა საქართველოს რევკომი, რომელმაც საქართველო სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადა და მშრომელ მოსახლეობას საბჭოების ხელისუფლებისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდა.

მშრომელების სურვილის თანახმად რევკომმა დახმარებისათვის ვ. ი. ლენინს მიმართა. ლენინის მითითებით მე-11 წითელი არმია საქართველოს მშრომელებს დაუყოვნებლივ მიეშველა. 25 თებერვალს თბილისში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა.

აღსასრულის წინ ქართველმა მენშევიკებმა კომუნისტები მასობრივად დაპატიმრეს. დაპატიმრებულ იქნენ აგრეთვე საბჭოთა აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლობათა წევრები და რსფსრ მისიის მთელი შემადგენლობა. 18 თებერვალს ყველა დაპატიმრებული ქუთაისში გადაგზავნეს.

ჟორდანია-რამიშვილის მთავრობამ სცადა ზურგის „გაწმენდა მავნე ელემენტებისაგან". მთავრობა მთელ იმედებს უმთავრესად ბათუმის ოლქზე ამყარებდა. ჯერ კიდევ 1920 წლის დეკემბრის დამლევს შიბაევის ქარხნის ტერიტორიაზე მცხოვრებ კომუნისტ იაკუბოვის ბინაზე დაპატიმრეს საქართველოს კპ(ბ) ბათუმის კომიტეტის მთელი შემადგენლობა. დაპატიმრებამ აჭარაში მასობრივი ხასიათი მიიღო. მაგრამ უკვე გვიანღა იყო.[3]

1 „ახალი კომუნისტი", № 105, 1920 წ.
2 ბათუმის რევოლუციის მუზეუმის არქივი, ფ. 4, ს. 88.
3 სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი, ფ. 17, ს. 424, ფურცელი 7-8.

საქართველოს ყოფილი მთავრობა შეეცადა მობილიზაციის ჩატარებას. ეს იყო მისი ერთ-ერთი უკანასკნელი ღონისძიება. 1921 წ. 17 თებერვალს ჟორდანიამ ბათუმში ახალ გენერალ-გუბერნატორ გიორგაძეს დეპეშით მიმართა: „გააძლიერეთ სამხედრო მუშაობა, გამოუგზავნეთ მთავრობას სულ ახალ-ახალი ძალები და ჩვენ მტერს საბოლოოდ დავამარცხებთ“.[1]

გიორგაძემ თავის მხრივ მოწოდებით მიმართა აჭარის მოსახლეობას:

„ქართველო მუსულმანებო! თქვენც უნდა შეიტანოთ წვლილი სამშობლოს დაცვის საქმეში... ხელი მოკიდეთ იარაღს... მახვილი მტრის გულში“.[2]

აჭარის მშრომელ მოსახლეობას კარგად ესმოდა თუ ვინ იყო მისი მტერი და მოყვარე. ამიტომ იყო, რომ მოსახლეობა გადაჭრით უარს აცხადებდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაზე. მენშევიკური მთავრობის ერთ-ერთი აგენტი სოფელ ქედიდან გიორგაძეს ატყობინებდა: „ძველი კომისარი დ. დოლიძე ქმნის გვარდიას და მასში ჩაწერილთ პირდება ხელფასს. ჩვენ გვინდა მიტინგი მოვაწყოთ და მოსახლეობას ავუხსნათ საქმის ვითარება და მოვუწოდოთ ჩაეწერონ გვარდიაში. შემდეგ გვინდა შეექმნათ ზურგში დახმარების კომიტეტი და გავაღვიძოთ ხალხში ფრონტისადმი თანაგრძნობა, მაგრამ მოსახლეობა არ გვაძლევს შესაძლებლობას განვახორციელოთ ეს“.[3]

ასეთივე მდგომარეობა იყო მთელ აჭარაში. ჩაიშალა ქობულეთის რაზმის შედგენაც, რომელსაც სათავეში შენშევიკი გ. ანჯაფარიძე ედგა. ამრიგად, ქართველი მენშევიკები მშრომელი მოსახლეობისაგან სრულიად იზოლირებული აღმოჩნდნენ.

5 მარტს ქუთაისის კომუნისტურმა ორგანიზაციამ შექმნა თავდაცვის საბჭო. იგი სათავეში ჩაუდგა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლას. საქართველოს ყოფილი მთავრობა ქუთაისიდან ბათუმში გაიქცა. 7 მარტს დაიწყო პატიმრების გადაგზავნა ბათუმში. პირველ დღეს, ბათუმში გადაგზავნეს 300 კომუნისტი პატიმარი (ქუთაისის ციხეში 600-ზე მეტი კომუნისტი იყო დამწყვდეული).

ბათუმში გაქცევის წინ მენშევიკებმა აუწერელი საზიზღრობა ჩაიდინეს. ღამე ციხიდან ცემით გამოიყვანეს შეუდრეკელი მებრძოლი კომუნისტები ივანოვი და მარდალეიშვილი, წაიყვანეს საღორიის ტყეში, დანებით დაჩხვლიტეს და წამებით მოკლეს, შემდეგ კი ცეცხლში დაწვეს.[4]

10 მარტს, საღამოს ქუთაისში შევიდა წითელი არმიის მეწინავე ნაწილი. წითელი არმიის დახმარებით მოსახლეობის აჯანყება გამარჯვებით დამთავრდა. შედგა რევკომი 7 კაცის შემადგენლობით. ქუთაისში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

სრულიად გაკოტრებულმა ყოფილმა მენშევიკურმა მთავრობამ ახალი ვერაგობა ჩაიდინა. ერთი მხრივ ის შეუდგა სახალხო ქონების დატაცებას და საზღვარგარეთ გაზიდვას, მეორე მხრივ მან დახმარებისათვის მიმართა ანტანტის იმპერიალისტებს, კერძოდ, საფრანგეთის წარმომადგენელ შევალიეს.

1 ბათუმის რევოლუციის მუზეუმის არქივი, ფ. 4, ს. 88.
2 იქვე.
3 იქვე.
4 ივანოვი და მარდალეიშვილი დასაფლავებული არიან ქუთაისში „ღულაძის მოედანზე“, ამჟამად მას ძმათა სასაფლაო ეწოდება. ერთ-ერთი მთავარი ქუჩა ქუთაისში ივანოვისა და მარდალეიშვილის სახელს ატარებს.

ყორდანია-რამიშვილის ყოფილი მთავრობის ვერაგობა კიდეე უფრო შორს წავიდა. საქართველოს რევკომის წინადადებას საომარი მოქმედების შეწყვეტისა და საზავო მოლაპარაკების დაწყების შესახებ, მან მზადყოფნით უპასუხა. 16-17 მარტს მოლაპარაკება მიმდინარეობდა ქუთაისში, მაგრამ ყველაზე უფრო მკაფიოდ აქ გამოჩნდა მენშევიკების ორპირობა და ვერაგობა.

მაშინ, როცა ქუთაისში მოლაპარაკება მიმდინარეობდა, მენშევიკებს უკვე გაყიდული ჰქონდათ, როგორც ისინი ყოველი ფეხის ნაბიჯზე გაიძახოდნენ, „საეხელოვანი სამშობლო“, „ძვირფასი მამული“. მენშევიკებმა ქ. ბათუმი და მთელი ოლქი თურქეთს გადასცეს. 1921 წ. 11 მარტს თურქეთის ჯარის მეწინავე ნაწილი, 500 ჯარისკაცი, ბათუმში შემოვიდა. 16 მარტისათვის მათი რიცხვი 3500-მდე გაიზარდა. ქ. ბათუმი და ბათუმის ოლქი ფაქტიურად თურქეთის ჯარმა დაიკავა.

როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, თურქებს გადაწყვეტილი ჰქონდათ 17 მარტს ბათუმის გამაგრებული რაიონის ხელში ჩაგდება, ხოლო მეორე დღეს მენშევიკური ჯარების განიარაღება და ბათუმის მთელი ოლქის თურქეთთან შეერთება. ასეთ ვითარებაში საქართველოს ყოფილი მენშევიკური მთავრობა საქართველოს რევკომთან მოლაპარაკებას აწარმოებდა. განა ამაზე მეტი ორპირობა და ვერაგობა შეიძლება?

17 მარტს ღამით საქართველოს ყოფილი მთავრობა საზღვარგარეთ გაიქცა.[1] მან თან წაიღო ქართველი ხალხის ძვირფასი ქონება. იმავე დღეს პატიმრობისაგან განთავისუფლებულ იქნენ კომუნისტები. საღამოს 8 საათზე შეიქმნა დროებითი რევკომი ს. ქავთარაძის თავმჯდომარეობით. მის შემადგენლობაში შევიდნენ: ს. ქავთარაძე, ს. გუბელი, მ. ტოროშელიძე, თ. ეღენტი, კ. თავბერიძე, ი. პევცოვი, დ. მახარაძე, კ. საჯაია, რ. ნიკარაძე და მ. აბაშიძე.

9 საათისათვის რევკომი გადავიდა ციხის შტაბის შენობაში, დაუყოვნებლივ შეუდგა თურქებისაგან აჭარის განთავისუფლებას და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორგანიზაციას. რევკომის ხელმძღვანელობით შედგენილ იქნა მებრძოლი რაზმი. რაზმში დაუყოვნებლივ შევიდნენ ციხიდან განთავისუფლებული კომუნისტები და მოწინავე მუშები. მათი რიცხვი 1000-ზე მეტი იყო.[2]

მთელი ღამე ქალაქში შეიარაღებული შეტაკებები ხდებოდა. თურქები უარს ამბობდნენ დაეტოვებინათ ქალაქი და ბათუმის გამაგრებული რაიონი. უფრო მეტი: თურქეთის ჯარის სარდალი ქიაზიმ-ბეი ბათუმის ოლქს თურქეთთან შეერთებულად აცხადებდა. ის თავისთავს ბათუმის გენერალ-გუბერნატორს უწოდებდა. 17 მარტს ღამით რევკომში გამოცხადდა თურქეთის ჯარის ოფიცერი და გადასცა ქიაზიმ-ბეის შემდეგი ულტიმატუმი:

„უკანასკნელ დროს, საქართველოს მთავრობის თანხმობით, ჩვენმა ჯარებმა ოკუპაცია უყვეს ბათუმის, ახალქალაქისა და ახალციხის ოლქებს. ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობის დადგენილებით, რომელიც დამყარებუ-

1 უკანასკნელ თვეში მენშევიკური მთავრობა სრულიად გაკოტრდა. ჯარის ნაწილებში დიდი გარდატეხა დაიწყო; კომუნისტებმა წარმატებით მუშაობდნენ ჯარისკაცთა შორის. მთავრობის წინააღმდეგ აჯანყების სულისკვეთება ჯარისკაცთა მასებს სულ უფრო იპყრობდა. ასეთი განწყობილება შეიქმნა ჯარის იმ ნაწილებშიც, რომელიც განლაგებული იყო აჭარაში. კომუნისტები წარმატებით ამზადებდნენ ჯარისკაცთა აჯანყებას, მაგრამ ყორდანია-რამიშვილის მთავრობამ დაასწრო და საზღვარგარეთ გაიქცა.

2 რევკომის მებრძოლი რაზმი თავის მხრივ გაიყო ოთხ რაზმად. მათი ხელმძღვანელები იყვნენ: მ. თუმანოვი, გ. ჩანგიშვილი, გ. ჯიბლაძე და ა. სურგულაძე.

ლია სხვადასხვა დრონინდელი ხელშეკრულებაზე და მრავალჯერ დადასტურებული ჩვენს ეროვნულ უფლებებით, ეს ოლქები დღეიდან უბრუნდებიან ოსმალეთს...“[1]

რევკომმა კატეგორიულად უარყო ქიაზიმ-ბეის ულტიმატუმი და ამასთან გააფრთხილა, რომ აჭარის მოსახლეობა ერთი წუთითაც არ მოითმენს თურქეთის ჯარის აქ დარჩენას, რომ მთელი მოსახლეობა — დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი იარაღს აისხამს თავის უფლებების დასაცავადო.

საჭირო იყო სწრაფი მოქმედება. რევკომის მებრძოლი რაზმი არ კმაროდა თურქეთის ჯარის გასადევნად. ამიტომ რევკომმა, კერძოდ, მისმა თავმჯდომარემ ს. ქავთარაძემ წინადადება მისცა მენშევიკური ჯარის ყოფილ გენერალ მაზნიაშვილს დაუყოვნებლივ მონაწილეობა მიეღო თურქებისაგან აჭარის განთავისუფლებაში. მიუხედავად გენერალ მაზნიაშვილის პირველ ხანებში მერყეობისა, დაიწყო დაშლილი სამხედრო ნაწილების აღდგენა.

18 მარტს ქ. ბათუმში და მის მიდამოებში დილიდანვე სისხლისმღვრელი ბრძოლები გაჩაღდა. თურქები თავს დაესხნენ ციხის შტაბს და სცადეს მისი დაკავება, მაგრამ ამაოდ. თურქები შეიჭრნენ კახაბრის ფორტში და განიარაღეს მენშევიკური ნაწილები, მაგრამ რევკომის მებრძოლმა რაზმმა თურქები იქიდან მალე განდევნა. ამასობაში წითელი არმიის ნაწილები ბათუმს უახლოვდებოდნენ. ეს გარემოება ძალას მატებდა მებრძოლ რაზმს. „ორხელისუფლებიანობამ“ ბათუმში ორ დღეს გასტანა. 21 მარტს ბათუმი თურქებისაგან გაიწმინდა. წითელი არმიის ნაწილებმა რევკომს დიდი დახმარება აღმოუჩინეს ქალაქში წესრიგის აღდგენაში. ქიაზიმ-ბეი იძულებული გახდა ხელისუფლებაზე უარი ეთქვა. ბათუმში თურქეთის მხრივ საშიშროება სრულიად აღმოიფხვრა. მაგრამ აჭარის რაიონებში თურქეთის ჯარის ნაწილები მარტის ბოლომდე მაინც შემორჩენ. მათ საბოლოო განდევნაში რევკომს დიდი დახმარება აღმოუჩინა წითელმა არმიამ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების გამო აჭარის მშრომელებს მხურვალედ მიესალმა საქართველოს რევკომის თავმჯდომარე ფ. მახარაძე. მისალმებაში ნათქვამი იყო:

„ძმებო და ამხანაგებო, აჭარის მუშებო და გლეხებო! როგორც იქნა ბოლო მოეღო თქვენს ტანჯვა-ვაებას; თქვენ თავისუფალი ხართ, თქვენი კუთხე... ბევრჯერ იყო აოხრებული და აწიოკებული, თქვენ დაგცინოდნენ, როგორც ინგლისის, ამერიკის და საფრანგეთის იმპერიალისტები, ისე მენშევიკი-ძალდამტანებლები; შეურაცყვეს თქვენი ადათი — ზნე, სარწმუნოება და სინიდისი, დღეიდან... დაცინვას ბოლო მოეღო. ამ დიდებულ და სასიკეთოულო ჟამს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა მთავრობა მთელი ქვეყნის და მუშების წინაშე აცხადებს, რომ აჭარის ხალხს მინიჭებული აქვს სრული თავისუფლება და ხელშეუხებლობა. აჭარას მინიჭებული აქვს ავტონომია საბჭოთა კონსტიტუციის საფუძველზე.

გაუმარჯოს აჭარის მუშებსა და გლეხებს...“[2]

23 მარტს აჭარის მშრომელებმა აზიზიეს მოედანზე (ახლა ლენინის მოედანი) მიწას მიაბარეს საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში დაცემულ გმირ-

1 გაზ. „კომუნისტი“, № 239, 1921 წ.
2 გაზ. „უწყებები“, 1921 წ., 24 მარტი.

თა გვამები. მათი დასაფლავება აჭარის მშრომელების დიდ დემონსტრაციად გადაიქცა.

აჭარიდან განდევნის შემდეგ ქემალისტები დიდ იმედებს ამყარებდნენ საზღვრო სოფლების მოსახლეობაზე. ქემალისტების პროპაგანდამ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ამ სოფლებში ფართო ხასიათი მიიღო, მაგრამ აჭარის მშრომელები მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ. მათ მტკიცედ დაუჭირეს მხარი საბჭოთა ხელისუფლებას. 11 აპრილს მარადიდში გაიმართა გრანდიოზული მიტინგი. ქემალისტები ფიქრობდნენ, რომ მიტინგი მიიღებდა ანტისაბჭოთა ხასიათს, მაგრამ მოხდა პირიქით. მიტინგმა ერთსულოვნად მოიწონა საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. კომუნისტური პარტიისადმი სიყვარულის ნიშნად მშრომელებმა მოითხოვეს მარადიდში კომუკრედის ჩამოყალიბება. იმავე დღეს პარტიის რიგებში შევიდა 18 გლეხი. ეს იყო აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების ზეიმის ერთ-ერთი მკაფიო მაგალითი.

აჭარის მშრომელები აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას მთელ საქართველოში. 27 მარტს ბათუმის მუშებმა ჩაატარეს მიტინგი და მისალმება გაუგზავნეს ვ. ი. ლენინს. 28 მარტს სოფელ ქედაში გამართულ ხალხმრავალ მიტინგზე გლეხებმა ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, „რომელშიაც ისინი ესალმებიან წითელ არმიას... და სიტყვას დებენ, რომ პირნათლად დაიცავენ საბჭოთა ხელისუფლებას“.[1]

მარტში ხულოში გამართულმა გრანდიოზულმა მიტინგმა ერთსულოვნად მოიწონა მენშევიკური დიქტატურის დამხობა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. გლეხებმა მოითხოვეს ძველი სახელმწიფო აპარატის ძირფესვიანად დამსხვრევა და არჩევნების ჩატარება.[2]

ასეთივე მიტინგები ჩატარდა ქობულეთში, დაგვაში, ჩაქვში, ხუცუბანში, გონიოსა და სხვა სოფლებში.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას მიესალმნენ აჭარის მშრომელი ქალებიც. აპრილის პირველ რიცხვებში შედგა ბათუმის ქალთა პირველი თავისუფალი მიტინგი. მიტინგმა განიხილა საბჭოთა მშენებლობაში ქალთა აქტიური მონაწილეობის საკითხი. მიტინგის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამი იყო:

„ბათუმის ქალთა პირველი კრება მისასალმებელ დეპეშას უგზავნის ცენტრალური კომიტეტის მუშა-ქალთა განყოფილებას და ქალთა უფლებისათვის დიდ მებრძოლ ამხ. ლენინს.

ბათუმის ქალებმა მტკიცედ გადაწყვიტეს, რომ შემჭიდროვდნენ და ყოველი თავისუფალი წუთი საბჭოთა მშენებლობის გაცნობას დაუთმონ, მონაწილეობა მიიღონ ახალი ხელისუფლების შექმნაში, იარონ რუსეთის ქალებთან ერთად იმისათვის, რათა მალე შეიქმნას ქართველი ქალებისა და ბავშვებისათვის ის ნათელი და თავისუფალი ცხოვრება, რომელიც შექმნილია საბჭოთა რუსეთში“.[3]

1 გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ., 15 აპრილი.
2 გაზ. „იზვესტია“, 1921 წ., 14 აპრილი.
3 იქვე.

ქართველი მენშევიკების იმედი, რომ საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში მტკიცე საყრდენს მოკლებული იქნებოდა, უნიადაგო აღმოჩნდა, მოსახლეობის სხვადასხვა ფენები მტკიცედ უპერდნენ მხარს საბჭოთა ხელისუფლებას.

ბათუმის ოლქის რევკომი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან მეუდგა ხელისუფლების ორგანიზაციას აპარაში. ქმნიდნენ ახალ, საბჭოთა აპარატს. მთელ კუთხეში წარმატებით მიმდინარეობდა სამაზრო და სასოფლო რევკომების შექმნა. რევკომის შემადგენლობაში ირჩევდნენ მხოლოდ მშრომელებს, ადამიანებს, რომლებიც მზად იყვნენ დაეცვათ სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარი.

25 მარტს ბათუმში ჩამოვიდა რსფსრ წარმომადგენელი ამხ. ს. ორჯონიკიძე. ორჯონიკიძემ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მოწყობისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ სახელმძღვანელო მითითებანი მისცა რევკომს, პარტიის საოლქო კომიტეტს და პროფკავშირების საოლქო ბიუროს.

საბჭოთა ხელისუფლებამ აპარაში მემკვიდრეობით მიიღო ძველი მეჯლისი, რომელმაც ხალხის ნდობა და პატივისცემა ვერ დაიმსახურა (რადგან ხალხის მძარცველებს ემსახურებოდა). აპარის მშრომელებმა მოითხოვეს ახალი მეჯლისის არჩევა, რომელიც მაისში დაიწყო. მისი პირველი სხდომა 6 ივნისს გაიხსნა, მაგრამ მალე გამოირკვა, რომ არც ახალი მეჯლისი გამოხატავდა ღარიბი ხალხის ინტერესებს. ამიტომ ხალხში თავი იჩინა ახალმა მოძრაობამ. გლეხები ქმნიდნენ კომიტეტებს და ემზადებოდნენ წითელი მეჯლისის არჩევნებისათვის. ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში გამოითქვა აზრი, რომ წითელი მეჯლისი, ის მეჯლისია, რომელიც მუშაობას 6 ივნისს შეუდგა. ეს აზრი აშკარად მცდარია.

ღარიბი გლეხკაცობის ნამდვილი სახალხო მოძრაობა დამთავრდა წითელი მეჯლისის არჩევით. ღარიბ გლეხთა პირველი ყრილობა გაიხსნა ქ. ბათუმში 1921 წლის 7 ნოემბერს. აპარის მშრომელების ისტორიაში ეს იყო დიდი მნიშვნელობის მოვლენა. მან ბოლო მოუღო ფეოდალური ურთიერთობის ნაშთებს, მიწა მისცა გლეხებს, გაათავისუფლა ისინი ბეგების, აღების, ხოჯებისა და მოლების ბატონობისაგან.

ყრილობამ აირჩია ცენტრალური აღმასკომი, რომელსაც ყრილობის დადგენილებით წითელი მეჯლისი ეწოდა. ყრილობამ მისასალმებელი და მადლობის დეპეშა გაუგზავნა ლენინს:

— „ძვირფასო ამხანაგო ლ ე ნ ი ნ.

დღევანდელი დღით აპარისტანის მშრომელთა ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება...

ჩამოვედით რა თავის პირველ ყრილობაზე აპარისტანის ყველა სოფლებიდან, ჩვენ, დელეგატებმა, მივიღეთ რა მონაწილეობა ბათუმის პროლეტარიატთან ერთად, ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულში, მივიღეთ რა მონაწილეობა მთელი ქვეყნის მშრომელთა სახელოვანი ბელადის ძეგლის აგებაში და გავხსენით რა შემდეგ ყრილობა, ამოგირჩიეთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო ლენინ, ჩვენი საპატიო თავმჯდომარედ. გატყობინებთ რა ამას, გიძღვნით თქვენ, მსოფლიო

სოციალისტური რევოლუციის უდიდეს სულისჩამდგმელს, მხურვალე სალამს და გისურვებთ დღეგრძელობას მთელი ქვეყნის მშრომელთა საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს მსოფლიოს დიდი რევოლუციის დიდ ბელადს ამხ. ლ ე ნ ი ნ ს!"[1]

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ თავისუფალი მშრომელი ხალხი დიდი ენთუზიაზმით შეუდგა სახალხო მეურნეობის აღდგენას და განვითარებას. პატრიოტულ მოძრაობას გამოხატავდა „შაბათობის ბიუროების" შექმნა თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და სხვა ქალაქებში.

თბილისში პირველი შაბათობა მოეწყო 2 აპრილს. შაბათობის პრაქტიკა მალე სხვა ქალაქებშიც დაინერგა. 15 მაისიდან ბათუმში შაბათობა ყოველ კვირადღეს ეწყობოდა. პირველ შაბათობაში, რომელიც ჩაქვის სახალხო მამულში მოეწყო, მონაწილეობდა 1500-მდე კაცი. 22 მაისს მოწყობილ შაბათობაში მონაწილეობდა 800-ზე მეტი კაცი და ა. შ. ამიერიდან მან ნამდვილად სახალხო ხასიათი მიიღო.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლებამ აჭარაში მტკიცედ გაიმარჯვა.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ უდიდესი წარმატებები მოიპოვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. მზიური აჭარა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გადაიქცა საბჭოთა საქართველოს ულამაზეს, მდიდარ და აყვავებულ კუთხედ.

---

1 აჭარის ასსრ ცენტრალური არქივი, ფ. 11, ს. 3.

Цквитария П. К.,
кандидат исторических наук.

Борьба за Советскую власть в Аджарии

Резюме

Трудящиеся Аджарии с большим воодушевлением встретили победу Великой Октябрьской социалистической революции. 26 октября (8 ноября) 1917 года батумская большевистская организация послала приветствие великому Ленину. В те же дни в Батуми проводился грандиозный митинг, на котором присутствовало и много крестьян.

Уже раньше, летом 1917 года, большевистская огранизация Аджарии завоевала большой авторитет среди трудящихся. Ее авторитет еще больше возрос после победы Октябрьской социалистической революции. В борьбе за Советскую власть большую роль сыграли большевистские газеты: «Рабочая правда» (выходившая на грузинском языке), «Буревестник» (на русском языке), «Заря» (на греческом языке), «Рабочий и солдат» (на армянском языке).

Осенью 1917 года влияние большевистской организации Аджарии как в тылу, так и на Трапезундском фронте настолько возросло, Советская власть сделалась настолько популярной, что практически был поставлен вопрос о вооруженном восстании. Этот вопрос был обсужден на областной конференции большевиков Аджарии (в средних числах февраля 1918 г.), на которой присутствовали представители и гурийской большевистской организации. Для руководства восстанием был создан Ревком. Большевики имели отряд красногвардейцев, поддерживаемый батумским военным флотом. Всеми этими работами руководил Батумский большевистский комитет с руководящим ядром в составе: М. Кахиани, В. Бахтадзе, И. Певцова, С. Ганшина, Н. Анастасиади, Мелик-Осипова, Т. Мгалоблишвили и др.

В Артвинском округе большую политическую работу вела артвинская большевистская организация, которую возглавляли: Г. Гурджян, П. Данелян, Г. Казанджян и Г. Закарян, а позже Е. Пилоян, О. Хачикян и другие.

Подготовка к вооруженному восстанию в Батумской области проводилась успешно, но по некоторым причинам оно не удалось. Коварную роль сыграли грузинские меньшевики. 5 марта 1918 года меньшевистская гвардия напала на батумский военный флот, захватила

ინგლისელი ოკუპანტების მიერ დაპატიმრებული პრეზიდიუმის მეშვაობა ჯაფარიძე „ოფიციალ ზაკორენნეგ“.

военные корабли и арестовала моряков. После этих событий отряд красной гвардии распался.

В связи с ликвидацией Кавказского фронта большую работу провел Батумский большевистский комитет. Было перевезено очень много военного имущества, использованного затем в борьбе с врагами Советской власти. Революционно настроенные солдаты организованно были посланы в Россию в распоряжение Совнаркома.

С 14 апреля по декабрь 1918 года Аджария была оккупирована турецкими войсками. Население с самого начала оккупации развернуло энергичную борьбу против иноземных захватчиков.

С декабря 1918 года турок сменили англичане. Аджария превратилась в колонию английских империалистов, вся власть перешла в руки военного губернатора. Аджария стала плацдармом борьбы против Советской власти.

Оккупанты установили в Аджарии военную диктатуру. На все должности назначались английские офицеры или русские черносотенцы. Строго запрещались собрания, митинги, демонстрации и т. п. Была введена смертная казнь.

Несмотря на такую сложную обстановку, борьба против оккупантов все же продолжалась и усиливалась. Трудящиеся Аджарии об'явили иностранным захватчикам бойкот. Англичане усилили террор — население ответило массовым красным террором.

В условиях военной диктатуры большую политическую работу вела коммунистическая организация Аджарии, которой в 1919—1920 г.г. руководил видный революционер Серго Губели (Медзмариашвили). Значительную работу вели также К. Бердзенишвили, И. Певцов, М. Беленький, Г. Чангишвили и другие товарищи.

В 1919—1920 годах Батумский комитет издавал газету «Голос труда», сыгравшую большую роль в пропаганде Советской власти. Она была настоящим вестником Социалистической революции.

С 5 сентября 1919 года военный губернатор об'явил в Аджарии осадное положение. Начались массовые аресты революционеров. Прекратилось издание газеты «Голос труда». Несмотря на репрессии, коммунисты Аджарии энергично готовились к вооруженному восстанию. Работа в этом направлении еще больше усилилась с первых месяцев 1920 года.

28 апреля в Азербайджане установилась Советская власть. Это обстоятельство еще больше увеличило шансы на вооруженное восстание в Аджарии. Газета «Голос труда», издание которой возобновилось с января 1920 г., продолжала вести большую политическую работу.

В 1920 году первомайская демонстрация и митинг в Батуми прошли под большевистскими лозунгами. Трудящиеся требовали установления Советской власти. По настоянию участников митинга из тюрьмы был освобожден Серго Губели (Медзмариашвили), арестованный 30 апреля в связи с убийством белогвардейского генерала Ляхова.

В такой обстановке Батумский большевистский комитет создал Ревком, который назначил вооруженное восстание на 10 мая. К нему был готов и Артвинский большевистский комитет. Военный губернатор, заранее узнавший об этом, 8—9 мая арестовал 18 руководящих работников батумского комитета и Совпрофа. Восстание сорвалось.

С июля английских оккупантов сменили меньшевики, установившие в Аджарии жестокую диктатуру. Они производили массовые аресты коммунистов и передовых рабочих. Но господство меньшевиков оказалось недолговечным.

После установления в Тбилиси Советской власти, меньшевистское правительство перебралось в Кутаиси, затем в Батуми. В те же дни меньшевики совершили неслыханную измену—они передали батумскую область туркам, а сами 17 марта 1921 г. сбежали за границу. В тот же день под руководством С. Кавтарадзе был создан Ревком, провозгласивший в Аджарии Советскую власть.

ლევან დავითაძე

საბჭოთა ხელისუფლების პირველი ნაბიჯები აჭარაში

აჭარის მშრომელები, რაკი ერთხელ შედგეს ფეხი ისტორიის ახალ საფეხურზე, უკან აღარ დახევენ და გასწევენ წინ, ბრწყინვალე მომავლისაკენ.

(აჭარის საბჭოების პირველი ყრილობის მასალებიდან)

40 წლის წინათ, 1917 წლის 25 ოქტომბერს, პეტროგრადში მუშების, გლეხების, ჯარისკაცებისა და მეზღვაურების შეიარაღებულმა აჯანყებამ, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ მოამზადა, გაიმარჯვა. მემამულეებისა და კაპიტალისტების ძალაუფლება დაემხო. სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა ძალაუფლება გადასცა სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობას, რომელმაც საყოველთაოდ გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება. „ის საქმე, რომლისათვისაც იბრძოდა ხალხი: დემოკრატიული ზავის წინადადების დაუყოვნებლივ წამოყენება, მიწის მემამულური საკუთრების გაუქმება, მუშათა კონტროლი წარმოების მიმართ, საბჭოთა მთავრობის შექმნა, ეს უზრუნველყოფილია“, — ნათქვამია პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთან არსებული სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის მიმართვაში „რუსეთის მოქალაქეებისადმი“, რომელიც ვ. ი. ლენინმა დაწერა.

ამრიგად, დაიწყო ახალი ხანა კაცობრიობის ისტორიაში. რუსეთის მშრომელი ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეუდგა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას.

საბჭოების მეორე ყრილობამ მიიღო დეკრეტი ზავისა და მიწის შესახებ და შექმნა პირველი საბჭოთა მთავრობა — სახალხო კომისართა საბჭო, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ვ. ი. ლენინი.

საბჭოების მეორე ყრილობამ თავის მიმართვაში მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხებისადმი უახლოესი პერიოდის საბრძოლო პროგრამა დასახა. მასში ნათქვამია, რომ საბჭოთა ხელისუფლება დემოკრატიულ ზავს შესთავაზებს ყველა ხალხს, გლეხთა კომიტეტების განკარგულებაში უსასყიდლოდ გადასცემს მემამულეთა, საუფლისწულო და სამონასტრო მიწებს, დაუწესებს მუშათა კონტროლს წარმოების მიმართ, განახორციელებს არმიის სრულ დემოკრატიზაციას, მოამარაგებს ქალაქს პურით, ხოლო სოფელს — პირველი მოთხოვნილების სამრეწველო საქონლით, რუსეთში მოსახლე ყველა ერს მიანიჭებს თანასწორობას და თვითგამორკვევის უფლებას, აგრეთვე უზრუნველყოფს დამფუძნებელი კრების თავის დროზე მოწვევას.

მეორე ყრილობაზე გამოცხადებული სამშვიდობო პრინციპები საფუძვლად დაედო საბჭოთა სახელმწიფოს მთელ საგარეო პოლიტიკას. იგი უზრუნველყოფს ხალხთა სუვერენული უფლებების დაცვას, სხვა ქვეყნების საშინაო საქ-

მეებში ჩაურევლობას და ჰქმნის ყველა სადავო საერთაშორისო საკითხის მშვიდობიანი მოლაპარაკებით გადაწყვეტის სათანადო პირობებს. ამ გზით 40 წლის მანძილზე მიღწეულია დიდი წარმატებები საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკაში. დემოკრატიის, სოციალიზმის ბანაკი უძლეველ ძალად გაიზარდა, შეიქმნა სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, საბჭოთა კავშირი გამოვიდა კაპიტალისტური ქვეყნების გარემოცვიდან. ახლანდელ ეტაპზე საბჭოთა მთავრობის ყველა ღონისძიება მიმართულია იქითკენ, რომ თავიდან იქნას აცილებული რეაქციული იმპერიალისტური სახელმწიფოების ცდები გააჩაღონ ახალი მსოფლიო ომი, რომ ყველა სადავო საერთაშორისო საკითხი გადაწყდეს მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით.

მუშურ-გლეხურ მთავრობას პირველ რიგში უნდა გადაეწყვიტა მიწის საკითხი. საბჭოების მეორე ყრილობამ გლეხებს გადასცა მიწა, რისთვისაც ისინი საუკუნეების მანძილზე იბრძოდნენ. დეკრეტის თანახმად მიწის მემამულური საკუთრება გაუქმდა. მიწა გამოცხადდა საყოველთაო-სახალხო საკუთრებად. საბჭოთა მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად გლეხობამ უსასყიდლოდ მიიღო 150 მილიონი დესეტინა მიწა.

საბჭოების მეორე ყრილობის მიერ მიღებულ დეკრეტს მიწის შესახებ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუშათა კლასსა და გლეხობას შორის კავშირის განმტკიცებისათვის, რაც საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს. კომუნისტური პარტია მთელ თავის მოღვაწეობაში ხელმძღვანელობს ვ. ი. ლენინის მითითებით იმის შესახებ, რომ პროლეტარიატის დიქტატურის შენარჩუნება შეუძლებელია მუშათა კლასსა და გლეხობას შორის მტკიცე კავშირის გარეშე.

საბჭოების მეორე ყრილობის დელეგატები ადგილებზე განუმარტავდნენ მოსახლეობას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის უდიდეს მნიშვნელობას. მოკლე დროის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა რუსეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე. დამხობილი ექსპლოატატორული კლასები და უცხოეთის ბურჟუაზია ყველა ზომას ხმარობდნენ, რათა სისხლში ჩაეხრჩოთ ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლება, აღედგინათ მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობა და მშრომელებისათვის კვლავ დაედგათ მონობის უღელი.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდნენ განაპირა მხარეების მშრომელი მოსახლეობა, რომელიც მეფის მთავრობის დროს განიცდიდა მძიმე ჩაგვრას და დამცირებას. ისინი მიყვებოდნენ დიდი რუსეთის მშრომელთა მაგალითს. მაგრამ განაპირა მხარეებში, კერძოდ ამიერკავკასიაში, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება დროებით შეაჩერეს რიგმა მიზეზებმა.

საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად გაერთიანდნენ ამიერკავკასიის ყველა კონტრრევოლუციური ძალები, რომლებიც გამოხატავდნენ მემამულეებისა და კაპიტალისტების ინტერესებს და რომლებიც ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური ჩამორჩენილობის გამო მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ.

საქართველო წარმოადგენდა აგრარულ ქვეყანას, სადაც წვრილი ბურჟუაზია დიდი ძალა იყო, ხოლო მუშათა კლასი მისი მცირერიცხოვნების გამო, არ

იყო საკმაოდ ორგანიზებული. მდგომარეობას ართულებდა ნაციონალური შუღლი, რომელშიც ჩაბმული იყო მშრომელი მოსახლეობის ერთი ნაწილი, განსაკუთრებით წვრილი ბურჟუაზია. ბურჟუაზიული ნაციონალისტები, აღვივებდნენ რა შუღლს ეროვნებათა შორის, მიზნად ისახავდნენ ხელი შეეშალათ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის. ამიერკავკასიაში ეროვნული შუღლის გაღვივებაში დიდ როლს თამაშობდნენ უცხოეთის იმპერიალისტური სახელმწიფოები, რომლებიც ცდილობდნენ ამიერკავკასიის ტერიტორია გაეხადათ თავიანთ დასაყრდენ ბაზად საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ამრიგად, საქართველოში არსებულმა სოციალ-ეკონომიურმა, პოლიტიკურმა და ნაციონალურმა თავისებურებებმა გამოიწვიეს ის სიძნელეები, რომლებმაც დროებით შეაჩერეს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის გადაწყვეტილებით ამიერკავკასიაში შეიქმნა ე. წ. განსაკუთრებული კომიტეტი, რომელიც შედგებოდა კონტრრევოლუციური ელემენტებისაგან და გამოხატავდა მქონებელი კლასების ინტერესებს. მენშევიკები, რომლებიც ატარებდნენ ბურჟუაზიასთან შემთანხმებლურ პოლიტიკას, მხარს უჭერდნენ ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს. კომიტეტი ხალხს სოციალური საკითხების მოგვარებას პირდებოდა, მაგრამ ყველაფერი ეს ცარიელი დაპირება იყო, რადგან მას არც სურვილი და არც შესაძლებლობა არ გააჩნდა გადაეწყვიტა ისეთი საკითხები, როგორიცაა აგრარული, ნაციონალური და სხვ.

ვ. ი. ლენინი იმთავითვე მიუთითებდა იმ მიზეზებზე, რომელთა გამოც აღმოჩნდა ძალაუფლება ბურჟუაზიის ხელში. სახელდობრ, იგი აღნიშნავდა, რომ ძალაუფლება კაპიტალისტებს ხელში ჩაუვარდა, რადგან ამ კლასს ხელთ ჰქონდა სიმდიდრე, ორგანიზაციისა და ცოდნის ძალა. 1905 წლიდან გასული დროის მანძილზე და განსაკუთრებით ომის განმავლობაში კაპიტალისტთა და მათთან ახლო მდგომმა მემამულეთა კლასმა რუსეთში ყველაზე მეტ წარმატებას მიაღწია თავისი დარაზმულობის საქმეში.[1]

თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაიწყო საბჭოების მასობრივად შექმნა. საბჭოები მუშების, გლეხების და ჯარისკაცების არსებითი ინტერესების დამცველი ორგანიზაცია იყო. მდგომარეობას ართულებდა ის, რომ საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური თავისებურებების გამო, მენშევიკებმა შეძლეს საბჭოებში ხელმძღვანელობის ხელში ჩაგდება.

ბოლშევიკები ამხილებდნენ დროებითი ბურჟუაზიული მთავრობისა და მისი ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის ანტიხალხურ პოლიტიკას. ისინი განუმარტავდნენ მასებს, რომ დროებით ბურჟუაზიულ მთავრობას, თავისი კლასობრივი ბუნების გამო, არ შეეძლო ხალხისათვის მიეცა მშვიდობა, პური, მიწა და თავისუფლება. პირიქით, იგი განაგრძობდა ომს, ცდილობდა ბოლომდე ერთგულად შეესრულებინა ყველა ის ვალდებულება, რომლებიც

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 25, გვ. 273.

საიდუმლო ხელშეკრულებებით იკისრა მეფის მთავრობამ. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა, საფრანგეთმა და სხვა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა პირველმა იცნეს რუსეთის დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა და მისცეს სესხი რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად.

უკიდურესად გამწვავდა ეროვნებათა შორის დამოკიდებულება. ამ მხრივ უაღრესად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ამიერკავკასიაში, სადაც ერთმანეთში შერეულად ცხოვრობდნენ „ქართველები და რუსები, სომხები და აზერბაიჯანელი თათრები, თურქები და ლეკები, ოსები და აფხაზები“,[1] და სხვა ეროვნების ხალხები, რომელთა საერთო ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ ძალიან ხშირად იჩრდილებოდა ერთმანეთს შორის გააფთრებული ბრძოლით, „ეს კი ფრიად „მარჯვე“ ვითარებას ქმნიდა კლასობრივი ბრძოლის დასაფარავად ნაციონალური დროშებითა და საეღარუნოებით“.[2]

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას საქართველოს მუშები, გლეხები და მშრომელი ინტელიგენცია დიდი სიხარულით შეხვდნენ. გამარჯვების აღსანიშნავად ეწყობოდა მშრომელთა მიტინგები, რომლებზედაც მხურვალე მისალმებებით გამოდიოდნენ მშრომელთა წარმომადგენლები. მიტინგებზე მიღებულ რეზოლუციებში მშრომელები დიდ სიხარულს გამოთქვამდნენ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების გამო, რომელმაც დასაწყისი მისცა ძველი მემამულურ-კაპიტალისტური რუსეთის გარდაქმნას სოციალისტურ რუსეთად.

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური ძალები ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ ჩრდილოეთიდან მომავალი სოციალისტური რევოლუციის შესაჩერებლად. მათ ჩამოაყალიბეს კონტრრევოლუციური ბურჟუაზიულ-მემამულური პარტიების გაერთიანებული ორგანო—ამიერკავკასიის კომისარიატი, რომლის შექმნაშიც დიდი როლი შეასრულეს უცხოეთის იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა. სწორედ მათი დახმარების შედეგად ამიერკავკასია დროებით მოწყდა საბჭოთა რუსეთს.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებში მენშევიკური კონტრრევოლუციური პარტიების და უცხოეთის იმპერიალისტური სახელმწიფოების აღვირახსნილმა თარეშმა უკიდურესობამდე გაამწვავა კლასობრივი წინააღმდეგობანი, გააძლიერა ეროვნული შუღლი სხვადასხვა ხალხებს შორის, რაც ხშირად შეიარაღებულ შეტაკებაში გადადიოდა; მოიშალა საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის ისედაც ჩამორჩენილი სახალხო მეურნეობა. მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში ჩავარდნილი მუშებისა და გლეხების აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა და ამის გამო ისინი ხშირად მიმართავდნენ შეიარაღებულ აჯანყებას.

თუ რაოდენ დამღუპველი იყო მენშევიკების პოლიტიკა, ამას ნათლად ვხედავთ აჭარის მაგალითზე. აჭარის მუშები, გლეხები და მთელი მშრომელი მოსახლეობა ფიზიკური განადგურების პირას მივიდა.

მენშევიკებს არც ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება არ განუხორციელებიათ აჭარის ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის აღმოსაფხვრელად.

---

1 ი. ბ. სტალინი. ტ. 4, გვ. 55.
2 იქვე.

ასეთი იყო ვითარება აჭარაში და მთელ საქართველოში. ამ პერიოდში დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე მოვლენები ვითარდებოდა აზერბაიჯანსა და სომხეთში, სადაც მშრომელმა ხალხმა წითელი არმიის დახმარებით დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება. ცოტა უფრო გვიან, 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს მშრომელმა ხალხმა საბჭოთა არმიის დახმარებით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხო მენშევიკების ბატონობა და საბჭოთა ხელისუფლების დროშა აფრიალა.

დამარცხებულმა საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ უკან დახევისას ბათუმს შეაფარა თავი. უცხოეთის იმპერიალისტური სახელმწიფოების დახმარებით ისინი ახალი პროვოკაციების მოწყობას ცდილობდნენ. ამ შემთხვევაში ქართველი მენშევიკები ასრულებდნენ დასავლეთის იმპერიალისტური სახელმწიფოების დავალებას, ისინი საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობის გამწვავებით იყვნენ დაინტერესებულნი. მენშევიკების მთავრობა საიდუმლოდ შეუთანხმდა თურქეთის მთავრობას საქართველოს ტერიტორიის ნაწილის, მათ შორის ბათუმისა და მისი ოლქის, გადაცემის შესახებ. მტრები იმედოვნებდნენ, რომ ეს გამოიწვევდა შეტაკებას თურქეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების მტრების გეგმები, გამოეწვიათ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის გამწვავება, ჩაიშალა. 1921 წლის მარტში რუსეთსა და თურქეთს შორის გაიმართა მოლაპარაკება, რაც დამთავრდა 16 მარტს ხელშეკრულების დადებით. ამასთან დაკავშირებით ინტერესს მოკლებული არ არის ერთ-ერთი თურქული გაზეთის „ისტიკ ბალის“ შემდეგი განცხადება:

„დავიწყებას მიცემული საქართველოს მთავრობა თავისი აგონიის დროს ცდილობდა ახალი დანაშაული ჩაედინა და მან ამით დაასრულა თავისი არსებობა. უკანასკნელ წელიწადნახევარში საქართველოს მენშევიკური მთავრობა მუდამ თვალთმაქცობდა. საქართველო მარტო თურქებს კი არ უფუჭებდა საქმეს, არამედ ბოლშევიკებსაც. მხოლოდ უკანასკნელ დღეებში, როცა საქართველოს მთავრობა დარწმუნდა რომ მისი საქმე ცუდად იყო, მან მკვეთრად შეცვალა თავისი პოლიტიკა და ლაქუცი დაუწყო ანგორას. მენშევიკები ცდილობდნენ თურქეთისათვის წაესისხლიანებინათ ბოლშევიკები, მაგრამ თურქებმა მშვენივრად გაიგეს, საიდან მოდიოდა ეს პროვოკაცია“.[1]

თურქული გაზეთიც ადასტურებს, თუ რა შორსგამიზნულ ვერაგულ გეგმებს ისახავდნენ ქართველი ხალხის უბოროტესი მტრები — მენშევიკები თავიანთი აგონიის უკანასკნელ დღეებში.

თბილისში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, აჭარის მშრომელები გაძლიერებით ემზადებოდნენ გაკოტრებული მენშევიკური ხელისუფლების დამხობისა და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის. მოვლენათა მთელი მსვლელობა ისეთი იყო, რომ ბოლშევიკებმა მენშევიკების მიერ მოწყობილი უსასტიკესი რეპრესიების მიუხედავად შეძლეს მშრომელი მასების უმრავლესობის მიმხრობა.

ქ. ბათუმის ბოლშევიკები განაგრძობდნენ რევოლუციურ მუშაობას საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის. ეს მუშაობა უაღრესად ძნელ პირო-

1 გაზ. „იზვესტია“, № 28, 15 აპრილი, 1921 წ.

ბებში მიმდინარეობდა, რადგან მენშევიკები შოვინიზმის შხამით წამლავდნენ ატმოსფეროს და ცდილობდნენ ერთმანეთისათვის წაეკიდებიათ აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. შემონახული მასალები მოწმობენ, რომ შეხლა-შემოხლის გამოწვევის მიზნით მენშევიკები მიმართავდნენ. ათასგვარ პროვოკაციას. ბათუმის პროლეტარიატის შეგნებული ნაწილი, რომელიც 1905 წლის რევოლუციის ინტერნაციონალურ ტრადიციებზე აღიზარდა, ყველაფერს აკეთებდა მენშევიკების ავანტიურისტული პოლიტიკის ჩასაფუშავად.

ბოლშევიკური ორგანიზაციები ენერგიულ მუშაობას ეწეოდნენ აჭარის სოფლებში. აჭარელი გლეხები უკმაყოფილონი იყვნენ მენშევიკური მთავრობის აგრარული პოლიტიკით, და არა ერთხელ გამოვიდნენ იარაღით ხელში მენშევიკური მთავრობის ბატონობის წინააღმდეგ. ასე, რომ თბილისში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ აჭარაში მენშევიკური წყობილების დამხობისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ყველა აუცილებელი პირობა შეიქმნა. ამას ემატებოდა წითელი არმიის დახმარებაც. ასეთ პირობებში მენშევიკურ მთავრობას ბათუმში დარჩენა აღარ შეეძლო და ამიტომ უცხოეთის გემით 1921 წლის 17-18 მარტს ბათუმიდან გაპარვა გადაწყვიტა.

17 მარტს ღამით ბათუმში შეიქმნა რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც შეიარაღებულ მუშებზე და ჯარისკაცებზე დაყრდნობით 18 მარტს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გამოაცხადა. ამ დღიდან აჭარის მშრომელების ისტორიაში დაიწყო ახალი ხანა. აჭარის მუშა და გლეხი სამუდამოდ გათავისუფლდა მენშევიკებისა და კაპიტალისტების ბატონობისაგან და დაიწყო თავისუფალი, შემოქმედებითი ცხოვრება და საქმიანობა.

* * *

საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების შექმნამდე აჭარაში მათ ფუნქციებს რევოლუციური კომიტეტი ახორციელებდა. მას ძნელ პირობებში უხდებოდა მუშაობა.

განსაკუთრებით რთული იყო პირველი დღეები, როდესაც მენშევიკების მთავრობამ ბათუმი დატოვა. ხელისუფლება გადავიდა რევოლუციური კომიტეტის ხელში, რომელიც ძირითადად შედგებოდა საპატიმროდან ახლადგამოსული კომუნისტებისაგან. ქ. ბათუმში მოქმედებდნენ კონტრრევოლუციური ძალები, რომლებსაც ზურგს უმაგრებდა თურქეთის ყოფილი სრულუფლებიანი წარმომადგენელი მენშევიკურ მთავრობასთან ქიაზიმ ბეი. ქიაზიმ ბეი ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორად თვლიდა თავისთავს. მისი ბრძანებით თურქეთის სამხედრო ნაწილები ცეცხლს უშენდნენ რევოლუციური კომიტეტის შეიარაღებულ ძალებს. ასეთი დაძაბული მდგომარეობა რამდენიმე დღეს გაგრძელდა. წითელი არმიის ნაწილების მოსვლის შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. თურქეთის ჯარის ნაწილებმა შეწყვიტეს წინააღმდეგობა და ქალაქი დატოვეს.

20 მარტს რევოლუციური კომიტეტი გადახალისდა. მის შემადგენლობაში შევიდა ათი კაცი, მათ შორის — ს. ქავთარაძე, მ. ტოროშელიძე, დ. მახარაძე, კ. საჯაია, თ. ჟღენტი, ს. გუბელი, ი. პევცოვი, კ. თაბერიძე და სხვები.

რევკომის წევრები სათავეში ჩაუდგნენ სხვადასხვა სამუშაო უბნებს. რევ-

კომის შინაგან საქმეთა განყოფილების გამგეობა დაევალა კ. საჯაიას, სახალხო მეურნეობისა — ი. პეკოცკს, სასურსათოსი — დ. მახარაძეს, სამხედროსი — თ. ჟღენტს, იურიდიულისა — ს. გუბელს. გარდა ამისა, რევოლუციურმა კომიტეტმა სამიწათმოქმედო კომიტეტში დანიშნა ვ. კანდელაკი, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგედ — კ. ხომერიკი, ჯანმრთელობისა — მამულია და სხვ.

რევოლუციური კომიტეტი ყველა ღონისძიებას იქითკენ მიმართავდა, რათა გადაჭრით აღმოეფხვრა იმ ანტიხალხური პოლიტიკის შედეგები, რომლებიც მენშევიკთა ბატონობის პერიოდიდან დარჩა აჭარაში. დიდი ენერგია იყო საჭირო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის. მშრომელ მასებში მისი პოლიტიკის პოპულარიზაციისათვის საჭირო იყო მთელი ძალების მობილიზება იმ კატასტროფული მდგომარეობიდან გამოსასვლელად, რაც იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის შედეგად შეიქმნა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

რევოლუციური კომიტეტი თავის ღონისძიებებს წარმართავდა მავნე ელემენტების ანტიხალხური გამოხტომებისა და დივერსიების აღსაკვეთად, რომლებსაც მიმართავდნენ განადგურებული მტრის ნაშთები. ბათუმი უკანასკნელი პუნქტი იყო, სადაც თავი მოიყარეს დამსხვრეული მენშევიკური წესწყობილების ნაშთებმა. მტრული ელემენტები საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც განაგრძობდნენ ძირგამომთხრელ მუშაობას, ეწეოდნენ საბოტაჟს, ძარცვავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, უკმაყოფილებას თესავდნენ ხალხში, ყოველნაირად ცდილობდნენ ხელი შეეშალათ მუშურ-გლეხური მთავრობის ღონისძიებების განხორციელებისათვის.

რევოლუციურმა კომიტეტმა სწორედ ასეთი ელემენტების წინააღმდეგ მიმართა მახვილი, რათა საბოლოოდ აღმოეფხვრა მენშევიკთა ბატონობის მავნე შედეგები, აელაგმა ბოროტმოქმედი ელემენტების თარეში, დაემყარებინა სრული წესრიგი ქ. ბათუმსა და სოფლებში. მუშები და გლეხები აქტიურად უჭერდნენ მხარს რევოლუციურ კომიტეტს ამ ღონისძიებათა განხორციელებაში. ეს გასაგებიცაა, რადგან თვით იყვნენ დაინტერესებული წესრიგის დამყარებით.

რევოლუციურმა კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია საბჭოთა ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოების შესაქმნელად, რისთვისაც ადგილებზე დაგზავნა ენერგიული მუშაკები. რევოლუციურმა კომიტეტმა მოაწესრიგა სურსათის აღრიცხვა და განაწილება. პირველ ხანებში ქ. ბათუმში მოსახლეობის სურსათით მომარაგება ქაოტური იყო. საგანგებო კომისია, რომელიც სურსათისა და სხვა ქონების აღრიცხვის მოსაწესრიგებლად შეიქმნა, ცუდად მუშაობდა, ხშირი იყო ქონების დატაცებისა და განიავების შემთხვევა. აუცილებელი იყო სურსათითა და ტანსაცმლით მოსახლეობის მომარაგების საქმეში წესრიგის დასამყარებლად მკვეთრი ზომების მიღება. აჭარის რევოლუციური კომიტეტი აქტიურ ღონისძიებებს ახორციელებდა მოსახლეობის სურსათით მომარაგების ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად.

თანდათანობით ჩამოყალიბდა საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები ქალაქ ბათუმსა, აჭარის მაზრებსა და თემებში. სრულიად აჭარის საბჭოების

პირველი ყრილობის შემდეგ, რომელიც 1922 წლის იანვარში გაიმართა, შეიქმნა ხუთი — ხულოს, ქედის, აჭარისწყლის, ბათუმისა და ქობულეთის სამაზრო აღმასკომი, ორგანიზებულ იქნა აგრეთვე 16 სათემო აღმასკომი. მენშევიკური მთავრობის დროს შექმნილი მმართველობის ორგანოები საბჭოთა ხელისუფლებამ გაუქმა.

„პირველი ეტაპი იყო ძალაუფლების აღება ქალაქში, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — მართვაგამგეობის საბჭოთა ფორმის დამყარება. მეორე ეტაპი იყო ის, რაც ყველა სოციალისტისათვის ძირითადია, ურომლისოდაც სოციალისტები სოციალისტები არ არიან: პროლეტარული და ნახევრადპროლეტარული ელემენტების გამოყოფა სოფლად, მათი შემჭიდროება ქალაქის პროლეტარიატთან ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად სოფლად. ძირითადად ეს ეტაპიც დამთავრებულია. ის ორგანიზაციები, რომლებიც ჩვენ თავდაპირველად ამისათვის შევქმენით, ღარიბთა კომიტეტები, იმდენად განმტკიცდნენ, რომ ჩვენ შესაძლებლად ვცანით შეგვეცვალა ისინი სწორად არჩეული საბჭოებით, ე. ი. მოგვეხდინა სოფლის საბჭოების რეორგანიზაცია ისე, რომ ისინი გამხდარიყვნენ კლასობრივი ბატონობის ორგანოებად, პროლეტარული ხელისუფლების ორგანოებად სოფლად.“[1]

1921 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში აჭარის სოფლებში გაიმართა ხალხმრავალი შეტინგები, რომლებზეც სიტყვებით გამოდიოდნენ ბათუმის რევოლუციური კომიტეტის და ადგილობრივი მშრომელი გლეხობის წარმომადგენლები. მიტინგებზე ირჩევდნენ ღარიბთა კომიტეტებს და იღებდნენ რევოლუციური შინაარსის რეზოლუციებს, რომლებშიც მიესალმებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას და ნაყოფიერ მოღვაწეობას უსურვებდნენ მას.

დამახასიათებელია, მაგალითად, ხულოს მაზრის სოფელ ღორჯომის მიტინგზე მიღებული რეზოლუცია, რომელიც ბათუმის რევოლუციურ კომიტეტს გაეგზავნა. დეპეშაში ნათქვამია: „ჩვენ ღორჯომის ფუხარა ხალხი ვესალმებით რა აჭარის რევკომს და საქართველოს საბჭოთა მთავრობას, ვუსურვებთ მათ დაუშრეტელ ენერგიას და ნაყოფიერ შრომას მშრომელი ხალხის სასარგებლოდ და საკეთილდღეოდ. გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა-მთავრობას, გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციას და მთელი ქვეყნის ფუხარა ხალხს“.[2]

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველი გადამწყვეტი ნაბიჯი იყო ღარიბთა კომიტეტების შექმნა, რომლებმაც გარკვეული მუშაობა გასწიეს პარტიისა და მთავრობის გარშემო გლეხთა მასების დასარაზმავად და სოფლად საბჭოთა ხელისუფლების პირველი ღონისძიებების განსახორციელებლად. ღარიბთა კომიტეტები საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენი ბაზები გახდნენ სოფლის კონტრრევოლუციური ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ღარიბთა კომიტეტებმა აჭარაში თვალსაჩინო როლი შეასრულეს. ისინი საბჭოთა ხელისუფლებას ეხმარებოდნენ სურსათის, პირველი მოთხოვნილების საქონლისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღების განაწილებაში, აგრეთვე იჩენდნენ ინიციატივას სხვადასხვა, მანამდე გადაუჭრელი საკითხების მოგვარებაში.

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 29, გვ. 228-229.
2 აჭარის ასსრ ცენტრალური არქივი, ფ. 13, გვ. 7.

ვ. ი. ლენინი 1918 წელს წერდა, რომ „ღარიბთა კომიტეტები აუცილებელია კულაკების, მდიდრების, ექსპლოატატორების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც იმონებენ მშრომელ გლეხებს. მაგრამ კულაკებსა, რომლებიც უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენენ, და ღარიბებს ანუ ნახევრად-პროლეტარებს შორის დგას საშუალო გლეხთა ფენა. მათ წინააღმდეგ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებას არასოდეს და არაფერში არ გამოუცხადებია და არ უწარმოებია. ყოველივე ამის საწინააღმდეგო ნაბიჯი ან ღონისძიება ყოვლად გადამწყვეტი გაკიცხვის ღირსია და აღკვეთილ უნდა იქნას. სოციალისტური მთავრობა ვალდებულია განახორციელოს საშუალო გლეხობასთან შეთანხმების პოლიტიკა... წინადადება ეძლევა ყველას სასტიკად დაიცვან ზემოაღნიშნული პოლიტიკა“.[1]

ამრიგად, ღარიბთა კომიტეტებმა აჭარაში შეასრულეს მათ წინაშე დასახული ამოცანა, შეამჭიდროვეს პარტიისა და მთავრობის გარშემო სოფლის მშრომელი მოსახლეობა, გაანადგურეს სოფლის კონტრრევოლუციური ძალები, დაეხმარნენ საბჭოთა ხელისუფლებას სურსათის, პირველი მოთხოვნილების საგნების სასოფლო-სამეურნეო იარაღების სწორად განაწილებაში, მიწის საკითხების გადაწყვეტაში, ხელი შეუწყვეს სოფლის საბჭოების განმტკიცებას, პროლეტარიატის დიქტატურის მტკიცე ორგანოებად მათ გადაქცევას.

აჭარის სოფელს შუასაუკუნეობრივი თავისებურებანი ახასიათებდა. ერთმანეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ ბეგები, მათ ირგვლივ ჯგუფდებოდა ნაკლებად გათვითცნობიერებული გლეხები. აჭარის პატარა ფეოდალები ერთმანეთს შორის იბრძოდნენ, უწყობდნენ ერთმანეთს ათასგვარ ინტრიგებს. ბეგების ერთი ნაწილი თურქეთის ორიენტაციის მომხრე იყო, მეორე — მხარს უჭერდა მენშევიკური მთავრობის პოლიტიკას. არც ერთ ამ ჯგუფზე დაყრდნობა არ შეიძლებოდა; არც ერთი მათგანი არ გამოხატავდა ხალხის ნამდვილ ინტერესებს. საჭირო იყო მათი გავლენისაგან გლეხების განთავისუფლება, მათი იზოლაცია.

ამ მიზნით სოფლად იგზავნებოდნენ გამოცდილი პარტიული მუშაკები, რომლებიც მოსახლეობაში ეწეოდნენ დიდ ახსნა-განმარტებით მუშაობას. ყოველივე ამან თავისი ნაყოფი გამოიღო. სოფლად შეიქმნა ახალი ვითარება.

პარტიისა და მთავრობის მიერ სოფლად გაჩაღებული მუშაობის ნათელი დამადასტურებელი ფაქტი იყო სოფ. ხულოს მშრომელთა გრანდიოზული მიტინგი, რომელსაც წინ უსწრებდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა. მიტინგმა ნათელჰყო, რომ პარტიისა და მთავრობის დროშის ქვეშ მშრომელთა დასარაზმავად ბეგების ანტისაბჭოთა გავლენისაგან მშრომელთა განთავისუფლებისათვის ჩატარებულია დიდი მუშაობა. მიტინგზე გლეხობა შეიარაღებული მოვიდა. წინათ ჩვეულებრივად გლეხების სახელით ბეგები ლაპარაკობდნენ, ახლა გლეხები თვითონ ლაპარაკობდნენ თავიანთ საჭიროებებზე, თავიანთ მოთხოვნებზე და მკაცრად ილაშქრებდნენ ბეგების ანტიხალხური პოლიტიკის წინააღმდეგ.

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 28, გვ. 52.

მართალია, გლეხთა ერთი ნაწილი ჯერ კიდევ განიცდიდა ბეგების გავლენას, მაგრამ მათი რიცხვი ძლიერ მცირე იყო და მიტინგზევე დიდი გარდატეხა მოხდა მათ შეგნებაში. მიტინგის მონაწილეთა უმრავლესობა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე დადგა. ასეთი ერთსულოვნება გამოვლინდა აჭარის სხვა სოფლების მშრომელთა მიტინგებზეც. მაგალითად, ბათუმის რაიონის მშრომელებმა თავის მიტინგზე მეჯლისის ძველი შემადგენლობის გარეკვა და მეჯლისის ხელახალი არჩევნები მოითხოვეს. ძველი მეჯლისის პოლიტიკით გლეხები უკმაყოფილონი იყვნენ, რადგან მისი შემადგენლობა მუშურ-გლეხური არ იყო. ამასთან ძველი მეჯლისის არჩევნები ყველგან არ ჩაუტარებიათ, დეპუტატები მხოლოდ ზოგიერთი სოფლის შეკრებებზე აირჩიეს. ასე რომ, მის არჩევნებში ხშირად მთელი რიგი რაიონებიც არ მონაწილეობდნენ.

მეჯლისმა მალე დაჰკარგა ავტორიტეტი—„ძირს მეჯლისი", იძახდნენ მშრომელები შეკრებებზე. მეჯლისის შემადგენლობა წელზე ფეხს იდგამდა თავისი ავტორიტეტი რომ აღედგინა, მაგრამ მოვლენები საწინააღმდეგოდ ვითარდებოდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ძველი მეჯლისი დათხოვნილ იქნა, მის ნაცვლად შეიკრიბა ახალი მეჯლისი.

პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისა და აჭარის რევოლუციური კომიტეტის ორგანო — გაზეთი „უწყებები" აღნიშნავდა, რომ რამდენიმე დღეში მუშაობას დაიწყებდა ახალი მეჯლისი. ძველი მეჯლისი, რომელიც მენშევიკურ მთავრობას და აგრეთვე დასავლეთ ევროპის იმპერიალისტებს — მშრომელი ხალხის მოსისხლე მტრებს მიეკედლა, მენშევიკური მთავრობის დაცემის შემდეგ, თავისთავად, ბუნებრივად, რევოლუციური კანონის წესით დათხოვილად ჩაითვალა. მისი არსებობა საბჭოთა რესპუბლიკაში, სადაც მშრომელი ხალხი საბოლოოდ განთავისუფლდა მონობის უღლისაგან და თავისი ხელისუფლება დაამყარა, მძიმე ლოდი, ზედმეტი ბარგი შეიქმნა.[1]

ამასთან, ძველი მეჯლისი მენშევიკებმა არანორმალურ პირობებში, მშრომელთა უმრავლესობის მონაწილეობის გარეშე, აირჩია. მეჯლისის შექმნით ისინი ცდილობდნენ თავიანთი ბატონობის გაფართოვება-განმტკიცებას, მშრომელი მასების თვალის ახვევას, თავიანთი მზაკვრული მიზნების მიღწევას და ანტიხალხური პოლიტიკის დაფარვას.

ხალხმა კარგად იცოდა, რომ ძველი, ძირმომპალი ბურჟუაზიული სამეფო დაემხო, მაგრამ მასთან ერთად არ დაცემულა ის ბუტაფორული საფარველი, რომლითაც მენშევიკები თავიანთ გამცემლობას ფარავდნენ. სწორედ ასეთი საფარველი იყო ძველი მეჯლისი, რომელიც ერთხანს ბოგინობდა და თავისი აღსასრულის დღეებს ითვლიდა.

საქართველოს საბჭოთა მთავრობამ თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე საქვეყნოდ გამოთქვა თავისი დამოკიდებულება აჭარისადმი, მიზანშეწონილად ჩათვალა აჭარისათვის ავტონომიის მინიჭება და ამით აჭარის მშრომელებს ნამდვილი თავისუფლება მოუპოვა.

ახალი მეჯლისის წინაშე ბევრი გადასაჭრელი და მოსაგვარებელი საკითხი იდგა. აჭარის მშრომელები ელოდნენ ამ საკითხების განხილვას. მითითებული გაზეთი დასასრულ აღნიშნავს, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძ-

1 გაზ. „უწყებები", 1921 წ., 4 ივნისი.

ლია უხელმძღვანელოს შრომელ ხალხს, დაიცვას მისი ინტერესები, მხოლოდ მას შეუძლია იხსნას აჭარის შრომელი მასები საერთაშორისო იმპერიალიზმის კლანჭებიდან და მისცეს მას სრული თავისუფლება.

„საქართველოს რევოლუციური მთავრობის დადგენილებით აჭარის მშრომელ ხალხს ენიჭება თავისი საქმეების ავტონომიურად მოწყობის უფლება, ეს ჩვენი კომუნისტური პარტიის ზრუნვის, სოციალისტური რევოლუციის შედეგია.

აჭარის მშრომელი ხალხი დღემდის დამონებული იყო, ჯერ ძველი თვითმპყრობელური მთავრობის მიერ, შემდეგ მენშევიკების მთავრობისაგან. დღეს განთავისუფლდა საქართველოს მშრომელი ხალხი და ის ისე აწყობს ყველა ოლქს, მაზრას და გუბერნიას, როგორც ეს ადგილობრივ მშრომელ მასებს სწადიათ. აჭარის მშრომელებს სავსებით შეგნებული აქვთ საბჭოთა წყობილების უპირატესობა და ხმამაღლა აცხადებენ, რომ მშრომელი ხალხის ხსნა მხოლოდ საბჭოთა სისტემაშია. ძველად ბეგები, თავადები და აზნაურები განაგებდნენ სახელმწიფოს. დღეს ყველგან მხოლოდ და მხოლოდ მშრომელმა უნდა განაგოს იგი. დღეს თუ ხვალ დაიშლება იმპერიალისტური ანტანტა. მუშები და გლეხები იქაც იკრებენ ძალებს პოლიტიკური ძალაუფლების მოსაპოებლად. საფუძველი ეყრება და შენდება პროლეტარული სახელმწიფო. ინგრევა ძველი ფეოდალური, ბურჟუაზიული წესწყობილება.

ჩვენ მოვიწვიეთ ახალი მეჯლისი სამუშაოდ და დასახმარებლად. რადგან ძველი მეჯლისი გადამდგარი იყო, ვიჩქარეთ შეგვეკრიბა ახალი, რომელიც ხელს შეუწყობს აჭარის საბჭოების ფართო ყრილობის მოწვევას. ასეთი ყრილობა შეძლებს აჭარის მშრომელთა ინტერესების დაცვას, სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცებას.

აჭარის დროებითმა მეჯლისმა უნდა დაიმსახუროს აჭარის მუშების და გლეხების ნდობა, მან უნდა დაიცვას მშრომელთა ინტერესები. ყველა არჩეული ორგანიზაცია, რომელიც ასე არ მოიქცევა ან ვერ შეძლებს მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვას, გადაყენებული იქნება ისევ ხალხის მიერ".[1]

მაგრამ ახალმა მეჯლისმა იმედები ვერ გაამართლა. მან ვერ გადაწყვიტა ის ამოცანები, რომელიც ყველაზე უფრო აინტერესებდა აჭარის მშრომელ მოსახლეობას. პირველ რიგში საჭირო იყო ძველი, ფეოდალური გადმონაშთების სრული ლიკვიდაცია, გლეხობისათვის მიწის გადაცემა და სხვ. მაგრამ ახალი მეჯლისი ამ ღონისძიებათა გატარებისათვის უძლური დარჩა, მან ვერ დაიმსახურა მშრომელთა ნდობა და სიყვარული, ხალხისაგან ის გარიყული აღმოჩნდა. ფ. მახარაძე აჭარის ამ ახალი მეჯლისის შესახებ წერდა:

„...ძველი მეჯლისი შეიცვალა ახალით, თითქოს უფრო დემოკრატიულით. მაგრამ მალე გამოაშკარავდა, რომ არც ახალი მეჯლისი აკმაყოფილებს ხალხის დიდ უმრავლესობას, რომ ის არ გამოხატავს... ღარიბ-ღატაკი ხალხის სულისკვეთებას, ინტერესებს და ზრახვებს.

მართალია, თავისთავად ახალი მეჯლისი შეიძლება კიდევაც აჭარისტანის საუკეთესო შვილებისაგან შედგებოდა, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ის დაშორებული აღმოჩნდა ხალხისაგან, ისიც ვერ მისწვდა ხალხის გულს, ისიც გარიყული შეიქმნა..."[2]

---

1 გაზ. „უწყებები", 1921 წ., 6 ივნისი.
2 გაზ. „კომუნისტი", № 187, 1921 წ., 16 ოქტომბერი.

საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 16 ივლისის № 54 დეკრეტით შეიქმნა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

დეკრეტის პირველ მუხლში ნათქვამია: შეიქმნას აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, როგორც ნაწილი საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკისა, იმ ტერიტორიის ფარგლებში, რომელიც ამჟამად უჭირავს აჭარას, შემდეგ ჩამოთვლილია აჭარის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკის საზღვრები.

მეორე მუხლი ეხება აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამგებლობას. გამგებლობის ორგანოებად მიჩნეული არიან მეჯლისი, სახალხო კომისართა საბჭო და ადგილობრივი საბჭოები, რომლებსაც ხალხი აირჩევდა საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე.

მესამე მუხლში ჩამოთვლილია სახალხო კომისარიატები, რომლებიც რესპუბლიკის საქმეთა გამგებლობისათვის დაარსდნენ. ასეთი იყო — შინაგან საქმეთა, იუსტიციის, განათლების, ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის, მიწათმოქმედების, სასურსათო, ფინანსთა კომისარიატები და სახალხო მეურნეობის საბჭო, შრომის ინსპექცია, მუშათა და გლეხთა ინსპექცია.

აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნამ დიდი როლი შეასრულა მხარის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის საქმეში. ეს იყო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული ღონისძიება, რასაც შედეგად მოჰყვა დიდი გამარჯვებები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

აჭარის სოფლის მშრომელთა დარაზმვაში თვალსაჩინო როლი შეასრულა გლეხთა ყრილობამ, რომელიც გაიმართა 1921 წლის ნოემბრის პირველ ნახევარში. ეს ყრილობა ცნობილია ფუხარა (ღარიბი) ხალხის ყრილობის სახელწოდებით. ყრილობამ მუშაობა დაამთავრა 1921 წლის 11 ნოემბერს. ყრილობას ესწრებოდა 299 დელეგატი. მათ შორის ხულოდან — 85, ქედიდან — 63, კინტრიშის რაიონიდან — 54, აჭარისწყალიდან — 40, ბათუმის რაიონიდან — 32 დელეგატი და ა. შ.

გლეხთა ყრილობის მუშაობაში მთავარი ადგილი მიწის საკითხმა დაიკავა. ყრილობამ ნათლად და გარკვეულად გამოთქვა თავისი აზრი მიწის საკითხზე, აუცილებლად ჩათვალა მიწის უსასყიდლოდ ჩამორთმევა და მშრომელი გლეხობისათვის გადაცემა. მიწის საკითხი გლეხისათვის არსებობის საკითხია. ამიტომ აჭარელი გლეხობა ყრილობის მუშაობას გულდასმით ადევნებდა თვალყურს, აინტერესებდა თუ რას იტყოდა იგი, როგორ უპასუხებდა ცხოვრების ახალ მოთხოვნებს, რა გზას აირჩევდა ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების განმტკიცებისათვის. მოლოდინი სავსებით გამართლდა. აჭარის გლეხობა გაჰყვა კომუნისტური პარტიის მიერ ნაჩვენებ ერთადერთ სწორ გზას.

ყრილობის დელეგატები გამსკვალული იყვნენ ერთი აზრით, ერთი მისწრაფებით, მათი მოქმედების მთავარი გეზი ხალხის ინტერესების სწორი გაგებიდან გამომდინარეობდა. გლეხები ყრილობაზე ლაპარაკობდნენ თავისუფლად, ყოველგვარი რეგლამენტის გარეშე, დინჯად გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებებს სოფლის ცხოვრების საკირბოროტო საკითხებზე. ყველაფერი ეს მოწ-

მობდა აჭარის სოფლის გამოფხიზლებას, ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების დუღილში სოფლის ჩაბმას.

ყრილობამ ერთხმად უარყო ფეოდალურ-პატრიარქალური ყოფის ნაშთები და დასახა აჭარის სოფლის ცხოვრების სოციალისტურ ყაიდაზე მოწყობის ღონისძიებანი. ყრილობამ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა მიწათმფლობელობის დრომოჭმულ ფორმებს და მთელი მიწები მშრომელი გლეხობის საკუთრებად აღიარა. ყრილობამ უარყო აგრეთვე მეჯლისის მოქმედება და თავი აჭარის უფლებამოსილ ორგანოდ გამოაცხადა. მშრომელთა განთავისუფლება თვით მშრომელთა საქმეა — ეს დებულება აჭარის გათვითცნობიერებულმა გლეხობამ სავსებით შეიგნო.

მიწის საკითხის გარდა ყრილობამ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო სახალხო განათლების საქმეს. მან აღნიშნა, რომ შეგნება, განვითარება, კულტურა საუკეთესო მერმისის საწინდარია; განათლების გარეშე ხსნა არ არის, ბნელით მოცული ადამიანი ვერ შესძლებს ახალი ცხოვრების წარმატებით აშენებას. თავიანთ გამოსვლებში ყრილობის დელეგატები მხურვალედ ლაპარაკობდნენ განათლების შესახებ. მიღებულ დადგენილებაში აღინიშნა, რომ სწავლა-განათლებას აჭარაში დაეთმოს უფრო მეტი ყურადღება, გაიხსნას ახალი სკოლები, განმტკიცდეს მატერიალური ბაზა, სკოლებში სამუშაოდ გაიგზავნოს კვალიფიციური პედაგოგიური კადრები.

გლეხთა ყრილობა შეეხო ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების საკითხსაც და მოითხოვა მისი მკვიდრ ნიადაგზე დაყენება.

ყრილობის მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო შიმშილობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობას და დაისახა ღონისძიებანი მოსახლეობის, პირველ რიგში დამშეულთა სურსათით მომარაგების გაუმჯობესებისათვის. დასასრულ, გლეხთა ყრილობამ აირჩია ახალი ცენტრალური აღმასკომი, რომელშიც კინტრიშის მხრიდან შევიდა — 8, აჭარისწყლიდან — 3, ქედიდან — 7, ხულოდან — 8 და ბათუმის რაიონიდან — 6 კაცი. ცენტრალური აღმასკომის ძველი შემადგენლობიდან ახალ შემადგენლობაში კვლავ შევიდა 15 ამხანაგი. გლეხთა ყრილობამ დაჟინებით მოითხოვა მეჯლისის დათხოვნა, ღარიბი ხალხის ყრილობის ცენტრალურ აღმასკომზე მისი უფლებების გადაცემა და წითელ მეჯლისად გამოცხადება.

აჭარის საბჭოების პირველი ყრილობის მოწვევამდე გარკვეული მუშაობა ჩატარდა საბჭოთა აპარატის შესაქმნელად. საჭირო იყო რევოლუციური კომიტეტების შეცვლა ნამდვილად არჩეული საბჭოებით. საბჭოების არჩევნების ჩატარებისათვის მოსახლეობა მზად იყო. მშრომელთა მტრები — განადგურებული მენშევიკებისა და ფედერალისტების ნარჩენები ყოველ ღონეს მიმართავდნენ ჩაეშალათ საბჭოების არჩევნები. ამის თავიდან ასაცილებლად პარტიულმა ორგანიზაციებმა მოსახლეობაში გააჩაღეს ფართო საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა. არჩევნების წარმატებით მომზადებისა და ჩატარებისათვის ადგილებზე შეიქმნა საარჩევნო კომისიები. გზავნიდნენ გამოცდილ მუშაკებს ოლქის აქტივის შემადგენლობიდან. საარჩევნო კამპანიის მომზადებასა და ჩატარებაში ფართოდ იყო გამოყენებული პრესა. გაჩაღდა სათანადო მუშა-

ობა, რათა არჩევნებში მონაწილეობა მიეღო ყველა ამმრჩეველს. ამ მუშაობამ სასურველი შედეგი გამოიღო. მშრომელმა ხალხმა საბჭოების შემადგენლობაში აირჩია საუკეთესო წარმომადგენლები თავისი რიგებიდან.

1922 წლის 10 იანვარს შეიკრიბა სრულიად აჭარის საბჭოების პირველი ყრილობა — აჭარის საბჭოების უმაღლესი ორგანო, რომელსაც უმთავრესად დამფუძნებელი ხასიათი ჰქონდა. ყრილობაზე წარმოდგენილი იყო 199 დელეგატი, მათ შორის: ქ. ბათუმიდან — 85, ზემოაჭარიდან — 41, ქვემოაჭარიდან — 8, ბათუმის რაიონიდან — 11, აჭარისწყალიდან — 8, კინტრიშის რაიონიდან — 31 დელეგატი. ყრილობამ აირჩია სრულიად აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი 31 კაცის შემადგენლობით, აგრეთვე სრულიად საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობის 20 დელეგატი. არჩევნებამდე ყრილობამ მოისმინა მოხსენებები მიწის თაობაზე საბჭოთა პოლიტიკის განხორციელების მიმდინარეობის, სისხლის აღების მავნე ადათის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, კოოპერაციისა და სხვა საკითხებზე, ყველა განხილულ საკითხზე ყრილობამ მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი.

1922 წლის 15 იანვარს შედგა აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველი სხდომა, რომელმაც აირჩია ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი და შექმნა აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭო. ამრიგად, აჭარაში ნამდვილი საბჭოთა არჩევნების საფუძველზე შეიქმნა აჭარის საბჭოთა მთავრობა, რომელიც მუშების, გლეხებისა და საბჭოთა ინტელიგენციის ინტერესებს გამოხატავდა.

ამის შემდეგ ამოიწურა აჭარის რევოლუციური კომიტეტის უფლებამოსილება, მან თავისი რწმუნება ჩააბარა სრულიად აჭარის საბჭოების პირველ ყრილობას. ამასთან, მოსახლეობის გასაცნობად აჭარის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღინიშნა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან აჭარაში არსებობდა რევოლუციური კომიტეტი, რომელიც იცავდა წესრიგსა და მშრომელთა უფლებებს, ამზადებდა ნიადაგს მუშურ-გლეხური მთავრობის შესაქმნელად, საბჭოების ყრილობის მოსაწვევად. 10 იანვარს გაიხსნა სრულიად აჭარის საბჭოების ყრილობა, რომელსაც რევოლუციურმა კომიტეტმა გადასცა თავისი რწმუნებები. ყრილობამ გადაწყვიტა მთელი რიგი საჭირბოროტო საკითხები. მან, კერძოდ, დაადასტურა გლეხთა ყრილობის დადგენილება ბეგ-აღებისაგან მიწის ჩამორთმევისა და მშრომელი გლეხობისათვის გადაცემის შესახებ. საბჭოების პირველმა ყრილობამ კატეგორიული წინადადება მისცა აჭარის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, რომ ეს დადგენილება სწრაფად განეხორციელებინა ცხოვრებაში.

დასასრულ, განცხადებაში აღნიშნულია, რომ დღეიდან აჭარის ცხოვრებაში იწყება ახალი ხანა, მუშები და გლეხები კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს, დღეიდან სოფელი და ქალაქი ძმურად ხელი-ხელ ჩაკიდებულნი შეერთებული ძალით შეძლებენ გაუმჯობესონ სოფლისა და ქალაქის ცხოვრება. ამისათვის საჭიროა განხორციელდეს საბჭოთა მთავრობის დეკრეტები და განკარგულებანი.

№ [illegible] 17

ОБЪЯВЛЕНІЕ.

Въ виду не прибытія парохода съ мукой, ожидавшагося вчера, можетъ явиться необходимость сократить на половину

ХЛѢБНЫЙ ПАЕКЪ

НАЧИНАЯ СЪ 4-ГО ІЮЛЯ,

впредь до прибытія означеннаго парохода съ мукой изъ Константинополя.

Канцелярія Гражданскаго Управленія.

3 іюля 1920 г.
г. Батумъ.

Гр. [illegible] Батум.

საოკუპაციო ხელისუფლების განცხადება პურის ნორმის შემცირების შესახებ.

1922 წლის დეკემბერში შეიკრიბა აჭარის საბჭოების მეორე ყრილობა, რომელსაც 205 დელეგატი ესწრებოდა, მათ შორის, ხულოს მაზრიდან — 44, ქედის — 23, აჭარისწყლის — 10, ქობულეთის — 33, ბათუმის — 10 და ქ. ბათუმიდან — 85 დელეგატი. დელეგატთა შორის იყო 40 მუშა, 120 გლეხი და სხვ. ყრილობას ესწრებოდა 8 ქალი.

ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის სახელით ყრილობას მიესალმა ს. გეგეჭკორი, რომელმაც აღნიშნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უდიდესი მნიშვნელობა და ყრილობას უსურვა წარმატებები თავის მუშაობაში.

ყრილობამ მოისმინა ცნობა ვ. ი. ლენინის ჯანმრთელობის გაუმჯობესების შესახებ და მას გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა: „აჭარის საბჭოების ყრილობამ მოისმინა ცნობა თქვენი გაჯანსაღების შესახებ და თავის მხურვალე სალამს გიგზავნით თქვენ. ყრილობა დარწმუნებულია, რომ თქვენი დაბრუნება მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის გუშაგის პოსტზე იქნება მშრომელი მასების განთავისუფლების საიმედო გარანტია. ყრილობა გთხოვთ მხოლოდ ერთ რამეს: შეინახეთ თქვენი თავი და თქვენი ჯანმრთელობა მსოფლიო პროლეტარიატის და გამოღვიძებული აღმოსავლეთის საკეთილდღეოდ“.[1]

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ ყრილობაზე მოხსენება გააკეთა ს. გეგეჭკორმა. ყრილობამ ერთსულოვნად მოიწონა პარტიისა და მთავრობის ღონისძიება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ. ყრილობაზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ყრილობა მხურვალედ იწონებს საბჭოთა რესპუბლიკებს შორის კავშირის განმტკიცების პოლიტიკას. მხოლოდ ყველა ჩვენი სამეურნეო ქონებათა და ძალთა გაერთიანებით შესაძლებელია გავაძლიეროთ ჩვენი მრეწველობა და სასოფლო მეურნეობა და ამით გავაუმჯობესოთ მუშათა და გლეხთა კეთილდღეობა, მხოლოდ ყველა რესპუბლიკების სამხედრო, პოლიტიკური და სამეურნეო კავშირი შექმნის იმ ძლიერ მუშტს, რომელიც პასუხს გასცემს საერთაშორისო ბურჟუაზიის ყოველგვარ აგრესიულ ზრახვას, მხოლოდ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი იქნება მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის საიმედო კერა.

აჭარის საბჭოების მეორე ყრილობას წინ უსწრებდა სამაზრო ყრილობები, რომელზეც დელეგატებმა მხურვალედ მოიწონეს პარტიის პოლიტიკა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ.

ყრილობამ მოისმინა, აგრეთვე მოხსენებები ცალკეული დარგების მდგომარეობის შესახებ, როგორიცაა, მაგალითად, მშენებლობის, სწავლა-განათლების, სასამართლოს, ჯანმრთელობის, კოოპერაციისა და სხვ. შესახებ. განხილული საკითხების გარშემო ყრილობამ დასახა სათანადო ღონისძიებანი.

ყრილობამ ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობაზე გასაგზავნად აირჩია 13 დელეგატი გადამწყვეტი და 4 დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით.

1923 წლის იანვარში ჩატარდა აჭარის საბჭოების არჩევნები. არჩევნების ორგანიზებულად ჩატარებისათვის შეიქმნა აჭარის ასსრ ცენტრალური საარჩევნო კომისია. საარჩევნო კომისიები შეიქმნა აგრეთვე მაზრებსა და თემებში. დაწე-

1 აჭარის სახ. არქივი, ფ. 14, საქმე 15, გვ. 38.

სდა გარკვეული ნორმები: ყოველი სოფელი სათემო საბჭოში ღია კენჭისყრით ირჩევდა საბჭოს წევრებს განსაზღვრული რიცხვით, რომლებიც თავის მხრივ სათემო შეკრებაზე ირჩევდნენ თემის აღმასკომს. თემის საბჭოები ირჩევდნენ დელეგატების განსაზღვრულ რიცხვს მაზრის საბჭოში. მაზრის საბჭო ირჩევდა მაზრის აღმასკომს. თანახმად საარჩევნო ინსტრუქციისა, ბეგები და აღები არ ჩევნებში არ მონაწილეობდნენ. ასევე საარჩევნო ხმის უფლება ჩამორთმეული ჰქონდათ სხვა არამშრომელ ელემენტებს.

სამაზრო ყრილობების შემდეგ 1923 წ. 27 იანვარს შეიკრიბა აჭარის საბჭოების მესამე ყრილობა. ყრილობას ესწრებოდნენ ს. გეგეჭკორი და ს. ორჯონიკიძე. ამხ. ს. ორჯონიკიძე ყრილობაზე გამოვიდა მოხსენებით საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

ყრილობამ მოისმინა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, განათლების, ჯანმრთელობის, შინაგან საქმეთა, იუსტიციისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების ანგარიშები.

განხილული საკითხების გარშემო ყრილობამ მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი და აირჩია ხელისუფლების ორგანოები. საბჭოების მესამე ყრილობა უფრო საქმიან ვითარებაში წარიმართა, გაიზარდა მასების როლი. ისინი უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაში, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საბჭოთა დემოკრატია ბურჟუაზიული დემოკრატიისაგან განსხვავებით მშრომელთა დიდი უმრავლესობის აქტიურ მონაწილეობას უზრუნველყოფდა თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში.

– ასევე მაღალი პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში ჩატარდა საბჭოების შემდეგი ყრილობები. მაგალითად, საბჭოების მეოთხე ყრილობაზე დასასწრებად არჩეულ იქნა 230 დელეგატი. ყრილობამ საპატიო დელეგატთა შორის აირჩია ს. ორჯონიკიძე, მ. ცხაკაია ს. გეგეჭკორი და მ. ორახელაშვილი.

1925 წლის 23-28 მარტს მუშაობდა აჭარის საბჭოების მეხუთე ყრილობა, რომელსაც 248 დელეგატი ესწრებოდა. ყრილობის მუშაობაში დიდი ყურადღება დაეთმო სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხებს. ყრილობამ მოითხოვა საბჭოთა აპარატის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება, მშრომელთა აქტიური ჩაბმა საბჭოების მუშაობაში და სათემო, სამაზრო საბჭოების სისტემატური მოწვევა. ამასთან, ყრილობამ მოითხოვა გზების, ხიდების და ელექტროსადგურების მშენებლობის შემდგომი გაძლიერება, სოფლის მეურნეობის, განათლების, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისა და ვაჭრობისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი განმტკიცება.

ამრიგად, 1921 — 1925 წლებში შეიქმნა და განმტკიცდა საბჭოთა აპარატი, განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები შტატების გასამარტივებლად, უფრო მეტი ყურადღება დაეთმო ოპერატიულ მუშაობას. გაიზარდა მშრომელთა აქტივობა, მშრომელები დიდი ინტერესით მონაწილეობდნენ საბჭოების მუშაობაში. ბევრი რამ გაკეთდა მასებთან კავშირის განმტკიცებისათვის. თვითეულ ამ ღონისძიებაში მშრომელები ხედავდნენ საბჭოების სიცოცხლისუნარიანობას, მათ ღრმად სწამდათ, რომ მშრომელთა ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებდა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

* * *

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ საჭირო იყო მისი განმტკიცება, ძველი ექსპლოატატორული სახელმწიფო აპარატის ლიკვიდაცია. ეს იყო უპირველესი ამოცანა, რომლის გადაუჭრელად შეუძლებელი იქნებოდა შემდგომი წინსვლა, საბჭოთა ხელისუფლების წინაშე მდგარი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა.

ძველი სახელმწიფო აპარატი აჭარის მშრომელთა ექსპლოატაციისა და დამონების იარაღს წარმოადგენდა, საჭირო იყო ექსპლოატატორული კლასების — კაპიტალისტების, მემამულეების განიარაღება, მათი კონტრრევოლუციური სულისკვეთებისა და ზრახვებისათვის ნიადაგის გამოცლა.

აჭარის კომუნისტებმა კარგად იცოდნენ, რომ სოციალისტური რევოლუციის ამ ძირეული საკითხის გადაწყვეტისათვის საჭირო იყო ძველი სახელმწიფო აპარატის ბოლომდე დამსხვრევა და ახალი საბჭოთა აპარატის შექმნა.

მარქსი გვასწავლიდა, რომ მუშათა კლასს არ შეუძლია უბრალოდ დაეუფლოს მზამზარეულ სახელმწიფოებრივ მანქანას და გამოიყენოს იგი თავისი მიზნებისათვის, რადგან ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატი თავისი კლასობრივი ბუნების გამო გამოუსადეგარიაო.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე დაიწყო ძველი სახელმწიფოებრივი დაწესებულებების ნაცვლად ახალი, საბჭოთა დაწესებულებების შექმნა. მუშები და გლეხები შეუდგნენ სახელმწიფოს მართვას. საბჭოების საშუალებით ხორციელდებოდა მშრომელთა შემოქმედებითი ენერგიისა და ინიციატივის განვითარება.

ვ. ი. ლენინი რუსეთის მოსახლეობას მიმართავდა: „ამხანაგო მშრომელებო! გახსოვდეთ, რომ ახლა თ ვ ი თ ო ნ თ ქ ვ ე ნ განაგებთ სახელმწიფოს. არავინ არ დაგეხმარებათ, თუ თვითონვე არ გაერთიანდებით და ს ა კ უ თ ა რ ხელში არ აიღებთ სახელმწიფოს ყ ვ ე ლ ა ს ა ქ მ ე ს. თ ქ ვ ე ნ ი საბჭოები ამიერიდან — სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებია, სრულუფლებიანი, გადამწყვეტი ორგანოები“.[1]

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე გაუქმდა ძველი ბურჟუაზიული საოლქო სასამართლო, რომელიც კაპიტალისტებისა და მემამულეების ინტერესებს იცავდა და რომლის მახვილი ყოველთვის მიმართული იყო მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ. საბჭოთა ხელისუფლებამ მიზნად დაისახა ახალი პროლეტარული სასამართლოს შექმნა, რომელიც დაიცავდა მუშების და გლეხების ინტერესებს, დაიცავდა პროლეტარული რევოლუციის მონაპოვარს.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე აჭარაში საფუძველი ჩაეყარა საგამომძიებლო აპარატს, აჭარის რევოლუციურ კომიტეტთან დაარსდა იურიდიული განყოფილება, რომელსაც ჰქონდა შემდეგი ქვეგანყოფილებები: სამოსამართლო-საგამომძიებლო, საიურისტკონსულტანტო, დასჯა-გასწორების და ადმინისტრაციული.

საბჭოთა სასამართლო-პროკურატურის ორგანოებმა მახვილი მიმართეს საბჭოთა ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ, იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც განაგრძნობდნენ ან-

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 26, გვ. 347.

ტისაბჭოთა მოქმედებას, ცდილობდნენ ჩაეშალათ საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებები, გამოეყენებინათ არსებული სიძნელეები და უკმაყოფილება დაეთესათ მუშებსა და გლეხებს შორის. კლასობრივი მტრების ეს ზრახვები დროულად იქნა გამოაშკარავებული და თავიდან აცილებული.

პირველ წლებში, კლასობრივი ხასიათის გამოხდომებს გარდა ადგილი ჰქონდა აგრეთვე სხვადასხვა სახის ბოროტმოქმედებებსაც, რაც მემკვიდრეობით გადმოვიდა ძველი ბურჟუაზიული საზოგადოებიდან. ხშირი იყო, მაგალითად, ქურდობა, დაჭრა, დაცემა, სისხლის აღება. ყველაფერი ეს საერთოდ ფეხმოკიდებული იყო ძველ აჭარაში. საჭირო იყო ამ ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლა. ეს ამოცანა წარმატებით შეასრულეს ახლად ორგანიზებულმა სასამართლო-პროკურატურის ორგანოებმა.

1921 წლის სექტემბერ-ოქტომბერში საქართველოს რევოლუციური კომიტეტის მიერ გამოცემული სახალხო სასამართლოების დებულების შესაბამისად ქ. ბათუმში მოეწყო 3 სახალხო სასამართლო, რომლებმაც აქტიური მუშაობა გააჩაღეს მშრომელთა ინტერესების დასაცავად. 1921 წლის ოქტომბერ-დეკემბერში სახალხო სასამართლოებმა განსახილველად მიიღეს 970 სისხლის სამართლისა და 703 სამოქალაქო საქმე. სახალხო სასამართლოების მუშაობაში მონაწილეობდნენ მსაჯულები, თუმცა ზოგჯერ მსაჯულთა შემადგენლობაში ძვრებოდნენ არამშრომელი ელემენტებიც, რომლებსაც თავიანთი სოციალური მდგომარეობით არავითარი კავშირი არ ჰქონდათ მშრომელ ხალხთან. ასეთი ელემენტები ზოგჯერ გავლენას ახდენდნენ განაჩენის მიმართულებაზეც, რაც მშრომელთა სამართლიან საყვედურს იწვევდა. მაგრამ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მსაჯულთა შემადგენლობა მალე პროლეტარული ელემენტებით შეივსო.

პირველად სახალხო სასამართლოები მოეწყო ქალაქში. ეს სოფლის მშრომელებისათვის გარკვეულ სიძნელეებს ჰქმნიდა. პარტიამ და მთავრობამ ეს გაითვალისწინეს და ნაბიჯი გადადგეს სახალხო სასამართლოების ქსელის გაფართოებლად. 1922 წლის აპრილში სახალხო სასამართლო მოეწყო ქობულეთის მაზრაში, ხოლო 1923 წლის მარტის ბოლოს — ხულოსა და ქედის მაზრებში.

პირველად სახალხო სასამართლოების აპარატს 4-5 საშტატო ერთეული შეადგენდა, მაგრამ შემდეგ შტატი რამდენადმე შემცირდა, რასაც გავლენა არ მოუხდენია სასამართლოების მუშაობის ხარისხზე, პირიქით, შემცირებამ ხელი შეუწყო დაკისრებული მოვალეობისადმი მუშაკთა პასუხისმგებლობის გაძლიერებას.

სახალხო სასამართლოების ორგანიზაცია დიდი ნაბიჯი იყო. მან ხელი შეუწყო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას, მშრომელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას, მრავალი სადავო საკითხის მოგვარებას, რაც გადაუდებელ ყურადღებას და ზრუნვას მოითხოვდა. ახალმა სასამართლოებმა დაუყოვნებლივ უკუაგდეს ძველი, მეფის მთავრობის დროიდან შემორჩენილი კანონები. სახალხო მოსამართლეებმა პრაქტიკიდან გააძევეს მუშაობის ბურჟუაზიულ-ბიუროკრატიული სტილი, შეიტანეს მასში პროლეტარული, დემოკრატიუ-

ლი შინაარსი და სულისკვეთება. ახალი პროლეტარული სახალხო სასამართლო მშრომელთა აღზრდის სკოლად გადაიქცა.

სახალხო სასამართლოების ორგანიზაციისთანავე იგრძნობოდა მეორე ინსტანციის შექმნის აუცილებლობა. ასეთი ინსტანცია ერთ ხანს არ არსებობდა, რაც სასამართლოს მოწყობას დაუსრულებელ სახეს აძლევდა, რადგან ასობით საქმე, რომელიც საკასაციო განხილვას ექვემდებარებოდა, განუხილველი რჩებოდა. იუსტიციის სახალხო კომისარიატთან შეიქმნა განსაკუთრებული კომისია. კომისია განიხილავდა სხვადასხვა გადაუდებელ საქმეებს, მაგრამ ესეც დროებითი ღონისძიება იყო. მას არ შეეძლო შეეცვალა სპეციალური საკასაციო ინსტანცია. არანორმალური მდგომარეობა გამოსწორდა მხოლოდ 1923 წლის დასაწყისში, როდესაც აჭარაში ორგანიზებულ იქნა საკასაციო ინსტანცია სახალხო მოსამართლეთა საბჭოს სახით. სახალხო მოსამართლეების საბჭოს სტრუქტურა და საქმიანობა შემდეგნაირად იყო გააზრებული: საბჭოს უნდა ჰყოლოდა თავმჯდომარე და ორი მუდმივი წევრი — გამოცდილი იურისტები, რომლებსაც იუსტიციის სახალხო კომისარიატის წარდგენით დამტკიცებდა აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. სახალხო მოსამართლეთა საბჭოში საქმეების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად გათვალისწინებული იყო სახალხო მოსამართლეების მოწვევა რიგ-რიგობით.

რევოლუციური კანონიერების განმტკიცებას აჭარაში ხელი შეუწყო 1923 წლის აპრილიდან პროკურატურის ინსტიტუტის შემოღებამ, რომელიც სახელმწიფო ზედამხედველობას უწევდა სამეურნეო-საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, კერძო დაწესებულებებსა და პირებს. გამოცდილი მუშაკების უყოლობა ერთხანს აფერხებდა სასამართლო-პროკურატურის ორგანოების ნორმალურ მუშაობას, მაგრამ სისტემატური, შეუნელებელი ყურადღების შედეგად მათ მშრომელთა ფართო მასებში მალე მოიპოვეს ავტორიტეტი.

სასამართლო-პროკურატურის ორგანოებში ზოგჯერ ძვრებოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისადმი არაკეთილგანწყობილი იურისტები, რომლებიც წინათ მსახურობდნენ ჯერ მეფის მთავრობისდროინდელ, ხოლო შემდეგ მენშევიკებისდროინდელ სასამართლოებში. დრო და დრო ტარდებოდა ასეთი ელემენტებისაგან სასამართლო-პროკურატურის ორგანოების წმენდა. პარტია და მთავრობა სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებს ყველა ღონისძიებით განმტკიცებდნენ პროლეტარული კადრებით. საამისოდ ხორციელდებოდა სახალხო სასამართლოების მუშაობის გაუმჯობესება, მათი მასებთან დაახლოება.

სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებიდან ძველი ჩინოვნიკების გაძევებამ და მათი მუშურ-გლეხური წრიდან გამოსული კადრებით დაკომპლექტებამ, დღის წესრიგში დააყენა ამ უკანასკნელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და დახელოვნების ამოცანა. ამ მიზნით აჭარაში დაარსდა იურიდიული კურსები, სადაც მსმენელები სწავლობდნენ საბჭოთა მართლმსაჯულების ძირითად პრინციპებსა და დებულებებს. სერიოზული მუშაობა სწარმოებდა მსაჯულთა კადრების შესარჩევად, ეწყობოდა იურიდიული კონსულტაციები.

აჭარის პარტიული, საბჭოთა ორგანოები გარკვეულ ყურადღებას უთმობდნენ აღძრულ საქმეთა სწორ გამოძიებას, რადგან სასამართლოთა მუშაობის

წარმატება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ამა თუ იმ საქმის ობიექტურად განხილვაზე. წარსულში საქმეების გამოძიება წლობით ჭიანურდებოდა, გამომძიებლები ათასგვარ მაქინაციებს მიმართავდნენ და მრავალგვარ ბოროტებას ჩადიოდნენ. ამის თავიდან ასაცილებლად საგამომძიებლო ორგანოებიდან გაიყვეს ძველი ჩინოვნიკები, მათ ნაცვლად საგამომძიებლო ორგანოებში სამუშაოდ გაიგზავნენ პროლეტარული ელემენტები, პირველ რიგში კომუნისტები, რომლებიც მაღალი პოლიტიკური შეგნებით უძღვებოდნენ დაკისრებულ სერიოზულ საქმეს.

მაგალითად, მთელ 1924 წელს აჭარის სასამართლოების წარმოებაში იყო 704 საქმე, მათ შორის ერთ თვემდე ვადით წარმოებაში დარჩა 304 საქმე, ორ თვემდე ვადით — 188, ხოლო სამ თვემდე ვადით — 212 საქმე. ეს ფაქტი მოწმობს, თუ როგორი ყურადღება ექცეოდა სახალხო სასამართლოებში შემოსული საქმეების დროულად განხილვას.

1921—1923 წლებში აჭარის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა წარმატებით განახორციელეს ძველი, ბურჟუაზიული სასამართლო აპარატის ლიკვიდაცია და უზრუნველყვეს ახალი, პროლეტარული სასამართლო-პროკურატურის ორგანოთა მოწყობა.

ამრიგად, აჭარის მუშათა და გლეხთა ინტერესების, ყველა მშრომელის მონაპოვართა დაცვა პირველად დაფუძნდა სწორ ნიადაგზე.

მენშევიკები, ესერები და სხვა მტრები ბრალს სდებდნენ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, რომ ისინი სპობენ ყოველგვარ კანონებს და აწესებენ სრულ უკანონობასო. მათი ასეთი განცხადება ცილისმწამებლური, პროვოკაციული იყო. მათ გასაგონად ვ. ი. ლენინი საბჭოების სრულიად რუსეთის მესამე ყრილობაზე ამბობდა:

„საბჭოთა ხელისუფლება მოიქცა ისე, როგორც გვიანდერძა ყველა პროლეტარულმა რევოლუციამ, — მან იგი ერთბაშად გადასცა დასამსხვრევად. დაე იყვირონ, რომ ჩვენ ძველი სასამართლო რეფორმის მოუხდენლად ერთბაშად გადავეცით დასამსხვრევად. ამით ჩვენ გზა გავუკაფეთ ნამდვილ სახალხო სასამართლოს და იმდენად არა რეპრესიების ძალით, რამდენადაც მასების მაგალითით, მშრომელთა ავტორიტეტით, ფორმალობის გარეშე, სასამართლოდან, როგორც ექსპლოატაციის იარაღიდან, შევქმენით აღზრდის იარაღი, სოციალისტური საზოგადოების მტკიცე საფუძველზე. არავითარი ეჭვი არ არის, რომ ერთბაშად ასეთი საზოგადოების მიღება ჩვენ არ შეგვიძლია“.[1]

საბჭოთა ხელისუფლებამ გაანადგურა ძველი მილიცია, რომელიც ექსპლოატატორული კლასების იარაღს წარმოადგენდა. მენშევიკების მთავრობის მილიცია შედგებოდა ანტიმუშური, ანტიგლეხური განწყობილების ისეთი ელემენტებისაგან, რომლებმაც სხვადასხვა დროს რაიმე ბოროტმოქმედება ჩაიდინეს. ასეთი ელემენტები მენშევიკურ მილიციას აფარებდნენ თავს. საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის დღეებში მენშევიკური მილიცია არა ერთხელ გამოსულა კონტრრევოლუციის მხარეზე და ჯალათის როლი შეუსრულებია. მას არა ერთხელ დაურბევია მუშათა და გლეხ-

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 26, გვ. 542.

თა ოჯახები, არა ერთხელ უწამებია თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანები. გასაგებია, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინაშე იდგა გადაუდებელი ამოცანა, ბოლომდე გაენადგურებია ძველი მილიცია, როგორც ბურჟუაზიის იარაღი და მისი დასაყრდენი მშრომელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

როგორც აღვნიშნეთ, საბჭოთა ხელისუფლებამ გამარჯვებისთანავე გააუქმა მმართველობის ძველი ორგანოები და მის ნაცვლად შეუდგა მმართველობის მოწყობას სოციალისტური სისტემის საწყისებზე. პირველსავე დღეებში ორგანიზებულ იქნა მუშურ-გლეხური მილიცია, როგორც ქალაქად, ისე მაზრებში.

მუშურ-გლეხური მილიციის ამოცანა იყო ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დაცვა-განმტკიცებისათვის, ბრძოლა ბანდიტიზმის, დეკლასირებული, ბოროტმოქმედი, ანტისაზოგადოებრივი ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც ძველი საზოგადოებიდან შემორჩნენ და სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

მაგრამ არ კმაროდა მარტო მუშურ-გლეხური მილიციის ორგანიზაცია, საჭირო იყო სისტემატური ზრუნვა მისი რიგების შემდგომი განმტკიცებისათვის, რათა მილიციის რიგებში არ მოხვედრილიყვნენ შეუფერებელი, უღირსი ადამიანები. ამ მიზნით დაარსდა მილიციის ორგანოების მთავარი შტაბი, რომელსაც დაევალა მილიციის რიგების წმენდა მიტმასნილი ელემენტებისაგან. ასეთმა ღონისძიებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მილიციის შემადგენლობის გაუმჯობესებას, მისი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას. არაკეთილსაიმედო ელემენტების ნაცვლად მილიციის შემადგენლობაში მოვიდნენ მუშებისა და გლეხების წარმომადგენლები, რომლებსაც სისხლხორცეულად აინტერესებდათ მუშათა და გლეხთა მონაპოვრების დაცვა.

აჭარის მუშურ-გლეხური მილიციის ორგანოებმა ფართო მუშაობა გააჩაღეს, უზრუნველყვეს ბანდიტიზმის განადგურება, რითაც ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა.

პირველ ნანებში მთელ რიგ სიძნელეთა მიუხედავად, ყურადღება დაეთმო მუშურ-გლეხური მილიციის მებრძოლთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესებას, მათი ტანსაცმლითა და კვებით უზრუნველყოფას. მილიციელთა კულტურული დონის ამაღლების მიზნით ეწყობოდა რეფერატები, ლექციები, იმართებოდა საღამო-წარმოდგენები, ტარდებოდა მეცადინეობები მილიციელთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოსაფხვრელად.

ყოველივე ამან დადებითი შედეგი გამოიღო, აღმოიფხვრა ბოროტმოქმედების ბევრი სახე. უფრო გვიან, ორგანიზებულ იქნა ცხენოსანი მილიცია, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლას.

როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, 1922 წლის ბოლოს გურიის ტერიტორიაზე თავი მოიყარა ბანდიტთა დიდმა ჯგუფმა, რომელსაც მეთაურობდა ცნობილი ბანდიტი მანწკავა. აჭარის მუშურ-გლეხური მილიციის მონაწილეობით ბანდიტთა მეთაურები მოსპობილ იქნენ, ხოლო ბანდა — გაფანტული და განადგურებული. ბანდიტიზმის ცალკეული შემთხვევები აჭარაშიც იყო, მაგრამ მათ წინააღმდეგ გატარებული გადამჭრელი ღონისძიებების შედეგად, იგი ლიკვიდირებულ იქნა.

მუშურ-გლეხური მილიციის ორგანოებმა სერიოზული ღონისძიებები განახორციელეს სისხლის აღების მავნე ადათის აღმოსაფხვრელად, რაც განსაკუთრებით გავრცელებული იყო აჭარის მოსახლეობაში. სისხლის აღების ნიადაგზე აჭარაში ბევრი ოჯახი მტრობდა ერთმანეთს, ხშირი იყო მკვლელობაც. ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი ოჯახების შესარიგებლად ბევრი რამ გაკეთდა. ამასთან, სისხლის აღების ადათის მავნებლობის შესახებ ფართოდ გაჩაღდა საგიტაციო მუშაობა. ამ ღონისძიებათა შედეგად სისხლის აღების შემთხვევები მინიმუმამდე შემცირდა, ხოლო შემდგომ სრულიად მოისპო.

1922 წელს ჩატარდა მილიციის ორგანოების რეორგანიზაცია და მისი რიგების შემდგომი გაუმჯობესება. მუშაობაში გაუპიროვნების თავიდან აცილებისა და ოპერატიულობის გაძლიერების მიზნით მილიციის საოლქო სამმართველო გაუქმდა. მისი ფუნქციები გადაეცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს. სამაზრო მილიციები უშუალოდ დაუქვემდებარდნენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, ამასთან, ჩატარდა შტატების შემცირება, მილიციის შემადგენლობიდან დაითხოვეს სხვადასხვა დროს მიღებული პოლიტიკურად და მორალურად არაკეთილსინდისიერი ელემენტები. მილიციის მებრძოლთა პირადი შემადგენლობა უზრუნველყოფილ იქნა ფორმის ტანსაცმლით, ფეხსაცმლითა და კვებით.

მუშურ-გლეხური მილიციის მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ეწყობოდა მოკლევადიანი კურსები. კურსების პროგრამაში შედიოდა სისხლის სამართლის კოდექსი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პოლიტსწავლება და ადმინისტრაციული სამართალი. ასეთი კურსები ეხმარებოდა მილიციის მუშაკებს თავიდან აეცილებინათ მოსალოდნელი შეცდომები, გაუგებრობა და უკეთესად ემუშავნათ რევოლუციური წესრიგის დაცვისა და კანონიერების სწორად გატარებისათვის.

გრძელდებოდა მუშაობა მილიციის მუშაკთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოსაფხვრელად. მაგალითად, 1924 წლისათვის მილიციელთა შორის იყო წერა-კითხვის 112 უცოდინარი. მიღებული ეფექტური ზომების შედეგად წლის ბოლომდე მილიციელთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობა ბოლომდე აღმოიფხვრა.

მუშურ-გლეხური მილიციის მებრძოლთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად მეცადინეობა ეწყობოდა სამხედრო ცოდნის მინიმუმის ათვისების მიზნითაც, რაც მილიციელს საშუალებას აძლევდა მუდამ მზად ყოფილიყო პარტიისა და მთავრობის საბრძოლო დავალებათა შესასრულებლად. მთელი რიგი ღონისძიებანი ხორციელდებოდა მილიციის მუშაკთა მატერიალური წახალისებისათვისაც. მილიციელს, რომელიც თავს გამოიჩენდა საბრძოლო-პოლიტიკური მომზადების დარგში, აგრეთვე წარმატებით შეასრულებდა მიცემულ დავალებას, ეძლეოდა პრემიები.

ამრიგად, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობით ძველი მილიციის ნაცვლად შეიქმნა ახალი — მუშურ-გლეხური მილიცია. მის შემადგენლობაში პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანიზაციების რეკომენდაციით იგზავნებოდნენ მშრომელთა საქმის ერთგული ადამიანები, რომლებიც მზად იყვნენ ბოლომდე ებრძოლათ რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად.

მუშურ-გლეხური მილიცია შეიქმნა და ჩამოყალიბდა, როგორც საბჭოთა სახელმწიფოებრივი აპარატის განუყოფელი ნაწილი, რომელმაც წარმატებით შეასრულა რევოლუციური წესრიგის შენარჩუნებისა და განმტკიცების საპატიო ამოცანა.

აჭარის საბჭოთა ორგანოებს სერიოზული ბრძოლა მოუხდათ ძველი ჩინოვნიკების, გაიძვერების, მაწანწალებისა და მესაბოტაჟეების წინააღმდეგ, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ მშრომელთა ხელისუფლების ღონისძიებებს. მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციამ გაიმარჯვა, დარჩნენ ექსპლოატატორული კლასების ნაშთები, დარჩნენ ბურჟუები, კაპიტალისტები, რომლებიც იმედოვნებდნენ, რომ დაიბრუნებდნენ ბატონობას, დაიკავდნენ თავიანთ ფულის ქისებს, დარჩნენ მაწანწალები, კაპიტალიზმის მიერ სრულიად გასრესილი ადამიანები, რომელთაც არ შეეძლოთ ამაღლებულიყვნენ პროლეტარული ბრძოლის იდეამდე.[1]

საარქივო მასალებში შემონახულია ცნობები საბოტაჟის მრავალი შემთხვევის შესახებ.

საბოტაჟის ფაქტები ხშირი იყო ბათუმის საავაკრო ნავსადგურში. მოსამსახურეთა ერთი ნაწილი არ ემორჩილებოდა შრომის ახალ დისციპლინას, სურვილისამებრ ცხადდებოდა და მიდიოდა სამუშაოდან, ადგილი ჰქონდა სახელმწიფო ქონების დატაცების ხშირ ფაქტს. ანტისაბჭოთა ელემენტები, განსაკუთრებით მენშევიკები, ცდილობდნენ ხელი შეეშალათ საავაკრო ნავსადგურის ნორმალური მუშაობისათვის.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სისტემაში მოიკალათეს ბევრმა ყოფილმა ოფიცერმა და მენშევიკურმა ელემენტებმა, რომლებიც კრებებზე გამოდიოდნენ ანტისაბჭოთა სიტყვებით, ცდილობდნენ ხელი შეეშალათ საბჭოთა პოლიტიკის გატარებისათვის, მედიკამენტებს ხშირად კერძო პრაქტიკისათვის იყენებდნენ და სხვ.

უარესი მდგომარეობა იყო ფოსტა-ტელეგრაფში, სადაც შეიმჩნეოდა შოვინისტური გამოხდომები. ზოგჯერ სამუშაოდან ითხოვდნენ არა ქართველებს, რომლებმაც არ იცოდნენ ქართული ენა. კარიერიზმის ნიადაგზე ხშირი იყო ინტრიგანობა. აქაც მოიკალათეს მენშევიკურმა ელემენტებმა, რომლებსაც დეზორგანიზაცია შეჰქონდათ ფოსტა-ტელეგრაფის მუშაობაში.

იურიდიულ განყოფილებაში თავი შეაფარეს მეფის ყოფილმა მოხელეებმა, რომლებიც მზად იყვნენ ერთი ლიტრი ღვინისათვის ჩაედინათ ყოველგვარი სისაძაგლე. სახალხო სასამართლოების შექმნამდე ზოგიერთ საქმეს იურიდიულ განყოფილებაში არჩევდნენ და ხშირად არასწორი გადაწყვეტილებები გამოჰქონდათ, რაც მთხოვნელთა კანონიერ უკმაყოფილებას იწვევდა.

ძლიერ ცუდი მდგომარეობა იყო სასურსათო კომიტეტში. სასურსათო კომიტეტის შტატი მენშევიკური მთავრობისდროინდელი ჩინოვნიკებისაგან შედგებოდა, რომლებიც არათუ თანაუგრძნობდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, არამედ ეწეოდნენ საბოტაჟს და ანტისაბჭოთა პროპაგანდას. თანამშრომლები იშვიათად იყვნენ სამუშაო ადგილებზე, სამუშაო დროს სეირნობაში და უქმად ხეტიალში ატარებდნენ. სასურსათო კომიტეტის საწყობებში ხშირი იყო ქურდობისა და დატაცების შემთხვევები, კომიტეტის ტრან-

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 26, გვ. 538.

სპორტი წყობილებიდან გამოვიდა, ექვსივე მანქანა უპატრონოდ ეყარა ღია ცის ქვეშ. იყო შემთხვევა, როცა მიღებულ პროდუქტებს გაფუჭებამდე არ ანაწილებდნენ და ამით უკმაყოფილების გამოწვევას ცდილობდნენ. სასადილოებში ამზადებდნენ უხარისხო კერძებს. სასურსათო კომიტეტის თანამშრომლებს კავშირი ჰქონდათ სპეკულანტებთან.

ანტისაბჭოთა ელემენტები მოქმედებდნენ ქარხნებშიც. მაგალითად, მენშევიკები მეორე საბჭოთა ქარხანაში მუშათა შორის ეწეოდნენ ანტისაბჭოთა პროპაგანდას. მაგრამ მუშები ულმობლად ერეკებოდნენ პროვოკატორებს. მათ კარგად იცოდნენ, რომ შექმნილი სიძნელეები ომების დროინდელი სამეურნეო ნგრევის შედეგი იყო და მათი საბჭოთა ხელისუფლებისათვის დაბრალება არ შეიძლებოდა.

უცხოეთის აგენტების საქმიანობა, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სისუსტე, საბჭოთა დაწესებულების მუშაობის ნაკლოვანებანი, სურსათსანოვაგის ნაკლებობა, სპეკულაციის გაძლიერება, ხელფასის გარკვეული ნორმების უქონლობა, მძიმე სიძნელეებს იწვევდა. მტერი ყოველნაირად ცდილობდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის მიეწერა ეს სიძნელეები.

ჯერ კიდევ იყვნენ დარჩენილი ყოფილი მენშევიკური პარტიის წევრები, რომელთა უმრავლესობა რკინიგზაზე იყო მოკალათებული. მენშევიკები ეწეოდნენ ანტისაბჭოთა აგიტაციას, აწყობდნენ საბოტაჟს, იწვევდნენ პროვოკაციებს, კავშირი ჰქონდათ უცხოეთთან, საიდანაც იღებდნენ ფულად დახმარებას და მითითებებს, ცდილობდნენ მენშევიკური შეიარაღებული რაზმების შექმნას.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები მოწმობენ, რომ ძველი საზოგადოებიდან ჯერ კიდევ დარჩენილი იყვნენ მოსამსახურენი, მოხელენი, რომლებიც ფიქრობდნენ ძველი წესწყობილების აღდგენა საზოგადოების ინტერესს წარმოადგენსო. მათი განადგურების გარეშე შეუძლებელი იყო სერიოზული წინსვლა, სოციალიზმის გამარჯვება. ეს ფაქტები, აგრეთვე იმასაც მოწმობდნენ, რომ მესაბოტაჟეების მოქმედება შიმშილობის ერთ-ერთი მიზეზი იყო, რაც იმ დროს დიდ უბედურებას წარმოადგენდა.

„აი რა არის საბოტაჟი, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — ესენი არიან მოსყიდული პირები, უმაღლესი მოსამსახურეები, რომლებიც მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებიან: ჩაშალონ საბჭოთა ხელისუფლება, თუმცა მრავალმა მათგანმა ეს არც კი იცის. საბოტაჟი, ეს არის მისწრაფება — დაუბრუნონ ძველი სამოთხე ექსპლოატატორებს და ძველი ჯოჯოხეთი მშრომელებს. მაგრამ იმისათვის, რომ მათ ამ მიზანს ვერ მიაღწიონ საჭიროა გავტეხოთ მათი წინააღმდეგობა“.[1]

მესაბოტაჟეების წინააღმდეგ საჭირო იყო ბრძოლა, მათი წინააღმდეგობის გატეხა. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტიც, რომ არ შეიძლებოდა საბჭოთა დაწესებულებიდან მათი ერთბაშად დათხოვნა, რადგან ეს ხელს შეუწყობდა სამეურნეო ცხოვრების კიდევ უფრო დაცემას, რაც მტრისათვისაც ხელსაყრელი იქნებოდა. ამიტომ მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, საჭიროა გავტეხოთ მათი წინააღმდეგობაო. ეს იმას კი არ ნიშნავდა, რომ იმათ წინააღმდეგ,

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 26, გვ. 586—587.

ვინც გაბოროტებული ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლებას და არ სურდა დამორჩილებოდა მას, არ გამოგვეყენებინა სხვა უფრო მკაცრი მეთოდები.

პარტიულმა, საბჭოთა ორგანოებმა სასტიკი ბრძოლა გააჩაღეს მესაბოტაჟეების წინააღმდეგ. რევოლუციურმა კომიტეტმა მთელი რიგი გადაუდებელი ღონისძიებანი განახორციელა სხვადასხვა ორგანიზაციების მუშაობის გასაჯანსაღებლად. ფართოდ გაიშალა ახსნა-განმარტებითი მუშაობაც, მესაბოტაჟეები გააფრთხილეს, რომ თუ ისინი არ შეწყვეტდნენ საბოტაჟს, გამოცხადებული იქნებოდნენ ხალხის მტრებად. ყველაფერმა ამან შედეგი გამოიღო. მუშაკთა ნაწილი, რომელსაც პატიოსნად მუშაობა უნდოდა, მაგრამ მტრის პროპაგანდის გავლენას განიცდიდა, თანდათან გონს მოვიდა და პატიოსნად დაიწყო მუშაობა.

საბოტაჟმა დიდი ზიანი მიაყენა აჭარის ისედაც მოშლილ ეკონომიკას, მაგრამ მუშებმა .პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით დაძლიეს მესაბოტაჟეების წინააღმდეგობა, ჩაფუშეს მათი გეგმები.

საბჭოთა დაწესებულებების მუშაობაში ადგილი ჰქონდა მეორე ბოროტებას. მუშაკთა ერთი ნაწილი უპასუხისმგებლობას იჩენდა დაკისრებული მოვალეობის შესრულებისადმი. დაწესებულებათა მუშაობაში შეიმჩნეოდა ბევრი დეფექტი, დაუდევრობა და ზოგან მიუტევებელი შეცდომებიც. ზოგიერთი დაწესებულება მუშაობდა მოუქნელად, აქიანურებდა საკითხების განხილვა-მოგვარებას. ასეთი მდგომარეობის აღმოსაფხვრელად ხელმძღვანელი ორგანოები დაწესებულებების ხელმძღვანელებისგან მოითხოვდნენ პასუხისმგებელი ამხანაგები და კანცელარიის თანამშრომლები სამსახურში თავის დროზე გამოცხადებულიყვნენ, სამუშაო საათებში წესიერად, დროის გაუცდენლად ემუშავნათ, მოქალაქეები ზრდილობიანად მიეღოთ, თავაზიანად მიეცათ მათთვის საინტერესო საკითხებზე ამომწურავი პასუხი. ერთი სიტყვით, მუშაობაში დაენერგათ ლოზუნგი: „ცოტა ქაღალდისა და დროის დაკარგვა და მეტი საქმე“.

დაწესებულებათა ხელმძღვანელების ყურადღებას მიაქცევდნენ იმაზე, რომ მუშაკებს არ დაეშვათ საქმეების განხილვის გადადება, ნელი მუშაობა, ფორმალიზმი, რაც შეაფერხებდა საქმეს, ხელს შეუშლიდა მუშაობის ინტენსივობას და შრომის ნაყოფიერების ზრდას.

* * *

საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბურჟუაზიული პრესის ლიკვიდაციასა და საბჭოთა პრესის შექმნას. ბურჟუაზიული პრესა ძლიერი იარაღია ბურჟუაზიის ხელში. ამ იარაღის მისთვის დატოვება სახიფათო იყო. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „პრესის თავისუფლება ბურჟუაზიას ესმოდა როგორც მდიდრების მიერ გაზეთების გამოცემის თავისუფლება, კაპიტალისტების მიერ პრესის ხელში ჩაგდება, რაც სინამდვილეში ყველგან, ყველა ქვეყანაში, ყველაზე უფრო თავისუფალი ქვეყნების გამოუკლებლივ, იწვევდა პრესის სინდისგარეცხილობას.

მუშურ-გლეხურ მთავრობას პრესის თავისუფლება ესმის, როგორც პრესის განთავისუფლება კაპიტალის უღლისაგან“...[1]

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 26, გვ 328.

აპარაში სხვადასხვა დროს გამოდიოდა ბურჟუაზიული გაზეთები. ყველა ისინი ემსახურებოდნენ ერთ მიზანს — დაეცვათ მქონეელი კლასების ინტერესები, განემტკიცებინათ კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე, გაემართლებინათ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, აეცდინათ მშრომელები პოლიტიკური ბრძოლის სწორი გზიდან.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე განხორციელდა ბურჟუაზიული პრესის ლიკვიდაციის, სტამბების და ქაღალდის მთელი მარაგის მუშურ-გლეხური მთავრობისათვის გადაცემის ღონისძიებანი.

საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა 1921 წლის 15 ივლისს გამოსცა დეკრეტი № 49 „სტამბისა, ასოთჩამომსხმელი სახელოსნოებისა და ლითოგრაფიების ნაციონალიზაციის შესახებ". დეკრეტში აღინიშნა, რომ სახელმწიფოს ყოველგვარი სასტამბო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, სასტამბო საქმის გაერთიანებისა და სათანადო დაცვისათვის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ასოთჩამომსხმელი სახელოსნოები, ლითოგრაფიები და ყოველგვარი პოლიგრაფიული წარმოების მოწყობილობა, მასალები და ხელსაწყოები, მიუხედავად ადგილმდებარეობისა და კუთვნილებისა, ცხადდება საქართველოს სს რესპუბლიკის საკუთრებადო.

სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადებული სტამბები, ასოთჩამომსხმელი სახელოსნოები, ლითოგრაფიები და ყველა პოლიგრაფიული საწარმო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გამგებლობაში გადავიდა. ამრიგად, შეიქმნა საბჭოთა პრესის ორგანიზაციის ბაზა.

შემთხვევითი არ არის, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობდნენ საბჭოთა პრესის ორგანიზაციას. Ფრესა ყველაზე უფრო შორსმსროლელი იარაღია, მასების კომუნისტური აღზრდის მძლავრი საშუალებაა. პირველი ქართული საბჭოთა გაზეთი აპარაში გამოვიდა 1921 წლის 19 მარტს „უწყებების" სახელწოდებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი რესპუბლიკა ამ პერიოდში დიდ სიძნელეს განიცდიდა. საჭირო იყო უცხოეთის იმპერიალისტური სახელმწიფოებისა და მენშევიკების ბატონობის პერიოდიდან დარჩენილი ატმოსფეროს გაწმენდა, ანტისაბჭოთა ელემენტების ზრანვების ბოლომდე მხილება, პარტიისა და საბჭოთა შთავრობის პოლიტიკისა და უახლესი ამოცანების მასების შეგნებამდე დაყვანა. აპარის პირველმა საბჭოთა გაზეთებმა სწორედ ამ მიმართულებით წარმართა მუშაობა, ხელი შეუწყო მუშათა და გლეხთა კლასობრივი შეგნების გაძლიერებას, საბჭოთა ხელისუფლების მიზნებისა და ამოცანების სწორად განმარტებას.

როგორც მასალებიდან ჩანს, „უწყებები" ჯერ ორგვერდიანი გამოდიოდა და მას უმთავრესად ქუჩებში აკრავდნენ. მისი პირველი პასუხისმგებელი რედაქტორი იყო ს. ჩიხლაძე. გაზეთში თანამშრომლობდნენ თ. ელენტი, თ. სიხარულიძე, დ. დუმბაძე, ა. ურუშაძე და სხვ. პირველად გაზეთი უმთავრესად პოლიტიკურ აგიტაციას ეწეოდა. გაზეთში იბეჭდებოდა ლოზუნგები, მოწოდებები, საგიტაციო-საპროპაგანდო წერილები, საგარეო და საშინაო ინფორმაციები, გაზეთი ვრცელდებოდა უფასოდ, მისი ტირაჟი იყო 500—600 ცალი.

1921 წელს, ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების შემდეგ, გაზეთი სამეურნეო ანგარიშზე გადავიდა. ხარჯების საკუთარი საშუალებებით დაფარვის მიზნით გაერთიანდა „უწყებებისა" და „იზვესტიის" გამომცემლობანი. და-

წესდა გაზეთის გასაყიდი ფასი. გაზეთის ნორმალურ მუშაობას ხელს უშლიდა ლიტერატურული კადრების ნაკლებობა, ამასთან ჯერ კიდევ სუსტი იყო მუშ-სოფლკორთა მოძრაობა.

1922 წლის ბოლოს „უწყებებს" „პროლეტარიატის ბრძოლა" დაერქვა. გაერთიანებული გამომცემლობა მალე დაიშალა და ცალკე გამომცემლობები შეიქმნა. გაზეთები გამოდიოდა უდოტაციოდ, რაც გარკვეულ სიძნელეებს ქმნიდა მათს მუშაობაში. მაგრამ მრავალ სიძნელეთა მიუხედავად, გაზეთები მაინც თანდათან აძლიერებდნენ გავლენას მკითხველთა შორის. ამასთანავე ფეხს იდგამდა მუშ-სოფლკორთა მოძრაობაც, რასაც გაზეთის მუშაობაში მეტი სიცოცხლე და შინაარსი შეჰქონდა. გაზეთმა „პროლეტარიატის ბრძოლამ" დროებით შეწყვიტა არსებობა, მაგრამ მალე ისევ განაახლა გამოსვლა „ბრძოლის" სახელწოდებით. გაზეთის გამოსვლამ მკითხველები ისევ გაახარა. თუ აქამდე გაზეთში უპირატესად ქალაქის მშრომელები მონაწილეობდნენ, ახლა თანამშრომლობა დაიწყეს გლეხმა კორესპონდენტებმაც, უმთავრესად ქობულეთიდან, ჩაქვიდან და აჭარისწყლიდან.

1924 წლის მარტიდან გაზეთი „ბრძოლა" გამოდის „ფუხარას" სახელწოდებით. სახელის შეცვლას ის მიზანი ჰქონდა, რომ გადაწყდა ყურადღების გაძლიერება სოფლის ცხოვრების გაშუქებაზე, ე. ი. გაზეთს უფრო მეტად უნდა ეზრუნა სოფლის ავ-კარგის ჩვენებაზე, სინათლეზე გამოეტანა სოფლის ყოფის დადებითი და უარყოფითი მხარეები, დახმარებოდა სოფლად მომუშავე ამხანაგებს, აქტიურად ჩაება სოფლის მოსახლეობა პოლიტიკურ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

აჭარის პარტიული ორგანიზაცია ყოველდღიურ მზრუნველობას იჩენდა გაზეთის მუშაობის გაუმჯობესებისადმი. 1924 წლისათვის გაზეთს ჰყავდა მუშ-სოფლკორების მნიშვნელოვანი რაზმი. თუ 1921-1922 წლებში გაზეთს 12 მუშ-გლეხკორი ჰყავდა, 1923 წლისათვის ეს რიცხვი 46-მდე, ხოლო 1924 წლისათვის 111-მდე გაიზარდა. თუ 1922 წელს გაზეთი 400 ცალი ტირაჟით გამოდიოდა, 1924 წლისათვის მისი ტირაჟი 3.000 ცალს შეადგენდა. გაზეთს თავისი განყოფილებები ჰქონდა ქუთაისში, ფოთში, ოზურგეთსა და ჩოხატაურში; თავისი პუნქტები და განყოფილებები — აჭარის ყველა რაიონში, თავისი კორესპონდენტები ჰყავდა მოსკოვში, ბაქოსა და თბილისში.

გაზეთში თანამშრომლობდნენ აჭარის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული მუშაკები.

იგი ამხილებდა ბოროტმოქმედების, ხულიგნობისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოქმედების ფაქტებს, რისთვისაც სისტემატური კავშირი ჰქონდა სასამართლო-პროკურატურისა და მილიციის მუშაკებთან.

პარტიის საოლქო კომიტეტში კვირაში ერთხელ ეწყობოდა თათბირები გაზეთის იდეურ-ტექნიკური დონის გაუმჯობესების საკითხებზე. აზრთა გაცვლა-გამოცვლა, შემჩნეული ნაკლოვანებების მხილება ხელს უწყობდა გაზეთის იდეურ-პოლიტიკური შინაარსის გაუმჯობესებას. ასეთივე ლონისძიებანი ხორციელდებოდა მუშ-სოფლკორთა მოძრაობის განვითარების დარგში.

1924 წლის 21 დეკემბერს გამოვიდა გაზეთ „ფუხარას" მეათასე ნომერი. ამ მოვლენის აღსანიშნავად მოეწყო იუბილე. აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით გაზეთი დაჯილდოვდა შრომის წითელი

დროშის ორდენით, ხოლო გაზეთის ხუთ თანამშრომელს მიენიჭა „წითელი ჟურნალისტის“ სახელწოდება. საიუბილეო ნიშნებით დაჯილდოვდა აგრეთვე მუშა და გლეხი კორესპონდენტები.

1921 წლის 18 მარტიდან აჭარაში გამოდიოდა რუსული პარტიული საბჭოთა გაზეთი „იზვესტიას“ სახელწოდებით, რომლის პირველ ნომერშიაც გამოქვეყნდა მასალები აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შესახებ. 1922 წელს ეს გაზეთი გამოდიოდა „ტრუდოვოი ბატუმის“, ხოლო უფრო გვიან — „ტრუდოვოი ადჟარისტანის“ სახელწოდებით. 1921 წელს გაზეთის ტირაჟი 400 ცალი იყო, ხოლო 1924 წლისათვის მისი ტირაჟი 2.400 ცალამდე გაიზარდა. 1922 წელს გაზეთს ჰყავდა ორი მუშ-გლეხკორი, 1923 წელს — 20, ხოლო 1924 წელს — 63. 1924 წლისათვის გაზეთი წარმატებით გამოდიოდა უდოტაციოდ, რაც ლაპარაკობს მისი ავტორიტეტის შეუნელებელ ზრდაზე.

ამრიგად, 1921 — 1925 წლებში აჭარაში ლიკვიდირებულ იქნა ძველი, ბურჟუაზიული პრესა და შეიქმნა ახალი, საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა, რომელიც თავისი მიზნებით, ამოცანებითა და შინაარსით ძირეულად განსხვავდებოდა ბურჟუაზიული პრესისაგან.

პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების ხელში საბჭოთა პრესა გადაიქცა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის უმძლავრეს იარაღად. საბჭოთა პრესამ დიდი როლი შეასრულა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების, მისი მიზნებისა და ამოცანების პროპაგანდის საქმეში, ხელი შეუწყო ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის წარმატებით დამსხვრევას, საბჭოთა დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებას, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის მასების მობილიზაციას.

იმ მუშაობის პარალელურად, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და რეაქციული მენშევიკური მემკვიდრეობის ლიკვიდაციისათვის ხორციელდებოდა, სრულდებოდა მეორე არსებითი მნიშვნელობის ამოცანა. ეს იყო სახალხო ქონების აღრიცხვისა და დაცვის საკითხი. როგორც ცნობილია, მენშევიკებმა დიდძალი ქონება გაიტაცეს, მაგრამ ყველაფრის წაღება ვერ მოასწრეს. საჭირო იყო დარჩენილი ქონების აღრიცხვა და დატაცებისაგან დაცვა. რევოლუციურმა კომიტეტმა ამ მიმართულებითაც გააჩაღა მუშაობა.

1921 წლიდან დაიწყო მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაცია. ეს იყო დიდი რევოლუციური აქტი, რომლის მსგავსი არასოდეს მომხდარა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე. ამიერიდან ფაბრიკები, ქარხნები, მიწა და სხვა სიმდიდრე ხალხის კუთვნილებად ცხადდებოდა. ამგვარად, ხორციელდებოდა აჭარის ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების მთლიანად გადასვლა საბჭოთა ხელისუფლების რელსებზე.

კაპიტალიზმის დროს წარმოების საშუალებებზე არსებობს კერძო საკუთრება, რაც მუშათა კლასის ძლიერი ექსპლოატაციის პირობებს ქმნის. კაპიტალიზმის დროს მუშები იძულებული არიან იმუშაონ ნახევრად მშიერ მდგომარეობაში. მიუხედავად უზომო მომაბეზრებელი შრომისა, ადამიანებს არ შეუძლიათ მიიღონ იმდენი, რამდენიც საჭიროა ცხოვრების ელემენტალური პირობების შესაქმნელად. დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მახვილი აღმართა სწორედ ფაბრიკებზე, ქარხნებსა და წარმოების სხვა საშუალე-

ბებზე კერძო საკუთრების მოსპობისათვის, რათა ამით ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის სამუდამოდ მოსპობის პირობები შეექმნა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ საბჭოთა მთავრობამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თანმიმდევრულად განახორციელა სოციალისტური რევოლუციის ამოცანები. პირველი ასეთი ნაბიჯი იყო მემამულეთა მიწების კონფისკაცია, მუშათა კონტროლის შემოღება, ბანკების ნაციონალიზაცია. შემდგომ განხორციელდა ფაბრიკა-ქარხნების ნაციონალიზაცია.

საბჭოთა მთავრობა სწორედ ამ მარქსისტული დებულებით ხელმძღვანელობდა, როცა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ეკონომიურ ურთიერთობათა დარგში ძირეულ გარდაქმნათა განხორციელებას შეუდგა. დეკრეტებმა ზაეის, მიწისა და მუშათა კონტროლის შესახებ ძირი გამოუთხარეს კერძო საკუთრების კაპიტალისტურ სისტემას, მნიშვნელოვნად განამტკიცეს საბჭოთა ხელისუფლება, მჭიდროდ დარაზმეს მის გარშემო მშრომელი ხალხი. ეკონომიკის დარგში სოციალისტური გარდაქმნების განხორციელებას უდიდეს წინააღმდეგობას უწევდნენ დამხობილი, მაგრამ ეკონომიურად საკმაოდ ძლიერი ექსპლოატატორული კლასები. ბურჟუაზია მიმართავდა ათასგვარ საშუალებებს, რათა ხელი შეეშალა საბჭოთა ხელისუფლებისათვის და უკმაყოფილება გამოეწვია მუშათა შორის. იგი აწყობდა მრავალ შეთქმულებებს, რისთვისაც არ იშურებდა ფულად სახსრებს. მიმართავდა საბოტაჟს, ეხმარებოდა სხვადასხვა კონტრრევოლუციურ ძალებს. საბჭოთა ხელისუფლების წინაშე იდგა ამოცანა ბოლომდე ჩაეხშო ბურჟუაზიის წინააღმდეგობა.

1917 წლის 14 (27) დეკემბერს საბჭოთა მთავრობამ მიიღო დეკრეტი ბანკების ნაციონალიზაციის შესახებ. ეს იყო უაღრესად მნიშვნელოვანი ღონისძიება, რამაც კაპიტალისტებს ხელიდან გამოსტაცა სამეურნეო ცხოვრების ძირითადი ბერკეტი და გადააქცია იგი სოციალისტური მშენებლობის მძლავრ იარაღად. ბანკების ნაციონალიზაციის შემდეგ მიღებულ იქნა დეკრეტები სახელმწიფო ვალების გაუქმების, საგაჭრო ფლოტის ნაციონალიზაციისა და საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შესახებ.

1918 წლის 28 ივნისს საბჭოთა მთავრობამ მიიღო დეკრეტი მთელი მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაციის შესახებ, რაც მოასწავებდა კაპიტალისტური საკუთრების მოსპობას და მთელი მსხვილი მრეწველობის მუშურ-გლეხური მთავრობის ხელში გადასვლას. ეს იყო დიდი რევოლუციური ღონისძიება, რამაც გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა ბურჟუაზიის ძლიერებას და ხელი შეუწყო საბჭოთა ხელისუფლების პოზიციების განმტკიცებას.

ასეთივე ღონისძიებების განხორციელებას საქართველოში საბჭოთა რუსეთის მდიდარი გამოცდილება აადვილებდა. ამ გამოცდილების გამოყენებით 1921-1922 წლებში აჭარაში განხორციელდა კაპიტალისტური მრეწველობის ნაციონალიზაცია და, იგი საბჭოთა ხელისუფლების გამგებლობაში გადავიდა. როგორც აჭარის საბჭოთა ორგანოების ანგარიშებიდან ირკვევა, ამ ხნის განმავლობაში სხვადასხვა დროს ნაციონალიზებულ იქნა შემდეგი სამრეწველო საწარმოები:

1. სათუთავი ქარხანა (ყოფილი შელენგოვისა);

2. თუჯისა და სპილენძის ჩამომსხმელი მექანიკური ქარხანა (ყოფილი კაპლანისა);

3. მექანიკური ქარხანა საავტომობილო სახელოსნოთი (ყოფილი პიტოევისა);

4. ფირფიცრის ქარხანა (ყოფილი არისტენკოსი);

5. მშრალი საღებავების ქიმიური ქარხანა (ყოფილი ბერტმან-კარპოვსკისა);

6. თამბაქოს ქარხანა (ყოფილი დანიელოვის № 1);

7. თამბაქოს ქარხანა (ყოფილი დანიელოვის № 2);

8. პოლიგრაფიული საწარმოები (შედგენილი რამდენიმე სტამბის შეერთებით);

9. საკოდე ქარხანა (ყოფილი გაისა);

10. ხე-ტყის დამამზადებელი ქარხანა (ყოფილი ურინოვსკისა);

11. ბიდონის ქარხანა (ყოფილი ხაჩატურიანცისა);

12. ბიდონის ქარხანა (ყოფილი მალცევისა);

13. ბიდონის ქარხანა № 1 (ყოფილი გაისა);

14. ბიდონის ქარხანა № 2 (ყოფილი გაისა);

15. ბიდონის ქარხანა (ყოფილი მანთაშევისა);

16. არყის ქარხანა (ყოფილი დანიელოვისა);

17. არყის ქარხანა (ყოფილი კუცურისა);

18. არყის ქარხანა (ყოფილი სესიევისა);

19. ყინულის ქარხანა № 1;

20. ყინულის ქარხანა № 2;

21. ნავთის საქაჩი სადგური (ყოფილი ბნიტოსი);

22. ნავთის საქაჩი სადგური (ყოფილი შიბაევისა);

23. ნავთის საქაჩი სადგური (ყოფილი მანთაშევისა);

24. ნავთის საქაჩი სადგური (ყოფილი რილსკისა);

25. ნავთის საქაჩი სადგური (ყოფილი საზოგადოება „ოლეუმის“ № 1);

26. ნავთის საქაჩი სადგური (ყოფილი საზოგადოება „ოლეუმის“ № 2);

27. ნავთის საქაჩი სადგური (ყოფილი შაბანიანისა);

28. ნავთის საქაჩი სადგური (ყოფილი კავკასიის სპილენძის საზოგადოებისა);

29. ნავთის საქაჩი სადგური (ყოფილი რუსეთ-კავკასიის სანავთე საზოგადოების № 1);

30. ნავთის საქაჩი სადგური (ყოფილი რუსეთ-კავკასიის სანავთე საზოგადოების № 2);

31. ნავთის საქაჩი სადგური (ყოფილი რუსეთ-კავკასიის სანავთე საზოგადოების № 3);[1]

კაპიტალისტური საწარმოების უმრავლესობა გასაბჭოების პერიოდისათვის არ მუშაობდა. საჭირო კი იყო მათი ამუშავება. ამას მოითხოვდა სახალხო მეურნეობის ინტერესები. მიღებული ზომების შედეგად ჯერ განახლდა შემდე-

1 აჭარის ასსრ მთავრობის ანგარიში საბჭოების V ყრილობაზე.

БЪЯВЛЕНІЕ

[illegible] ше къ объя [illegible] ніямъ: Военнаго [illegible] ра Батумской области о введеніи [illegible] ложенія отъ 1 сентябр [illegible] я Н [illegible] ской военной полиціи отъ [illegible] ря с распоряженіи Военнаго Г- [illegible] Б [illegible] ской обл [illegible] ить срокъ [illegible] улиц [illegible] ъ [illegible] терытія [illegible] общественныхъ развлеченій объ [illegible] в общее свѣдѣніе, что съ [illegible] ря с.г. всѣ мѣста обществен- [illegible] авл ечені должны ЗАКРЫ В [illegible] Я въ 12 час. ночи а публикѣ [illegible] ю [illegible] ещается появляться на улицахъ [illegible] позд ѣе 12 час. 30 мин. ночи.

Подписалъ.

Во н й Губернатор Батумской Области

Бригадный Генералъ **ЛУКЪ-ПОЛИСЪ**

Батумъ

ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის განცხადება ბათუმის ოლქში საალყო წესების გამოცხადების შესახებ.

გი სამრეწველო საწარმოების მუშაობა: სახელმწიფო მომთუთიებელი ქარხნის, მე-2 საბჭოთა ქარხნის, მე-3 საბჭოთა ქარხნის, ფირფიცრის ქარხნებისა და პოლიგრაფიული საწარმოების. ამასთან, იჯარით გაიცა საკიდე, ყინულის, ტყავის, არყისა და ბიდონის ქარხნები, რაც საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში საწარმოთა ექსპლოატაციის მიზანშეწონილ ფორმად იყო მიჩნეული და რამაც, უსათუოდ, ერთგვარი როლი შეასრულა მრეწველობის გამოცოცხლებაში.

ნაციონალიზებულ იქნა ქალაქში არსებული ელექტროსადგურებიც. განსაკუთრებით უნუგეშო მდგომარეობაში იყო ქალაქის ელექტროგაყვანილობის მეურნეობა. იგი ამ დროისათვის ძლიერ მოძველდა და ჰკარგავდა ელექტროენერგიის 30 პროცენტს. პარტიული და საბჭოთა ორგანოების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად ელექტროქსელი შეკეთდა და მოწესრიგდა.

1923 წლის დასაწყისიდან აჭარის სამრეწველო საწარმოების მუშაობაში დაიწყო ახალი პერიოდი. საწარმოების ცხოვრება დაეფუძნა სოციალისტურ საწყისებზე, საფუძველი ჩაეყარა გეგმიან მუშაობას, მეტი ყურადღება დაეთმო სამეურნეო ანგარიშიანობას, გაძლიერდა ზრუნვა ფაბრიკა-ქარხნების მოწყობილობის გაუმჯობესებისათვის, პროდუქციის ხარისხის ამაღლების, მისი გაზრდის ორგანიზაციისათვის. განხორციელდა ღონისძიებანი პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად.

მეფის მთავრობის დროს ბათუმში სახელმწიფო ბანკის გარდა არსებობდა კერძო ბანკების რამდენიმე ფილიალი. საბჭოთა ხელისუფლების დროს აჭარაში მუშაობა დაიწყო სახელმწიფო ბანკის აჭარის განყოფილებამ, რომლის ოპერაციები თანდათანობით იზრდებოდა. იგი მჭიდროდ უკავშირდებოდა აჭარაში არსებულ სხვადასხვა ორგანიზაციებს, ამას გარდა სახელმწიფო ბანკის აჭარის განყოფილებას მცხოვრებთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად შემოჰქონდა პირველი მოთხოვნილების საგნები — პური, მარილი, შაქარი, მანუფაქტურა და სხვ. საბჭოთა ორგანოების ანგარიშებში აღნიშნულია, რომ ორი წლის განმავლობაში სახელმწიფო ბანკის აჭარის განყოფილებამ სხვადასხვა ქალაქებში გადასაგზავნად მიიღო 3.500 და თავის მხრივ გაანაღდა 4.000 ფულადი გზავნილება. განყოფილებამ გაგზავნა 1.000 და სხვადასხვა ფილიალებიდან მიიღო 2.500 საბუთი. სახელმწიფო ბანკის აჭარის განყოფილებაში გახსნილი იყო 300-ზე მეტი მიმდინარე ანგარიში. ბანკი დიდ დახმარებას უწევდა სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას. მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდებოდა სასოფლო-სამეურნეო ბანკის აჭარის განყოფილების ხაზითაც.

მსხვილი ბანკების გარეშე სოციალიზმი განუხორციელებელი იქნებოდაო, — ამბობდა ვ. ი. ლენინი თავის უკვდავ ნაშრომში „შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ხელისუფლებას?“ — და მოითხოვდა, შეგვექმნა მსხვილი ბანკები, გაგვეხადა ისინი უფრო დემოკრატიული და უფრო ყოვლისმომცველი. ეს უკვე სოციალისტური აპარატის ცხრა მეათედი იქნებოდა, რაც ხელს შეუწყობდა საერთო — სახელმწიფო ანგარიშწარმოების მოწესრიგებას, სახელმწიფო აღრიცხვას, პროდუქტების წარმოებისა და განაწილების მოწესრიგებას. პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისთანავე გადადგეს პირველი ნაბიჯები მსხვილი სოციალისტური ბანკის

შესაქმნელად, რამაც დიდი როლი შეასრულა სოციალისტური საზოგადოების აშენების საქმეში. პატარა აჭარაშიც მთელი სიცხადით იგრძნობოდა საამისო მუშაობა.

აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს № 4 დეკრეტით. ნაციონალიზებულ იქნა სასტუმროები — „ფრანცია", „ოტელ-პალასი", „ორიენტალი", „ლონდონი", „ევროპა"; „ვერსალი", „ბრისტოლი"; თეატრები და კინოთეატრები — ყოფ. შმაევსკის, რკინის თეატრი, „რელიგიონი", „პალასი", „ტრიუმფი" და „აპოლო", „ბოგატირი", „ლირა"; აბანოები — „ლონდონი", „ფანტაზია", „ვენეცია", „ჰიგიენა", „ევროპა".[1]

ამრიგად, 1921-1922 წლებში აჭარის ეკონომიკაში განხორციელდა დიდი რევოლუციური გარდაქმნები — საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინა კერძო კაპიტალისტური საკუთრების ლიკვიდაცია და ფაბრიკა-ქარხნებზე, რკინიგზაზე, სასტუმროებზე, თეატრებზე, აბანოებსა და სხვა საწარმო-დაწესებულებებზე დაამკვიდრა საზოგადოებრივი საკუთრება. ამავე პერიოდში ძირითადად დამთავრდა ნაციონალიზებული საწარმოებისა და სხვა ქონების აღრიცხვა და წესრიგში მოყვანა, ჩატარდა ერთგვარი მოსამზადებელი მუშაობა გეგმიანობაზე გადასასვლელად.

* * *

საბჭოთა ხელისუფლებამ ბოლო მოუღო აჭარაში შემორჩენილ ფეოდალურ ნაშთებს. მათ შორის აღსანიშნავია მიწათსარგებლობის დრომოჭმული ფორმები, ქალის უუფლებო მდგომარეობა, რელიგიური სწავლება, საზოგადოების წოდებებად დაყოფა, კარჩაკეტილობა და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლებამ ისე, როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, აჭარაშიც წარმატებით გადაწყვიტა მიწის საკითხი, ბოლო მოუღო მიწათსარგებლობის ფეოდალურ ნაშთებს, გლეხობა სამუდამოდ გაათავისუფლა მიწათმფლობელზე დამოკიდებულებისაგან. სოფლად ფეოდალური ნაშთების ლიკვიდაციამ ხელი შეუწყო მუშათა კლასსა და გლეხობას შორის კავშირის განმტკიცებას, გლეხობის დარაზმვას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკის განხორციელების შედეგად აჭარაში მოისპო მსხვილი კერძო მიწათმფლობელობა. სულ აჭარაში კონფისკებულ იქნა 6.865 დესეტინა მიწა. მათ შორის სათესი მიწები — 1.366 დესეტინა, საძოვრები — 3.023 დესეტინა, ტყეები — 1.957 დესეტინა და სხვ. კონფისკებული სახნავ-სათესი მიწები გაუნაწილდა უმიწო და მცირემიწიან გლეხებს. მიწების კონფისკაციასა და განაწილებაში აქტიურად მონაწილეობდნენ თვით მშრომელი გლეხობის წარმომადგენლები.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის აჭარაში არსებულ ხელსაყრელ პირობებს წარსულში არ იყენებდნენ. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩაეყარა საფუძველი სოფლის მეურნეობის მკვეთრ აღმავლობას. მშრომელმა გლეხობამ მიიღო დიდი პრაქტიკული დახმარება. სოფლის მეურნეობის

1 აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს დეკრეტი, № 4, 1922 წ.

უკეთ წარმართვისათვის გლეხობას გაეწია აგრონომიული დახმარება, სოფელმა მიიღო სასოფლო-სამეურნეო იარაღები, საკვები ბალახების თესლები, შეიქმნა ხეხილის სანერგე მეურნეობები, ხულოსა და ქედის მაზრებში ყურადღება მიექცა მეფუტკრეობის განვითარებას, რისთვისაც მოეწყო სახელმწიფო საჩვენებელი საფუტკრეები, დაიწყო მეაბრეშუმეობის განვითარება.

მთავრობამ აღრიცხა კერძო მფლობელთა მიერ მიტოვებული აგარაკები. სულ აჭარაში ასეთი აგარაკი 150-ზე მეტი იყო. აგარაკებზე გაშენებული იყო სუბტროპიკული კულტურები, უმთავრესად ჩაი. ამ მეურნეობათა დასაცავად სპეციალური ღონისძიებები განხორციელდა.

1921 წლიდან დაიწყო საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაცია. საბჭოთა მეურნეობებს მაშინ საბჭოთა მამულები ერქვა. 1924 წლისათვის უკვე მოეწყო პირველი საბჭოთა მამული, სალიბაურის მამული, ლენინის სახელობის მამული, ბუკნარის საბჭოთა მამული და სხვ. აგარაკების ნაწილი გადაეცა საბჭოთა მამულებს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე უპატრონოდ იყო თავმინებებული მეცხოველეობის განვითარება. ნაკლებად ზრუნავდნენ ზოოვეტერინარული მომსახურებისათვის. არავინ მუშაობდა სათიბებისა და საბალახოების გასაუმჯობესებლად, ხოლო პირუტყვის ჯიშობრივ გაუმჯობესებაზე ლაპარაკიც ზედმეტი -იყო. საბჭოთა ხელისუფლებამ ყველა ამ საკითხის მოგვარებას მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება. მოეწყო მეცხოველეობის სანიმუშო ფერმები, საიდანაც გლეხობას ეძლეოდა ჯიშიანი მოზარდი პირუტყვი. 1922 წლიდან გაიხსნა ვეტერინარულ-ბაქტეროლოგიური ლაბორატორია. ადგილებზე მოეწყო პირუტყვის სამკურნალო პუნქტები.

მკვიდრ ნიადაგზე დადგა ტყეების დაცვისა და სარგებლობის საქმე. აჭარის ტყეებს უმთავრესად დაცვითი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ყურადღება უფრო მეტად გამახვილებული იქნა მათი დაცვის სწორი ორგანიზაციისა და წესიერი ექსპლოატაციისადმი.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლების მიერ სოფლად ფეოდალური, შუასაუკუნეობრივი ნაშთების მოსპობამ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის აგრარული პოლიტიკის სწორად განხორციელებამ ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის აღორძინებას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას, გლეხთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

საბჭოთა ხელისუფლებამ ბოლო მოუღო ქალის მონურ, უუფლებო მდგომარეობას, რასაც აჭარაში კიდევ უფრო ართულებდა მუსულმანური სარწმუნოება. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ქალების უუფლებო მდგომარეობიდან გამოსვლისათვის არც ერთ მთავრობას არ უზრუნვია. აჭარელი ქალი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე უაღრესად დამამცირებელ პირობებში ცხოვრობდა, იგი მოკლებული იყო საზოგადოებაში გამოჩენის უფლებას და სიცოცხლის მეტ ნაწილს ოთხ კედელს შუა ატარებდა. მხოლოდ ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მიანიჭა ქალს მამაკაცთან თანაბარი უფლება, მოსპო ქორწინების შუასაუკუნეობრივი ადათ-წესები. ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი წერდა: „საბჭოთა ხელისუფლებამ, რო-

გორც მშრომელთა ხელისუფლებამ, მისი არსებობის პირველ თვეებშივე, ფრიად გადამწყვეტი გადატრიალება მოახდინა კანონმდებლობის იმ ნაწილში, რომელიც ქალს ეხება. საბჭოთა რესპუბლიკაში ქვა-ქვაზე არ დარჩენილა იმ კანონებიდან, რომლებიც ქალს დამორჩილებულ მდგომარეობაში აყენებდნენ. მე ელაპარაკობ სახელდობრ იმ კანონებზე, რომლებმაც სპეციალურად გამოიყენეს ქალის უფრო სუსტი მდგომარეობა, ჩააყენეს რა ის არათანასწორუფლებიან და ხშირად დამამცირებელ მდგომარეობაშიც კი. ე. ი. კანონებზე განქორწინებისა და ქორწინებისგარეშე დაბადებული ბავშვის შესახებ, ბავშვის უზრუნველსაყოფად ქალის მხრივ ბავშვის მამისათვის სარჩელის წაყენების უფლების შესახებ".[1]

ქალთა შორის მუშაობის გაძლიერების მიზნით პარტიის აპარის საოლქო კომიტეტში შეიქმნა ქალთა განყოფილება, რომელიც ქალთა შორის დიდ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ატარებდა და ხელს უწყობდა ქალების ჩაბმას საზოგადოებრივ საქმიანობაში.

როგორც პარტიული არქივის მასალებიდან ჩანს, მარტო 1922 წლის განმავლობაში პარტიის აპარის საოლქო კომიტეტის ქალთა განყოფილებამ მოაწყო ქალთა 164 კრება. კრებები მიეძღვნა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: „ახალი ეკონომიური პოლიტიკა", „საბჭოთა ხელისუფლება და ქალი", „აპარელ ქალთა მეორე ყრილობა", „პრესის ისტორია და მნიშვნელობა", „ქალთა მდგომარეობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე" და სხვ.

ამავე პერიოდში ქალთა განყოფილებამ გამართა ქალთა დელეგატების 19 საქალაქო კრება, რომელზედაც განხილულ იქნა პოლიტიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის სხვადასხვა საკითხი. პრაქტიკაში დაინერგა ქალთა კონფერენციები, რაც ხელს უწყობდა ქალთა გათვითცნობიერებას, ქალების ჩაბმას საზოგადოებრივ საქმიანობაში. რაიონებში ეწყობოდა ბრა-კერვის სკოლები, სადაც აპარელი ქალები სწავლობდნენ.

1923 წლის 12-13 ივნისს პარტიის საოლქო კომიტეტმა გამართა ქალთა კონფერენცია. კონფერენციას უმთავრესად ესწრებოდნენ მუშა-ქალები. ქ. ბათუმიდან და ჩაქვიდან. კონფერენცია საქმიანად წარიმართა. დელეგატი ქალები აქტიურად მონაწილეობდნენ კონფერენციის მუშაობაში, შეჰქონდათ შეკითხვები საპირბოროტო საკითხებზე, გამოდიოდნენ სიტყვებით, აკრიტიკებდნენ ცალკეული დაწესებულებების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, ინტერესს იჩენდნენ სახალხო კომისარიატების მუშაობისადმი. კონფერენციის შედეგები ადგილებზე მოწვეულ ქალთა შეკრებებზე განიხილეს.

ეს მაგალითები მოწმობენ, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მჩქეფარე მუშაობა გააჩაღა ქალთა შორის, რაც მიზნად ისახავდა ქალის უუფლებო მდგომარეობიდან გამოყვანას და მამაკაცებთან თანაბარი უფლებით აქტიურ მუშაობაში ჩაბმას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სკოლა გაბატონებული კლასების ინტერესებს ემსახურებოდა. მშრომელთა შვილები მთელი რიგი შეზღუდვების გამო მოკლებული იყვნენ სწავლის შესაძლებლობას. მენშეევიკები სკოლას ეროვ-

[1] ვ. ი. ლენინი, ტ. 30, გვ. 28-29.

ნებათა შორის შუღლისა და მტრობის გასაღვივებლად იყენებდნენ. მეწშევიკების დროს სახალხო განათლების საქმე კიდევ უფრო მოიშალა, სკოლებს არ ჰქონდათ წესიერი ბინები, არავინ ზრუნავდა პედაგოგიური კადრების შერჩევაზე. განსაკუთრებით უნუგეშო მდგომარეობა შეიქმნა სოფლად. აჭარის თითქმის ყველა სოფელში ბავშვები მხოლოდ რელიგიურ სკოლებში — მედრესეებში სწავლობდნენ, რასაც არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდა. რელიგიური სწავლება უმთავრესად გაბატონებული კლასების ინტერესებს ემსახურებოდა.

საბჭოთა ხელისუფლებამ ძირეული გადატრიალება მოახდინა ამ დარგში. საბჭოთა მთავრობამ სპეციალური დეკრეტით ეკლესია გამოჰყო სახელმწიფოსაგან, ხოლო სკოლა ეკლესიისაგან. ამით მშრომელი ხალხის განათლების საქმე ისტორიაში პირველად დადგა სწორ მეცნიერულ საფუძველზე, ამ ღონისძიებას აჭარის მშრომელები დიდი სიხარულით შეხვდნენ.

1921 წელს რევოლუციურ კომიტეტთან შეიქმნა განათლების განყოფილება, რომელიც შემდეგ რეორგანიზებულ იქნა აჭარის განათლების სახალხო კომისარიატად. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე აჭარაში დაიწყო ახალი სკოლების გახსნა, სასკოლო შენობების მშენებლობა და ძველის შეკეთება, დაიწყო ნორმალური სწავლება. ყოველივე ამის შედეგად რელიგიური სკოლების გავლენა თანდათან დაეცა, ხოლო ბოლოს სრულიად მოისპო.

1921 წელს აჭარაში იყო 38 სკოლა, რომელთაგან საკუთარი ბინა ჰქონდა მხოლოდ 15-ს. დანარჩენ სკოლებს კერძო ბინები ეკავათ. მიუხედავად არსებული სიძნელეებისა, პარტიისა და მთავრობის ღონისძიებები მიზნად ისახავდნენ ასეთი არანორმალური მდგომარეობის გამოსწორებას. 1922 წელს სოფლად მუშაობდა 40 სკოლა 2.000 მოსწავლით, ქალაქად 13 — 4 ათასამდე მოსწავლით. პედაგოგიური კადრების მომზადების მიზნით 1923 წელს ბათუმში მოეწყო პედაგოგიური კურსები, იმავე წელს პედაგოგიური ინსტიტუტის სახელწოდებით გაიხსნა საშუალო სასწავლებელი, რომელმაც დიდი მუშაობა გასწია პედაგოგიური კადრების მოსამზადებლად.

1924 წელს ბათუმში იყო 13 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, ხოლო სოფლად — 60. ბათუმში ამასთანავე არსებობდა ინდუსტრიული ტექნიკუმი; პედაგოგიური ინსტიტუტი, სალამოს მუშათა ტექნიკუმი, საქარხნო-საფაბრიკო სკოლა, შეერთებული ჰუმანიტარული ტექნიკუმი, აგრეთვე სხვადასხვა კურსები, მაგალითად, საბუღალტრო, სამხატვრო, სამუსიკო-გალობის და სხვ. მოსწავლეთა საერთო რაოდენობა გაიზარდა 8.878-მდე. ამასთან გაფართოვდა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების ქსელი.

1921 წელს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა მიიღო დეკრეტი (№ 48) მოქალაქეთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ.

დეკრეტის ძალით წერა-კითხვის ყველა უცოდინარს, ასაკით 14-დან 50 წლამდე, ევალებოდა წერა-კითხვის შესწავლა. საამისოდ დაარსდა სპეციალური სკოლები. განათლების ორგანოებს დაევალა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში ჩაებათ ინტელიგენციის ყველა საუკეთესო ძალები. დეკრეტი ითვალისწინებდა იმ პირთა „სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას, ვინც ხელს შეუშლიდა წერა-კითხვის უცოდინართ ევლოთ სკოლაში“.

ამ დეკრეტის შესასრულებლად დიდი მუშაობა გასწია აჭარის რევოლუციურმა კომიტეტმა. ადგილებზე შეიქმნა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები, რომლებიც უზრუნველყოფილ იქნენ ბინებით, სახელმძღვანელოებითა და პედაგოგიური პერსონალით. პარტიული და საბჭოთა ორგანოები სათავეში ჩაუდგნენ ამ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოძრაობას.

ამრიგად, პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი ზრუნვისა და ყურადღების შედეგად 1921 — 1925 წლებში ჩამოყალიბდა სახალხო განათლების საბჭოთა სისტემა, შეიქმნა სკოლებისათვის ნორმალური მუშაობის პირობები, განხორციელდა ღონისძიებები პედაგოგიური კადრების მოსამზადებლად.

კომუნისტური პარტიის პროგრამის განუყოფელი ნაწილია ეროვნული საკითხი. ერთა შორის ურთიერთდამოკიდებულების საკითხის სწორ გადაწყვეტას კომუნისტური პარტია თავისი არსებობის მთელ მანძილზე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა. ეროვნული საკითხის სწორი გადაწყვეტა შესაძლებელი გახდა მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ.

ეროვნული საკითხის მოგვარებას საფუძვლად დაედო ძირითადი პრინციპები, რომლებიც ჩამოყალიბებულია „რუსეთის ხალხების უფლებათა დეკლარაციაში". დეკლარაცია 1917 წლის 2 (15) ნოემბერს გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ხელმოწერით. აი ეს ძირითადი პრინციპებიც:

1. რუსეთის ხალხთა თანასწორობა და სუვერენობა;

2. რუსეთის ხალხთა თავისუფალი თვითგამორკვევის უფლება თვითგამოყოფამდე და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნამდე;

3. ყველა და ყოველგვარი ეროვნული და ეროვნულ-რელიგიური პრივილეგიების და შეზღუდვების გაუქმება;

4. რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა და ეთნოგრაფიული ჯგუფების თავისუფალი გაერთიანება.

ამ ისტორიულ დოკუმენტში ჩამოყალიბებული პრინციპების საფუძველზე პრაქტიკულად განხორციელდა პარტიის პროგრამა ეროვნულ საკითხში. შეიქმნა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკები, ნაციონალური ოლქები და სხვა ადმინისტრაციულ-პოლიტიკური დანაყოფები. ამიერიდან ცალკეულმა ხალხებმა ერთიან საბჭოთა ოჯახში დაიწყეს ახალი ცხოვრების მშენებლობა. კომუნისტური პარტიის მიერ ეროვნული საკითხის სწორად განხორციელებამ ხელი შეუწყო ერების სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ჩამორჩენილობის სწრაფ ლიკვიდაციას.

აჭარის პარტიული ორგანიზაცია თავის მოღვაწეობაში ხელმძღვანელობდა მარქსისტულ-ლენინური თეორიით. ამასთან, მას გარკვეული გამოცდილება ჰქონდა ამ საკითხში. მას შემდეგ, რაც აჭარაში საფუძველი ჩაეყარა რევოლუციურ მოძრაობას, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების საკითხს გარკვეული ყურადღება დაეთმო.

მრავალრიცხოვანი ისტორიული დოკუმენტები მოწმობენ, რომ 1905 წლის რევოლუციის პერიოდში ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთიანი ფრონ-

ტით გამოდიოდნენ ქართველები, რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ბერძნები და სხვა ეროვნების მუშები, რაც იმას მოწმობს, რომ ლენინურ-ისკრული მიმართულების სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბათუმის კომიტეტი მუშათა ინტერნაციონალურ შეკავშირებას დიდ ყურადღებას უთმობდა.

სხვადასხვა ეროვნების მშრომელები ასევე ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ მენშევიკური მთავრობის დამხობისა და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

დღეს, როდესაც აჭარის მშრომელები თვალს აყლებენ ბრძოლებისა და გამარჯვებების სახელოვან გზას, ნათლად ხედავენ, თუ რა ძალა აქვს ეროვნული საკითხის სწორად განხორციელებას. ამიტომ ვამბობთ, რომ ხალხთა მეგობრობა, ინტერნაციონალური კავშირი საბჭოთა საზოგადოების ძლიერების საფუძველთა საფუძველს წარმოადგენსო. ამჟამად აჭარაში 30-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობს, მაგრამ ყველა მათგანს ერთი აზრი, ერთი მიზანი აქვს — წარმატებით აშენოს კომუნისტური საზოგადოება.

1924 წელს აჭარის საბჭოების IV ყრილობაზე გ. კ. ორჯონიკიძე აღნიშნავდა: უკვე სამი წელიწადია, რაც აჭარასა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ჩვენთვის ამ პატარა აჭარას, სადაც კლასობრივი და სარწმუნოებრივი ინტერესები ერთიმეორეზეა გადახლართული, დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ მას. ერთი შეცდომა, აქ ერთი ცუდად ფეხის გადადგმა საშინელ შედეგს იძლევა, ამიტომ ჩვენ ნათლად და გარკვეულად ვეუბნებით ჩვენს არჩეულებს: რაც შეიძლება ფრთხილად, რაც შეიძლება წინდახედულად იმუშავეთ აჭარაში.

გ. კ. ორჯონიკიძის ეს სიტყვები მიუთითებენ, რომ აჭარაში საჭირო იყო პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის სწორად განხორციელება, სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინება და ფხიზლად მუშაობა. შეიძლება ითქვას, რომ აჭარის პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელიც აღიზარდა რევოლუციური მოძრაობის სახელოვან ტრადიციებზე, წარმატებით შეძლო პარტიის ეროვნული პოლიტიკის სწორად განხორციელება.

პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტთან 1922 წელს შეიქმნა ნაციონალურ უმცირესობათა ქვეგანყოფილება, რომელიც ყურადღებას აქცევდა სხვადასხვა ეროვნების მუშათა სამუშაოზე მოწყობას, მათ შორის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვასა და, საერთოდ, ინტერნაციონალური კავშირის განმტკიცებას. მაგალითად, ბათუმში მოეწყო ბერძნული კლუბი, რომელიც ბერძენთა შორის კულტურულ-მასობრივ მუშაობას ეწეოდა, გაიხსნა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა.

კ. ლიბკნეხტის სახელობის კომკავშირულ კლუბში მუშაობდნენ ქართული და სომხური დრამატული წრეები, გამოდიოდა კედლის გაზეთები და სხვ. ყველაფერი ეს ხელს უწყობდა ეროვნებათა შორის ურთიერთდამოკიდებულების შემდგომ გაუმჯობესებას.

გარდა ამისა, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების აპარატებში სამუშაოდ იგზავნებოდნენ სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. ამას ნათლად მოწმობს, თუნდაც, აჭარის საბჭოების მესამე ყრილობის ეროვნული შემადგენლობა, რომელსაც ქართველ დელეგატებთან ერთად ესწრებოდნენ რუსი, სომეხი, ბერძენი, ებრაელი, ლატვიელი და სხვა ეროვნების დელეგატები.

აჭარის პარტიული ორგანიზაციის პირველ საოლქო კონფერენციას, რომელიც 1921 წლის ზაფხულში გაიმართა, ესწრებოდა 101 დელეგატი. დელეგატთა შორის იყვნენ ქართველები, რუსები, ებრაელები, სომხები, ბერძნები და სხვ. ეს ფაქტები მოწმობს, რომ კომუნისტური პარტია ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა ეროვნულ საკითხს და თვითონ იძლეოდა მისი პრაქტიკულად განხორციელების საუკეთესო ნიმუშს.

ასეთია მოკლედ ის პირველი ღონისძიებები, რომლებიც აჭარაში განხორციელდა საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად. მომენტის უმთავრესი და გადაუდებელი ამოცანები იყო მმართველობის ორგანოების შექმნა, სახელმწიფოებრივი დისციპლინის განმტკიცება, პროდუქტების წარმოებისა და განაწილების მოწესრიგება, ბრძოლა ომით გამოწვეულ ქაოსთან, დეზორგანიზაციასთან, ნგრევასთან, საბოტაჟთან.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ მომავლის ყოველი პარტიის პირველი ამოცანაა დაარწმუნოს ხალხის უმრავლესობა თავისი პროგრამისა და ტაქტიკის სისწორეში. აჭარაში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის შედეგად ეს ამოცანა წარმატებით შესრულდა. აჭარის მუშები, გლეხები, ინტელიგენცია დარწმუნდნენ პარტიის პროგრამისა და ტაქტიკის სისწორეში და აქტიურად ჩაებნენ მისი განხორციელებისათვის ბრძოლაში.

წარმატებით იქნა გადაწყვეტილი მეორე, პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობისა და ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის დათრგუნვის, ამოცანა. ამ გზაზე პარტიას სერიოზული სიძნელეები შეხვდა, მაგრამ პარტიის პოლიტიკის სწორად განხორციელებამ ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტაც უზრუნველყო.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველსავე დღეს დღის წესრიგში დადგა მესამე ცენტრალური ამოცანა — მმართველობის ორგანიზაციის ამოცანა. კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით ეს ამოცანაც ღირსეულად შესრულდა. ათეული მილიონობით ადამიანის ცხოვრების მოწყობა ეკონომიური საფუძვლების ახალ ბაზაზე საქმის პრაქტიკული ცოდნის დიდ უნარს მოითხოვდა. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში აჭარის ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები ნათლად მოწმობენ, რომ მხოლოდ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას შეეძლო იმ კატასტროფული მდგომარეობიდან აჭარის დახსნა, რომელშიც აღმოჩნდა იგი ანტიხალხური რეჟიმის დროს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოთხი წლისთავზე ვ. ი. ლენინი წერდა: „...ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ და ვამაყობთ კიდეც იმით, რომ წილად გვხვდა ბედნიერება დ ა გ ვ ე წ ყ ო საბჭოთა სახელმწიფოს აშენება, დ ა გ ვ ე წ ყ ო ამით მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა, ა ხ ა ლ ი კლასის ბატონობის ეპოქა, იმ კლასისა, რომელიც ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში დაჩაგრულია და ყველგან ახალი ცხოვრებისაკენ, ბურჟუაზიაზე გამარჯვებისაკენ, პროლეტარიატის დიქტატურისაკენ, კაპიტალის უღლისაგან და იმპერიალისტური ომებისაგან კაცობრიობის განთავისუფლებისაკენ მიისწრაფვის“.[1]

საბჭოთა ხალხმა მთელი მსოფლიოს პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად, აღნიშნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავი. ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ყველა ქვეყნის ჩაგრულ კლასებს უჩვენა კაპიტალისტური მონობიდან გათავისუფლების გზა. ამჟამად ევროპის და აზიის ბევრი ქვეყანა მიდის და ვითარდება სოციალიზმის, დემოკრატიის გზით. სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ავანგარდში მიდის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რომელმაც წარმატებით ააშენა სოციალისტური საზოგადოება და ამჟამად ახორციელებს სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ამოცანას. ქართველი ხალხი, მათ შორის აჭარის მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით მონაწილეობს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში და თავისი წვლილი შეაქვს მშვიდობის განმტკიცების კეთილშობილურ საქმეში.

---

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 33. გვ. 42.

Л. М. Давитадзе.

Первые шаги Советской власти в Аджарии

Резюме

После установления Советской власти в Грузии, под руководством коммунистической партии, трудящиеся добились победы Советской власти и в Аджарии — последнем убежище меньшевиков. Однако миссия пролетариата не ограничилась захватом власти; необходимо было сохранить ее, упрочить Советскую власть.

Во главе осуществления этой задачи, имеющей важное значение, встал Батумский революционный комитет, который был создан накануне установления Советской власти в Батуми.

При Ревкоме был создан ряд отделов: внутренних дел, народного хозяйства, продовольствия, военный, юридический, земледельческий, труда и соцобеспечения и здравоохранения.

Сразу же после установления Советской власти в Аджарии Ревком приступил к созданию нового советского аппарата взамен старых государственных учреждений.

Подавление буржуазии и решительная борьба против антигосударственных явлений были блестяще осуществлены Ревкомом путем мероприятий в юридических сферах.

Был ликвидирован старый буржуазный суд и созданы новые пролетарские органы суда и прокуратуры.

Декретом Грузинского революционного комитета от 16 июля 1921 года за № 54 была создана Аджарская Автономная Советская Социалистическая Республика. Это было большое явление в истории Аджарии. Декрет сыграл громадную роль в деле ликвидации экономической, политической и культурной отсталости края.

Согласно Декрету, органами Управления Аджарии были об'явлены Красный меджлис, Совет народных комиссаров и местные Советы, которые должны были избираться на основе Конституции Грузинской Советской Социалистической Республики.

Были образованы народные комиссариаты внутренних дел, юстиции, просвещения, здравоохранения, социального обеспечения, земледелия, продовольствия и финансов, Совет народного хозяйства, рабоче-крестьянская инспекция.

Образование органов Советской власти вначале было осуществлено в Батуми, а затем в уездах и волостях. Были созданы 5 уездных (Хуло, Кеда, Аджарисцкали, Батуми, Кобулеты) и 16 волостных исполкомов.

В борьбе против контрреволюционных элементов на селе, опорой Советской власти явились комитеты бедноты. В Аджарии, как и в других местах, комбеды сыграли положительную роль в уничтожении контрреволюционных сил, сплотили трудящееся население вокруг партии и правительства, помогли Советской власти в правильном распределении продовольствия, товаров первой необходимости, сельскохозяйственных орудий, способствовали укреплению сельсоветов, их превращению в прочные органы диктатуры пролетариата.

Яркой иллюстрацией энергичной работы комитетов бедноты и партийных органов явился грандиозный митинг населения Хуло, который показал сплоченность трудящихся под знаменем партии и правительства.

В деле воспитания трудящихся в коммунистическом духе большую роль сыграла периодическая пресса Советской Аджарии.

Декретом Революционного комитета Грузии от 15 июля 1921 года за № 49 была проведена национализация типографий и литографий и тем самым создана база для организации советской прессы.

Первая грузинская советская газета «Уцкебеби» («Ведомости») вышла 19 марта 1921 года. Газета несколько раз меняла свое название и с 1924 года стала выходить под названием «Пухара». Газета имела в городах Грузии и в районах Аджарии свои отделения и пункты, специальных корреспондентов в Москве, Баку и Тбилиси.

18 марта того же года стала выходить русская газета «Известия», которая затем была названа «Трудовой Батум», а еще позже — «Трудовой Аджаристан».

В 1921 — 1922 гг. в экономической жизни Аджарии произошли большие революционные преобразования — были национализированы отрасли крупной промышленности, банки, земля, электростанция, культурные, общественные и бытовые учреждения: кинотеатры, гостиницы, бани и т. д.

Утверждение Советской власти в Аджарии проходило в очень тяжелых условиях: Батуми представлял в то время очаг, где сосредоточились остатки деклассированных элементов буржуазного общества и распавшегося меньшевистского правительства. Поэтому здесь имели место классовые и другие антинародные вылазки, саботажи, недобросовестное отношение к труду.

Однако эластичная политика управленческого аппарата и единые действия рабочих и крестьян перестроили стиль хозяйственной и общественной работы, способствовали выработке социалистического отношения к труду, укреплению государственной дисциплины. Были внедрены плановость в производстве, контроль трудящихся над производством и распределением продукции.

В результате проведения Коммунистической партией аграрной политики на селе, в Аджарии было ликвидировано крупное землевладение. Всего было конфисковано 6.865 десятин земли. Конфискованные земли распределялись между безземельными и малоземельными крестьянами.

Аджарские крестьяне получили большую практическую помощь в развитии сельского хозяйства, в частности, в села были завезены сельскохозяйственные орудия, семена кормовых трав; было создано фруктовое питомничье хозяйство; в Хулойском и Кедском уездах стало развиваться пчеловодство. Большое внимание было уделено развитию животноводства.

С 1921 года начинается организация совхозов. Тогда их называли «советскими имениями». К 1924 году были организованы первые советские имения — Салибаурское, Чаквское имени Ленина и Букнарское.

Советская власть успешно разрешила и вопрос эмансипации женщины в Аджарии. В результате мероприятий, проведенных партией и Советским правительством, женщина из бесправного, забитого существа превратилась в активного члена общества. Для правильной организации работы среди женщин при областном комитете был создан специальный женский отдел, который ввел в практику организацию жен-

ских собраний и конференций. Это, с одной стороны, способствовало повышению самосознания женщины, а, с другой, — выработало в ней навыки общественной деятельности.

Для борьбы против неграмотности Советское правительство провело ряд мероприятий в области народного образования. В целях ликвидации неграмотности среди взрослого населения было введено обязательное обучение от 15 до 50-летнего возраста. Открылись как общеобразовательные, так и профессиональные школы. Решительная борьба была об'явлена религиозному обучению. Количество школ ежегодно увеличивалось и к 1924 году в Батуми уже было 13 общеобразовательных школ, а в селах — 60. В Батуми существовали индустриальный техникум, педагогическое училище, вечерний рабочий техникум и различные курсы— бухгалтерские, художественные, музыки и пения. Общее число учащихся возросло до 8.878, расширилась сеть школ по ликвидации неграмотности.

На основании принципов, изложенных в «Декларации прав народов России», был разрешен национальный вопрос, что в свою очередь способствовало скорейшей ликвидации хозяйственной, политической и культурной отсталости.

Вместе с улучшением материальных и культурных условий трудящихся выросла политическая активность. Об этом свидетельствует их широкое участие в деятельности Советов, конференциях и собраниях беспартийных.

В результате неуклонного проведения ленинской национальной политики Коммунистической партии в Аджарии скоро окрепла Советская власть.

К 40-летию Великой Октябрьской социалистической революции Аджария превратилась в один из цветущих уголков Грузии. Трудящиеся Аджарии работают не покладая рук на благо своей советской Родины и вносят значительный вклад в великое дело строительства коммунизма в нашей стране.

მ ო გ ო ნ ე გ ა ნ ი

მიხეილ ანასტასიადი

ბრძოლის წლები

, 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე ცოტახნით ადრე ბათუმის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლიდან გამრიცხეს, რადგან წინააღმდეგობა გავუწიე ერთ-ერთ მოწაფეს, ჟანდარმის შვილს, რომელმაც ჩემი აბუჩად აგდება სცადა.

სასწავლებლის ინსპექტორმა ბელსკიმ ამ შემთხვევას დიდი მნიშვნელობა მისცა. გამომიძახა კაბინეტში, დამიწყო ყვირილი და განაცხადა, რომ ჩემისთანებისათვის, რომლებიც ხელს აღმართავენ მეფის ერთგული მსახურისა და სამშობლოს დამცველის — ჟანდარმის შვილის წინააღმდეგ, სასწავლებელში ადგილი არ არის. წინადადება მომცა წამეღო სახელმძღვანელოები და შინ წავსულიყავი, მეორე დღეს კი „მგლის ბილეთი“ მომეკითხა.

როცა ამ შემთხვევის შესახებ ეუამბე მამაჩემს, ძველ რევოლუციონერს, მითხრა: „არაფერია, დაჯექი სახლში, იმეცადინე დამოუკიდებლად, მერე ვნახოთო“. „მგლის ბილეთისათვის“ ადარ წავსულვარ, ამხანაგები მატყობინებდნენ დავალებებს და მეც დამოუკიდებლად ვამზადებდი მათ.

მაგრამ აი, ბათუმამდე მოაღწია ცნობამ თებერვლის რევოლუციისა და თვითმპყრობელობის დამხობის შესახებ.

განსვენებულმა მამამ მითხრა: „წიგნები აიღე და სკოლაში წადი. თუ ადმინისტრაცია ნებას არ დაგრთავს, პირდაპირ კლასში შედი და შენი ადგილი დაიკავე“.

ასეც მოვიქეცი, რადგან გამოსაშვები კლასის მოსწავლე ვიყავი. ინსპექტორმა მ. ბელსკიმ, რომლისთვისაც უნდა მიმემართნა, არც კი მიმიღო. შევედი კლასში, სადაც ამხანაგები გულთბილად შემხვდნენ, და მერხზე ჩემი ადგილი დავიკავე.

პირველ დღეებში სიაში არ ვიყავი და მასწავლებლებიც არ მიძახებდნენ. ასე გაგრძელდა დაახლოებით ორი კვირა. კლასის დამრიგებლად გვყავდა რუსული ენის მასწავლებელი გ. აპრიშკინი, რომელმაც ერთ დღეს როგორღაც გამომიძახა და, როცა ნიშნის დასმა დამიპირა, ჩემი გვარი საკლასო ჟურნალში ვერ ნახა. მაშინ, აიღო და სიაში შეიტანა პედაგოგიური საბჭოს ყოველგვარი დადგენილების გარეშე. ასე აღმადგინეს მოსწავლის უფლებებში.

ბათუმში გამართულ კრებებსა და მიტინგებზე გამოსული მენშევიკები და ესერები სარგებლობდნენ იმით, რომ იატაკქვეშელ ბოლშევიკებს ჯერ კიდევ არ გაეშალათ მუშაობა და ყოველნაირად აქებ-ადიდებდნენ თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მიერ ნაბოძებ „თავისუფლებას“.

მაგრამ სასწავლებელში ჩვენ ვერავითარ რევოლუციურ ცვლილებებს ვერ ვამჩნევდით. მონარქისტი მასწავლებლები წინანდებურად თავიანთ ადგილებზე იყვნენ და მოსწავლეთა შორის გამხრწნელ მუშაობას ეწეოდნენ, წინანდებურად ტარდებოდა სამღვთო სჯულის გაკვეთილები, გვასწავლიდნენ კატეხიზმოს,

წინანდებურად სხვადასხვა შეღავათებით სარგებლობდნენ ბურჟუებისა და შეფის ყოფილ მოხელეთა შვილები.

ყველაფერი ეს მოსწავლეთა უმრავლესობის აღშფოთებას იწვევდა. დაიწყო მოსწავლეთა კრებები, რომლებზეც ისინი მოითხოვდნენ სასწავლებლის ინსპექტორის მონარქისტ ბელსკისა და სხვა რეაქციონერი მასწავლებლების დათხოვნას, სამღვთო სჯულის სწავლების შეწყვეტას, ყველა მოსწავლისადმი სამართლიან მოპყრობას, მაგრამ ამ მოთხოვნებს არავინ ყურადღებას არ აქცევდა.

სასწავლებლის ადმინისტრაციამ დაიჭარა თავიდან მოეშორებინა „მოუსვენარი“ უფროსკლასელები და 1917 წლის აპრილში მოაწყო მათი ვადამდე გამოშვება. მაგრამ სკოლადამთავრებული მოსწავლეები არც ამის შემდეგ დამშვიდებულან.

მათ აწუხებდათ ძმების — უმცროსკლასელთა ბედი და მოიწვიეს უკანასკნელ სამ წელიწადში გამოსაშვებ მოსწავლეთა საერთო კრება. ამ კრებაზე ბევრი მოსწავლე, მათ შორის ამ სტრიქონების ავტორიც, გამოვიდა წინანდელი მოთხოვნებით. კრებაზე გამოითხოვეს ინსპექტორი ბელსკი. მან ჯერ „შფოთისთავების“ დაშინება სცადა, მაგრამ როცა დანახა, ეს შეუძლებელიაო, ბავშვებს თხოვნა დაუწყო, არ ეგრძოლათ მის წინააღმდეგ, მაგრამ ამაოდ, ბავშვებს კარგად ახსოვდათ ჩემი და სხვა ამხანაგების მონათხრობი ბელსკის მონარქისტული საქმიანობის შესახებ. კრებამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია რომელიც მხარს უჭერდა ზემოხსენებულ მოთხოვნას.

მალე ბელსკი და მონარქისტ მასწავლებელთა ჯგუფი გაძევებულ იქნა სკოლიდან.

მამაჩემმა, ნ. ანასტასიადმ, კომუნისტ პ. კურზიდისთან, ფ. გავრილიდისთან და სხვებთან ერთად შექმნა პირველი ბოლშევიკური უჯრედი ბერძენ მუშათა შორის. 1917 წლის მაისიდან ამ ჯგუფმა, რომელსაც ეწოდა ბერძნული სექცია, დაიწყო ბათუმში კომუნისტური გაზეთის „ხარავგის“ („განთიადი“) გამოშვება ბერძნულ ენაზე. მე რედაქციაში შიკრიკად მამუშავებდნენ. გაზეთი იბეჭდებოდა გალინოსის კერძო სტამბაში პატარა ბრტყელ მანქანაზე. გალინოსი მტრულად იყო განწყობილი გაზეთისადმი, მას მხოლოდ მოგებისათვის ბეჭდავდა და ამის გამო ყოველმხრივ უშლიდა ხელს გაზეთის თავის დროზე გამოშვებას. არ იძლეოდა დამხმარე მუშებს. ხშირად მიხდებოდა მანქანასთან დგომა და ბორბლის ბრუნება, რათა უზრუნველმეყო მორიგი ნომრის დროულად დაბეჭდვა.

ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისებმა ხელი შეუწყო ბოლშევიკების შემჭიდროებასა და ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაციის საქმიანობის გაძლიერებას.

ბოლშევიკებმა დაიწყეს ორგანიზაციულად ჩამოყალიბება. შეიქმნა ბოლშევიკთა ბათუმის ჯგუფი, რომლის ბიურო იმყოფებოდა ბერძნული სექციის ბინაზე, ერისთავის ქუჩაზე (ამჟამად ლიბკნეხტის ქ.). ჯგუფს ხელმძღვანელობდნენ ვ. ბახტაძე, მ. კახიანი, ი. პევცოვი, ნ. ანასტასიადი, გ. რამიშვილი, გ. პიასეცკი, ჯარისკაცები — ს. სმირნოვი, ბ. კრიუჩკოვი და სხვა ამხანაგები.

ჯგუფმა გამოუშვა მოწოდება მუშების, ჯარისკაცებისა და მატროსებისად-

პირველ რიგში. (არცხნიდან მარჯვნივ) დ. მახარაძე, ხ ქავთარაძე, თ. ფლენტი. მეორე რიგში. ი. პეტროვი, ხ გუბელი, მ ტორიშელაძე. მესამე რიგში ქ. ხაჭაია, რ. ნიფარაძე.

მი, რომელშიც განმარტავდნენ ბოლშევიკური პარტიის მიზნებს და ამოცანებს, მოუწოდებდნენ შესულიყვნენ მის რიგებში.

ჯგუფის ბიურო გადაიქცა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ცენტრად. აქ მოდიოდნენ მოწინავე მუშები, ჯარის ნაწილების დელეგაციები, ეწყობოდა პარტიული ორგანიზაციებისა და ჯარისკაცთა წარმომადგენლების კრებები.

საწარმოებსა და გარნიზონის ნაწილებში მენშევიკებისა და ესერების გავლენის აღსაკვეთად იგზავნებოდნენ ბოლშევიკი აგიტატორები, რომლებიც ამხილებდნენ მენშევიკების, ესერებისა და სხვა შემთანხმებლური პარტიების გამცემლურ როლს. ასე თანდათან იპყრობდნენ ბოლშევიკები პოზიციებს არა მარტო ქალაქში, არამედ ბათუმისა და ქობულეთის რაიონების ცალკეულ სოფლებშიც.

თებერვლის რევოლუციის პირველ თვეებში, როცა მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობა ოდნავადაც არ გაუმჯობესებულა, მუშები ჯერ კიდევ უჯერებდნენ მენშევიკების განცხადებას, რომ ომისა და რევოლუციის პირობებში მშრომელთა მასების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლებელიაო. ისინი ერთხანს უდრტვინველად იტანდნენ გაუარესებული შრომის პირობებსა და განუწყვეტლად მზარდ სიძვირეს, მაგრამ მაისის ბოლოდან აქტიური ბრძოლა დაიწყეს თავიანთი უფლებებისათვის, თვითონ დააწესეს რვასაათიანი სამუშაო დღე, აწყობდნენ გაფიცვებს. მუშების სრული ან ნაწილობრივი გამარჯვებით დამთავრდა გაფიცვები კაპლანის თუჯსასხმელ ქარხანაში, კვარცხანის სპილენძის საბადოებსა და მთელ რიგ სხვა საწარმოებში.

გარდატეხა მოხდა ისეთ საწარმოებშიც კი, როგორიც იყო პიტოევის იარაღის ქარხანა (უშვებდა ხელყუმბარებს), რომლის მუშებიც დიდხანს განიცდიდნენ მენშევიკების და ესერების გავლენას. ბოლშევიკი აგიტატორები დამაჯერებლად განუმარტავდნენ მუშებს პარტიის ამოცანებსა და მიზნებს, კონკრეტული მაგალითებით ამხილებდნენ შემთანხმებლური პარტიების გამცემლობას. საბოლოოდ ქარხნის მუშათა საერთო კრებამ მიიღო ბოლშევიკების წინადადება წარმოებაზე მუშათა კონტროლის დაწესების შესახებ.

ბოლშევიკების ჯგუფი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბეჭდვით სიტყვას. 1917 წლის ოქტომბერში გამოვიდა ბათუმის ბოლშევიკთა ჯგუფის ორგანოს გაზეთ „ბურევესტნიკის“ პირველი ნომერი რუსულ ენაზე. მე ამ გაზეთის რედაქციაში ვმუშაობდი ექსპედიტორად, სტამბაში ვაბარებდი მასალებს, ვიღებდი გაზეთის მზა ნომრებს, მიმქონდა ისინი საწარმოებსა და ჯარისკაცთა ყაზარმებში, ვგზავნიდი საქართველოს სხვა ქალაქებში, ხოლო ტრაპიზონის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მეშვეობით — ფრონტზე.

მალე გამოსვლა დაიწყეს სხვა გაზეთებმაც, რომლებსაც უშვებდა ბათუმის ბოლშევიკთა ჯგუფი — „მუშის სიმართლემ“ — ქართულ და „მუშა და ჯარისკაცმა“ — სომხურ ენაზე.

1917 წლის მაისში ბოლშევიკების ჯგუფის ბიურომ გადაწყვიტა მუშაობა გაეშალა ახალგაზრდებს შორის. გამოიყო საინიციატივო ჯგუფი ახალგაზრდობის რევოლუციური ორგანიზაციის „სპარტაკის“ შესაქმნელად. საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ ბოლშევიკური ორგანიზაციის აქტიური წევრები კირილე ბერძენიშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი), ლუკა ჩანტ-

ლაძე და ამ სტრიქონების ავტორი. საინიციატივო ჯგუფმა მუშაობა ჯერ მოსწავლეთა შორის გააჩაღა, რადგან ვაჟთა გიმნაზიაში „ახალგაზრდა მარქსისტთა“ მენშევიკური ორგანიზაცია აცხადებდა მოსწავლე ახალგაზრდობაზე განუყოფელი გავლენის პრეტენზიას. ამ ორგანიზაციაში შედიოდნენ ვაჭრების, მედუქნეებისა და წვრილ მოვაჭრეთა შვილები.

„სპარტაკის“ ორგანიზაციამ დიდი როლი.შეასრულა „ახალგაზრდა მარქსისტების“ წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ბრძოლის შედეგად ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი განთავისუფლდა მენშევიკური გავლენისაგან.

„სპარტაკი“ ებრძოდა აგრეთვე ესერებს, კადეტებსა და სხვა კონტრრევოლუციურ პარტიებს, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთი გავლენის ქვეშ ჰყოლოდათ მოსწავლე ახალგაზრდობა.

სპარტაკელები მონაწილეობდნენ ბოლშევიკთა ჯგუფის მუშაობაშიც, ატყობინებდნენ პარტიის წევრებსა და მუშებს მომავალი კრებებისა და მიტინგების შესახებ, ავრცელებდნენ ბოლშევიკურ გაზეთებს, ბათუმის ბოლშევიკთა ჯგუფის ფურცლებსა და მოწოდებებს.

მენშევიკები და ესერები სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდნენ, თუ როგორ იზრდებოდა ბოლშევიკების გავლენა მასებზე და ამიტომ ცილს სწამებდნენ ბოლშევიკურ პარტიას. ისინი განსაკუთრებით ცდილობდნენ მასებზე ჩვენი პარტიის გავლენა შეენელებიათ ივლისის დღეებში. მტრები გააფრთებით დევნიდნენ ბოლშევიკებს, მაგრამ ფართო მასების კლასობრივი შეგნება დღითიდღე იზრდებოდა. ხალხმა უკვე იცოდა, თუ ვინ იდგა მისი ინტერესების სადარაჯოზე. ყველაფერი ეს ხელს უწყობდა ბათუმის ბოლშევიკთა ჯგუფის ზრდასა და განმტკიცებას; მენშევიკებისა და ესერების ორგანიზაცია კი სულ უფრო და უფრო კარგავდა გავლენას.

გენერალ კორნილოვის კონტრრევოლუციურმა გამოსვლამ კიდევ უფრო ნათლად დაანახა მშრომელ მასებს მენშევიკებისა და ესერების გამცემლური როლი. კორნილოვის ავანტიურის შემდეგ მენშევიკებისა და ესერების პარტიებს ჩამოშორდნენ ცალკეული ჯგუფები; მათ შორის ყველაზე უფრო მოწინავენი კომუნისტურ პარტიაში შევიდნენ.

პეტროგრადში 25 ოქტომბერს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ცნობას ბათუმის მშრომელები დიდი სიხარულითა და აღფრთოვანებით შეხვდნენ. საქართველოში გადამწყვეტი ბრძოლის მომენტი მოახლოვდა.

მენშევიკები მუშათა მოსალოდნელი გამოსვლების ჩასახშობად ემზადებოდნენ; მათ შექმნეს თავისი გვარდია, რომელშიც შევიდნენ რკინიგზის ზოგიერთი მუშა და მოსამსახურე, წვრილი ვაჭრები და მედუქნეები.

ბათუმის ბოლშევიკთა ჯგუფს კარგად ესმოდა ადგილებზე საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების უზრუნველსაყოფად კონტრრევოლუციის ძალთა გაფანტრებული ბრძოლით ჩახშობის აუცილებლობა. ამიტომ მან ერთგულ საზღვაო კომიტეტთან ერთად შექმნა საზღვაო ასეული (წითელი გვარდია), რომელშიც შევიდნენ ბოლშევიკები, ბოლშევიკურად განწყობილი მეზღვაურები და მუშები. ბოლშევიკების განკარგულებაში იყო კრეისერი „კაროლ კარლი“ (ყოფილი რუმინეთის ხომალდი) ბოლშევიკურად განწყობილ რაზმითურთ.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას პირველნი მხურვალედ მიესალმნენ ბათუმელი მელითონელები, სტამბის მუშები, ნავსადგურში მდგარი გემების მეზღვაურები. საწარმოთა სულ უფრო და უფრო მეტი კოლექტივები იღებდნენ თავიანთ კრებებზე დიდი ოქტომბრისადმი მისალმების რეზოლუციებს.

მასების პოლიტიკურ მომწიფებასა და ბოლშევიკური პარტიის გაელენის განუხრელ ზრდაზე მეტყველებენ ასეთი ფაქტები:

პეტროგრადში მომხდარი ივლისის ამბების შემდეგ მენშევიკებმა ბათუმში მოიწვიეს რკინიგზის მუშათა საერთო კრება, რომელზეც ისარგებლეს ბათუმის ბოლშევიკთა ჯგუფის ხელმძღვანელი წევრების დაუსწრებლობით და ყოველგვარი ცილი დასწამეს ბოლშევიკურ პარტიას.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ რკინიგზის კვანძის კოლექტივი მანამდე მენშევიკების გაელენას განიცდიდა, მენშევიკური რეზოლუციის წინააღმდეგ ხუთმა კაცმა მისცა ხმა. მენშევიკებს სურდათ, რომ მათ რეზოლუციას ასპროცენტიანი მხარდაჭერა მიეღო, ამიტომ მოითხოვეს, ვინც წინააღმდეგ მისცა ხმა, თავიანთ მოტივებზე ილაპარაკოსო. გამოვიდნენ ბოლშევიკების თანამგრძნობი მუშები. ამის შემდეგ რეზოლუციას ხელახლა უყარეს კენჭი და მენშევიკების მოლოდინი არ გამართლდა, წინააღმდეგ უკვე 45 კაცმა მისცა ხმა.

ბოლშევიკური სიმართლის შეგნება სოფელშიც აღწევდა. დამფუძნებელი კრების არჩევნების დღეს ბათუმის ბოლშევიკთა ჯგუფის ბიუროს წევრმა ი. პევცოვმა სოფელ ახალშენში გამგზავნა ბოლშევიკების წარმომადგენლად. აქვე იყვნენ მენშევიკების, ესერებისა და სხვა პარტიების წარმომადგენლებიც. ისინი, განსაკუთრებით მენშევიკები, სხვადასხვა მაქინაციებით ცდილობდნენ ხმების უმრავლესობა მოეპოვებინათ თავიანთი პარტიებისათვის, მაგრამ ბოლშევიკურმა სიმართლემ გაიმარჯვა. ზღვეების უმრავლესობას შვილები ფრონტზე ჰყავდა. მე მათ ავუხსენი, რომ ბოლშევიკები მშვიდობას იცავენ, ხოლო მენშევიკები და სხვა წვრილბურჟუაზიული პარტიები იმპერიალისტურ პოლიტიკას ახორციელებენ და ომის მომხრენი არიან-მეთქი. და აი, მიუხედავად ჩემი ახალგაზრდობისა, ჭაღარით მოსილმა მამაკაცებმა და ქალებმა გადაჭრით მითხრეს: „კარგი, შვილო, ლენინს, მეხუთე ნომერ სიას მივცემთ ხმასო". მართლაც, სოფელ ახალშენის გლეხთა უმრავლესობამ ბოლშევიკების მეხუთე ნომერ სიას მისცა ხმა.

ბათუმის ბოლშევიკთა ჯგუფმა დიდი მუშაობა გასწია კავკასიის ფრონტის ლიკვიდაციისა და თურქეთიდან ჩვენი ჯარების გამოსვლის პერიოდში. ეს მუშაობა ტრაპიზონის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთან ერთად წარმოებდა, რომელშიც უმრავლესობას ბოლშევიკები შეადგენდნენ.

ჯარების ორგანიზებულად გამოყვანაში აქტიურად მონაწილეობდა ართვინის ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელიც იმ პერიოდში ბათუმის ბოლშევიკთა ჯგუფის ხელმძღვანელობით მუშაობდა.

ფრონტიდან ჯარისკაცები ორგანიზებულად, იარაღიანად უნდა გამოსულიყვნენ, რადგან საბჭოთა რუსეთში სამხრეთ რაიონებიდან უწევდათ შესვლა, სადაც თეთრგვარდიელთა ბანდები თარეშობდნენ. და სწორედ ფრონტიდან ჯარისკაცთა იარაღიანად გამოსვლის უზრუნველყოფა იყო ჩვენი ამოცანა. ბათუმის ბოლშევიკთა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება — ერჩია ჯარისკაცებისათვის არ დაეყარათ და არ ჩაებარებინათ იარაღი, პირიქით, განეიარაღებინათ კონტრრევოლუციურად განწყობილი ოფიცრები. ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს აგრეთვე შეძლებისდაგვარად უზრუნველეყოთ საბჭოთა რუსეთში მიმავალი ჯარების ზღვით გაგზავნა. ბათუმში ჩამოსული ჯარების ყველა ნაწილებს, როგორც წესი, ხვდებოდნენ ბათუმის ბოლშევიკთა ჯგუფის წარმომადგენლები. ჩვენი პარტიის წევრები ჯარის ბოლშევიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან, პოლკებისა და ასეულების კომიტეტებთან ერთად აწყობდნენ ჯარისკაცთა მიტინგებს, რომლებზეც გამოდიოდნენ ბოლშევიკური პარტიის ამოცანების ახსნა-განმარტებებით, დამსწრეთ აცნობდნენ სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობის მიერ მიღებულ დეკრეტებს ზავისა და მიწის შესახებ, ჯარისკაცებს განუმარტავდნენ აგრეთვე ბათუმის ბოლშევიკთა ჯგუფის გადაწყვეტილებას ჯარების შემდგომი მოძრაობის წესის შესახებ.

ბათუმის ბოლშევიკთა ჯგუფის წარმომადგენლებს ხშირად თან ახლდნენ „სპარტაკის“ ორგანიზაციის წევრები, რომლებიც მიტინგების მონაწილეთა შორის ავრცელებდნენ გაზეთებს „ბურეევესტნიკსა“ და „მუშის სიმართლეს“.

განსაკუთრებული მუშაობა წარმოებდა იმ ქართველ ჯარისკაცებს შორის, რომლებიც საქართველოში რჩებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ მიტინგების გამართვა ყოველთვის როდი იყო იოლი. მთელ რიგ შემთხვევებში სიტყვით გამოდიოდნენ ესერების მომხრეები, კულაკური ელემენტები, რომლებიც ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ საბჭოთა ხელისუფლების პირველი ღონისძიებებისათვის, მაგრამ ჯარისკაცთა ძირითადი მასა მტკიცედ იდგა ბოლშევიკური პარტიის პოზიციებზე და სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა ესერებსა და მათ დამქაშებს.

ერთ-ერთ მიტინგზე ბათუმის ბოლშევიკთა ჯგუფის წარმომადგენლად გამოდიოდა ამხანაგი არნოპულო. ჩვენ ერთად მივედით ფრონტზე გასაგზავნ ბატალიონში, რომელიც არდაგანის ყაზარმებში ისვენებდა. მისვლისთანავე ბოლშევიკმა — ბატალიონის კომიტეტის წევრებმა გაგვაფრთხილეს, რომ ბატალიონში ძლიერი იყო ესერების გავლენა. ეს ცხადი შეიქნა მიტინგზე. ამხ. არნოპულოს გამოსვლის შემდეგ სიტყვა აიღო ერთმა წვერმოშვებულმა ჯარისკაცმა. მან დაიწყო იმ ცილისწამების გამეორება, რომელსაც ბოლშევიკების მისამართით ავრცელებდნენ ესერები, მენშევიკები და სხვა კონტრრევოლუციური პარტიები.

ამ ჯარისკაცს მხარი დაუჭირეს მიტინგზე გამოსულმა სხვა ორატორებმა. მდგომარეობა მწვავდებოდა. ადგილებიდან მოისმოდა შეძახილები — მოგვაცილეთ ბოლშევიკი აგიტატორებიო. მაგრამ აი იმპრომპტიზებულ ტრიბუნაზე ავიდა შედარებით ჯერ კიდევ ახალგაზრდა ჯარისკაცი. მან მიუთითა წვერმოშვებულ ჯარისკაცზე და თქვა:

— მას აქ კარგად შეუძლია ბულბულივით გალობა. მამამისს კი ერთი ათეული დესეტინა მიწა როდი აქვს, ცოტა როდი ჰყავს ცხენები, ძროხები, მოჯამა-

გირეები, რომლებსაც პირუტყვზე უარესად ეპყრობა. რასაკვირველია, ფეოდორიჩს არ მოსწონს, რომ ბოლშევიკები მიწას ართმევენ გლეხობისათვის, კულაკებსა და მდიდრებს ავიწროებენ.

ამ გამოსვლით მიტინგზე გარდატეხა დაიწყო. მაგრად მოხვდათ ესერებსა და კულაკებს. მიტინგმა ხმის დიდი უმრავლესობით მიიღო ბოლშევიკების წინადადება.

ბათუმის ბოლშევიკთა ჯგუფის წინადადებებსა და რეკომენდაციებს ერთსულოვნად იღებდნენ არმიის დელეგაციები, საპოლკო, საბატალიონო და საასეულო კომიტეტების დელეგაციათა წევრები, რომლებიც ჩამოსვლისთანავე მოდიოდნენ ხოლმე ბათუმის ბოლშევიკთა ჯგუფის ბიუროში.

შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში (1917 წლის დეკემბრიდან 1918 წლის თებერვლამდე) ბათუმის ბოლშევიკური კომიტეტი ძირითადად მუშაობდა ჯარების ორგანიზებულად გადაყვანის საკითხებზე. შამქორის სისხლიანი ამბების შემდეგ, როცა მენშევიკ ხელისუფალთა უშუალო დირექტივით შამქორის სადგურთან დახვრიტეს საბჭოთა რუსეთში მიმავალი, ბოლშევიკურად განწყობილი ჯარისკაცები, ბათუმის პარტიულმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება სახლში მიმავალი ჯარები მხოლოდ ზღვით გაეგზავნათ, როგორც ბათუმიდან, საზღვაო კომიტეტისა და საზღვაო ასეულის დახმარებით, ისე უშუალოდ ტრაპიზონიდანაც.

შეიქმნა აგრეთვე სპეციალური რაზმი, რომელსაც კავკასიის ფრონტის ლიკვიდაციის გამო ბათუმში გადმოჰქონდა ფრონტისპირა ზოლში დატოვებული იარაღი და სამხედრო ქონება.

1918 წლის დასაწყისში ბათუმში გურიის ბოლშევიკური ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით გაიმართა ბოლშევიკური ორგანიზაციის საოლქო კონფერენცია, რომელმაც განიხილა შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადების საკითხი.

თებერვლის ბოლოს ბათუმში მოვიდა ცნობა ბრესტის ზავის შესახებ. ამასთან დაკავშირებით მენშევიკებმა გააჩაღეს ბოლშევიკების სასტიკი დევნა. მენშევიკებმა ისარგებლეს ფრონტელი ჯარისკაცების ბათუმიდან გასვლით (მუშები შეიარაღებული არ იყვნენ) და მარტის დამდეგს მოახდინეს თავისი გვარდიის მობილიზაცია, რომელიც შეავსეს საქართველოს სხვა რაიონების მენშევიკი გვარდიელებით. ისინი თავს დაესხნენ ფლოტს, განაიარაღეს იგი და ხელთ იგდეს კრეისერი „კაროლ კარლი“.

მენშევიკებმა დახურეს გაზეთი „ბურევესტნიკი“, „მუშის სიმართლე“ და სხვა ბოლშევიკური გამოცემები. ეს იმ პერიოდში მოხდა, როცა თურქთა ჯარებმა შეუტიეს ბათუმს და 1918 წლის 14 აპრილს კიდეც დაიკავეს იგი. მოსახლეობის უმეტესობამ ქალაქიდან გასვლა მოასწრო.

ბათუმიდან მუშათა დიდი უმრავლესობისა და აგრეთვე ბოლშევიკების გასვლის გამო 1918 წლის პირველ თვეებში ბოლშევიკური ორგანიზაციის მუშაობა შეჩერდა. მუშაობის გამოცოცხლება დაიწყო ქალაქში მოსახლეობის დაბრუნებასთან ერთად.

მე და სხვა სპარტაკელები შევუდექით პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას ახალგაზრდებს შორის, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ ეგრეთწოდებულ „მოსწავლე ახალგაზრდობის კავშირში“.

ბრძოლა გვიხდებოდა აგრეთვე იმ უფროსკლასელთა ცალკეულ ჯგუფებში გავრცელებული პესიმისტური განწყობილების წინააღმდეგ, რომლებიც მოექცნენ გერმანელი რეაქციონერი ფილოსოფოსის შოპენჰაუერის მოძღვრების გავლენის ქვეშ. ასეთი პესიმისტების ცალკეული სტატიები გამოქვეყნდა მოსწავლეთა საერთო-საქალაქო ნაბეჭდ ჟურნალ „პერევალში“, რომელიც 1918 წელს გამოდიოდა. მე მოვახერხე ამ ჟურნალის მესამე ნომერში მომეთავსებინა სტატია „ვიცოცხლოთ და ვიბრძოლოთ“, რომელშიც სასტიკ პასუხს ვაძლევდი პესიმისტებს. სტატიამ ფართო გამოძახილი ჰპოვა ამიერკავკასიის მოსწავლეთა შორის. რედაქციაში შემოვიდა მრავალი გამოხმაურება, რომლებიც ძირითადად სტატიის დებულებათა მხარდაჭერას შეიცავდნენ.

1918 წლის ბოლოსათვის ბოლშევიკური ორგანიზაციის მუშაობა ბათუმში კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა. ქალაქიდან თურქთა ჯარების გასვლისა და ინგლისელების მიერ აჭარის ოკუპაციის დროისათვის (1918 წლის დეკემბერი) ბათუმში არსებობდა საერთო-საქალაქო ბოლშევიკური უჯრედი, რომელმაც თავის გარშემო დარაზმა აქტივისტები მუშებიდან და მშრომელი ინტელიგენციიდან.

ინგლისელები ბათუმისა და ბაქოს ხელში ჩაგდების შემდეგ ფაქტიურად მთელ ამიერკავკასიაში გაბატონდნენ და ცდილობდნენ მოეწყვიტათ იგი საბჭოთა რუსეთისაგან. ისინი ცდილობდნენ კოლონიურ-პოლიციური რეჟიმი დაემყარებინათ აჭარაში, რისთვისაც მიზნად დაისახეს ჩაეხშოთ რევოლუციური მოძრაობა, კანონს გარეშე დაეყენებიათ ბოლშევიკები. ბათუმის ოლქის ინგლისელმა გენერალ-გუბერნატორმა კუკ-კოლისმა აშკარად განაცხადა, რომ ბოლშევიკებს სულს არ მოვათქმევინებო.

თავიანთი მიზნების მისაღწევად ოკუპანტები იყენებდნენ მენშევიკებს, კადეტებსა და სხვა კონტრრევოლუციონერებს. შექმნეს მარიონეტული მთავრობა — „ბათუმის ოლქის მმართველი საბჭო“, რომელსაც სათავეში ედგა პირწავარდნილი კონტრრევოლუციონერი, კადეტთა პარტიის წევრი, ადვოკატი მასლოვი.

ამ მარიონეტული მთავრობის წევრები ფორმალურად განაგებდნენ მეურნეობის სხვადასხვა დარგებს, ფინანსებს, კავშირგაბმულობას, სასამართლო დაწესებულებებს. ფაქტიური ბატონები კი მათზე მიმაგრებული ინგლისელი ოფიცრები იყვნენ.

სამხედრო ჰოლიციასთან ერთად ოკუპანტებმა ჩამოაყალიბეს სამოქალაქო პოლიცია, რომელიც თეთრგვარდიელი ოფიცრებისაგან დააკომპლექტეს.

სასამართლო აპარატი, ისე როგორც სხვა უწყებათა აპარატები, იმ ყოფილი მეფის მოხელეებისაგან დაკომპლექტდა, რომლებიც ოქტომბრის რევოლუციამ პეტროგრადიდან, მოსკოვიდან და ქვეყნის სხვა ქალაქებიდან გამოდევნა.

ქალაქს მოაწყდნენ სხვადასხვა ჯურის ავანტიურისტები, სპეკულანტები, რომლებიც რევოლუციის ცეცხლმოდებული სხვადასხვა რაიონებიდან გამოიქცნენ. სპეკულანტებმა ბათუმი გაავსეს კონსტანტინოპოლიდან და უშუალოდ ინგლისიდან შემოტანილი მრავალნაირი ნაყარი საქონლით, რომელსაც აქ მაღალხარისხოვნად ასაღებდნენ. აქედან კი საზღვარგარეთ და თეთრგვარდიელთა

მიერ დაკავებულ რაიონებში გაჰქონდათ ოქრო, ძვირფასი ნივთები, ნაუთობ-პროდუქტები და სასურსათო საქონელი.

ქალაქი დაიფარა კაფე-შანტანებისა და ღამის რესტორან-კაბარეებით, სადაც ფუქსავატურად ატარებდნენ დროს ბურჟუები, ინგლისელი და თეთრგვარდიელი ოფიცრები, მაშინ როდესაც ფაბრიკებსა და ქარხნებში სასტიკი ექსპლოატაცია იყო გაბატონებული. მეფაბრიკეები და მექარხნეები სარგებლობდნენ უმუშევართა დიდი არმიის არსებობით და ყოველნაირად ბღალავდნენ მუშათა ინტერესებს, სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ მათ კანონიერ მოთხოვნებს მზარდ სიძვირესთან დაკავშირებით ხელფასის გადიდების შესახებ.

ბურჟუაზიის ერთგული ლაქიები — მეწშევიკები „შვიდობისმყოფელის“ როლში გამოდიოდნენ. ისინი მუშებს ურჩევდნენ მეწარმეთა წინააღმდეგ არ მიემართათ აქტიური მოქმედებისათვის. საამისოდ მუშაობდნენ აგრეთვე დაშნაკები, რომლებიც წარუმატებლად ცდილობდნენ თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ ბათუმის მუშათა ერთ-ერთი უდიდესი რაზმი — სანაპირო მტვირთავები, რომელთა შორის უმრავლესობა სომხები იყვნენ.

მხოლოდ ბოლშევიკური ორგანიზაცია იდგა მტკიცედ მუშათა ინტერესების სადარაჯოზე. ბოლშევიკები უშუალოდ საწარმოებში ეწეოდნენ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას, რაზმავდნენ მუშებს ბოლშევიკური პარტიის გარშემო, ხელმძღვანელობდნენ მათ ბრძოლას მეწარმეთა წინააღმდეგ.

ნავთის ბაზებში, თამბაქოს ფაბრიკაში, მთელ რიგ სხვა საწარმოებში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მოწყობილი გაფიცვები მუშათა მოთხოვნების დაკმაყოფილებით დამთავრდა. არალეგალური ბოლშევიკური ორგანიზაციის გავლენა დღითიდღე მტკიცდებოდა ბათუმის პროლეტარულ მასებში.

ბოლშევიკურ ორგანიზაციას გავლენა ჰქონდა აგრეთვე ბათუმის პროფკავშირთა საბჭოზე, რომელიც მოთავსებული იყო ახლანდელ კიროვის ქუჩაზე, სტალინის ქუჩის გადაკვეთის ახლოს. პროფკავშირთა საბჭოს ორი ოთახი და დერეფანი ეკავა. ეს შენობა ახლაც დგას იმავე ეზოში, მაგრამ შემდეგ გადააკეთეს, გაარემონტეს და უკვე აღარ მოგაგონებთ იმ ნახევრადდანგრეულ შენობას, რომელსაც იგი 1919 წელს წარმოადგენდა.

ბოლშევიკები ფართოდ იყენებდნენ ლეგალურ შესაძლებლობებს და თანდათან ანმტკიცებდნენ არალეგალურ, საგულდაგულოდ კონსპირირებულ პარტიულ ორგანიზაციას .

1919 წლის პირველსავე თვეებში დაიწყო არალეგალური ორგანიზაციის ზრდა მოწინავე მუშებისა და პროფკავშირული აქტივისტების მიღების ხარჯზე. საერთო-საქალაქო უჯრედის გარდა უჯრედები შეიქმნა მუშათა რაიონებში — ბარცხანასა და გოროდოკში. ჩამოყალიბდა აგრეთვე სტამბის მუშათა, მელითონეთა და სანაპირო მტვირთავთა უჯრედები.

სოფლის უჯრედებს შორის კარგად მუშაობდა სოფელ მახინჯაურის უჯრედი, რომელშიც შედიოდნენ ბათუმის ორგანიზაციის ერთ-ერთი ენერგიული ორგანიზატორი ხასან ჩიჯავაძე და სოფლის სხვა აქტივისტები. ხასან ჩიჯავაძეს მჭიდრო კავშირი ჰქონდა პარტიის იატაკქვეშელ კომიტეტთან, ასრულებდა მის დავალებებს და საჭირო შემთხვევაში მალავდა ცალკეულ კომუნისტებს.

კომუჯრედი არსებობდა ქობულეთშიც. ბათუმის პროფსაბჭოსა და მსხვილი პროფკავშირების გამგეობებში მუშაობდნენ კომფრაქციები.

მიუხედავად არალეგალურ პირობებში საქმიანობისა და დიდი ორგანიზატორული მუშაობისა, ბათუმის კომიტეტი არ ივიწყებდა პარტიის წევრთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების აუცილებელ საჭიროებასაც. შეიქმნა პარტიის ორგანიზატორების — კომიტეტის მიერ ცალკეულ კომუჯრედებზე მიმაგრებული აქტივისტების წრე. წრეში მეცადინეობას ვატარებდით — მე, ამხანაგები შეგალეი, იაკუბოვი, ხასან ჩიჯავაძე, ლევ ედელსონი და სხვები. ვმეცადინეობდით კვირაში ერთჯერ, კვირადღეობით შიბაევის ქარხნის ეზოში, ნავთის რეზერვუარებს შორის, ანდა ამხანაგების ბინაში. მოსმენილ იქნა ლექციები რკპ (ბ) VIII ყრილობის მიერ მიღებული პარტიის პროგრამის შესახებ და ცალკეული ლექციები პოლიტიკური ეკონომიისა და მიმდინარე პოლიტიკის საკითხებზე.

წრის მონაწილეები თავის მხრივ ამავე თემებზე ესაუბრებოდნენ უჯრედების წევრებს. მე მიმამაგრეს სტამბის მუშათა კომუჯრედს, სადაც ინფორმაციას ვუკეთებდი ამხანაგებს მოსმენილი ლექციების შესახებ.

ცალკეულ სტამბის მუშა კომუნისტებთან ერთად განვიხილეთ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის არალეგალური პროკლამაციებისა და ფურცლების ბეჭდვის საკითხი. მაშინ ბათუმში ყველა სტამბას კერძო მეპატრონე ფლობდა. ერთ ხანად ვახერხებდით პროკლამაციების თითქმის აშკარად აწყობას შმაევსკისა და ზოგიერთ სხვა სტამბაში და არასდროს ჩავვარდნილვართ. ოკუპანტები ეჭვით აპატიმრებდნენ ცალკეულ ასოთამწყობებს, მაგრამ პირდაპირი ბრალდების უქონლობის გამო იძულებული იყვნენ ისევ გაქთავისუფლებინათ.

ინგლისელებმა დაავალეს და ხელწერილი ჩამოართვეს სტამბის მეპატრონეებს, რომ უფრო მკაცრი მეთვალყურეობა დაეწესებინათ ასოთამწყობთა და მბეჭდავთა მუშაობაზე. პროკლამაციების აწყობა თითქმის შეუძლებელი გახდა.

მაშინ, გადაწყდა პროკლამაციების დასაბეჭდად გამოგვეყენებინა გალინოსის ბერძნული სტამბა, რომელზეც ჯერ კიდევ არ მიეტანათ ეჭვი, რადგან ოკუპანტებს ეგონათ, ამ სტამბას რუსული შრიფტი არ ექნებაო.

მახსოვს ერთი კვირადღე. დილით მე და ამ სტამბის მუშები (სტამბა მოთავსებული იყო ახლანდელ ლენინის ქუჩაზე) მორგებული გასაღებით უკანა კარიდან შევედით სტამბაში. ასოთამწყობებმა დ. და ფ. გავრილიდებმა, ნ. კოლენოვმა და სხვებმა ერთი პროკლამაცია ააწყეს და დაბეჭდეს. მიუხედავად იმისა, რომ სტამბის ეზო მჭიდროდ დასახლებული იყო, ეს არავის შეუნიშნავს. პროკლამაციების აწყობაში მონაწილეობდნენ სხვა სტამბებში მომუშავე ამხანაგებიც — კ. ცხომელიძე, ძმები ვიგნანსკეები, ს. შიპიცინი და სხვები.

პროკლამაციებს ავრცელებდნენ უმთავრესად კომკავშირის წევრები. კომკავშირული ორგანიზაცია 1919 წელს შექმნა საქართველოს კპ (ბ) ბათუმის არალეგალური კომიტეტის მიერ გამოყოფილმა საინიციატივო ჯგუფმა პეტრე აგაევის (ჯგუფის ხელმძღვანელი), სიმონ ალანიას და ამ სტრიქონების ავტორის შემადგენლობით.

კომკავშირელები აქტიურად მონაწილეობდნენ არალეგალურ საქმიანობაში, ასრულებდნენ საქართველოს კპ (ბ) ბათუმის კომიტეტის დავალებებს. დიდ მუშაობას ეწეოდნენ ახალგაზრდობაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არალეგალური ბოლშევიკური ორგანიზაცია ყოველმხრივ იყენებდა ლეგალურ შესაძლებლობებს.

პროფკავშირთა საბჭო, რომელიც ბოლშევიკური კომიტეტის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, სათავეში ედგა მუშათა გაფიცვებს. მუშები სულ უფრო მტკიცედ იბრძოდნენ თავიანთი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და პოლიტიკური უფლებების გაფართოებისათვის. ინგლისელი ოკუპანტებისა და მენშევიკების ყველა ცდა შეეგლალთ მშრომელთა ინტერესები, პროფკავშირებში გაერთიანებული მასების ორგანიზებულ წინააღმდეგობას აწყდებოდა.

1919 წლის აპრილში ინგლისელებმა, რომლებმაც ფარისევლურად გამოაცხადეს სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება, დახურეს ბათუმის პროფსაბჭოს გავლენის ქვეშ მყოფი გაზეთი „ბატუმსკია ვესტი“.

უდიდესი წარმატებით დამთავრდა აგრეთვე აპრილის პოლიტიკური გაფიცვა, რომლის დროსაც სხვა მოთხოვნებს შორის იყო მოთხოვნა დაეშალათ თეთრგვარდიული „ბათუმის ოლქის მმართველი საბჭო“. გენერალ-გუბერნატორი იძულებული გახდა შეესრულებინა გაფიცული მასების მოთხოვნა.

პარტიის ბათუმის კომიტეტისა და პროფკავშირთა კონფერენციის გადაწყვეტილებით გამოცხადებული ერთდღიანი საპროტესტო გაფიცვა ორგანიზებულად ჩატარდა. გაიფიცა ბათუმის ყველა მშრომელი. ინგლისელი გენერალ-გუბერნატორი იძულებული გახდა გაეუქმებინა დადგენილება გაზეთის აკრძალვის შესახებ. მალე გამოვიდა პროფსაბჭოს ორგანო — გაზეთი „გოლოს ტრუდა“.

ბათუმის პროლეტარიატი ფართოდ გამოეხმაურა ბაქოს მშრომელთა მოწოდებას შექმნილიყო ამიერკავკასიაში დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი რევოლუციური ფრონტი. ეს მოწოდება ბათუმის ფართო მასებამდე დაიყვანეს არალეგალური კომუჯრედების აგიტატორებმა.

1919 წლის ზაფხულში პროფკავშირთა ერთ-ერთმა მასობრივმა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება — ბათუმის პროლეტარები შეერთებოდნენ ამ ფრონტს.

ბაქოელთა მოწოდების პასუხად და პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის მითითების შესაბამისად ბათუმის ბოლშევიკურმა კომიტეტმა მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელა, რათა ჩაშლილიყო ბათუმში კადრების შეგროვება თეთრგვარდიული არმიისათვის და არ დაეშვა ბათუმიდან ნავთობპროდუქტებისა და საბრძოლო მასალების გაგზავნა ამ არმიისათვის.

რაკი ნავსადგურის მუშათა გაფიცვებმა ვერ შეძლო ხელი შეეშალა გემების დატვირთვისათვის, რასაც თეთრგვარდიელები აწარმოებდნენ ინგლისელი ჯარისკაცების დაცვით, გადაწყდა აფეთქებათა მოწყობა გემებზე. ამ მიზნით ბათუმის კომიტეტმა ტექნიკოს-ამფეთქებელს ამხ. ნიკოლაიდისს დაავალა მოეწყო „ჯოჯოხეთის მანქანების“ წარმოება. ამ დავალების შესრულებას შეუდგნენ მამაჩემი ნ. ანასტასიადი და პ. კურზიდისი. „ჯოჯოხეთის მანქანების“ მექანიზმები მამაჩემის სახელოსნოში მზადდებოდა.

პირველი აფეთქება მოხდა გემ „ეოზროოდენიეზე“, რომელიც ვრანგელის არმიისათვის განკუთვნილი საბრძოლო მასალებით დატვირთეს ბათუმში. აფეთქებამ დაანგრია გემის კიჩოს ნაწილი. მაგრამ ტრიუმში მოთავსებული

საომარი მასალების აფეთქება ვერ მოხერხდა, თუმცა „ვოზროჟდენიეს“ გამგზავრება მაინც რამდენიმე დღით დაყოვნდა.

უფრო ეფექტიანი იყო კინტრიშის ხიდისა და ქობულეთის ახლოს ნავთსადენის აფეთქება.

ამ აფეთქების აუცილებლობა ნაკარნახევი იყო შემდეგი გარემოებით: წითელი არმია ანადგურებდა თეთრგვარდიელთა ურდოებს და შავ ზღვაში მიერეკებოდა მათ. ბაქოს პროლეტარიატი, აზერბაიჯანის მშრომელები შეიარაღებული აჯანყებისათვის ემზადებოდნენ. ამით დაშინებული ინგლისელები ცდილობდნენ გადმოეტუმბათ და გამოეზიდათ ბაქოდან რაც შეიძლება მეტი ნავთპროდუქტი. ბათუმში ყოველდღე მოდიოდნენ ნავთით დატვირთული საგეზო მატარებლები. დიდძალ ნავთს ტუმბავდნენ ბაქო-ბათუმის ნავთსადენით.

1920 წლის 23 აპრილის წინაღამით მოწყობილმა კინტრიშის ხიდისა და ნავთსადენის აფეთქებამ რამდენიმე დღით შეაჩერა მატარებლების მოძრაობა და ნავთსადენის მოქმედება, ეს კი სავსებით საკმარისი იყო. 28 აპრილს ბაქოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და ინგლისელებმა სამუდამოდ დაკარგეს ბაქოს ნავთის გამოტანის შესაძლებლობა.

ბოლშევიკური ორგანიზაცია მთელ თავის მუშაობაში ეყრდნობოდა ბათუმის პროლეტარიატს, მშრომელთა ფართო მასებისა და გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილის მხარდაჭერას.

მიუხედავად იმისა, რომ ბათუმში ინგლისელთა ლოცვა-კურთხევით შეიქმნა აჭარის მეჯლისი, იგი არ სარგებლობდა მასების მხარდაჭერით, ვინაიდან მას არაერთხელ გამოუთქვამს საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო აზრი. ბოლშევიკური ორგანიზაციის გავლენა აღწევდა არა მარტო ქობულეთის რაიონის გლეხობამდე, არამედ უფრო შორეულ — ხულოს რაიონამდე. სწორედ ამით აიხსნება ის შეიარაღებული წინააღმდეგობა, რომელიც ხულოსა და ქობულეთის რაიონების გლეხებმა 1920 წლის მაისში გაუწიეს მენშევიკური ჯარების აჭარაში შემოსვლას.

1920 წლის აპრილში პროფკავშირების გამგეობათა საერთო-საქალაქო კრებაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ფაბრიკების, ქარხნებისა და გლეხთა წარმომადგენლები, მშრომელებმა ერთხელ კიდეე დაადასტურეს თავიანთი მოთხოვნა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შესახებ.

ეს იყო მშრომელთა უდიდესი რევოლუციური აღტყინების პერიოდი. ფაქტიურად ხელისუფლებას ახორციელებდა ბათუმის პროფსაბჭო, რომელსაც არალეგალური ბოლშევიკური კომიტეტი ხელმძღვანელობდა და რომელსაც მხარს უჭერდნენ მშრომელთა ფართო მასები.

დამახასიათებელია ასეთი ფაქტი: აჭარიდან ინგლისელთა ევაკუაციის შესახებ ხმის გავრცელებასთან და მშრომელთა მიერ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მოთხოვნასთან დაკავშირებით ბურჟუაზია და სპეკულანტური ელემენტები გამალებით შეუდგნენ საქონლის, სურსათის, ნაკთობპროდუქტებისა და ფასეულობის გაზიდვას კონსტანტინოპოლსა და ყირიმში.

ბათუმის კომიტეტის წინადადებით პროფსაბჭომ გამოჰყო სამეული, დაავალა მას კონტროლი გაეწია ბათუმიდან საქონლის გაზიდვაზე, გარდა იმ საქონლის და სურსათისა, რომელიც საქართველოში გაჰქონდათ. ამ სამეულის

უნებართვოდ ქალაქიდან არც ერთი ფუთი ტვირთის გატანა არ შეიძლებოდა.

ინგლისელმა გენერალ-გუბერნატორმა სცადა პროფსაბჭოს ამ დადგენილების გაუქმება, მაგრამ ვერ შეძლო. საქმე იქამდე მივიდა, რომ, როდესაც თვითონ სარდლობას უნდოდა ნავთპროდუქტების გატანა, იძულებული გახდა ნებართვა სამეულისათვის ეთხოვა. ასეთი ნებართვის გარეშე ნავსადგურის მუშები საქონელს არ ტვირთავდნენ.

ბათუმში ბოლშევიკების განუყოფელ გავლენაზე მეტყველებს ქალაქის მშრომელთა 1920 წლის საპირველმაისო დემონსტრაცია, რომელიც ბოლშევიკური ლოზუნგებით ჩატარდა. დემონსტრაციაში დაახლოებით თხუთმეტი ათასი კაცი მონაწილეობდა. დემონსტრანტები მოითხოვდნენ ინგლისელი ოკუპანტების წასვლას, აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. დემონსტრაციის მსვლელობისას აზიზიეს მოედანზე (ამჟამად ლენინის მოედანი) გაიმართა მასობრივი მიტინგი, რომლის მონაწილეებმაც ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია საბჭოთა რუსეთის ცნობის შესახებ.

მიტინგზე აირჩიეს და ინგლისელ გენერალ-გუბერნატორს გაუგზავნეს დელეგაცია; რომელმაც მას წარუდგინა მოთხოვნა—პატიმრობიდან გაეთავისუფლებიათ ბათუმის ბოლშევიკური კომიტეტის ხელმძღვანელი სერგო გუბელი (იგივე კორძაძე, მეძმარიაშვილი), რომელსაც ბრალად სდებდნენ გენერალ ლიახოვის მოკვლას (ლიახოვი აგროვებდა ყოფილი მეფის არმიის ოფიცრებს ერანგელის არმიისათვის და ბათუმში მოკლეს 1920 წლის 30 აპრილს).

გენერალ-გუბერნატორმა კუკ-კოლისმა, რომელიც ზარბაზნებითა და ტყვიამფრქვევებით გარშემორტყმულ რეზიდენციაში იჯდა, მიტინგის დელეგაციას ჯერ განუცხადა, რომ გუბელს არ გათავისუფლებდა, რომ მას საკმაო ჯარები და ზარბაზნები გააჩნია, რათა ეს უარი განამტკიცოს; მაგრამ როცა ფორტ ბურუნ-ტაბიეზე მოვიდა, საიდანაც მიტინგი მოჩანდა, დარწმუნდა, მასები ქუჩას დაეუფლენო და მიტინგის დელეგაციის მეორე ულტიმატუმური მოთხოვნის შემდეგ იძულებული შეიქნა გაეთავისუფლებია ამხ. გუბელი.

დემონსტრანტებს შორის ამხ. გუბელის გამოჩენას ხალხი აღფრთოვანებული ოვაციებით შეხვდა. დემონსტრაციამ ბათუმის ქუჩები ჩამოიარა და მშვიდობიანად დაიშალა. ეს ბათუმის პროლეტარიატის ნამდვილი ტრიუმფი იყო.

ინგლისელებმა, რომლებიც წითელი არმიის გამარჯვებათა და ბათუმის პროლეტარიატის მოთხოვნათა შედეგად იძულებული გახდნენ აჭარიდან გასულიყვნენ, გადაწყვიტეს გასვლის წინ გაენადგურებიათ მუშათა მოძრაობა ბათუმში და შეექმნათ პირობები ქართველი მენშევიკებისათვის აჭარის გადასაცემად.

ბათუმის ნავსადგურში კონსტანტინოპოლიდან მოვიდნენ ინგლისის დრედნოუტები და კრეისერები, საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანეს საოკუპაციო ჯარები. ასე მიმდინარეობდა მზადება პროფსაბჭოს გასანადგურებლად და რეაქციური მოძრაობის ჩასახშობად.

მაგრამ ამის შემდეგაც კი ინგლისელი ოკუპანტები ვერ ბედავდნენ აშკარა რეპრესიებს ბათუმის პროფსაბჭოს წევრთა წინააღმდეგ. ისინი იძულებულ გახდნენ შეეტყუებიათ პროფსაბჭოს წევრები გენერალ-გუბერნატორის კანცელარიაში ვითომდა ნავსადგურში შექმნილი მდგომარეობის მოწესრიგების

საკითხზე მოლაპარაკებისათვის. 1920 წლის 8 მაისს მოლაპარაკებაზე გამოცხადდა პროფკავშირულ მუშაკთა უმრავლესობა. მათ ვერც კი მოასწრეს გენერალ-გუბერნატორის კანცელარიაში შესვლა, რომ ეცნენ ინგლისელი ჯარისკაცები, წყვილ-წყვილად გაკრეს ხელბორკილებით და გაძლიერებული დაცვით გაგზავნეს დრედნოუტ „როიალ-სოვერენზე“, რომელიც ბათუმის ნავსადგურში იდგა. დაპატიმრება გრძელდებოდა 8 და 9 მაისს. სულ დააპატიმრეს 18 კაცი, პროფსაბჭოს და პარტიის ბათუმის არალეგალური კომიტეტის წევრები, მათ შორის დ. მახარაძე, კ. ბერძენიშვილი, მ. თუმანოვი, მ. მარკარიანი, მ. ბელენკი, კობიძე, დიმიტრევიჩი და სხვები.

დაარბიეს აგრეთვე გაზეთ „გოლოს ტრუდას“ რედაქცია. ინგლისელი ხელისუფალნი გაფაციცებით ეძებდნენ ამხ. ი. პევცოვსა და პარტიის არალეგალური კომიტეტის პასუხისმგებელ მდივანს ამხ. ა. პირუმოვს, რომლებმაც მოახერხეს დამალულიყვნენ ერთ-ერთ სოფელში, ბათუმის ახლოს, და იქედან ხელმძღვანელობდნენ არალეგალური ორგანიზაციის მუშაობას.

გადარჩენილმა არალეგალური კომიტეტის წევრებმა გადაწყვიტეს გაფიცვა მოეწყოთ და დაპატიმრებულთა გათავისუფლება მოეთხოვათ. მაგრამ მენშევიკებმა ისარგებლეს ინგლისელების მიერ პროფსაბჭოს მრავალი წევრისა და პროფკავშირების გამგეობათა თავმჯდომარეების დაპატიმრებით და მთელი თავიანთი ძალღონე მიმართეს გაფიცვის ჩასაფუშავად. მენშევიკთა აგენტებმა, რომლებიც ოკუპანტების მხარდაჭერით სარგებლობდნენ, საწარმოებსა და დაწესებულებებში გააჩაღეს აგიტაცია გაფიცვის წინააღმდეგ და თავისი გამცემლობით ჩაფუშეს იგი.

ინგლისელი ოკუპანტები მაინც აგვიანებდნენ პატიმართა გაგზავნას კონსტანტინოპოლში. მხოლოდ 13 მაისს, როცა გაფიცვის ჩაფუშვა ცხადი შეიქმნა, ინგლისელებმა პატიმრები კონსტანტინოპოლის გზას გაუყენეს.

ლეგალური შესაძლებლობანი მკვეთრად მცირდებოდა, ბოლშევიკების არალეგალურმა ორგანიზაციამ თავისი მუშაობა კიდევ უფრო კონსპირაციული გახადა. მიუხედავად ინგლისელთა ღონისძიებებისა და მენშევიკების გამცემლობისა, მტრებმა ვერ აღმოაჩინეს არალეგალური ორგანიზაციის ვერც ერთი ფარული ბინა. ასეთი ბინები კი გაფანტული იყო მთელ ქალაქსა და სოფელ მახინჯაურში.

ერთ-ერთი ასეთი ბინა იყო მამაჩემის ბინა ახლანდელ ტელმანის ქუჩაზე. აქ ინახებოდა არალეგალური კომიტეტის ზოგიერთი საბუთი, იკრიბებოდნენ კომიტეტის წევრები. ამ ბინაზე მოდიოდნენ აგრეთვე რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები. მათ შორის ს. გუბელი, ვ. სიხარულიძე და სხვა მუშაკები. 1920 წლის შუახანებში აქ გამოცხადდა საზღვარგარეთიდან არალეგალურად ჩამოსული საბერძნეთის კომპარტიის გენერალური მდივანი ამხ. ლიგდოპულო, რომელიც მოსკოვს მიდიოდა კომინტერნის მეორე კონგრესზე. მე დამავალეს მისთვის ქალაქი დამეთვალიერებინა და ვაჭრის დოკუმენტები გამეფორმებინა. ლიგდოპულო მენშევიკური საქართველოს გავლით ჩავიდა ბაქოში.

1920 წლის ზაფხულში თბილისიდან ჩამოვიდა და ამ ფარულ ბინაზე მოვიდა საქართველოს კომკავშირის ორგანიზატორი ბორის ძნელაძე, რომელიც

გავაცანი კომკავშირის ბათუმის არალეგალური კომიტეტის სხვა წევრებს. კომიტეტის სხდომაზე ამბ. ძნელაძემ ინსტრუქტაჟი გაგვიკეთა იატაკქვეშეთის პირობებში კომკავშირული მუშაობის საკითხებზე, უურადღება გაამახვილა მუშა და გლეხ ახალგაზრდობაში მუშაობის გაღრმავების საჭიროებაზე.

არალეგალური კომიტეტის დავალებით ხშირად ვუკავშირდებოდი ფარულ პუნქტებს და არალეგალურ ბინებს: ტ. სიჩევას — ახლანდელ შევჩენკოს ქუჩაზე, ა. ნიკოგოსიანის — ჯორჯიაშვილის ქუჩაზე, შეგალიე იაკუბოვის — შიბაევის ქარხნის ტერიტორიაზე, ზ. კიპარისისა და ს. შარაშიძის—ახლანდელ ჯაფარიძის ქუჩაზე, პ. ვლასტოპულოს — ახლანდელ კ. მარქსის ქუჩაზე და სხვ.

ინგლისელების მიერ პროფკავშირთა ბათუმის საბჭოს დარბევის შემდეგ მენშევიკებმა თავი წამოყვეს. ისინი მენშევიკური გვარდიისათვის აგროვებდნენ მედუქნეებს, უსაქმურ პირებსა და ზოგ ჩამორჩენილ მუშას. ბევრი მენშევიკი გვარდიელი ჩამოვიდა ბათუმში საქართველოს სხვა რაიონებიდან, მაგრამ ბათუმის ბოლშევიკურ ორგანიზაციას მუშაობა არ შეუწყვეტია, მძიმე პირობების მიუხედავად მან 1920 წლის ივნისში მოაწყო აფეთქება გემ „სვეტზე", რომელსაც ბათუმიდან ნავთპროდუქტები მიჰქონდა ერანგელის არმიისათვის. აფეთქებამ, რომელიც მოეწყო ეკიპაჟში შემავალ არალეგალურად მომუშავე ბოლშევიკებთან კონტაქტში, გემზე დიდი ხანძარი გამოიწვია. ინგლისელები იძულებული გახდნენ გემი გაეყვანათ ნავსადგურიდან და ღია ზღვაში ჩაეძირათ.

1920 წლის ივნისში ინგლისელებმა დაიწყეს ბათუმიდან გასვლა. 8 ივლისს ქალაქში შემოვიდნენ მენშევიკური ჯარები, დაიწყო რეაქციის თარეში. ბათუმი აივსო მენშევიკების განსაკუთრებული რაზმის აგენტებით. ყველა პროფკავშირულ მუშაკს, რომელიც მათ არ მოეწონებოდათ, აპატიმრებდნენ და ბათუმიდან ასახლებდნენ.

მენშევიკებმა ამასთან ერთად დაშალეს ზოგიერთი პროფკავშირი, რომლებიც ბოლშევიკების გავლენის ქვეშ იყო, მათ ადგილზე შექმნეს ახალი პროფკავშირები და ყოველგვარი მაქინაციებით, პირდაპირ მუქარით ჩამოაყალიბეს მათთვის სასურველი შემადგენლობის პროფკავშირთა საბჭო .

თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე მენშევიკური პროფსაბჭო, რომელსაც სათავეში ედგა ცნობილი მენშევიკი აიოლო, ბურჟუაზიის მხარეზე დადგა და მუშებს აუკრძალა ეკონომიური ბრძოლა მეწარმეთა წინააღმდეგ.

ბინიატ-ოღლის თამბაქოს ფაბრიკის ყოფილმა მუშამ ნ. კალანტიდიმ გადმომცა, რომ, როცა 1920 წლის დამლეგს მან ფაბრიკის კოლექტივის მიერ გამოყოფილი დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად პროფსაბჭოს მიმართა — მხარი დაეჭირათ მათი თხოვნისათვის ხელფასის გადიდების შესახებ, აიოლომ მოლაპარაკების დაწყებამდე ჯიბიდან რევოლვერი ამოი-

ღო და მაგიდაზე დადო. მოსმენის შემდეგ კი განაცხადა, რომ მათი მოთხოვნები არ ემთხვევა მთავრობის (მენშევიკური) საერთო ეკონომიურ პოლიტიკასო.

ბათუმის წამყვანი პროფკავშირების (მელითონნეები, მენავთეები და რიგ სხვათა) ხელმძღვანელობაში ბოლშევიკების უმრავლესობა იყო, მაგრამ პროფკავშირთა გამგეობებს არ შეეძლოთ აშკარად გამოსვლა მენშევიკური პროფსაბჭოს წინააღმდეგ, ვინაიდან ყველა გამოსულს დაუყოვნებლივ დააპატიმრებდა განსაკუთრებული რაზმი.

ბოლშევიკების არალეგალური ორგანიზაცია, რომელიც სწრაფად მოღონიერდა 8-9 მაისს მიყენებული დარტყმებისაგან, განაგრძობდა მუშაობას მასების შესამჭიდროებლად, მენშევიკთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლის მოსამზადებლად.

მენშევიკების მოსვლის შემდეგ შექმნილი მდგომარეობის საკითხი გაფართოებულ სხდომაზე განიხილა საქართველოს კპ(ბ) ბათუმის არალეგალურმა კომიტეტმა. როგორც ცნობილია, 1920 წლის 7 მაისს ხელშეკრულება დაიდო რსფს რესპუბლიკასა და საქართველოს შორის, რომელშიც, კერძოდ, გათვალისწინებული იყო კომუნისტური ორგანიზაციების თავისუფალი არსებობა და საქმიანობა საქართველოს ტერიტორიაზე, თავისუფალი საჯარო პროპაგანდა-აგიტაცია კომუნისტური პროგრამის სასარგებლოდ.

არალეგალური კომიტეტის სხდომაზე გადაწყდა შეენარჩუნებინათ მკაცრად კონსპირირებული ბოლშევიკური ორგანიზაცია და რაც შეიძლება ფართოდ გამოეყენებინათ რსფს რესპუბლიკასა და საქართველოს შორის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ლეგალური შესაძლებლობანი.

მაგრამ მენშევიკები არ აპირებდნენ ფაქტიურად ცხოვრებაში განეხორციელებინათ ხელშეკრულების პირობები. უფრო მეტიც, ისინი უხეშად არღვევდნენ მათ. ბათუმის ოლქის მენშევიკ გუბერნატორს — ბენია ჩხიკვიშვილს დიდხანს არ სურდა დაეკმაყოფილებინა ბათუმის ბოლშევიკური კომიტეტის მოთხოვნა აჭარაში ბოლშევიკური ორგანიზაციის ლეგალიზაციის შესახებ.

ლეგალიზაციის საკითხის გადაწყვეტის შემდეგაც მენშევიკები ყოველ ღონეს ხმარობდნენ ბოლშევიკური ორგანიზაციის მუშაობის შესაფერხებლად.

ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაციის ბიურო მოთავსებული იყო დარაბაში ერისთავის ქუჩაზე (ამჟამად ლიბკნეხტის ქუჩაზე), იმავე შენობაში, სადაც 1917 წელს იყო ბათუმის ბოლშევიკთა ჯგუფის ბიურო. მენშევიკური განსაკუთრებული რაზმი გარს შემოერტყა ბიუროს და აპატიმრებდა იქ მისულ კომუნისტებსა და თანამგრძნობთ.

მენშევიკებმა, რომლებიც შიზნად ისახავდნენ ბოლშევიკური ორგანიზაციის სრულ განადგურებას, რეპრესიები გააძლიერეს კომუნისტებისა და მოწინავე მუშების წინააღმდეგ. ამ პერიოდში დააპატიმრეს და ქუთაისის ციხეში მოათავსეს მამაჩემი — ბოლშევიკთა არალეგალური კომიტეტის წევრი.

რეპრესიების მიუხედავად, არალეგალური ბოლშევიკური ორგანიზაცია დიდ მუშაობას ეწეოდა მასებში, რაზმავდა მათ მომავალი ბრძოლებისათვის. მუშაობა გააძლიერა კომკავშირის ორგანიზაციამაც. სწორედ ამ პერიოდში გადაწყდა კომკავშირის წარმომადგენლის შეყვანა პარტიის ბათუმის არალეგალურ კომიტეტში. ასეთ წარმომადგენლად მე გამომყვეს.

მშრომელთა ფართო მასებზე ბოლშევიკური პარტიის მზარდ გავლენას მოწმობს ის ფაქტი, რომ ბათუმის პროლეტარიატი უდიდესი ენთუზიაზმით შეხვდა ცნობას წითელი არმიის მიერ ვრანგელის სრული განადგურების შესახებ. მეზღვაურთა კავშირის შენობაზე ნავსადგურში და რეიდზე მდგარ მრავალ გემზე წითელი ალმები აღიმართა. ამის პასუხად მენშევიკებმა კიდევ უფრო გააძლიერეს მასობრივი რეპრესიები. მათ დააპატიმრეს მეზღვაურთა კავშირის გამგეობა, მოახდინეს დაპატიმრებანი ნავსადგურსა და საწარმოებში.

1920 წლის დეკემბერში მენშევიკების განსაკუთრებულმა რაზმმა შიბაევის ქარხნის ტერიტორიაზე სხდომის დროს დააპატიმრა ბოლშევიკური ორგანიზაციის ბათუმის არალეგალური კომიტეტის მთელი შემადგენლობა, სახელდობრ, კომიტეტის თავმჯდომარე ვ. სიხარულიძე, კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი ა. პირუმოვა, კომიტეტის წევრები: დ. გოჩალეიშვილი, ტ. სიჩევა, ლ. ედელსონი და სხვები, მათ შორის მეც. ჩვენ ქუთაისის ციხეში მოგვათავსეს.

მაგრამ ვერც ამით შეძლეს მენშევიკებმა ჩაეშალათ ბოლშევიკური ორგანიზაციის მუშაობა. ბათუმის ბოლშევიკები საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით წინ მიუძღოდნენ მასებს და რაზმავდნენ მათ აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

ქუთაისის ციხეში ჩვენ ცალკე საკანში ვიყავით გამომწყვდეული. მენშევიკური ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად მოდიოდნენ და განკარგულებებს იძლეოდნენ ბოლშევიკ-პატიმრების მიმართ მკაცრი რეჟიმის უფრო გაძლიერების შესახებ.

მარტის დასაწყისში ქუთაისის ციხე გაივსო პატიმართა ახალი კონტინგენტით, ციხის ადმინისტრაცია ანგარიშს არ უწევდა ფართობის სიმცირეს და ყოველდღიურად ახალ-ახალი ჯგუფები მოჰყავდა.

ერთ საღამოს პატიმართა დიდი ჯგუფი ციხიდან გამოიყვანეს და ჩვენთვის უცნობი მიმართულებით წაიყვანეს. უფრო გვიან ცნობილი გახდა, რომ პატიმრები ბათუმის ციხეში გადაყავდათ. გადაყვანას თან ახლდა პატიმართა ჩვეულებრივი ცემა, რაც ხშირად წამებაში გადადიოდა.

ჩვენამდის მოვიდა ცნობა, რომ მენშევიკები სასტიკად გაუსწორდნენ შესანიშნავ ბოლშევიკებს მარდალეიშვილს და ივანოვს, რომლებიც ჯერ წვალებით მოკლეს, ხოლო შემდეგ დაწვეს.

პატიმრებმა სასტიკი პროტესტი განვაცხადეთ ამ გაუგონარი, არაადამიანური, მხეცური მოქმედების შესახებ.

ბრძოლების ამბავი ძუნწად მოდიოდა ციხეში და ერთგვარი გაურკვევლობა იყო. მაგრამ მარტის ერთ მშვენიერ დღეს ჩვენთან მოვიდნენ ადგილობრივი რევკომის წარმომადგენლები და გამოგვიცხადეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების ძლევამოსილი წითელი დროშა ფრიალებს, მენშევიკური მთავრობა გაიქცა და მისი ჯარიც დაიშალაო.

ჩვენ სახელდახელოდ მოვაწყვეთ საზეიმო მიტინგი და — ერთმანეთს გამარჯვება მივულოცეთ.

ტრანსპორტის უქონლობის გამო ქუთაისიდან წამოსვლა მხოლოდ 1921 წლის 25 მარტს მოვახერხე. ბათუმის მშრომელები ნანატრ გამარჯვებას ზეიმობდნენ და გაძარცული ქალაქის წესრიგზე მოყვანის სამუშაოს ასრულებდნენ.

მეც, როგორც ჩემი საყვარელი ქალაქის მკვიდრი, მთელი ენერგიით ჩავები აღდგენით მუშაობაში და ახლად შექმნილი პარტიის საოლქო კომიტეტის დავალებებს ვასრულებდი.



ობელისკი აჭარაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულ ძმათა სასაფლაოზე

ალვასი თალაკვაძე

გავლილი გზა

გურია და აჭარა მდიდარია ლამაზი სოფლებით. ერთი ასეთთაგანია სოფელი მთისპირიც, სადაც დავიბადე 1891 წელს ღარიბი გლეხის ოჯახში. ეს სოფელი ოზურგეთის მაზრას ეკუთვნოდა (ამჟამად მახარაძის რაიონი).

ჩემს მშობლიურ სოფელში გლეხები რევოლუციამდე დიდ ეკონომიურ სიდუხჭირეს განიცდიდნენ, რადგან მოკლებული იყვნენ ძირითად საარსებო წყაროს — მიწას.

ბატონყმობის გაუქმებამ ისე, როგორც საქართველოს მთელი გლეხობა, მთისპირელებიც ცარიელზე დატოვა: „განთავისუფლებამ“ მათ მხოლოდ იურიდიული თავისუფლება მიანიჭა, მიწების დიდი ნაწილი მემამულეებს მიაკუთვნა, გლეხებს კი მეტად მცირე და უვარგისი მიწა მიუგდო.

უმიწოდ განთავისუფლებული გლეხი იძულებული იყო ფრთამოტეხილი ფრინველივით ან ნაბატონარის ეზოში ეფარფატა და ამით გაეხანგრძლივებინა თავისი მონური უღლის ტარება, ან ჩალის ფასად მიეყიდა ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ მიღებული მიწის ნაგლეჯი მემამულისათვის, თუ რაღაც მაქინაციებით გამდიდრებული მისივე თანასოფლელისათვის, ანდა მიემართა კაპიტალიზმის ფერხულში ჩაბმული ქალაქისათვის, რომელიც ლუკმის შოვნის იოლ გზას პირდებოდა.

მამისეული ოჯახიც თანასოფლელი გლეხების მძიმე ხვედრს იზიარებდა. ოჯახის ეკონომიურ მდგომარეობას კიდევ უფრო ამწვავებდა მრავალშვილიანობა. მამაჩემს თორმეტი შვილი ჰყავდა, რომელთა შორის ყველაზე უმცროსი მე ვიყავი. ასეთი მრავალრიცხოვანი ოჯახის რჩენა მცირე მიწით, რევოლუციამდელი საქართველოს მშრომელთა აუტანელი ძარცვისა და ყალეფის პირობებში, მეტად მძიმე იყო.

მარტოხელა მამაჩემი ღამეებს ათენებდა და დღეებს აღამებდა შრომაში, წელზე ფეხს იდგამდა, მაგრამ ყოველივე ამაო იყო: არაადამიანურ ჯაფას ხვავი არ ჰქონდა, რადგან შრომის ნაყოფით სხვა სარგებლობდა.

მართალია, მამას მალე მხარში ამოუდგა უფროსი შვილი გიორგი, მაგრამ სოფელი ბევრს არაფერს იძლეოდა და ისიც იძულებული შეიქნა ოჯახი მიეტოვებინა და თანასოფლელების მიერ გატკეპნილ გზას გაჰყოლოდა. იმდროისათვის სოფლად შეჭრილი კაპიტალიზმის მიერ დევნილ გლეხთა თაშესაფარს წარმოადგენდა ამიერკავკასიის სამი უმნიშვნელოვანესი საშრეწველო ცენტრი: ბაქო, თბილისი და ბათუმი.

გურიის გლეხობა, ძირითადად, ბათუმს აწყდებოდა, მაგრამ იყვნენ ისეთი გაბედულებიც, რომლებიც გურიიდან უფრო შორს, ბაქოშიც მიდიოდნენ. ბაქოს ნავთის სარეწებში მუშაობდა პროლეტართა მრავალეროვანი უზარმაზარი არმია. ჩემი ძმაც ბაქოში წავიდა და იქ, ნავთის სარეწებში, მოეწყო მუშად. მისმა წასვლამ ოჯახს იმედი არ გაუმართლა, რადგან შრომის საფასუ-

რად გროშებს ღებულობდა, რომელიც მინიმალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადაც არ ჰყოფნიდა. ასეთ პირობებში აბა რის გამოგზავნა შეეძლო ძმას?!

მართალია, ჩვენი ოჯახი დიდ ეკონომიურ გაჭირვებას განიცდიდა, მაგრამ უუფლებობით დაბეჩავებულ მშობლებს ღრმად სწამდათ ცოდნის მნიშვნელობა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ ჩვენთვის შეძლებისდაგვარად წერა-კითხვა ესწავლებინათ. ამის გამო, ყველამ თუ არა, ჩემი ძმების უმეტესობამ მაინც მიიღო მცირე ცოდნა, ერთი შემდეგში მასწავლებლადაც კი მუშაობდა.

რაც შემეხება მე, როგორც ოჯახის ყველაზე უმცროსი და ამავე დროს თერთმეტი ძმის ერთი და, ყველაზე „განებივრებული“ ვიყავი. ამიტომ სოფლად ორკლასიანი სასწავლებლის დასრულების შემდეგ დამამთავრებინეს მარინეს სასწავლებელი.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ოჯახს დავუბრუნდი. ეს იყო 1905 წლის რევოლუციის ბობოქარი წელი. ჩემს თვალწინ ჩაიარა გლეხთა აჯანყებამ; მის ზოგიერთ აქტიურ მონაწილეს ჩვენთან ნათესაური კავშირი ჰქონდა, მაგრამ მე მაშინ პოლიტიკურად გაუთვითცნობიერებელი ვიყავი და, ამდენად, იმ ღირსშესანიშნავ ამბებს, რომელიც მთელი რუსეთის პროლეტარიატის ცხოველ ინტერესს იწვევდა, არ ვაქცევდი ჯეროვან ყურადღებას.

მალე უფროსმა ძმამ ბაქოში წამიყვანა. ჩვიდმეტი წლის გოგონას ჯადოსანთა ქალაქად მომეჩვენა კავკასიის ერთ-ერთი დიდი სამრეწველო ცენტრი, ნავთობის ჭაბურღილთა ქალაქი.

ბაქო, გარდა იმისა, რომ დიდი სამრეწველო ქალაქი იყო (ამავე მიზეზითვე), კავკასიის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლების ერთ-ერთ დიდ კერასაც წარმოადგენდა.

ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით დიდი რევოლუციური ტრადიციის მქონე ქალაქის პროლეტარიატი ორგანიზებული და შეგნებული გამოსვლით ყოველთვის მაგარ დარტყმებს აყენებდა კაპიტალისტებს და დიდ დათმობებს გლეჯდა მათ.

ასეთ ქალაქში მუშაობას ჩემი ძმის მსოფლმხედველობაში მთელი გადატრიალება მოეხდინა: გაეთავისუფლებინა იგი გლეხური, კერძო მესაკუთრული სულისკვეთებისაგან და პროლეტარიატის მოწინავეთა რიგებში ჩაეყენებინა. 1905 წლის რევოლუციის მღელვარე დღეებში ჩემი ძმა ბოლშევიკური პარტიის რიგებში შევიდა და მთელი სიცოცხლის მანძილზე მისი აქტიური წევრი იყო.

ჩემი ბაქოში ჩასვლა რეაქციის პერიოდს დაემთხვა. რევოლუციის დამარცხების შემდეგ ხალხთა ჯალათი თვითმპყრობელობა არ დასჯერდა მანამდე დაღვრილ უდანაშაულო ადამიანთა სისხლს და თავისუფლებისათვის აღმდგარ მშრომელებთან ფიზიკური ანგარიშსწორება დაიწყო. გამეფდა ტერორი, მასობრივი დაპატიმრება. მთელი რუსეთისა და ამიერკავკასიის საპყრობილეები აივსო პოლიტიკური პატიმრებით. ციხეების განტვირთვის მიზნით არაკეთილსაიმედო პირთ თავიდან იცილებდნენ ბარბაროსული ხერხით — ჩამოხრჩობით.

რეაქციის შემოტევის გამო რევოლუციამ ორგანიზებული უკანდახევა და-

ოწყო. ბაქოს პროლეტარიატში რევოლუციის ცეცხლი ჯერ კიდეე არ გამქრალიყო და მისი ალი ხანდახან მაინც ავარდებოდა ხოლმე გაფიცვის სახით.

ბაქოს პროლეტარიატს სათავეში ედგა იმჟამად კობად წოდებული ი. ბ. სტალინი.

ჩემი ძმა მასთან მუშაობდა და მისი უშუალო ხელმძღვანელობით მრავალ დავალებას ასრულებდა. ბაქო იყოფოდა ნავთის სარეწების მუშათა რამდენიმე რაიონად, სახელდობრ: ბიბიეიბათი, თეთრი ქალაქი და სხვ.

ერთ ასეთ რაიონში, კერძოდ ბიბიეიბათში, ჩემს ძმას ნაცნობები ჰქონდა საყვავილე კიოსკი, რომლის უკანა ოთახს კობა იყენებდა სამუშაო კუთხედ. აქ, ამ პატარა ოთახში, ადგენდა იგი ბაქოს პროლეტარიატის ბრძოლის გეგმებს, იმუშავებდა მუშებთან ერთად მეწარმეებისადმი წარსადგენ მოთხოვნებსა და იძლეოდა დავალებებს.

ჩემი ძმის რევოლუციურმა საქმიანობამ მეც აღმიძრა მასში ჩამის სურვილი, რომელიც ჩქარა ამისრულდა. 1907 წლის ერთ დღეს, რიცხვი და თვე არ მახსოვს, ძმამ გამაცნო კობა, რომელმაც ძალიან მალე ჩამაბა არალეგალურ მუშაობაში. მავალებდნენ პროკლამაციების, გაზეთებისა და სხვა პოლიტიკური ფურცლების მუშათა რაიონებში წაღებას. მქონდა სპეციალური პაროლი „პლიუსი“.

დავალებათა შესრულების შუალედებში კობა პოლიტიკურად მათვითცნობიერებდა: მესაუბრებოდა სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზე, ამით, კლასობრივ შეგნებას მიმუშავებდა და გამარჯვების რწმენას მინერგავდა.

მალე გავაქტიეიდი. ვასრულებდი ყველა დავალებას. ჯაშუშთა თვალის ასახვევად მრავალ საშუალებას მივმართავდი, რომელთა შორის შესრულების ორიგინალობით გამოირჩეოდა ერთი, მისი ავტორი კობა იყო. ეს ხერხი იმდენად უცნაური იყო, რომ ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში და არ შემიძლია მის შესახებ მკითხველს არ ვუამბო.

1908 წლის ერთ მშვენიერ დილას კობამ დამიძახა თავის სამუშაო ოთახში, ბიბიეიბათში, და მითხრა ჩვეული დინჯი, აუღელვებელი, რაღაც შინაგანი ძალის მქონე კილოთი:

— დავალებათა შესრულების დროს გაკვირდებოდი და თითქმის შეგისწავლე. აქამდის შენი მუშაობა მხოლოდ შესავალი იყო იმ სერიოზული საქმის გასაკეთებლად, რასაც ახლა დაგავალებ... არალეგალური ფურცლები უნდა წაიღო ბალახანაში. — ასეთი სიტყვებით მან პირველად მომმართა. სიტყვა „სერიოზულმა“, ცოტა არ იყოს, კიდეც დამაფიქრა, მაგრამ ღრმად დარწმუნებულმა, რომ იგი განუხორციელებელს არაფერს დამავალებდა, გაბედულად ეუპასუხე: — მზად ვარ შევასრულო ყოველგვარი დავალება-მეთქი — წინადადება დასრულებული არ მქონდა, რომ გადმომცა არალეგალური ფურცლებით სავსე პატარა კუბო. მოულოდნელობისაგან გავშეშდი... ჩემს ცნობიერებამდის ძლივს მოაღწია კობას სიტყვებმა:

— მგლოვიარე დის როლი უნდა შეასრულო, რომელიც საკუთარი ხელით ასაფლავებს გარდაცვლილ უმცროს ძმას.

...როგორც იქნა, გონს მოვედი და ვკითხე: როგორ განმეხორციელებინა ეს საარაკო როლი. მან მარტივად ამიხსნა: გაიშლი თმებს, დაიჭერ ხელში კუ-

ბოს და ხმამაღლა მოთქმით გაუყვები გზას. ტირილის დროს იხმარ სიტყვებს: — ჩვენ ხომ ორნი ვართ, სხვა არავინ გვყავს, ვერ მოგიარე, ვერ გიპატრონე და მომიკვდი, ჩემო პატარა ძმაო...

ამის შემდეგ მან გადმომცა პატარა ბარი და თან გამაფრთხილა: ღრმად არ „დამესაფლავებინა". პაროლად ამჯერადაც „პლიუსი" მქონდა. ბალახანაში ალიოშა ჯაფარიძე უნდა დამხვედროდა.

გულაძგერებული შევუდექი ჩემი სადებიუტო როლის განხორციელებას მეტად ორიგინალურ სცენაზე — რეაქციის რეჟიმით შეკრულ ბაქოს ქუჩებში. მგონი, არც ერთი დამწყები მსახიობი არ განიცდიდა ისეთ სულიერ მღელვარებას მაყურებელთა წინაშე, როგორიც მე განვიცადე მაშინ; მით უმეტეს, რომ მსახიობობაში არასოდეს მიცდია ბედი. მეტისმეტი მღელვარებისაგან, თუ შიშისაგან ხმა ხანდახან მიწყდებოდა. როგორც იქნა შევასრულე ეს დავალება. შესაფასებლად მივმართე კობას, რომელმაც როლი დამაკმაყოფილებლად შემიფასა: თურმე ჩემს ამოკვნესებას გულწრფელობა აკლდა და ხელოვნურობის დაღი ესვა, ამას კი შეეძლო ჯაშუშთა ყურადღების მიპყრობა. დღემდის ვერ გამირკვევია: როდის დაუკვირდა კობა ჩემს თამაშს, ასეთი ზუსტი შეფასება რომ მისცა.

1908 წელს ი. ბ. სტალინი დააპატიმრეს, რის შემდეგ მალე დავუბრუნდი მშობლიურ სოფელს.

1914 წლის ომმა დიდი გაჭირვება მოუტანა მშრომელ მოსახლეობას, რადგან მილიონობით მუშახელი მოწყვიტა დაზგებსა და გუთნებს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ქართველი ხალხი, რადგან საქართველო ფრონტის პირს წარმოადგენდა.

ჩვენი ოჯახი უკიდურეს სიღარიბესთან ერთად ძმების დაკარგვის გამო დიდ მწუხარებას განიცდიდა. სოფელში ჩამოსვლისთანავე ჩავები ოჯახურ საქმიანობაში, მაგრამ რევოლუციური მოძრაობისადმი ინტერესი არასოდეს დამკარგვია, ყოველთვის ეცდილობდი პარტიის რიგებში შესელას.

როგორც ცნობილია, ომის მსელელობაში მოხდა რევოლუციურ-დემოკრატიული ძალების კონსოლიდაცია, რომელმაც რუსეთის პროლეტარიატი თავის მოკავშირე გლეხობასთან ერთად ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებამდე მიიყვანა. თებერვლის რევოლუციის გამარჯვებამ ბოლშევიკური ორგანიზაცია იატაკქვეშეთიდან გამოიყვანა. ბოლშევიკებმა დაიწყეს ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

საქართველოშიც განმტკიცდა ბოლშევიკური ორგანიზაციები. ყველგან დაიწყო პარტიული უჯრედების აღდგენა. გურიაში ამ დროისათვის ბევრი ძლიერი პარტიული უჯრედი არსებობდა. ერთი ასეთთაგანი მეზობელ სოფელ ხიდისთავში იყო. დაუკავშირდი ხიდისთავის არალეგალურ პარტიულ უჯრედს; ჩემი აქტიური მეცადინეობითა და ადგილობრივი პოლიტიკურად გათვითცნობიერებული გლეხების დახმარებით, მალე პარტიული უჯრედი ჩვენს სოფელშიაც ჩამოვაყალიბეთ, რომლის ერთ-ერთ წევრად მეც ვითვლებოდი. ეს იყო 1917 წლის აგვისტოში.

ჩვენი სოფლის პარტიული უჯრედის წევრები იყვნენ: სილიბისტრო თალაკვაძე, ეპიფანე სიამაშვილი, ემელიანე ნაკუეია და სხვები.

მუშაობა გვიხდებოდა მეტად მძიმე კონსპირაციის პირობებში, რადგან რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური ბურჟუაზია, კერძოდ, საქართველოს მენშევიკები ცდილობდნენ ბურჟუაზიული წყობილების დაცვას, პროლეტარული რევოლუციის ჩახშობას და ბოლშევიკური ორგანიზაციების ალაგმვას.

კრებებს ხშირად ვახშმის მოწყობის სახით ვატარებდით. სოფლად ძველი ტრადიციული შეზღუდულობის პირობებში მეტად ძნელი იყო ქალის მუშაობა არალეგალურ ორგანიზაციაში, მაგრამ მე მას არ ვუშინდებოდი.

1918 წელს მენშევიკურმა მთავრობამ ხალხის მოტყუების მიზნით ჩაატარა ერობის არჩევნები. ასეთი არჩევნები ჩვენს სოფელშიაც მოხდა. ერობის მდივანი იყო პატრიკი თალაკვაძე. არჩევნები ლეგალურ პირობებში მიმდინარეობდა, მასში ბოლშევიკებიც მონაწილეობდნენ; ჩვენი ბიულეტენი იყო № 5. უმრავლესობა რომ ბოლშევიკებს მიეღოთ, არჩევნების ორგანიზაციას სათაეში ჩავუდექი, დავუკავშირდი ხიდისთავის კომიტეტს, რომელიც ბიულეტენებს მაწოდებდა. აქტიური მუშაობის შედეგად ერობის არჩევნებში ბოლშევიკებმა ხმების უმეტესობა მიიღეს. ჩემი საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩათ კონტრრევოლუციურ ძალებს. არჩევნების კამპანიის ჩატარების სამი დღის შემდეგ, პატრიკ თალაკვაძემ მეგობრულად მირჩია დამეტოვებინა ჩემი სოფელი. დაპატიმრების შიშით იძულებული ვიყავი დროებით გაეცლოდი იქაურობას.

მენშევიკური მთავრობის ანტიხალხური პოლიტიკა დღითი-დღე იწვევდა მშრომელთა უკმაყოფილებას. 1919 წლისათვის საქართველოში მომწიფდა შეიარაღებული აჯანყების საკითხი. სამხარეო კომიტეტმა საქართველოს სხვადასხვა რაიონებში დაგზავნა რწმუნებულები — გურიაში აჯანყების ხელმძღვანელობისათვის ჩამოვიდა ცნობილი ბოლშევიკი გიორგი სტურუა.

ოზურგეთის მაზრაში გაიმართა არალეგალური კონფერენციები, კერძოდ. მთისპირში, ჩოხატაურში, სუფსასა და სხვაგან. ჩვენს სოფელში კონფერენცია გაიმართა სილიბისტრო (სიო) თალაკვაძის ოჯახში.

კონფერენციაზე განხილულ იქნა შეიარაღებული აჯანყებისათვის ბოლშევიკური ორგანიზაციების მზადყოფნის საკითხი. შეიქმნა აჯანყების ხელმძღვანელი შტაბი. განაწილდა ფუნქციები. გ. სტურუამ მე დამავალა თბილისში მიხა ცხაკაიასთან კონფერენციის მასალების წაღება.

უნდა აღინიშნოს, რომ ოზურგეთის მაზრის კომიტეტს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ბათუმის კომიტეტთან. ბათუმის კომიტეტი სადირექტიო მითითებებს აძლევდა და საქმიან დახმარებას უწევდა ჩვენს ორგანიზაციას.

ბათუმში 1918 წელს გამოდიოდა ოზურგეთისა და ბათუმის საოლქო კომიტეტის გაზეთი „მუშის სიმართლე", რომლის ფურცლებზეც ხშირად ქვეყნდებოდა კორესპონდენციები გლეხთა მდგომარეობის შესახებ. კავშირი ამ ორ ორგანიზაციას შორის შემდეგნაირად მყარდებოდა: ბათუმის ნავთის საწარმოებში მრავალი გურული მუშაობდა, რომელთაგან უმეტესობა თითქმის ბოლშევიკური ორგანიზაციის წევრი იყო (ასეთი პიროვნებათაგანი იყო კირილე თაბერიძე). მათ მიჩენილი ჰქონდათ რამდენიმე კონსპირაციული ბინა, ანუ ე. წ. გამოცხა-

დების ოთახები. ერთ-ერთ ასეთ ბინად ითვლებოდა ბოლშევიკ ელასტოპულოს ბინა. (აქ იყრიდნენ თავს ბოლშევიკური ორგანიზაციის წარმომადგენლები). საიდუმლო პაროლით მისული ჩვენი რწმუნებული ამ კონსპირაციულ ბინაში ხვდებოდა კირილე თავბერიძეს, რომელსაც გადასცემდა ჩვენი ორგანიზაციის დავალებას, ან რაიმე ცნობას, ის კი თავის მხრივ აცნობებდა ბათუმის კომიტეტს, ანდა პირიქით...

1919 წლის აჯანყების მზადების პერიოდში ბათუმის ორგანიზაციასთან კავშირის დასამყარებლად სპეციალურად გამოყოფილი იყო ერმალო დოლიძე.

შეიარაღებულმა აჯანყებამ ოზურგეთის მაზრაში დანიშნულ დღეს იფეთქა, მაგრამ მენშევიკებმა ხელმძღვანელები წინასწარ დააპატიმრეს და აჯანყება სისხლში ჩაახშეს. დაიწყო ტერორი: აპატიმრებდნენ ყოველ ეჭვმიტანილ მოქალაქეს; დაგეშილი მეძებრებივით დასდევდნენ ბოლშევიკების კვალს. მდგომარეობა დაიძაბა. თვითეულ ჩვენს ნაბიჯს აჩრდილივით სდევდა დაპატიმრება. ასეთ პირობებში უნდა წამელო კონფერენციების მასალები თბილისში. გავსწიე რისკი... თან წავიყვანე პატარა ძმისწული, ოთხი წლის პაპულა. გამგზავრების წინ გ. სტურუამ გამაფრთხილა, რომ ჩავარდნის შემთხვევაში არ დავბნეულიყავი და კონტრრევოლუციონერთა ხელში მანდატი არ ჩამეგდო; უკიდურეს შემთხვევაში ნაკუწ-ნაკუწად უნდა მეექცია ან გადამეყლაპა (ჩვენი მანდატები მუყაოსაგან მზადდებოდა, ამდენად მისი გადაყლაპვა არც ისე ადვილი იყო).

ოზურგეთში ჩასვლისთანავე ეტლიდან გადმოსვლაც ვერ მოვასწარი რომ დამაპატიმრეს. შიშისაგან ბავშვმა საშინელი ტირილი მორთო. მიგვიყვანეს სამილიციო უბანში და ჩხრეკა დამიპირეს. აშკარად ჩავარდნის საფრთხის წინაშე ვიდექი, მაგრამ მოხერხებულად გამოვიყენე უბრალო შემთხვევა. უბანში ყველა მამაკაცი იყო და კატეგორიულად განვუცხადე:

— ჩემი გაჩხრეკის უფლებას მხოლოდ ქალს მივცემ, მომიყვანეთ ქალი გამომძიებელი და იმან გამჩხრიკოს-მეთქი. ასევე არ დავთანხმდი მეორე წინადადებასაც — ბავშვის ვინმესთვის ჩაბარებაზე. — ბავშვს, სანამ სახლიდან არ ჩამოვლენ, არავის გადავცემ-თქო, — განვუცხადე მათ.

იმ დროს ოზურგეთის მილიციის უფროსის მოვალეობას ასრულებდა ვალოდია ესაძე, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ რეპრესირებულ არ იქნა და 5-6 წლის წინათ გარდაიცვალა.

ესაძემ ჩემი თხოვნა დააკმაყოფილა, მომათავსა ერთ პატარა ოთახში და მითხრა — შენი სურვილისამებრ ახლავე მოვა ქალი და გაგჩხრეკსო. დროის დაკარგვა არ შეიძლებოდა, ამიტომ გუშაგმა მიხურა თუ არა კარები, მაშინვე მივიღე ზომები მასალების დასამალავად. სხვა გამოსავალი რომ არ მქონდა, ჩამოვიხსენი კისრიდან თავსაფარი და კონვერტი, რომელშიაც ფურცლები იყო მოთავსებული, ამოვაკარი ბავშვს ტიტველ სხეულზე. ყველაფერი ეს ისე სწრაფად მოვახდინე, რომ გაჩხრეკის მომენტში აღელვების არავითარი ნიშან-წყალი არ მეტყობოდა. გამჩხრეკად ვინმე ხუპუას ქალი მოიყვანეს. ჩხრეკამ უშედეგოდ ჩაიარა. ბავშვის გაჩხრეკა აზრად არავის მოსვლია. ჩვენებმა ბავშვი წაიყვანეს და, რადგან კონვერტს წარწერილი ჰქონდა მისამართი, კონფერენციის მასალები ხელუხლებლად გადაეცა ადრესატს.

მილიციის განყოფილებიდან წამიყვანეს ერობის თავმჯდომარე ვინმე კვაშალთან, თავს დამაფრქვიეს ლანძღვა-გინება, მომექცნენ სასტიკად, მაგრამ

ვერაფერს გახდნენ, ორგანიზაციის შესახებ ერთი სიტყვაც ვერ დამაცდენინეს. რაკი ვერავითარი საბუთი ვერ მიპოვეს, მალე გამათავისუფლეს. დავუბრუნდი მშობლიურ სოფელს. ერთი წუთითაც არ შემინელებია არალეგალური მუშაობა, რომელიც დღითი-დღე ძნელდებოდა, რადგან მენშევიკური მთავრობა თავისი არსებობის უკანასკნელ საათებს ითვლიდა და აღსასრულის მოახლოებით დამფრთხალი რისხვად ატყდებოდა თავისი ბატონობის ძირის შემრყეველ ბოლშევიკურ ორგანიზაციებს. რევოლუციის მწარე გაკვეთილებით ნაწრთობი ბოლშევიკები არ უშინდებოდნენ უსასტიკეს რეპრესიებს და გამალებით ემზადებოდნენ ახალი, მორიგი აჯანყებისათვის საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

ეს მზადება სასურველი შედეგით დაგვირგვინდა. 1921 წლის 25 თებერვალს თბილისის თავზე აფრიალდა საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. ასრულდა მრავალტანჯული ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ოცნება. დიდ რუს ხალხთან ერთობლივ კავშირში ქართველმა ხალხმა დაამსხვრია ექსპლოატაციის უღელი და მის ნანგრევებზე აღმოაცენა ახალი, მუშურ-გლეხური ხელისუფლება — პროლეტარიატის დიქტატურა.

ყველაზე დემოკრატიულმა წყობილებამ ხალხს მისცა ბედნიერი და საამური ცხოვრების შესაძლებლობა.

ახალი ცხოვრების მშენებელ ადამიანს — საბჭოთა მოქალაქეს — ფართოდ გაეღო კარები მეცნიერებისა და კულტურის დაუფლებისაკენ.

მრავალრიცხოვან ღონისძიებებთან ერთად სოციალიზმმა სამუდამოდ გადაწყვიტა საუკუნეთა მანძილზე კაცობრიობის პროგრესული ნაწილის ყველაზე მტკივნეული საკითხი — ქალთა ემანსიპაციის საკითხი.

საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე სახელმწიფო აპარატში თუ სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებში ფართოდ ჩააბა და ცხოვრების აქტიურ წევრად აქცია ქალი.

ქალთა საზოგადოებრივ საქმიანობაში მიზიდვა ძირითადად პარტიულებს დაგვავალეს. გამარჯვების შემდეგ სწორედ ამ ხაზით ვმუშაობდი გურიის კომიტეტში. ჩემი აქტიური, მუყაითი შრომით სასურველ შედეგსაც ვაღწევდი, პარალელურად ამისა, ვიყავი სამაზრო კომიტეტის ბიუროს წევრიც.

1924 წელს ცენტრალურმა კომიტეტმა გადმომიყვანა ბათუმში, აჭარის საოლქო კომიტეტში — ქალთა განყოფილების გამგედ. ჩემს ძირითად ფუნქციას შეადგენდა აჭარელი ქალის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმა.

ქალთა ემანსიპაციის საკითხი მეტად რთულ პირობებში ხორციელდებოდა. სამასი წლის მანძილზე ძვალსა და რბილში გამჯდარი რელიგია ხალხის უმეცრებით სარგებლობდა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების ერთ-ერთ ძირითად დაბრკოლებას წარმოადგენდა.

საჭირო იყო უმეცრების წინააღმდეგ ბრძოლა, ხალხში განათლების შეტანა. დაარსდა სკოლები, ბიბლიოთეკები, კლუბები და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები, მაგრამ საზოგადოებისაგან იზოლირებული აჭარელი ქალის ცხოვრების აქტიურ წევრად ქცევა დიდ შრომასა და უნარს მოითხოვდა. პირველ ყოვლისა, საჭირო იყო ჩადრის ტყვეობიდან ქალის ხსნა.

ჩადრის ახდის განხორციელების უებარი წამალი იყო ნაცადი მეთოდი— აგიტაცია-პროპაგანდა, დამაჯერებლობა და მისი საშუალებით ქალის გათვით-

ცნობიერება. გადაწყდა ბათუმში ქალთა კლუბის დაარსება, სადაც განზრახული გვქონდა. აჭარელი ქალებისათვის ჭრა-კერვის სწავლება და ამით მათი საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმა.

1925 წლის 12 მაისს წრეში უკვე 30 აჭარელი ქალი გვყავდა. კლუბი მოთავსებული იყო ლიბკნეხტის ქუჩაზე.

ამ კლუბში ხელსაქმის სწავლებასთან ერთად აჭარელი ქალების გონებრივ გათვითცნობიერებასაც ვეწეოდით. აქტიური პროპაგანდის შედეგად ჩვენი შეგირდების რიცხვი დღითი-დღე იზრდებოდა. ქალები თანდათან დავიხსენით სიბნელის ტყვეობისაგან და მივაღწიეთ იმას, რომ გუშინდელი დაბეჩავებული ქალი ხალისით ჩაება საზოგადოებრივ წარმოებაში და ბევრი მათგანი შრომის გმირიც გახდა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აჭარელი ქალი ისე დაწინაურდა, რომ ამჟამად სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში აქტიურად მონაწილეობს და მამაკაცთან ერთად თავისი წვლილი შეაქვს კომუნიზმის დიად მშენებლობაში.

1917—1921 წლები

ა ჯ ა რ ა შ ი

(მნიშვნელოვან ამბავთა ქრონიკა)

1917—1921 годы

в Аджарии

(Хроника важнейших событий)

1917 წ.

მარტი

3 (16) — ქ. ბათუმის თვითმმართველობის შენობის დარბაზში შედგა ხალხმრავალი კრება, რომელსაც სათათბიროს წევრების გარდა ესწრებოდნენ მშრომელთა წარმომადგენლები. კრებას გააცნეს პეტროგრადიდან მიღებული დეპეშა თვითმპყრობელობის დამხობის შესახებ. ხალხი ხანგრძლივი ტაშით შეხვდა ამ ცნობას.

10 (23) — ქ. ბათუმში ჩატარდა მრავალრიცხოვანი მიტინგი თვითმპყრობელობის დამხობის აღსანიშნავად. მისასალმებელი დეპეშა გაიგზავნა პეტროგრადში.

12 (25) — ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა ქედაში, მოსახლეობა მიესალმა თვითმპყრობელობის დამხობას.

17 (30) — ქობულეთში შედგა ახლომახლო სოფლების მცხოვრებთა დიდი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა თვითმპყრობელობის დამხობას.

19 (1 აპრილი) — ჩაქვში ჩატარდა მრავალრიცხოვანი მიტინგი. მიტინგის მონაწილენი მიესალმნენ მეფის ტახტის დამსხვრევას.

მარტი — ჩამოყალიბდა ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის ხელში გადავიდა ძალაუფლება. აღმასრულებელი კომიტეტი, რომელსაც მხარს უჭერდა ბათუმელი მენშევიკები, დროებითი მთავრობის მხარეზე იდგა.

აპრილი

16 (29) — ჩაქვის საუფლისწულო მამულის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ აირჩია მუშათა კომიტეტი, რომელიც პროფკავშირის როლს ასრულებდა.

გაზაფხული — ბათუმის თითქმის ყველა მოზრდილ საწარმოში ჩამოყალიბდა პროფკავშირული კომიტეტები.

მაისი

1 (14) — ქ. ბათუმში მოეწყო დიდი საპირველმაისო დემონსტრაცია და გაიმართა სამი მიტინგი.

ივნისი

9 (22) — ჩაქვის საუფლისწულო მამულის მუშებმა და მოსამსახურეებმა ადმინისტრაციას წარუდგინეს მოთხოვნები ხელფასის გადიდებისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ.

12 (25) — გაიმართა ბათუმის კომუნისტური ორგანიზაციის საგანგებო კრება, რომელმაც განიხილა თბილისელი კომუნისტების უკანონოდ დაპატიმრების საკითხი და სასტიკად დაგმო დროებითი მთავრობისა და ადგილობრივი ორგანოების თვითნებობა, ამხილა ქართველი მენშევიკების ვერაგული მოქმედება.

15 (28) — ბათუმში ჩატარდა 221-ე სათადარიგო ქვეითი პოლკის მთელი შემადგენლობის მიტინგი. ჯარისკაცმა ორატორებმა ამხილეს დროებითი მთავრობის ანტიხალხური პოლიტიკა.

ზაფხული — ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაციის სწრაფი ზრდის გამო შეიქმნა საორგანიზაციო ბიურო, რომელიც ერთხანს ბათუმის კომიტე-

ტის ფუნქციებს ასრულებდა. საორგანიზაციო ბიუროსთან ცოტა მოგვიანებით შეიქმნა საგამომცემლო სექცია.

ივლისი

2 (15) — გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“ აქვეყნებს ცნობებს ბათუმის კომუნისტური ორგანიზაციის წარმატებებისა და მუშათა ფართო ფენებში მისი გავლენის ზრდის შესახებ.

9 (22) — თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ ჩატარდა ქ. ბათუმის თვითმმართველობის პირველი არჩევნები.

12 (25) — გამოქვეყნდა ქ. ბათუმის № 10 ლაზარეთის სანიტარ ჯარისკაცთა მიტინგის რეზოლუცია, მოითხოვდნენ მთელი ძალაუფლების გადასვლას მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში, წარმოებებში მუშათა კონტროლის შემოღებას და ომის დამთავრებას.

15 (28) — გამოქვეყნდა ცნობა, რომ ბათუმის ჯარისკაცთა დეპუტატების ობორონცულმა საბჭომ გადასწყვიტა „ვეტო“ დაადოს პეტროგრადიდან ჯარისკაცათათვის გამოგზავნილ გაზ. „პრავდას“.

16 (29) — ქ. ბათუმში გაიმართა მიტინგი და დემონსტრაცია 1903 წლის 17 ივლისის საყოველთაო გაფიცვებისა და ბათუმის მუშების დახვრეტის წლისთავის აღსანიშნავად.

— ქ. ბათუმში გაიფიცნენ სასტუმროების, რესტორნებისა და სასადილოების მოსამსახურენი.

ივლისის შუა რიცხვები. — ბათუმის მენშევიკურმა ორგანიზაციამ მოიწვია რკინიგზის კვანძის მუშა-მოსამსახურეთა კრება. მუშების საგრძნობმა ნაწილმა ხმა მისცა მათ მიერ წარმოდგენილი რეზოლუციის წინააღმდეგ.

აგვისტო

2 (15) — გამოქვეყნდა ბათუმის ბოლშევიკების რეზოლუცია ფრონტზე სიკვდილით დასჯის შემოღების წინააღმდეგ.

ოქტომბერი

6 (19) — გაიფიცნენ კვარცხანის სპილენძის მაღაროების მუშები, რომლებმაც მოაწყეს დემონსტრაცია პოლიტიკური ლოზუნგებით და იმღერეს მარსელიოზა, მუშები მოითხოვდნენ 8-საათიანი სამუშაო დღის დაწესებას, ხელფასის მომატებას, სკოლისა და კლუბის გახსნას.

26 (8 ნოემბერი) — პეტროგრადში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებასთან დაკავშირებით ბათუმის პარტიულმა ორგანიზაციამ მისალმება გაუგზავნა პეტროგრადის პროლეტარიატს და მიულოცა გამარჯვება.

28 (10 ნოემბერი) — გამოვიდა გაზ. „ბურევესტნიკის“ პირველი ნომერი.

ოქტომბერი. — ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაციის სწრაფი ზრდის შედეგად ჩამოყალიბდა ბათუმის კომიტეტი.

— ქ. ბათუმში გაიმართა მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობდა 1.500 კაცი. მიტინგის მონაწილეებმა მისალმება გაუგზავნა ვ. ი. ლენინის მეთაურობით შექმნილ საბჭოთა მთავრობას.

ნოემბერი

5 (18) — ბათუმში ჩატარდა მუშათა და ჯარისკაცთა დელეგატების საბჭოა. პოლკების, ბატალიონების, ასეულების, საქარხნო-საფაბრიკო და სამხედრო-საზღვაო კომიტეტის, საქალაქო თვითმმართველობისა და სხვადასხვა პარტიების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა პეტროგრადის ამბების განხილვას. ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლებმა გაილაშქრეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მათ საკადრისი პასუხი გასცეს ბოლშევიკებმა კრიუჩკოვმა და განშინმა.

13 (26) — ქ. ბათუმში შედგა მიხაილოვის საცხოვნო არტილერიის ბატარეის ჯარისკაცთა მიტინგი. მიმდინარე მომენტის შესახებ მიღებულ იქნა რეზოლუცია, მიტინგი მიესალმა ოქტომბრის რევოლუციას გამარჯვებას.

ნოემბრის შუა რიცხვები — ბათუმის ბოლშევიკურმა კომიტეტმა აჯანყებისათვის შეადგინა წითელი გვარდიის 150 კაცისაგან შემდგარი რაზმი — „საზღვაო ასეული“.

ნოემბერი — ბათუმის ბოლშევიკურ კომიტეტთან შეიქმნა რევკომი სამხედრო-ოპერატიული მუშაობის საწარმოებლად, რომელშიც შეიდნენ ბოლშევიკური კომიტეტის სამი წევრი და სამხედრო-საზღვაო კომიტეტისა და გარნიზონის თითო წარმომადგენელი. იგი არსებითად ასრულებდა პარტიული კომიტეტის სამხედრო სექციის როლს.

დეკემბერი

3 (16) — ბათუმის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ ჩაატარა კრება, რომელსაც 500-მდე კაცი დაესწრო. მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენებით გამოვიდნენ ბოლშევიკური კომიტეტის წევრები: მ. კახიანი და გ. პიაეცკი. მათ ამხილეს ამიერკავკასიის კომისარიატის კონტრრევოლუციური მოქმედება. კრებამ ნდობა გამოუცხადა სახალხო კომისართა საბჭოს და მოითხოვა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური კომისარიატის დაშლა.

9 (22) — გამოქვეყნდა ართვინის (ბათუმის ოლქი) ბოლშევიკური ორგანიზაციის პროტესტი ქ. თბილისში ბოლშევიკური გაზეთების რედაქციების და სტამბების დახურვის გამო.

10 (23) — ბათუმის ციხე-სიმაგრის მესანგრეთა ბატალიონის საინჟინრო მშენებლობის ჯარისკაცთა კრებამ მიიღო რეზოლუცია სრულიად რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს ხელისუფლების ცნობის შესახებ.

— 221-ე სათადარიგო პოლკის საკონტროლო ასეულის ჯარისკაცებმა კრებაზე მიიღეს რეზოლუცია რევოლუციური პეტროგრადისადმი მხარის დაჭერის შესახებ. ჯარისკაცებმა სურვილი გამოთქვეს ბოლშევიკურ პარტიაში კოლექტიურად შესვლის შესახებ.

1918 წ.

იანვარი

9 (22) — ყვარცხანის (ბათუმის ოლქი) სპილენძის ქარხნის მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს ეკონომიურ ნიადაგზე.

22 (4 თებერვალი) — გამოვიდა რსდმპ (ბ) ბათუმის კომიტეტის ყოველ-კვირეული ორგანო გაზეთი „მუშის სიმართლე“ № 1.

24 — შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროების სამხედრო გემებისა და ნავსადგურ ბათუმის სავაჭრო ფლოტის მეზღვაურების სადელეგატო კრებამ მოისმინა მოხსენება მიმდინარე მომენტზე; კრებამ გადაჭრით და ერთსულოვნად დაუჭირა მხარი რუსეთის სახკომსაბჭოსა და მის მიერ გამოცემულ ყველა დეკრეტს; პროტესტი განაცხადა ამიერკავკასიის კომისარიატისადმი და მოითხოვა შამქორის ტრაგედიის ყველა დამნაშავის სამხედრო რევოლუციურ სამართალში მიცემა.

თებერვალი

თებერვლის შუა რიცხვები. — ბათუმის კომუნისტურმა კომიტეტმა ჩატარა საოლქო კონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს გურიის კომუნისტური ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. კონფერენციამ განიხილა საკითხი შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადების შესახებ.

16 (29) — ქ. ბათუმში მეზღვაურთა საერთო კრებამ გამოიტანა საპროტესტო რეზოლუცია ქ. თბილისში ბოლშევიკური მიტინგის დახვრეტის გამო; მოითხოვეს ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობის დამხობა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება.

20-23 (5-8 მარტი) — ქუთაისში ჩატარდა რსდმპ (ბ) დასავლეთ ამიერკავკასიის კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ წარმომადგენლები ბათუმის ოლქიდანაც. კონფერენციამ აირჩია რსდმპ (ბ) დასავლეთ ამიერკავკასიის კომიტეტი.

27 (12 მარტი) — ქ. ბათუმში გამოცხადდა სამხედრო წესები.

მარტი

1 (14) — ტრაპიზონში გაიხსნა კონფერენცია ამიერკავკასიასა და თურქეთს შორის საზავო მოლაპარაკების შესახებ.

2 (15) — თურქეთის ჯარმა შეწყვიტა დროებითი ზავი და გადმოვიდა შეტევაზე.

5 (18) — ბათუმში მენშევიკურმა გვარდიამ ხელთ იგდო ბოლშევიკური კრეისერი „კაროლ-კარლი“, სამი გამანადგურებელი ნავი და რამდენიმე სავაჭრო გემი.

11 (24) — ქ. ბათუმში დახურეს ბოლშევიკური გაზეთი „ბურეევესტნიკი“.

22 (4 აპრილი) — თურქეთის ჯარმა ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე გადმოლახა საზღვარი და განავითარა შეტევა ბათუმის მიმართულებით.

აპრილი

1 (14) — თურქეთის ჯარმა დაიკავა ქ. ბათუმი.

1-2 (14-15) — ბათუმის კომუნისტურმა ორგანიზაციამ აჯანყებულთა დასახმარებლად აფხაზეთში გაგზავნა იარაღით დატვირთული ტრანსპორტი.

9 (22) — შეწყდა სამხედრო მოქმედება კავკასიის ფრონტზე და განახლდა საზავო მოლაპარაკება თურქეთთან.

მაისი

11 — ქ. ბათუმში გაიხსნა საზავო კონფერენცია გერმანიის, თურქეთის, ამიერკავკასიის რესპუბლიკების, ჩრდილო-კავკასიის მთიელების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

15 — საბჭოთა მთავრობამ გერმანიასა და თურქეთს განუცხადა პროტესტი ამიერკავკასიაში ინტერვენციისა და ამ მხარის საბჭოთა რუსეთიდან მოწყვეტის გამო.

26 — ამიერკავკასიის მთავრობას თურქეთმა წარუდგინა ულტიმატუმი მთელი ამიერკავკასიის საზღვრების შესწორებისა და თურქეთის ჯარის განკარგულებაში რკინიგზის გადაცემის შესახებ. ულტიმატუმის წარდგენის შემდეგ თურქეთმა მოითხოვა ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები და აზერბაიჯან-სომხეთის მნიშვნელოვანი ადგილები.

ივნისი

4 — ქ. ბათუმში საქართველოს მენშევიკური მთავრობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს თურქეთთან ახალ საზავო ხელშეკრულებას, რომლის თანახმად თურქეთის ხელში გადავიდა ბათუმი, ახალციხის მაზრის ნაწილი და ახალქალაქის მაზრა.

21 — ვ. ი. ლენინი სიტყვას ამბობს სოკოლნიკის კლუბში (მოსკოვი) გამართულ მიტინგზე; სიტყვის დასაწყისში ამხელს კავკასიის მენშევიკებს, რომელთაც კავშირი შეკრეს თურქეთის იმპერიალისტებთან.

ივლისი

ივლისის შუა რიცხვები — აჭარაში თეთრი ტერორის ვითარებაში თურქებმა ჩაატარეს რეფერენდუმი. მოსახლეობამ ბოიკოტი გამოუცხადა მას.

აგვისტო

2 — თურქმა ოკუპანტებმა მოითხოვეს ქ. ბათუმის ქუჩების სახელწოდებების თურქულით შეცვლა. ეს იყო ერთი იმ ღონისძიებათაგანი, რომლის მიხედვით ოკუპანტები ცდილობდნენ ბათუმში მოესპოთ ქართული ენა, ქართული კულტურა.

ოქტომბერი

30 — გამოქვეყნდა ცნობა თურქეთის ჯარის მიერ ბათუმის დაცლის შესახებ.

ნოემბერი

9 — გამოქვეყნდა ცნობა, რომ ინგლის-საფრანგეთსა და თურქეთს შორის დადებული წინასწარი საზავო ხელშეკრულების თანახმად, ინგლისელებს ნება ეიღებათ ბათუმის დროებითი ოკუპაციისა.

20 — ქ. ბათუმში ჩამოვიდა ამერიკის მისია.

30 — ფოთში ჩამოვიდა ინგლისელების ორი კრეისერი და ერთი გამანადგურებელი, რომლებიც გამოემართნენ ბათუმისაკენ.

დეკემბერი

7 — მენშევიკური მთავრობის წარმომადგენელმა ბათუმში წერილი გაუგზავნა საგარეო საქმეთა სამინისტროს ინგლისელი ოკუპანტების წარმომადგენლებთან მისი შეხვედრებისა და საუბრების შესახებ. წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ მენშევიკური მთავრობა ინგლისელ ოკუპანტებს დიდ უფლებებს პირდებოდა.

12 — მენშევიკური მთავრობის წარმომადგენელი ბათუმში წერილობით აცნობებს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რათა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად შავი ზღვის აუზიდან კასპიის ზღვის რაიონში ყუმბარების გადასაზიდად ინგლისელებს გადასცეს მატარებლის ერთი შემადგენლობა.

16 — საქართველოს მენშევიკური მთავრობის წარმომადგენელმა ბათუმში დეპეშა გაუგზავნა საგარეო საქმეთა და სამხედრო სამინისტროებს იმ საუბრის შესახებ, რომელიც მას ჰქონდა ამერიკისა და ინგლისის მისიის მეთაურებთან. საუბრიდან ჩანს ღრმა ინტერესი ინგლის-ამერიკელი იმპერიალისტებისა საქართველოს საშინაო მდგომარეობისადმი, ისინი შეშფოთებული არიან მასებში ბოლშევიკების გავლენის ზრდით და მოითხოვდნენ ჩრდილოეთის საზღვრის გამაგრებას, რომ საქართველოში არ შემოვიდეს რუსეთის ბოლშევიკური ჯარი, აგრეთვე, მოითხოვდნენ საქართველოს აქტიურ მონაწილეობას ამერიკა-ინგლისის ღონისძიებებში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

23 — ქ. ბათუმი დაიკავა ინგლისის საოკუპაციო ჯარებმა. (ჯარების მცირე ნაწილები და სარდლობის წარმომადგენლები ბათუმში შემოვიდნენ ჯერ კიდევ ნოემბრის ბოლო რიცხვებში).

24 — ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლების წარმომადგენელებმა ბათუმში მენშევიკურ მთავრობას მოსთხოვა სადგურ ნატანების ტელეგრაფის მათ განკარგულებაში გადაცემა ბაქოსთან სატელეგრაფო კავშირის დამყარებისათვის.

1919 წ.

იანვარი

1 — საქართველოს მენშევიკური მთავრობის წარმომადგენელი ბათუმში წერილით მიმართავს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინგლისელი ოკუპანტებისათვის სამი გამანადგურებლის გადაცემის შესახებ, კასპიის ზღვის რაიონში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლებში გამოსაყენებლად.

— ბრიტანეთის ჯარის უფროსი ბათუმში გენერალი უოკერი მენშევიკურ მთავრობას აცნობებს, რომ მისი მთავრობის გადაწყვეტილებით ხდება ამიერკავკასიის მთლიანი ოკუპაცია. ამ ღონისძიების მიზანი იყო ამიერკავკასი-

ის გადაქცევა პლაცდარმად საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო ინტერვენციისათვის.

— სადგურ სუფსაში ბათუმიდან მატარებლით ამოვიდა ინდოელთა ჯარი და მოითხოვა სუფსის ხიდის ჩაბარება.

6 — ქობულეთში ინგლისელი ოკუპანტების მიერ უბნის უფროსად დანიშნული ხალხის ჯალათის წინააღმდეგ გაიმართა საპროტესტო გამოსელები, ინგლისელებმა ქობულეთში გაგზავნეს ჯარის ნაწილები.

8 — ბათუმიდან საქართველოში შემოვიდა ინგლისის ფერადკანიანთა ჯარების პირველი ეშელონი.

— ბათუმში შედგა ოლქის ყველა უბნის წარმომადგენელთა ყრილობა. ყრილობამ დაგმო შავრაზმული მმართველი საბჭოს შექმნა და ინგლისელ ოკუპანტების თვითნებობა. ყრილობის დელეგაცია ეწვია საბჭოს თავმჯდომარეს და მოსთხოვა უბნების უფროსების არჩევა მოსახლეობის მიერ.

21 — გამოცხადებულ იქნა ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორის კუკ-კოლისის ბრძანება ბათუმის ოლქში ინგლისის ფლოტში მიღებული დროის აღრიცხვის შემოღებისა და ამასთან დაკავშირებით საათის ისრის 50 წუთით წინ გადაწევის შესახებ.

— გამოცხადდა ბათუმის ოლქის სამხედრო გენერალ-გუბერნატორის კუკ-კოლისის ბრძანება მოსახლეობის განიარაღების შესახებ.

28 — გამოცხადდა ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორის კუკ-კოლისის ბრძანება კავშირების, საზოგადოებრივ გაერთიანებათა და კრებების აკრძალვის შესახებ.

თებერვალი

2 — ცნობილი გახდა, რომ ინგლისელმა იმპერიალისტებმა გადაწყვიტეს აჭარა მოწყვიტონ საქართველოს და მოახდინონ მისი სამუდამო ოკუპაცია.

24 — ბათუმის ქალაქის სათათბიროს სხდომაზე აღინიშნა, რომ ინგლისელი იმპერიალისტების მიერ ბათუმის ოკუპაციის შემდეგ ძლიერ გაძვირდა პირველი მოთხოვნილების საგნები და რომ ფაქტიურად ქალაქის მოსახლეობა შიმშილობს.

აპრილი

2 — ინგლისის საგანგებო კომისარი უორდროპი მენშევიკურ მთავრობას თხოვს ბათუმში მყოფი 100 თეთრგვარდიელი ოფიცერი გადაყვანილ იქნას ფოთში, საიდანაც ისინი გადავლენ ჩრდილოეთ-კავკასიაში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობის მისაღებად.

7 — ქ. ბათუმის პროფესიულ კავშირთა საბჭომ დაადგინა გამოაცხადოს საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა ნიშნად პროტესტისა ინგლისელების მიერ გაზ. „ბატუმსკია ვესტის" დახურვის გამო.

8 — გამოქვეყნდა ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორის კუკ-კოლისის ბრძანება გაფიცვებისა და მუშაობის თვითნებურად მიტოვების აკრძალვის შესახებ. დამნაშავე პირების მიმართ გათვალისწინებულია სასჯელის სასტიკი ზომები.

— ბათუმში გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა „ბატუმსკია ვესტის" დახურვის წინააღმდეგ, პროტესტის ნიშნად ყველა სავაჭროები და დაწესებულებები მთელი დღით დაიკეტა.

14 — ინგლისელმა ოკუპანტებმა დაითხოვეს ბათუმის ოლქის მმართველი საბჭო, ხოლო ფუნქციები გადასცეს ინგლისის სამხედრო საოკუპაციო ორგანოებს.

15 — რკინიგზის უბანი, ბათუმი-ნატანები, ინგლისელებთან შეთანხმებით გადავიდა მენშევიკურ საქართველოს გამგებლობაში.

მაისი

1 — ჩატარდა საპირველმაისო დემონსტრაცია, დემონსტრანტებს მიჰქონდათ ბოლშევიკური ლოზუნგები: „გაუმარჯოს მუშათა საერთაშორისო დღეს 1 მაისს!", „გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!".

ნურიის ბაზართან გამართულ მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ ბოლშევიკი აგიტატორები, რომლებმაც ამხილეს მენშევიკების თანამშრომლობა თეთრგვარდიელებთან. ერთმა ორატორმა თავისი გამოსვლა დაამთავრა სიტყვებით: „გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს!", „გაუმარჯოს ბოლშევიკურ პარტიას!".

17 — გამოსვლა იწყო პროფკავშირების ორგანომ გაზეთმა „გოლოს ტრუდამ".

18 — გამოქვეყნდა ბათუმის ოლქის სამხედრო გენერალ-გუბერნატორის კუკ-კოლისის განკარგულება ბათუმის მოსახლეობისადმი გადასახადების დაუყოვნებლივ ხაზინაში შეტანის შესახებ.

20 — მახინჯაურის ბაქანზე ინგლისელმა ოფიცრებმა ძალით გააჩერეს სამგზავრო მატარებელი და აუტეხეს სროლა, მიზეზად გამოიყენეს ბათუმის ბანკიდან ორი მილიონი მანეთის გამტაცებელთა ძებნა.

22 — ინგლისელი ოკუპანტების ჩარევა ქვეყნის შინაურ საქმეებში იმდენად აუტანელი გახდა, რომ გზათა დეპარტამენტის დირექციამ წერილობით მიმართა მთავრობას: „თუ არ იქნება უზრუნველყოფილი... ბათუმ-ნატანების უბანი, აგრეთვე, მთელი რკინიგზის ხაზი გარეშე სახელმწიფოთა აგენტების უკანონო გამოსვლებისა და მათი რესპუბლიკის შინაურ ცხოვრებაში ჩარევისაგან, ყოვლად შეუძლებელი იქნება წესიერების აღდგენა და დამყარება სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბანზე რკინიგზის დარგში". მენშევიკების მთავრობამ აღნიშნული პროტესტი უყურადღებოდ დასტოვა.

ივნისი

11 — წითელი არმიის მიერ დამარცხებული თეთრგვარდიელების ბათუმში მასობრივი თავმოყრის შედეგად ქალაქში შეიქმნა საბინაო კრიზისი. კრიზისიდან თავის დაღწევის მიზნით დაარსდა საბინაო მომრიგებელი კამერა, მაგრამ ამ ღონისძიებამ საქმე ოდნავად ვერ გამოასწორა.

13 — დენიკინელთა შემოსევის საშიშროებასთან დაკავშირებით, ქ. თბილისში, ბათუმში, ფოთსა და სოხუმში მოეწყო მუშათა მიტინგები. თავიანთ რეზოლუციებში მუშები მოითხოვდნენ მთელი ამიერკავკასიის პროლეტარიატისა და რევოლუციური გლეხობის ერთიანი ფრონტის შექმნას დენიკინის წინააღმდეგ.

28 — ბათუმში მოკლეს გენ. ნათიევი და მისი ადიუტანტი ფილიპოვი. ისინი დენიკინისათვის გასაგზავნ მოხალისეთა რაზმების შედგენას ხელმძღვანელობდნენ.

ივლისი

1 — ქობულეთში გაიმართა კინტრიშის უბნის მშრომელთა მრავალრიცხოვანი შეკრება მიმართული ოკუპანტებისა და დენიკინელების წინააღმდეგ. მსგავსი შეკრებები და მიტინგები იმართებოდა მთელ აჭარაში.

26 — ბათუმის პროფკავშირების გამგეობათა და მუშა-მოსამსახურეთა კონფერენციამ მოისმინა მოხსენება და მიიღო ბოლშევიკური რეზოლუცია.

სექტემბერი

1 — გამოქვეყნდა ბათუმის ოლქის სამხედრო გენერალ-გუბერნატორის კუკ-კოლისის ბრძანება, ქ. ბათუმში 5 სექტემბრიდან საალყო წესების შემოღების შესახებ. ამასთან დაკავშირებით დროებით შეწყდა გაზ. „გოლოს ტრუდა"-ს გამოცემა.

ოქტომბერი

6 — გამოქვეყნდა ბათუმის ოლქის სამხედრო გენერალ-გუბერნატორის მოვალეობის აღმსრულებლის გარის ბრძანება იმ პირთა მიმართ ზომების მიღების შესახებ, რომლებმაც დაგვიანეს სხვადასხვა გადასახადების ხაზინაში შეტანა.

10 — გამოქვეყნდა ბრიტანეთის ფლოტის შავი ზღვის სამხედრო ძალების მთავარსარდლის გენ. მილნის ბრძანება ბათუმის ოლქში ინგლისის სამხედრო საოკუპაციო ორგანოების შექმნისა და ამ ორგანოთა მოთხოვნების მოსახლეობის მიერ უყოყმანოდ შესრულების შესახებ.

ნოემბერი

20 — გამოქვეყნდა ბათუმის ოლქის სამხედრო გენერალ-გუბერნატორის კუკ-კოლისის ბრძანება ბათუმის ქალაქის სათათბიროსა და გამგეობის დათხოვნის შესახებ.

დეკემბერი

25 — გამოცხადდა, რომ რუსეთის ყოფილი მთავრობის მიერ ბათუმში დატოვებული იარაღი და სხვა სამხედრო ქონება მთლიანად გადადის ინგლისელი ოკუპანტების ხელში.

1920 წ.

იანვარი

12 — ბათუმში იფეთქა დამშეულთა მღელვარებამ. მათ დაარბიეს სასურსათო მაღაზიები და ქალაქის გამგეობიდან გარეკეს ინგლისელი ოფიცრები.

თებერვალი

თებერვალი — ოკუპანტებმა ნება დართეს მოეხდინათ ბათუმის ქალაქის ოვითმმართველობის არჩევნები. არჩევნები დანიშნულ იქნა 29 თებერვალს. მუშათა რაიონებისათვის საარჩევნო უფლებების წართმევის საპროტესტოდ კომუნისტებმა ბოიკოტი გამოუცხადეს არჩევნებს.

მარტი

10 — საქართველოს თითქმის ყველა ქალაქსა და სოფელში ჩატარდა საპროტესტო მიტინგები ანტანტის მიერ ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადების გამო.

24 — ბათუმის პროფსაბჭომ 24 ხმით 12-ის წინააღმდეგ მიიღო რეზოლუცია აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების სასარგებლოდ.

29 — ჩატარდა პროფკავშირთა გამგეობებისა და საქარხნო კომიტეტების კონფერენცია, რომელმაც განიხილა პროფსაბჭოს მიერ მიღებული რეზოლუცია. კონფერენციამ 99 ხმით 49 ხმის წინააღმდეგ მოიწონა იგი და ცნო, რომ ბათუმის მუშებისა და აჭარის მშრომელებისათვის ერთადერთი მისაღები ხელისუფლება არის საბჭოთა ხელისუფლება.

აპრილი

22 — ქ. ბათუმის თვითმმართველობის შენობაში შედგა ყველა პროფკავშირის გამგეობათა, ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენელთა და მთელ რიგ რაიონების გლეხთა დელეგატების კრება. კრებამ გამოიტანა დადგენილება, რომ ერთადერთი მისაღები ხელისუფლება მუშებისა და გლეხებისათვის აჭარაში არის საბჭოთა ხელისუფლება.

28 — ღამით ააფეთქეს კინტრიშის (ქობულეთი) რკინიგზის ხიდი და ნავთსადენი, რითაც ხელი შეეშალა ინგლისელ ოკუპანტებს ნავთპროდუქტები მიეღოთ ბაქოდან და გაეგზავნათ საზღვარგარეთ:

30 — ბათუმში მოკლეს მშრომელი ხალხის უბოროტესი ჯალათი და ვრანგელის აგენტი გენერალი ლიახოვი. მკვლელობის ორგანიზატორი იყო ს. გუბელი (მეძმარიაშვილი).

მაისი

1 — ქ. ბათუმში გაიმართა მრავალათასიანი საპირველმაისო დემონსტრაცია. დემონსტრანტებს გამოტანილი ჰქონდათ მარქსის, ენგელსის, ლენინის პორტრეტები და ბოლშევიკური ლოზუნგები; ისინი მოითხოვდნენ აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას.

— საპირველმაისო მიტინგის დადგენილებით გენერალ-გუბერნატორთან გაიგზანა დელეგაცია მოთხოვნით: ციხიდან გაეთავისუფლებიათ ბოლშევიკი ს. მეძმარიაშვილი (გუბელი). გენერალ-გუბერნატორი კუკ-კოლისი იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნა.

4 — ბათუმში გაიმართა ნავსადგურში მყოფი ყველა გემის ეკიპაჟთა წარმომადგენლების კრება პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრთა მონაწილეობით; კრებამ გამოიტანა დადგენილება, რომ ყოფ. მეფის რუსეთის საკავშრო ფლოტის ტრანსპორტი და ქონება ეკუთვნის საბჭოთა რუსეთს.

— ინგლისელი ოკუპანტებისა და სპეკულანტთა მიერ ბათუმიდან ყოველგვარი ქონების გაზიდვის გაძლიერებასთან დაკავშირებით პროფსაბჭომ შექმნა სამეული, რომლის ნებართვის გარეშე არავის უფლება არ ჰქონდათ გაეტანა რაიმე საქონელი.

8 — ინგლისელები ბათუმში ვერაგულად თავს დაესხნენ და აიკლეს პროფესიული კავშირების საბჭო. დააპატიმრეს პროფმოძრაობის 18 მოღვაწე და ჯავშნოსან „როიალ-ზავორენით“ კონსტანტინეპოლს გაგზავნეს.

— გაზ. „გოლოს ტრუდაში“ გამოქვეყნდა წერილი, რომელიც ამხელს ინგლისელი ოკუპანტების მტაცებლობას და მოუწოდებს მშრომელებს მათ წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

მაისში — ბათუმის არალეგალურმა ბოლშევიკურმა კომიტეტმა შექმნა რევკომი აჯანყების ხელმძღვანელობისათვის.

8-9 — ბათუმის კომუნისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მომზადდა დიდი საპროტესტო გაფიცვა, რომელიც ფაქტიურად ჩაიშალა მენშევიკების გამცემლური მოქმედების წყალობით.

10 — ბათუმის დეპოს მუშათა კრებამ მიიღო საპროტესტო დადგენილება ანტანტის წინააღმდეგ. ამის შედეგად წარმოებიდან დაითხოვეს 17 მუშა.

11 — მენშევიკთა ჯარის ნაწილებმა სცადეს ქობულეთის ტერიტორიაზე შემოვრა. მოსახლეობამ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია, რის შედეგად ჯარი იძულებული გახდა, უკან დაეხია.

26 — რკპ (ბ) ნოეოროსიისკის კომიტეტმა წერილი გაუგზავნა ვ. ი. ლენინს, რომელშიაც მოყვანილი იყო ბათუმიდან მიღებული წერილის ტექსტი — ინგლისელი ოკუპანტების რეპრესიების შესახებ ბათუმის მუშათა ორგანიზაციების მიმართ.

ივნისი

5 — სადგ. ნატანებში დააპატიმრეს თბილისიდან ბათუმში მიმავალი მგზავრი, რომელსაც აღმოაჩნდა 15 გირვანქა წონის არალეგალური ფურცლები, რკპ(ბ) ბათუმის კომიტეტის მიერ ხელმოწერილი ორი მოწოდება; ერთი მათგანი მიმართული იყო საქართველოს მენშევიკური მთავრობისა, ხოლო მეორე ინგლისელი ოკუპანტების წინააღმდეგ.

17 — ბათუმის ნავსადგურის მუშებმა დასწვეს ტრანსპორტი, რომელიც დატვირთული იყო ვრანგელისათვის გადასაგზავნი სამხედრო მასალით.

19 — მოკავშირეთა ჯარების საფრანგეთის კომისარმა დე-მარტელიმ წერილი გაუგზავნა მენშევიკურ მთავრობას მოკავშირეთა ჯარების მიერ ბათუმის ოკუპაციის ვადის გაგრძელების შესახებ.

— ს. მ. კიროვმა დეპეშა გაუგზავნა ვ. ი. ლენინს ბათუმში მყოფი ინგლისელი ოკუპანტების აგრესიული მოქმედების შესახებ.

20 — ქ. ბათუმში შედგა პროფესიული კავშირის წევრთა დელეგატების ყრილობა „პროფესიულ კავშირთა ცენტრის“ ასარჩევად. ყრილობაზე დამსწრე ბოლშევიკებმა ამხილეს მენშევიკების შემთანხმებლური მუშაობა ინგლისელებთან და კრებას გადასცეს წერილობითი განცხადება, რომელიც ყრილობის მენშევიკურმა ხელმძღვანელობამ არ გააცნო კრებას. ამის გამო ბოლშევიკებმა დასტოვეს ყრილობა. მენშევიკებმა პროფკავშირის ცენტრში თავიანთი წარმომადგენლები გაიყვანეს.

— ინგლისის ჯარებმა დაიწყეს ბათუმის დატოვება. იძულებითი წასვლის წინ ააფეთქეს ბათუმის ციხის გამაგრებული ფორტები; ქვემეხების საკეტები ზღვაში გადაყარეს და გაიტაცეს ძვირფასი ქონება.

27 — რსფსრ სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ს. მ. კიროვმა ნოტით მიმართა მენშევიკური საქართველოს მთავრობას იმის შესახებ, რომ ბათუმის ოლქში კვლავ გრძელდება ინგლისელების თარეში და მოითხოვა მათი გაძევების დაჩქარება.

ივლისი

1 — მენშევიკურმა ჯარმა დაიკავა ნატანებ-ქობულეთის რკინიგზის ხაზი, სადგური ქობულეთი და კინტრიშის ხიდი.

— გენერალმა კვინიტაძემ, რომელიც აჭარაში შესულ ჯარებს სარდლობდა, მოსახლეობას მუქარით მიმართა: ვინც წინააღმდეგობას გაუწევდა მენშევიკური ჯარების შემოსვლას, ის დახვრეტილი იქნებოდა, ხოლო ოჯახის წევრები გასახლებული იქნებოდნენ ბათუმის ოლქიდან.

7-8 —ინგლისელების მიერ ბათუმისა და მისი ოლქის დატოვების შემდეგ, მენშევიკური მთავრობის ჯარი შევიდა ქ. ბათუმში და გამოცხადდა სამხედრო წესები.

14 — ქ. ბათუმის პროლეტარიატისა და მშრომელი ხალხის წარმომადგენელნი სალამს უძღვნიან საქართველოს კომუნისტური პარტიის ორგანოს გაზეთ „საქართველოს კომუნისტს“ და მისი ფონდის გასაძლიერებლად უგზავნიან 3.800 მანეთს.

— ბათუმის კომუნისტურმა ორგანიზაციამ აღნიშნა ს. წულუკიძის გარდაცვალების 15 წლისთავი. ჩატარდა სამგლოვიარო საღამო. ს. წულუკიძის რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ბათუმის კომიტეტის წევრმა.

აგვისტო

1 — ქ. ბათუმში დაარსდა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ბათუმის ბიურო.

29 — გამოქვეყნდა ცნობა, რომ ბათუმში დააკავეს 9 ასოთამწყობი და ლითონზე მომუშავე რამდენიმე მუშა. ამავე დროს დაიწყეს „გაწმენდა“ იმ პროფესიული კავშირებისა, რომლის გამგეობაშიც ხელახალი რეგისტრაციისა და არჩევნების შემდეგ კომუნისტები გავიდნენ.

— გამოქვეყნდა ცნობები ბათუმის პროფკავშირების შენობიდან ინგლისელი ოკუპანტების მიერ გატაცებულ ფასეულობათა შესახებ.

სექტემბერი

9 — ქ. ბათუმის პროფესიული კავშირების სხდომაზე კომუნისტების ჯგუფმა შეიტანა რეზოლუცია, რათა მთავრობასა და შრომის სამინისტროს წინადადება მისცემოდა, რომ ამ უკანასკნელთ გაეტარებინათ ღონისძიებები მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

— საფრანგეთის მისიის მეთაური პოლკოვნიკი ბერტინენი მიმართავს ბათუმის ოლქის საგანგებო კომისარს, წითელი არმიის მიერ დამარცხებულ და საქართველოს ტერიტორიაზე თავშეფარებულ დენიკინელთა ევაკუაციაში დასახმარებლად.

14 — ბათუმში ჩამოვიდნენ გაკოტრებული მეორე ინტერნაციონალის მესვეურები, რომლებსაც მენშევიკებმა საზეიმო შეხვედრა მოუწყეს.

— ბათუმის ნავსადგურში მოვიდა ორი ნაღმოსანი: ერთი ინგლისის და ერთი საფრანგეთისა.

16 — საქ. კომუნისტური პარტიის ბათუმის კომიტეტმა გამოუშვა პრო-

კლამაცია: „ამხანაგო მუშებო!“ — მეორე ინტერნაციონალის ხელმძღვანელების—მსოფლიო პროლეტარიატის ჯალათების დელეგაციის ჩამოსვლასთან დაკავშირებით. მოწოდება მთავრდებოდა სიტყვებით: „ძირს ყვითლები! ძირს სოციალიზმის მოღალატენი! გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს! გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციას!“.

27 — სოფ. კოხში (ქობულეთის რაიონი) ჩავიდა დამსჯელი რაზმი; აწიოკებდნენ სოფლებს, სცემდნენ ხალხს და უნადგურებდნენ მოსავალს.

ოქტომბერი

25 — ბათუმის მენშევიკურმა კომიტეტმა საქართველოს დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას გაუგზავნა საიდუმლო მოხსენება, რომელშიაც აღნიშნულია, რომ მენშევიკების ბატონობის წლებში აპარის მდგომარეობა ძლიერ დამაფიქრებელი გახდა, რომ ბათუმსა და მის ოლქში მენშევიკებს მხარს არავინ უჭერს.

26 — ი. ბ. სტალინი დეპეშას უგზავნის ვ. ი. ლენინს იმის შესახებ, რომ „საქართველო აპირებს გადასცეს ბათუმი ანტანტას და შეიძლება გზა გაუხსნას ვრანგელს უკან დასახევად და აგრეთვე ბაქოს მხრისაკენ შეტევისათვის“.

29 — ვ. ი. ლენინი დეპეშას უგზავნის ი. ბ. სტალინს, რომელშიც დადასტურებულია 26 ოქტომბრის დეპეშაში გამოთქმული მოსაზრების სისწორე; „უდაოდ .მიმაჩნია, რომ საქართველო ბათუმს გადასცემს ანტანტას. ალბათ, საიდუმლოდ და რომ ანტანტა გაილაშქრებს ბაქოზე“.

31 — რსფსრ სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა საქართველოში საპროტესტო ნოტა წარუდგინა მენშევიკურ მთავრობას ოკუპაციის წესით ქ. ბათუმის ინგლისელებისათვის გადაცემის განზრახვის გამო.

ნოემბერი

7-8 — ბათუმში შედგა პარტიული კრება, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სამი წლისთავის აღსანიშნავად.

16 — ქ. ბათუმში ბეჭდვით ორგანოებზე შემოღებულ იქნა სამხედრო ცენზურა.

18 — რსფსრ სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა კვლავ მიმართა მენშევიკურ მთავრობას საპროტესტო ნოტით ინგლისელების მიერ ბათუმის მოსალოდნელი. დაკავების შესახებ.

21 — გამოქვეყნდა ცნობა, რომ სტამბოლიდან მიღებული ცნობების თანახმად ბათუმი პორტო-ფრანკოდ უნდა გამოცხადდესო.

26 — გამოქვეყნდა ცნობა, მენშევიკების საგანგებო რაზმის უფროსის განკარგულებით, ქ. ბათუმში ახლადდაარსებული მეზღვაურთა იმ კავშირის გამგეობის დატუსაღების შესახებ, რომელიც რესპუბლიკის მეზღვაურთა კავშირს არ ექვემდებარებოდა და, საბჭოთა კონსულის წინადადებით, გემზე აღმართა ბოლშევიკური დროშა. დატუსაღებულნი გადაგზავნეს ქუთაისის ციხეში.

28 — რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს გაუგზავნა საბჭოთა მთავრობის საპროტესტო ნოტა ბრიტანეთის მიერ ბათუმის ოკუპაციის განზრახვის გამო.

— ვრანგელის დამარცხებასთან დაკავშირებით ბათუმის ნავსადგურში მდგომი გემების მატროსებმა საბჭოთა ალმები გამოკიდეს. საბჭოთა ალამი დიდძალი მოსახლეობის თანდასწრებით გამოკიდეს აგრეთვე„ მეზღვაურთა სრულიად რუსეთის კავშირის შენობაზე.

— მენშევიკებმა დაარღვიეს 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და ვრანგელის გემებს საშუალება მისცეს საზღვარგარეთ წასულიყვნენ. ასე, მაგალითად, ბათუმის ნავსადგურიდან საფრანგეთის ნალმოსნის თანხლებით კონსტანტინოპოლში წავიდა გემი „პრინცი“.

დეკემბერი

6 — ქ. ბათუმში დააპატიმრეს ლითონზე მომუშავეთა კავშირის 5 წევრი და მენავთეთა კავშირის 2 წევრი. ბრალდებად წაუყენეს ბოლშევიკური პარტიის წევრობა.

16 — გამოქვეყნდა ცნობა, რომ ბათუმის თამბაქოს ფაბრიკის მუშათა კავშირის გამგეობამ ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მიაღწია ხელფასის 100%-ით გადიდებას.

20 — ბათუმის ბოლშევიკური კომიტეტის სხდომის დროს მენშევიკურმა მილიციამ დააპატიმრა კომიტეტის შემადგენლობა და საპატიმროში ჩასვა.

1921 წ.

იანვარი

4 — ბათუმში მენშევიკების აგენტებმა გაძარცვეს საბჭოთა დიპლომატიური შიკრიკი.

— რკპ(ბ) ცკ კავკასიის ბიურომ დირექტივა მისცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ. საქართველოს მშრომელთა აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის დაიწყო 1921 წლის 11 თებერვალს.

თებერვალი

16 — სერგო ორჯონიკიძემ აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ყრილობაზე წარმოსთქვა სიტყვა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ საქართველოს მუშებისა და გლეხების აჯანყებაზე და წითელი არმიის მიერ აჯანყებულთა დასახმარებლად საქართველოს საზღვრების გადალახვის შესახებ.

— შეიქმნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების სახელმძღვანელოდ. რევოლუციურმა კომიტეტმა მოწოდებით მიმართა საქართველოს მუშებს, გლეხებს, ჯარისკაცებსა და ყველა მშრომელს. მოწოდება მთავრდებოდა სიტყვებით: ხელი მოჰკიდეთ იარაღს, ამხანაგო მშრომელებო, წინ, საბჭოების ხელისუფლებისაკენ! გაუმარჯოს აბლადდაბადებულ — სახალხო აჯანყების ცეცხლსა და კვამლში შობილ საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკას!

25 — საქართველოს რევკომის თხოვნის საფუძველზე ლენინისა და სტალინის მითითებით, სერგო ორჯონიკიძის და ს. მ. კიროვის ხელმძღვანელობით გმირულმა წითელმა არმიამ დახმარება აღმოუჩინა საქართველოს მუშებს, და გლეხებს მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში; წითელი არმიის ნაწილები აჯანყებულებთან ერთად შეეიდნენ ქ. თბილისში. გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება.

— გ. კ. (სერგო) ორჯონიკიძე ვ. ი. ლენინს და ი. ბ. სტალინს უგზავნის დეპეშას: „თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“.

— მე-11 არმიის საველე პოლიტგანყოფილებამ გამოუშვა მოწოდება „საქართველოს ჯარისკაცებო!“, რომელიც მოუწოდებს ჯარისკაცებს მოაწყონ აჯანყება ზურგში და შეუერთდნენ საქართველოს მშრომელთა გასათავისუფლებლად შემოსულ წითელი არმიის ნაწილებს.

26 — საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა პირველი დეკრეტები და შეუდგა პროლეტარული დიქტატურის ხელისუფლების ორგანოების შექმნას.

მარტი

7 — მენშევიკებმა ქუთაისის ციხიდან ბათუმში გადმოიყვანეს 300 კომუნისტი პატიმარი.

9 — საქართველოს სსრ რევკომმა რადიო-დეპეშით მთელ მსოფლიოს მიმართა პროტესტით ანტანტის მიერ ქ. ბათუმის ოკუპაციის განზრახვის გამო.

11 — მენშევიკების თანხმობით ბათუმში შემოვიდა თურქეთის ჯარი, რომელმაც დაიწყო სავაჭროებისა და მოსახლეობის ძარცვა-გლეჯა.

16 — მოსკოვში დამთავრდა რსფსრ და თურქეთს შორის წარმოებული მოლაპარაკება და დაიდო ხელშეკრულება.

17 — თურქეთის ჯარის ნაწილები ძალადობით ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ ბათუმის ციხე-სიმაგრის ყველა ფორტი და საბოლოოდ გაბატონებულიყვნენ აჭარასა და ქ. ბათუმში.

16-17 — ქუთაისში საქართველოს რევოლუციური კომიტეტის რწმუნებულსა და მენშევიკურ მთავრობას შორის, რსფსრ-ს წარმომადგენლის მონაწილეობით, ხელმოწერილი იქნა შეთანხმება, რომლითაც მენშევიკური მთავრობა კისრულობდა ჩაებარებინა ხელისუფლება, მოეხდინა ფრონტის ლიკვიდაცია და ხელი შეეწყო საბჭოთა ჯარების ბათუმში შესვლისათვის.

17 — ბათუმში ს. ქავთარაძის თავმჯდომარეობით შეიქმნა დროებითი რევკომი, რომელმაც აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა.

17 — 18 — ყოფილი მენშევიკური მთავრობა ბათუმიდან იტალიის გემით „ფერენ-ჟოზეფ-მირილით“ გაიქცა საზღვარგარეთ.

19 — ქ. ბათუმში შემოვიდა წითელი არმიის ნაწილების პირველი ეშელონი, ხოლო გოდერძის უღელტეხილის გზით წითელი არმიის ცხენოსანი ნაწილები.

20 — დროებითი რევკომის ნაცვლად შეიქმნა ბათუმის საოლქო რევოლუციური კომიტეტი ამხ. ს. ქავთარაძის ხელმძღვანელობით. რევკომში შეიდნენ: მ. ტოროშელიძე, დ. მახარაძე, კ. საჯაია, ს. გუბელი, თ. ჟღენტი, ი. პევცოვი, კ. თავბერიძე, რ. ნიჟარაძე, მ. აბაშიძე.

21 — თურქეთის ჯარები გააძევეს ბათუმიდან და აჭარაში საბჭოთა ხელისუფლებამ საბოლოოდ გაიმარჯვა.

მარტი-აპრილი — ქ. ბათუმში და აჭარის სოფლებში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგები აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების აღსანიშნავად.

28 — აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან დაკავშირებით საქართველოს რევკომის სახელით აჭარის მშრომელ მოსახლეობას მისასალმებელი დეპეშით მიმართა რევკომის თავმჯდომარემ ფ. მახარაძემ.

— ბათუმში აზიზიეს მოედანზე (ამჟამად ვ. ი. ლენინის სახ. მოედანი) მოეწყო აჭარის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა დაჯსაფლავება.

25 — ბათუმში ჩამოვიდა ს. ორჯონიკიძე, რომელმაც სახელმძღვანელო მითითებანი მისცა ადგილობრივ ორგანოებს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების უზრუნველსაყოფად.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა 5

პ. ცქვიტარია, ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის აჭარაში 7

ლ. დავითაძე, საბჭოთა ხელისუფლების პირველი ნაბიჯები აჭარაში. 83

მ. ანასტასიადი, ბრძოლის წლები (მოგონება) 127

ა. თალაკვაძე, გავლილი გზა (მოგონება) 145

1917 — 1921 წლები აჭარაში 153

С О Д Е Р Ж А Н И Е

Предисловие . . 5

П. Цквитария, Борьба за Советскую власть в Аджарии 7

Л. Давитадзе, Первые шаги Советской власти в Аджарии 83

М. Анастасиади, Годы борьбы (воспоминание) . . 127

А. Талаквадзе, Пройденный путь (воспоминание) . . 145

1917—1921 годы в Аджарии . 153

რედაქტორი ვლ. შარაშიძე

გამომცემლობის რედაქტორი ც. წუწუნავა

შხატვარი შ. ხოლუაშვილი

ტექნიკური რედაქტორი კ. ჩხარტიშვილი

კორექტორი შ. დარჩია

გადაეცა წარმოებას 1958 წლის 10 იანვარს, ხელმოწერილია დასაბეჭდად 1958 წლის 11 აპრილს, 14,72 საბეჭდი + 9 ჩაწებ. სურათი, 10,8 საავტორო, 11,65 საღრიცხვო-საგამომცემლო ფორმა. დაკვეთა № 225, ემ 00007, ტირაჟი 1000.

ფასი 11 მან.

* * *

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფსამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია
(ბათუმი, ლუქსემბურგის, 22).

Министерство Культуры Аджарской АССР
Государственный Музей Революции

ПОБЕДА СОВЕТСКОЙ ВЛАСТИ В АДЖАРИИ

СБОРНИК

(На грузинском языке)

Государственное издательство
Батуми—1959

შემჩნეულ შეცდომათა გასწორება

გვ.	სტრიქონი	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
5	4 ქვევიდან	ივნისიდან	ივლისიდან
6	2 ქვევიდან	ხელისუფლებისათვს	ხელისუფლებისათვის
20	1 ქვევიდან	.. გახდა რევოლუციური	„...გახდა რევოლუციური
52	28-29 ზევიდან	მიუღებული	მიუღებელი
61	17 ზევიდან	მას თანაუგრძნობთ	მას არ თანაუგრძნობთ
66	12 ზევიდან	ქმნიდა	ქმნის
94	1 ზევიდან	14 ივლისის	16 ივლისის